საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№6 (144)
15 - 21 თებერვალი, 2012
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## მიშას ლეში, ანუ აჭამეთ ბავშვს ძუძუ 2



10 ლუკა კურტანიძე:

## როცა დიქტატორი უკონტროლო ხდება, მას ანადგურებენ!

«სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნებამდე უნდა გადატყდეს წელში»

## ივანიშვილის გამბიტი... 3



# ახალი თურქობა

აზიზიეს მეჩეთი – თურქული ოკუპაციის ცოცხალი ძეგლი 6



მამა გიორგი (რაზმაძე):

ეს იყო მათი გამარჯვებისა და ბატონობის სიმბოლო დამონებულ ქალაქსა თუ ქვეყანაში 9

## Gürcistan vilayeti 8

ანზორ მაისურაძე:



## როგორ შეიძლება დემოკრატიის იმპორტზე ლაპარაკი ისეთ ქვეყნებში, სადაც შეიხს 50 ცოლი ჰყავს?! 14

„ამ ხელშეკრულების საფუძველზე სსრ კავშირს, მისი დაშლის შემდეგ კი რუსეთს, აქვს უფლება ირანის მთავრობასთან შეუთანხმებლად შეიყვანოს თავისი ჯარები ირანის ტერიტორიაზე. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ვერ შეძლებს თავიდან აირიდოს საგარეო საშიშროება.“

## 28 რა გვირჩია ჯონ შალიკაშვილმა რუსეთთან და სტალინთან დაკავშირებით

## ბატონებო, რატომ თანამშრომლობდით ჩვენთან? ახლა თქვენ ამისთვის დაგსჯიან... 4

(იოზეფ გებელსი, მესამე რეიხის პროპაგანდის მინისტრი)

## Пут(ин)ь победы 11

ვაი ჩვენს პატრონს

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მომღერალი ნატალია ლეში ამბობს, რომ მას სააკაშვილთან ბევრი საერთო აქვს, მაგალითად, ორივენი ნიუ იორკში ერთსა და იმავე უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ერთი სიტყვით, სააკაშვილმა, მის მიერ სტაჟირებაგავლილ უნივერსიტეტში ვისაც უსწავლია, ყველას რომ თითო დარგი ჩააბაროს, გვეშველება და ეგ არის! ოღონდ პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: ეს „უნივერსიტეტის მეგობრები“, სააკაშვილის კარის გარდა, რატომ ვერსად ხდებიან წარმატებული მინისტრები, ელჩები და სარეკლამო აგენტები?**

# მიშას ლეში, ანუ აჭამეთ ბავშვს ძუძუ



**ამას წინათ ავტობუსში ერთ დიალოგს მოვკარი ყური. ახალგაზრდა მამაკაცს რომ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ არ სჭეროდა ხელში, იქნებ ყურადღებაც არ მიმექცია, მაგრამ მან რაღაცის წაკითხვის შემდეგ გვერდით მჯდომ დედაბერს ჰკითხა:**
**— ბებო, სააკაშვილი მართლა სტალინის დაბადების დღეს არის დაბადებული?**
**დედაბერმა ალმაცერად გახედა და უპასუხა:**
**— არა, შვილო, ტყუილი იქნება, ეგ უთუოდ ზაფხულში უნდა იყოს დაბადებული.**
**ახალგაზრდამ გაიკვირვა: — ვითომ რატომ?**
**დედაბერს ღრმა ნაოჭებში ღიმილი შეეპარა:**
**— აბა, მაგის გულისთვის დეკემბერში ძუძუს ვინ ამოიღებდაო?**
**ბევრი იცინა ახალგაზრდამ და ბოლოს დაეთანხმა:**
**— ისე, მართალია, ძუძუ რომ არ უჭმევიათ, კი ეტყობა!**

ამ პატარა ქვეყანაში ხომ არაფერი იმალება. ჯერ იყო და სააკაშვილის 2008 წლის გამოსათხოვარ შეხვედრაზე (არა, მიშასთან კი არა, ბუშთან გამოსათხოვარი იყო, თორემ ჩვენი მაღალი კვლავაც აქ არის და ჩვენთან გამოთხოვებას არც 2013 წელს აპირებს!) ჯორჯ ბუშ-უმცროსთან ფორუმებში ასე გამოეხმაურნენ: **„მე ვფიქრობ, კონდოლიზა რაისზე იბაზრეს, – რას გავსო და, საერთოდ, პოლიტიკაში რა ნიანგი ქალები მოდიანო, რამე უნდა ვიღონოთო“.**

ჰოდა, მიშამაც იღონა (აბა, ბუში რაღას იღონებდა, როცა ბოლო თვეებს ითვლიდა თეთრ სახლში!) და საქართველოს მთავრობას „ნიანგები“ – სალომე ზურაბიშვილი და ნინო ბურჯანაძე მოაცილა და სეფე-ქალებით შეავსო. მათგან **ყველაზე მდგრადი – ეკონომიკის მინისტრი ვერონიკა ქობალია** აღმოჩნდა. მას ვერც ბათუმის „შერატონის“ აუზში ფიზიკურმა მარცხმა დააკარგვინა ადგილი და ვერც არითმეტიკის არცოდნამ (თბილისიდან ბათუმამდე მანძილს საათობით და ბენზინის ლიტრებით რომ ანგარიშობს).

საერთაშორისო მედიაში **სააკაშვილის ქალბატონების სიაში მეორე ადგილს პატიმრების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე იკავებს.** წერენ, რომ მას მიშასთან ერთად მიუღია განათლება ამერიკაში. ერთად რა მიიღეს, უცნობია, რადგან ეს ქალბატონი (უკაცრავად, საქალბატონე) უფრო მონაკოს პრინცის დახვედრა-გაცილებაშია შემჩნეული, ვიდრე იურისპრუდენციის მოკლე კურსის მეცადინეობაში.

**მესამე ადგილს ნინო კალანდაძე** იკავებს, რომელიც სააკაშვილმა აეროპორტში გაიცნო, თანაც ისე ახლოს, რომ მიხვდა: კალანდაძის გარეშე საქართველოს პარლამენტი და საგარეო უწყება წინ ვერ წავიდოდა. მას შემდეგ კალანდაძე ტრადიციულ ორშაბათის ბრიფინგებს მართავს და საქართველოს საგარეო საკითხებზე საგანმანათლებლო ლექციებს კითხულობს.

**სია გრძელია და მასში ალანა გაგლოევა, ნინა წკრიალაშვილი** და უკვე კარგად მივიწყებული **მაია ნადირაძეც** კი ფიგურირებენ. თუმცა ამ აღმატებულ ქალბატონთა გარდა, არსებობს კიდევ სხვა სიაც, რომელშიც ცნობილი, ნაკლებად ცნობილი და სულაც უცნობი ქალბატონები იკავებენ ადგილს.

ასე მაგალითად, ბათუმის „შერატონის“ აუზში, ვერონიკა ქობალიას გარდა, **სხვადასხვა სახის ტრავმა ნათია ბანძელაძემაც** (პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი) **მიიღო,** რომ არაფერი ვთქვათ ძირითად დაზარალებულზე. ლეიბორისტები რის ლეიბორისტები იქნებოდნენ, რომ მიშასთვის ნამუსი შეენახათ და მოედო ქვეყანას ამბავი:

**„მიხეილ სააკაშვილი თავის მხლებლებთან თუ ხელისბიჭებთან ერთად რომელიღაც რესტორანში ღრეობდა თურმე, რომ იქვე „შერატონში“ მყოფი საქმოსნები ახალგაზრდა ქალის გამყინავმა კივილმა შეაკრთო და შეაშფოთა. მთელი „შერატონი“ გარეთ გამოფენილა, მაგრამ სააკაშვილის იმწუთიერ ადგილსამყოფელს, ცხადია, ახლოს არავინ მიაკარეს. როცა მიშა და გულშემოყრილი ქალბატონი იქაურობას სასწრაფოდ მოაშორეს და ყველანი ჯიპებით გაქრნენ, ცნობისმოყვარე ხალხს ადგილზე დახვდა სისხლით მორწყული იატაკი, ხოლო მომსახურე პერსონალი დამბლადაცემულივით ჩიფჩიფებდა: ამ მხეცმა და საქონელმა რა უქნა საცოდავ გოგოს... ჯერ იყო და თავი მოჭრა ამდენ ხალხში, მერე ესეც არ აკმარა და ძუძუს კერტი მოაღეჭაო!**

როგორც წყაროს ბათუმელებმა უთხრეს, თურქეთის კლინიკაში, სადაც ძუძუსთავმოჭმული თუ მოღეჭილი ქალბატონი გაუქანებიათ სამკურნალოდ, ექიმებმა ვერაფერი გააწყვეს და თურქეთიდან მიხეილ სააკაშვილის მორიგი მსხვერპლი ისრაელის ულტრათანამედროვე კლინიკაში მოათავსეს, სადაც მას ძალიან ძვირადღირებული პლასტიკური ოპერაცია უნდა ჩაუტარდესო.

**„ექიმობანას“ თამაშში მიშა ადრეც იყო შემჩნეული. როგორც ჩანს, დოქტორ დოტის მიერ კბენაკბენით ჩატარებული მასაჟი ისე ტკბილად დაამახსოვრდა, რომ თავადაც გადაწყვიტა ამ მეთოდის პრაქტიკაში დანერგვა, მაგრამ ვერ მოზომა, ან ბავშვობისდროინდელმა კომპლექსებმა იმძლავრა და ძუძუს კბილიდან გაშვება ვეღარ მოახერხა.**

ესეც იმ გოგოს ბრალი იქნებოდა, — როცა ამხელა მალალთან ყოფნა გინდა, ძუძუ ისე მაინც უნდა ავარჯიშო, რომ კბილებში არ შეატოვო პირველ კაცს!

**ფიზიკურ მარცხს გადაურჩა და ერთობ კმაყოფილიც გახლავთ უკრაინელი პოპ-დივა ივანა მელაი,** რომლის შენახვა საქართველოს ბიუჯეტს წელიწადში ნახევარი მილიონი უჯდება, თუმცა ეს მხოლოდ ოფიციალური ხარჯებია და როდის იყო, „ჯიგიტი“ ქალს რამეში ფულს ახდევინებდა? მას უფასოდ ემსახურება ბათუმის „შერატონი“ და ზარალას „რადისონი“, არც აუზი აკლია და არც სპა-ცენტრი.

ზოგადად, მიშას ჰარამხანის იმპორტულ თანავარსკვლავედზე უკვე იმდენი დაიწერა, რომ იქნებ ზედმეტიც იყოს ამ თემისკენ მიბრუნება, მაგრამ მიშა რის მიშაა, თავად რომ არ მოგცეს საბაბი!

ამ დღეებში გამოჩნდა ინფორმაცია, რომ მისი სექსუალური თავგადასავლები გრძელდება. **ამჯერად მიხეილ სააკაშვილის რჩეული პოლონელი მომღერალი ნატალია ლეშია** (Natalia Lesz). სარწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ სააკაშვილს ახლო ურთიერთობა აქვს მომხიბვლელ და ექსტრავაგანტურ ქალბატონთან. „რადიოაქტიური ბლოგი“ მომღერლის მეგობრებს დაუკავშირდა, რომლებიც პირად საუბრებში არ მალავენ, რომ ნატალია ლეში საქართველოს პრეზიდენტზეა შეყვარებული.

მომღერალმა სულ ცოტა ხნის წინ ბათუმზე სიმღერაც კი ჩაწერა და კლიპიც გადაიღო. პოლონელი ლამაზმანი 12 თებერვალს საქართველოს ეწვევა და მონაწილეობას მიიღებს Breakfast TV-ის გადაცემაში, რომელიც ქართულ ტრადიციებს, ღვინოსა და სამთო-სათხილამურო ტურიზმს შეეხება.

**პრეზიდენტმა თურმე ოფიციალურად დაავალა ნატალია ლეშს საქართველოს პოპულარიზაციაზე ზრუნვა.** სწორედ ნატალია ხელმძღვანელობს კომპლექსურ სარეკლამო კომპანიას პოლონეთის ბაზარზე, რაც მოიცავს რეკლამებს სატელევიზიო, ინტერნეტ და ბეჭდვით მედიაში, ასევე გარე რეკლამებს (ბანერები, ბილბორდები).

ამის თაობაზე ნატალიამ პოლონურ ტელევიზიასთან ინტერვიუში ისაუბრა. ის აღტაცებული ჰყვება მისი და საქართველოს პრეზიდენტის ახლო ურთიერთობის შესახებ და ამბობს, რომ საქართველოში პირველად პირადად სააკაშვილის მიწვევით ჩავიდა.

გადაცემის წამყვანი გაოცებული ეკითხება მომღერალს, რატომ აირჩია სააკაშვილმა მაინცდამაინც ნატალია და არა სხვა რომელიმე?! **„ეს ხომ უცნაურია, როცა რომელიღაც ქვეყნის პრეზიდენტი გირეკავს და გეუბნება, რომ ის საკუთარ ქვეყანაში გეპატიჟება“,** — ამბობს წამყვანი. ნატალია კი პასუხობს, რომ ამ შეკითხვაზე პასუხი არ აქვს და ეს ჟურნალისტმა თავად სააკაშვილს უნდა ჰკითხოს.

**მომღერალი ამბობს, რომ მას სააკაშვილთან ბევრი საერთო აქვს, მაგალითად, ორივენი ნიუ იორკში ერთსა და იმავე უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ერთი სიტყვით, სააკაშვილმა, მის მიერ სტაჟირებაგავლილ უნივერსიტეტში ვისაც უსწავლია, ყველას რომ თითო დარგი ჩააბაროს, გვეშველება და ეგ არის! ოღონდ პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: ეს „უნივერსიტეტის მეგობრები“, სააკაშვილის კარის გარდა, რატომ ვერსად ხდებიან წარმატებული მინისტრები, ელჩები და სარეკლამო აგენტები?**

ქართულ ფორუმებში ენამწარე იუზერებს რა გამოლევს და ამ ახალი ლამაზმანის გამოჩენას იქვე დააწიეს კომენტარი: **„მიშა თვითონაც პოლიტიკურ გვამად გადაქცევის საფრთხის წინაშეა და ეგუება“.** იგულისხმება მომღერლის გვარის ქართული მნიშვნელობა. ლეშის ჭამა კი, მოგეხსენებათ, ლომისა და არწივის ჩვევა არ არის. ლეშს სვავი და ტურა მიირთმევს.

**მავანი იტყვის, ამ კაცის თავგადასავლებს მისი ცოლი არ დარდობს და თქვენ რატომ იკლავთ თავსო. იქნებ მართალიც იყოს, სხვის ლოგინში ყურება არც ჩვენ გვეხალისება, მაგრამ ჩვენი გატყავებული ბიუჯეტი რამდენ სოლისტს აიტანს, უცნობია. ისინი კი ბათუმის „პიაცაზე“ გუნდურად გამოსვლას არ თანხმდებიან, – ყველას სოლო კონცერტი უნდა, თანაც ისეთ ვარსკვლავებთან, რომელთა კონცერტებზე დასწრებასაც კი არ ღირსებიან მანამდე!**

ოდესღაც, ხალხი რომ „ბნელი“ იყო (ანუ რევოლუციამდე), საქართველოში გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური“ არსებობდა, რომლის კონცერტზე დასწრების შემდეგ ვილაც ბობოლა სტუმარს (ახლა რომ დაახლოებით, ნატოს დირექტორის დონე იქნებოდა) უთქვამს: **„აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი აღარ იქნებაო!“.** მისი პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, დღეს, ალბათ, ასე უნდა ითქვას: **„დედებო, ბავშვს ძუძუ ბავშვობაშივე აჭამეთ და დიდობაში მარცხი აღარ მოუვა!“**

**თამარ დავითულიანი**

მოკლედ

## ჟურნალისტები გაასამართლეს

**ორი ჰოლანდიელი ჟურნალისტი სასამართლოს წინაშე წარსდგა. მათ ბრალად ედებათ „ეს-ესის“ ყოფილი ოფიცრის, ჰაინრის ბურეს პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის დარღვევა.** ვიდეოჩანაწერზე, რომლის გადაღებაც ბრალდებულებმა მოასწრეს, ჩანს, რომ თავიდან უარზე მყოფმა 90 წლის ოფიცერმა უეცრად თავად დაიწყო მოყოლა საკუთარი სამხედრო წარსულის შესახებ. ჟურნალისტთა დასჯის მაქსიმალურმა ვადამ, შესაძლოა, სამი წელიწადი შეადგინოს. თავად ყოფილ ნაცისტ ჰაინრის ბურეს 2009 წელს სამხედრო დანაშაულების ჩადენის გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ 2012 წლის დეკემბრამდე იგი გერმანიის ქალაქ ეშვაილერის მოხუცებულთა სახლში იმყოფებოდა.

## მოსკოვში საპასუხო ნაბიჯებს არ გამორიცხავენ

**მოსკოვში ვაშინგტონის საპასუხო ნაბიჯების გადადგმასა და სტრატეგიული შეტევების შეიარაღების შეთანხმებიდან გამოსვლის შესაძლებლობას არ გამორიცხავენ.** თუმცა, როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უშიშროებისა და განიარაღების დეპარტამენტის დირექტორი მიხაილ ულიანოვი აცხადებს, ამ თემაზე ოფიციალური საუბარი ჯერჯერობით არ მიმდინარეობს. „რა თქმა უნდა, არ გვსურს, რომ გარემოებებმა ამ ნაბიჯის გადადგმა გვაიძულოს, მაგრამ ამას ვერ გამოვრიცხავთ“, — განაცხადა ულიანოვმა.

**ამ მომენტში ბიძინა ივანიშვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ არბიტრისა და არა ერთ-ერთი მხარის როლი შეასრულოს. ის, სავარაუდოდ, არ აპირებს სააკაშვილის შეცდომა გაიმეოროს, რომელიც, საერთო-ეროვნული ლიდერის მანტიის მორგების ნაცვლად, მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის ბელადად იქცა. შესაძლოა, მათ შორის აქედან მოდის ივანიშვილის ზომიერი რიტორიკა „მომავალი ოპოზიციის“ (როგორც ერთი, ისე მეორე, „მიშისტური“ ნაწილის) სავარაუდო ბირთვის მისამართით, საუბრები შესაძლო კომპრომისებზე, კონსენსუსზე, თემატურ თანამშრომლობაზე და ა. შ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ივანიშვილის გამბიტი...



**სახელისუფლო პროპაგანდა ყეფს, ქარავანი კი მიდის. ეს სიტუაცია ქართული პოლიტიკისთვის ერთობ უჩვეულოა, რადგან ადრე ოპოზიციური ქარავნები ჩერდებოდნენ იმისთვის, რომ ყეფის წყაროსთან (პოლიტკორექტულად რომ ვთქვათ) ხმაურიან, თუმცა ფრიად უნაყოფო პოლემიკაში ჩაბმულიყვნენ. ბიძინა ივანიშვილმა ეს პრაქტიკა შეცვალა. ქარავანი წინ მიდის, შესაძლოა, არც ისე სწრაფად, როგორც ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებას სურს, არამედ შეფერხებებით და ამბიციური აქლემების მართვასთან დაკავშირებული პრობლემებით, მაგრამ წინსვლა ნამდვილად შეიმჩნევა და ამას არავინ უარყოფს.**

მალე ივანიშვილი არენაზე საკუთარი პარტიის ავანგარდს გამოიყვანს. მისი წარდგენა უკანა პლანზე ჩააჩოჩებს ანალიზს იმ ნაბიჯებისა, რომლებიც მან თებერვლის პირველ ნახევარში გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული შედეგები სწორედ მათ და არა სიაში ამა თუ იმ მოღვაწის შეყვანას მოჰყვება, თუნდაც ის საზოგადოებრივ აზრზე ისეთივე მასშტაბურ ზემოქმედებას ახდენდეს, როგორც მოწიფულობის ასაკში შესული კინგ-კონგი. ასე რომ, ურიგო არ იქნება, შექმნილი პაუზით ვისარგებლოთ და იმ სავარაუდო ცვლილებებზე ვისაუბროთ, რომლებიც ივანიშვილის ბოლო გადაწყვეტილებებს მოჰყვება.

ოდნავ გაწელილი კონსულტაციების შემდეგ, ოპოზიციურ კოალიციას „ეროვნული ფორუმი“ შეუერთდა. ამის შემდეგ, საზოგადოების რეაქციის ზოგად მონიტორინგს თუ დავეყრდნობით, შვებით მხოლოდ „ფორუმის“ მხარდამჭერებმა როდი ამოისუნთქეს. ივანიშვილის მიმართ პატივისცემის მიუხედავად, ოპოზიციური ამომრჩეველი, ალბათ, არ ჩათვლიდა, რომ კოალიცია საკმარისად წარმომადგენლობითი და, შესაბამისად, ლეგიტიმურია, თუ მასში, ივანიშვილის პარტიასთან ერთად, მხოლოდ, რესპუბლიკელები და ალასანიას ჯგუფი შევიდოდნენ. ელექტორატის ნაწილში არსებობდა შიში (რაციონალური იყო ის თუ არა, სხვა საკითხია), რომ ეს ორი ძალა კოალიციას „გაუმჯობესებული მიშების“ ვიწრო პოლიტიკურ სექტად გადააქცევდა. „ეროვნული ფორუმის“ „შემოერთებამ“ ეს წარმოსახვითი საფრთხე გარკვეულწილად გაანეიტრალა. ბევრი ამომრჩეველი, სავარაუდოდ, დამშვიდდა, როდესაც ივანიშვილის გვერდით, გასაგებ ენაზე მოსაუბრე და (დამაჯერებელი დეკლარაციის დონეზე მაინც) ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობაზე ორიენტირებული ძალა იხილა.

საინტერესო როლი ამ შედეგის მიღწევაში ე.წ. მესამე ცენტრის საინფორმაციო ფანტომმა შეასრულა. სინამდვილეში ამ ცენტრის შექმნას რამდენადმე ანგარიშგასაწევი ოპოზიციური ძალებიდან არავინ აპირებდა, მაგრამ ამ იდეამ ზოგიერთი მოღვაწის წარმოსახვაზე იმდენად სერიოზული ზეგავლენა მოახდინა, რომ ისინი იძულებულნი გახდნენ, შეგუებოდნენ კოალიციის გაფართოებას, რომელსაც, სავარაუდოდ, მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდნენ. რამდენიმე მათგანი, მძიმე პოზიციურ ბრძოლებს „მესამე ცენტრის“ უხილავ აჩრდილთან დღემდე განაგრძობს (არა უშავს, ხდება ხოლმე).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ, რომელზეც ივანიშვილმა „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა. მან თქვა, რომ **კოალიცია მზად არის, იმ პარტიებს, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილნი არ არიან, მაჟორიტარულ ოლქებში ერთიანი კანდიდატის წარდგენაზე შეუთანხმდეს.** რა პრაქტიკულ შედეგს მოიტანს ეს?

ნებისმიერ „მინი“ (ან „მიდი“) პარტიაში, თუ სათვალავში პათოლოგიურ გამონაკლისებს არ ჩავაგდებთ, არის მინიმუმ ერთი ლიდერი, რომელიც, ასე თუ ისე, საზოგადოების სიმპათიას იმსახურებს და კარგი საიმიჯო პოტენციალი გააჩნია. ბევრ მათგანს მყარი პოზიციები რომელიმე ერთ რაიონში აქვს, როგორც წესი, იქ, სადაც დაიბადა ან დიდხანს მოღვაწეობდა. დღეს ასეთი კანდიდატები მაჟორიტარის მანდატს დამოუკიდებლად ვერ მოიპოვებენ, მათ რეჟიმთან გამკლავების შანსი არ აქვთ. რატომ უნდა დაიკარგოს ეს რესურსი?

მარტივად რომ ვთქვათ, ერთი კოლო არაფერს წარმოადგენს, სამასმა კოლომ კი შეიძლება პაიკი ჭკუიდან გადაიყვანოს და ის სულაც იმსხვერპლოს.

**მმართველი პარტიის წარმომადგენლები ბოლო დრომდე მიიჩნევდნენ, რომ მაჟორიტარების მანდატების უდიდესი ნაწილი „ჯიბეში უდევთ“, რომ ეს საარჩევნო სივრცის „ღრმა ზურგია“, სადაც არაფერი ემუქრებათ. ახლა გაირკვა, რომ თითოეულ რაიონში მათ შეიძლება ოპოზიციის ერთიანი, ადგილობრივი კონტექსტის მიმართ კარგად ადაპტირებული კანდიდატი დაუპირისპირდეს, რომლის სასარგებლოდ ივანიშვილის რესურსი იმუშავებს. ეს პერსპექტივა ხელისუფლებას სტრატეგიულ მარცხს უქადის და მისგან აზრიან რეაგირებას მოითხოვს, რითაც ბოლო დროს ის ნამდვილად არ გამოირჩევა, მაგრამ საკითხი მაჟორიტარების მანდატებთან დაკავშირებული პრობლემატიკით არ შემოიფარგლება. საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ასპექტში, კოალიციის მჭიდრო თანამშრომლობა მცირე პარტიებთან ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შეგრძნებას გაამყარებს, რომელიც სააკაშვილის მოწინააღმდეგე ამომრჩეველს ასე სჭირდება.** ამასთანავე, ამ ახალ რეალობაში „მინი-პარტიების“ მნიშვნელოვანი ნაწილი ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებლად (ნებით თუ უნებლიეთ, რა მნიშვნელობა აქვს) არ გადაიქცევა, როგორც ეს აქამდე იყო. მოკლედ, გონივრული გამოყენების შემთხვევაში, „მოსკიტურ ძალებს“, პოლიტიკაში იქნება თუ ომში, საერთო გამარჯვებაში სერიოზული წვლილის შეტანა შეუძლიათ.

8 თებერვალს ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ, „იდეოლოგიური განსხვავებების“ გამო, კოალიციური თანამშრომლობა ნინო ბურჯანაძისა და კახა კუკავას პარტიებთან, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება, თუმცა მათთან „ტექნიკურ საკითხებზე“ თანამშრომლობა არ გამორიცხა და დასძინა: **„მათ განვიხილავთ, როგორც ოპოზიციურ პარტიებს, დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტებს და ჩვენი მხრივ ვაცხადებთ, რომ არავითარი კრიტიკა [არ იქნება], მაქსიმალურად შევეცდებით, რომ მათთან გვქონდეს მეგობრული ურთიერთობა“.**

როგორც წესი, ქართულ პოლიტიკაში იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ ამა თუ იმ ძალასთან ალიანსი ვერ შედგება, მისი სარჩე დასმის მცდელობა და ხელისუფლებასთან გარიგებაში დადანაშაულება მოსდევს. ივანიშვილმა სხვა გზა და გაცილებით რბილი ტონალობა აირჩია. საინტერესოა, რატომ?

შესაძლოა, აქ საქმე მხოლოდ ხმაურიანი და უაზრო ინტერპარტიული დაპირისპირების პრევენციას არ ეხება. თუ იმის დადგენას შევეცდებით, რა პოზიციას ვიხილავთ ჩვენ პატარა საჭადრაკო დაფაზე რამდენიმე სვლის შემდეგ, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ეს საკმაოდ წინდახედული ნაბიჯი იყო.

განვიხილოთ სცენარი, რომლის ფარგლებში სააკაშვილის რეჟიმი მარცხდება. ემოციური ზეიმის, „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლის, პოლიტპატიმრების გათავისუფლების, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოცოცხლების, მოკლედ, საყოველთაო ეიფორიის შემდეგ, ყოველდღიური ცხოვრება დაიწყება. ვინაიდან სააკაშვილის მმართველობის მძიმე შედეგების აღმოფხვრას, წლები თუ არა, ათწლეულები დასჭირდება, რაღაც მომენტში საზოგადოების ნაწილში, ბუნებრივად, უკმაყოფილება იმძლავრებს. კლასიკური განწყობა „რისთვის ვიბრძოდით, რისთვის ვიდექით წვიმაში“ ადრე თუ გვიან თავს იჩენს და, შესაბამისად, „ახალ ოპოზიციაზე“ მოთხოვნაც გაჩნდება.

ამ დროს ავანსცენაზე გამოვა ნინო ბურჯანაძე (ან ვინმე სხვა, თუმცა ბურჯანაძის გარეშე ეს პრემიერა, ალბათ, არ ჩაივლის), რომ ახალი ხელისუფლების ძველი სისტემის დემონტაჟის საქმეში არასაკმარისად რადიკალური და თანმიმდევრულია, რომ ზედა ეშელონებში „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები კვლავინდებურად რჩებიან, რომ ზონდერჯალათების დიდი ნაწილი თავს არხეინად გრძნობს, რომ ყველამ ვერ დაიბრუნა უსამართლოდ ჩამორთმეული ქონება, რომ ნატოსა და რუსეთთან ნაყოფიერი დიალოგისთვის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის მხოლოდ კეთილი სურვილები არ კმარა და ა. შ. მომავალი ოპოზიციის ერთი ნაწილი, სავარაუდოდ, სწორედ ასეთ რიტორიკას მიმართავს. ამასთანავე, იქნება მეორე ნაწილიც, რომლის ფორმირება, სავარაუდოდ, ზემოხსენებული „ნარჩენებისგან“ მოხდება. ისინი, თავის მხრივ, დაადანაშაულებენ ახალ ხელისუფლებას იმაში, რომ ის „ვარდების რევოლუციის“ იდეალებსა და პროდასავლურ კურსს დაშორდა, რეფორმები შეაჩერა და პრობლემები სწორედ აქედან მოდის.

**ამ მომენტში ბიძინა ივანიშვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ არბიტრისა და არა ერთ-ერთი მხარის როლი შეასრულოს. ის, სავარაუდოდ, არ აპირებს სააკაშვილის შეცდომა გაიმეოროს, რომელიც, საერთო-ეროვნული ლიდერის მანტიის მორგების ნაცვლად, მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის ბელადად იქცა. შესაძლოა, მათ შორის აქედან მოდის ივანიშვილის ზომიერი რიტორიკა „მომავალი ოპოზიციის“ (როგორც ერთი, ისე მეორე, „მიშისტური“ ნაწილის) სავარაუდო ბირთვის მისამართით, საუბრები შესაძლო კომპრომისებზე, კონსენსუსზე, თემატურ თანამშრომლობაზე და ა. შ.**

სხვათა შორის, თუ დავფიქრებულვართ იმაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი ისე საფუძვლიანად შეიცვლება, რომ ამ ცვლილებების ადეკვატური ასახვისთვის საჭირო ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გახდება? ეს შედარებით შორეული პერსპექტივაა, თუმცა, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ.

10 თებერვალს, ანუ ორ დღეში, მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა განაცხადა, რომ (მათ შორის, კახა კუკავას მისამართით) „არავითარი კრიტიკა“ არ იქნება, გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნდა თინა ხიდაშელის ინტერვიუ, სადაც შემდეგი ფრაზები იყო: „არის ასეთი პოლიტიკური სუბიექტი — კახა კუკავა, რომელიც დგას მაღალ მთაზე და ამბობს: ახლა ყველა გავერთიანდეთო. აი, მას მე, უბრალოდ, დავცინი!“... „კუკავა კი ღრმად არასერიოზული მოვლენაა“. ამის შემდეგ, ძველად რომ იტყოდნენ, ერთობ გაუგებარი შეიქნა „სადაა გენერალური ხაზი“, რადგან ივანიშვილისა და ხიდაშელის სიტყვები ერთმანეთთან, ასე თუ ისე, წინააღმდეგობაში შევიდა. ცხადია, ეს მცირე ეპიზოდი ივანიშვილს, ხიდაშელსა და კუკავას განსაკუთრებულს არაფერს დააკლებს, თუმცა ის საკმაოდ სიმპტომატური ჩანს. ივანიშვილისა და რესპუბლიკელების ურთიერთობის ანალიზს რომც არ ჩავუღრმავდეთ, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ამ ეპიზოდში, როგორც სარკეში, აირეკლა განსხვავება სტრატეგიულ ხედვასა და ტაქტიკურ, ვიწროპარტიულ გათვლებს შორის; მის მიღმა მომავლის იმ ბუნდოვანი კონტურების დანახვა შეიძლება, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

თუმცა, ვიდრე იქამდე მივალთ, ალბათ, აჯობებს, ყურადღების კონცენტრირება „სააკაშვილის პრობლემაზე“ მოვახდინოთ, რომელიც ფელდმარშალ პაულუსივით ალყაშემორტყმული ზის და დანებებას არ ჩქარობს. ივანიშვილმა მას მოუწოდა, „დაბრუნდეს კანონიერების ჩარჩოში“, თუ არა და ამას საზოგადოებასთან ერთად აიძულებს, თუმცა ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას სააკაშვილის უდრტვინველ მომავალზე ვერავინ აიღებს. ამ განცხადებას „გაფრთხილება“ კი ეწოდა, მაგრამ მასში, ალბათ, მაინც იყო რაღაც (კერძოდ კი, სავსებით გასაგები ქვეტექსტი), რაც მას ულტიმატუმთან აახლოებდა. ულტიმატუმის ენას, როგორც წესი, მაშინ მიმართავენ, როდესაც მოწინააღმდეგე უიმედო მდგომარეობაშია და მისი ძალების რღვევის დაწყებას ორიოდე წუთი აკლია. თუმცა არის ამქვეყნად ბლეფის ტაქტიკაც, რომელიც შეიძლება არამდგრადი ფსიქიკის მქონე ოპონენტის წინააღმდეგ გამოიყენო. რასთან გვქონდა საქმე ამ შემთხვევაში? ამომწურავ პასუხს ამ კითხვაზე ჯერჯერობით ვერ მივიღებთ, თუმცა ფაქტია, რომ ქართული პოლიტიკის დაკვირვება გაცილებით საინტერესო გახდა მას შემდეგ, რაც ასპარეზზე ახალი, ძლიერი მოთამაშე გამოჩნდა. ისიც ფაქტია, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რას აკეთებენ ადამიანის ოთხფეხა მეგობრები, ქარავანი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს.

**აჯობებს, ყურადღების კონცენტრირება «სააკაშვილის პრობლემაზე» მოვახდინოთ, რომელიც ფელდმარშალ პაულუსივით ალყაშემორტყმული ზის და დანებებას არ ჩქარობს. ივანიშვილმა მას მოუწოდა, «დაბრუნდეს კანონიერების ჩარჩოში», თუ არა და ამას საზოგადოებასთან ერთად აიძულებს, თუმცა ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას სააკაშვილის უდრტვინველ მომავალზე ვერავინ აიღებს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაცმოძრაობამ“ ბოლო წლებში სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა, თითქმის კლასიკურ სახელისუფლო პარტიად, ერთგვარ „ხელისუფალთა პროფკავშირად“ იქცა და, სამედიცინო მეტაფორას თუ მოვიშველიებთ, დამოუკიდებელი გადაადგილება აღმასრულებელი ხელისუფლების „ყავარჯნების“ გარეშე, პრინციპში, აღარ შეუძლია. ამ პარტიის „ჩამოშლა“ მისი დამარცხების შემთხვევაში თითქმის გარდაუვალი ჩანს, სერიოზული ფაქტორი, რომელიც მის ერთიანობას უზრუნველყოფს, სავარაუდოდ, ბუნებაში არ არსებობს.**

# ბატონებო, რატომ თანამშრომლობდით ჩვენთან? ახლა თქვენ ამისთვის დაგსჯიან...





იოზეფ გებელსი, მესამე რეიხის პროპაგანდის მინისტრი

**ორ სკამზე ჯდომა და ათას წინაღობაზე ხტომა პოლიტიკური სპორტის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა. გამორიცხული არაა, რომ მალე ამ დისციპლინებში ერთმანეთს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები შეეჯიბრებიან, რადგან სულ უფრო მეტი ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნება მომავალში ვერ მოხერხდება. შესაბამისად, მათ თავი უნდა დაიზღვიონ და საკუთარ მომავალზე წინდაწინ იზრუნონ, რასაც, დაუზუსტებელი ინფორმაცით, აქტიურად აკეთებენ კიდეც და ბიძინა ივანიშვილთან საიმედო კონტაქტების დამყარებას ცდილობენ. ეს, ცხადია, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გააკეთონ, რათა სააკაშვილმა ამის შესახებ არ შეიტყოს და უცაბედად თავში (მაგალითად) საფერფლე არ სტყორცნოს. ამასთანავე, არსებობს სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენის (შედარებით მცირე) შანსიც და მათ არც ეს ვარიანტი უნდა გამორიცხონ. მოკლედ, ნაციონალური ოლიმპიადა ორ ცეცხლს შუა მდებარე წინაღობებზე ხტომაში გახსნილია და მალე, სავარაუდოდ, პირველ პრიზიორებს ვიხილავთ.**

## ტრიფონს არ დაიჭერენ

1945 წლის აპრილში, ბოლო ოპერატიულ თათბირზე თავის უწყებაში, იოზეფ ჰებელსმა, რომელიც იმ მომენტამდე ხელქვეითების კამათში არ ერეოდა, უცებ თავი აწია და თქვა: „ბატონებო, რატომ თანამშრომლობდით ჩვენთან? ახლა თქვენ ამისთვის დაგსჯიან...“, ადგა და ოთახიდან ისე გავიდა, რომ პროპაგანდის სამინისტროს პირდაღებულ ჩინოვნიკებს ზედაც არ შეხედა. ისტორიკოსები, რომლებიც ამ ეპიზოდს აღწერენ, თხრობას ჰებელსის ოთახიდან გასვლისთანავე წყვეტენ, თუმცა ჩვენ შეგვიძლია იქ ორიოდე წუთით შევყოვნდეთ და წარმოვიდგინოთ, თუ რა ხდებოდა იმ მომენტში რეჟიმის მიტოვებული, „დაობლებული“ მსახურების თავში; თითოეული მათგანი, სავარაუდოდ, ფიქრობდა, რომ სადღაც უნდა გაიქცეს, რაღაც უნდა გააკეთოს, რათა მოახლოებული, პრაქტიკულად გარდაუვალი სასჯელი აირიდოს.

ცხადია, ორ რეჟიმს ერთმანეთს არ შევადარებთ (თუნდაც იმიტომ, რომ ამისთვის საგაზეთო სივრცე არ გვეყოფა), თუმცა ფსიქოლოგიური შემადგენელი ორივე შემთხვევაში თითქმის იდენტურია. ერთის მხრივ, არის დანაშაული (უფრო კორექტულად რომ ვთქვათ, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს დანაშაული ჩადენილ იქნა), მეორე მხრივ კი, დოსტოევსკის თუ დავესესხებით, არის სასჯელი, რომელსაც ძნელად თუ გაექცევი.

ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ არჩევნებში მარცხის შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობა“ შეიძლება ოპოზიციურ პარტიად ჩამოყალიბდეს, მეტიც, ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი შეინარჩუნოს. ეს ვარაუდი, რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუმცა მოვლენათა ამ სცენარით განვითარების ალბათობა არც ისე დიდია. **„ნაცმოძრაობამ“ ბოლო წლებში სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა, თითქმის კლასიკურ სახელისუფლო პარტიად, ერთგვარ „ხელისუფალთა პროფკავშირად“ იქცა და, სამედიცინო მეტაფორას თუ მოვიშველიებთ, დამოუკიდებელი გადაადგილება აღმასრულებელი ხელისუფლების „ყავარჯნების“ გარეშე, პრინციპში, აღარ შეუძლია. ამ პარტიის „ჩამოშლა“ მისი დამარცხების შემთხვევაში თითქმის გარდაუვალი ჩანს, სერიოზული ფაქტორი, რომელიც მის ერთიანობას უზრუნველყოფს, სავარაუდოდ, ბუნებაში არ არსებობს.** საუბარი გამაერთიანებელ იდეურ პლატფორმაზე ამ შემთხვევაში, ალბათ, უადგილოა; მმართველ პარტიას არც ერთი რამდენადმე სერიოზული საპროგრამო დოკუმენტი არ შეუმუშავებია, რომლის მეშვეობით მის ფორმულირებას მოახდენდა. ამასთანავე, მასში, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არც ისე ცოტა მედროვეა და ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა პროცესები განვითარდება, როდესაც მათი მასა გამოსასვლელს მოაწყდება. სააკაშვილის მმართველობის წლებში საკუთარი საეჭვოდ გაზრდილი ქონების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას ეს ადამიანები, დიდი ალბათობით, არა კოლექტიურად, არამედ ინდივიდუალურად, ახალ ხელისუფლებასთან შეთანხმების გზით შეეცდებიან. **შეიძლება გაჩნდეს ვერსია, რომ „ნაციონალური მოძარობის“ ერთიანობას სააკაშვილის ავტორიტეტი უზრუნველყოფს, თუმცა წარმოდგენები მისი პოტენციალის შესახებ, ალბათ, მაინც გადაჭარბებულია. პოლიტიკაში მისი დარჩენის შანსი ავლაბრის რეზიდენციიდან გამოსახლების შემდეგ, ძალზე მცირე, კაცმა რომ თქვას, მიკროსკოპულია.**

შესაძლოა, დღეს ერთიანობის შენარჩუნება ხელისუფლებაში ან მის უშუალო სიხლოვეს მყოფმა ე. წ. ლიბერალების ჯგუფმა შეძლოს“. გამორიცხული არაა, რომ ეს ადამიანები რაიმე დაბალრეიტინგულ, თუმცა, საინფორმაციო თვალსაზრისით, ფრიად აქტიურ პოლიტიკურ პარტიას შექმნიან, დაახლოებით ისეთს, როგორიც დღეს რესპუბლიკური პარტიაა. მაგრამ ეს უკვე არა „ნაციონალური მოძრაობა“, არამედ სულ სხვა ძალა იქნება, რომელიც იძულებული გახდება, ძველი თანაგუნდელებისგან გარკვეული დისტანცირება მოახდინოს, „ნამდვილი ლენინელებისა და დამპალი ოპორტუნისტების“ დაუვიწყარ სტილში. აშშ-ის ელჩი ფინჯან ჩაიზე დაპატიჟებს ხოლმე და მათ პოლიტიკურ შელოცვებს თავაზიანად მოისმენს.

ასეა თუ ისე, **ჩვენ, ალბათ, არ უნდა ველოდოთ იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საბოლოო ხვედრი „მოქალაქეთა კავშირისგან“ ან „აღორძინებისგან“ განსხვავებული იქნება. რამდენიმე ათეული ოდიოზური ფიგურა პოლიტიკური და საინფორმაციო სივრციდან ამოვარდება, ზოგიერთის საქმიანობას გამოიძიებენ და შეიძლება გაასამართლონ კიდეც, თუმცა ძირითად მასას, მცირე სტრესის გარდა, განსაკუთრებული, სავარაუდოდ, არაფერი დაემუქრება. მეტიც, ის, ვინც სააკაშვილისგან დროულ და ეფექტურ დისტანცირებას მოახდენს, შეიძლება „გაიქაჩოს“ კიდეც.**

რაც შეეხება ზოგად პროგნოზს, „ნაციონალური მოძრაობა“, ძალიან დიდი ალბათობით, დანაშაულებრივ ორგანიზაციად არ გამოცხადდება, მისი ყოფილი წევრების პოლიტიკური უფლებები არ შეიზღუდება, არანაირი „აკრძალვები პროფესიაზე“ და სხვა მსგავსი სანქციები მათ არ დაუწესდებათ, ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი „ჭანჭიკების“ ნამოქმედარის გამოძიება და მათი გასამართლება (თუ სათვალავში რამდენიმე რეზონანსულ საქმეს არ ჩავაგდებთ), სავარაუდოდ, არ მოხდება. რამდენად მისაღები იქნება ეს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა უშუალოდ დააზარალა (და სრულიად საზოგადოებისთვის) ან რა გზით უნდა წავიდეთ ამ ორჭოფულ სიტუაციაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

## მამა აფრიკა

ასეთ ვითარებაში წასვლა ორი მიმართულებით შეიძლება. „ევროპული გზა“ გულისხმობს, რომ ნებისმიერი დანაშაული გამოძიებული უნდა იქნას, ხოლო დამნაშავე, მისი სტატუსისა და პოლიტიკური კონიუქტურის მიუხედავად, უნდა დაისაჯოს; კანონმა ამ მიდგომის ფარგლებში აუცილებლად უნდა იკანონოს. არის მეორე გზა, რომელსაც, როგორც წესი, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოები მიუყვებიან. იქ ძირითად მიზანს ეროვნული თანხმობისა და ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის სისტემის დემონტაჟის შემდეგ, არც ერთი პოლიციელი არ გაუსამართლებიათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთი აშკარა, ცინიკური დანაშაული ჩაიდინეს. იქ „ჭეშმარიტების დადგენისა და შერიგების კომისია“ მუშობდა, მან მთელი რიგი მამხილებელი მასალები გამოაქვეყნა, თუმცა მხილებულთა 99% არ გაუსამართლებიათ.

მართალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას გარკვეული სპეციფიკა გააჩნია და იქ ხელისუფლება იძულებულია, მუდამ იფიქროს იმაზე, ხომ არ გამოიწვევს რომელიმე მისი ნაბიჯი დაპირისპირებას თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის, თუმცა მსგავსი პრობლემის წინაშე დიქტატურის დამხობის შემდეგ ლათინური ამერიკის არაერთი ქვეყანა დადგა (ჩილე, არგენტინა, სალვადორი, ეკვადორი და ა. შ.). იქაც მუშაობდნენ შესაბამისი კომისიები, თუმცა იქაური „დაბალი და საშუალო რგოლის ჯალათების“ აბსოლუტური უმრავლესობა დღესაც გარეთ დადის.

**საქართველოს ახლო მომავალში, როგორც ჩანს, არჩევანის გაკეთება მოუწევს: რა გზას გაუყვება ის — ევროპულს თუ აფრო-ლათინოამერიკულს?** სხვათა შორის, „ევროპული გზა“ არ გულისხმობს, რომ მაინც და მაინც სააკაშვილისეულ „ნულოვან ტოლერანტობას“ და სხვა სადისტურ პრაქტიკებს უნდა მივმართოთ. სასჯელი შეიძლება მსუბუქი, თითქმის სიმბოლური იქნეს (მაგალითად, მოკრძალებული ჯარიმა ან რამდენიმეთვიანი პატიმრობა), თუმცა აქ მთავარი, ალბათ, არა განაჩენის სიმძიმე, არამედ ძირითადი პრინციპია: ამა თუ იმ მოქალაქემ დამნაშავეს შეიძლება მიუტევოს, დაივიწყოს, რომ ის ციხეში აწამებდა ან მისი კუთვნილი ბიზნესი წაართვა, თუმცა სახელმწიფო, უფრო ფართოდ კი, საზოგადოება, დანაშაულზე თვალს ვერ დახუჭავს.

გარკვეული პლუსები, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, „აფრიკულ ვარიანტსაც“ აქვს. მთავარი მათ შორის, ალბათ, სტაბილურობის შენარჩუნება და ჯერაც ინფანტილურ საზოგადოებაში განხეთქილების თავიდან აცილებაა. თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ეს გზა ხელისუფალთა მომავალი დანაშაულის პროფილაქტიკას უზრუნველყოფს. ▶

მოკლედ

## NASA ბიუჯეტს ამცირებს და მარსზე უარს ამბობს

**2013 წელს NASA-ს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდება. ამერიკის კოსმოსური სააგენტო ამავე დროს ევროპულ ExoMars-საც შეაჩერებს.** NASA-ს დირექტორის ყოფილმა მოადგილემ ედ ველერმა განაცხადა, რომ სხვადასხვა პროგრამისთვის ბიუჯეტი 1 მილიარდ 500 მილიონი დოლარიდან 1 მილიარდ 200 მილიონ დოლარამდე შემცირდება, ხოლო 2017 წლისთვის ბიუჯეტი 1 მილიარდ დოლარს არ გადააჭარბებს. ოფიციალური ინფორმაცია ბიუჯეტის შემცირების შესახებ NASA-დან არ გაჟღერებულა, თუმცა ცოტა ხნის წინ სააგენტომ განაცხადა, რომ ბიუჯეტის შემცირების საკითხს განიხილავდა.



## ალენ ჟუპე: ასადის სიტყვას არ უნდა ვენდოთ

**„პირობა სირიაში სისხლისღვრის დასრულების შესახებ, რომელიც სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მისცა, მანიპულირების საგანი იყო და მას არ უნდა ვენდოთ“,** — ამის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალენ ჟუპემ განაცხადა. „საერთოდ არ მჯერა სირიის რეჟიმის მიერ აღებული ვალდებულებების“, — განაცხადა ალენ ჟუპემ და დასძინა: „ეს არის ის მანიპულაცია, რომელზედაც ჩვენ არ წამოვეგებით“.

ირანს იმხელა შესაძლებლობები აქვს — ატომურ იარაღს ქმნის (ისრაელისავე ინფორმაციით), და ელჩისა და მისი მძღოლის მანქანები ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია? და თუ მაინცდამაინც ისრაელის მიმართ რაიმე ტერორისტული აქტი ჰქონდა ჩაფიქრებული, მის სისრულეში მოყვანას ვერ მოახერხებდა?

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი «ჭანჭიკების» ნამოქმედარის გამოძიება და მათი გასამართლება (თუ სათვალავში რამდენიმე რეზონანსულ საქმეს არ ჩავაგდებთ), სავარაუდოდ, არ მოხდება

„მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, დიქტატურის დემონტაჟის შემდეგ, ხშირად ავანსცენაზე „განტევების ვაცი“ გამოჰყავთ. იმისთვის, რომ საზოგადოებამ „ორთქლი გამოუშვას“ და დამშვიდდეს, მთელ უბედურებას ერთ ადამიანს (დიქტატორს) და მის რამდენიმე თანამეინახეს უკავშირებენ და მათ მკაცრად, სამაგალითოდ სჯიან. თუმცა ამ ლიდერების დანაშაულებრივი მითითებების შემსრულებელთა უმრავლესობა დაუსჯელი რჩება და არცთუ იშვიათად ახალი ხელისუფლების სამსახურში დგება.

დღეს საქართველო დანაშაულის ადგილს ჰგავს, სადაც ერთდროულად ტერორისტული აქტი და ძარცვა-ყაჩაღობა მოხდა: ნანგრევების ფონზე, მარჯვნივ, უდანაშაულო მსხვერპლთა ცხედრები ასვენია, მარცხნიდან კი გაძარცვულების მოთქმა ისმის. ვინ აგებს ამაზე პასუხს? ყველა თანამონაწილე? არც ერთი? მხოლოდ რამდენიმე? და ბოლოს, რა ვუყოთ ჩვენ კოლექტიურ პასუხისმგებლობას იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველივე ჩვენ თვალწინ, ჩვენს ქვეყანაში, მნიშვნელოვანწილად ჩვენი დუმილის გამო მოხდა?

შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ ამ თემაზე საუბარი რეჟიმის საბოლოო ჩამოშლამდე ნაადრევია, თუმცა ძირითად პრინციპებზე დაფიქრება, ალბათ, უკვე დღეს არის საჭირო; დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ გახდება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტესტი, რომლის ჩაბარება ქართულ საზოგადოებას ადრე თუ გვიან (სავარაუდოდ, მალე) მოუწევს.

### MEA CULPA, MEA MAXIMA CULPA

ამ კონტექსტში ყურადღება კიდევ ერთ ფაქტორს უნდა მივაქციოთ: 30 იანვრის შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილთან ბარაკ ობამამ მკაფიოდ მიანიშნა, რომ აშშ არ აპირებს იმის აღიარებას, რომ მისი პროექტი საქართველოში წარუმატებელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი შეიძლება ხელისუფლებიდან წავიდეს, ხოლო მისი შეცდომები საყოველთაო განხილვის საგნად იქცეს, ვაშინგტონი ხელშესახებ პერსპექტივაში, სავარაუდოდ, არ მოიწონებს „ვარდოსანი“ ხელისუფლების წარმოჩენას „დანაშაულებრივ რეჟიმად“ და მისი წარმომადგენლების საქმიანობის ყოვლისმომცველ გამოძიებას, რადგან წლების განმავლობაში მისი მთავარი სპონსორი და მფარველი გახლდათ. საქართველოს მომავალ ხელისუფლებას, იმისთვის რომ ამერიკელებთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს, მათ შორის ამ გარემოების გათვალისწინება მოუწევს. მეორე მხრივ, ის რადიკალურად განწყობილი საზოგადოების ზეწოლის ქვეშ მოექცევა, რომელიც მთელი რიგი ეპიზოდების გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს. ეს მომავალი ხელისუფლებისთვის (დროებით წარმოვიდგინოთ, რომ ის უკვე არსებობს), არცთუ სასიამოვნო სიტუაცია იქნება. როგორც უკვე ვთქვით, ასეთ დროს, „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ხშირად „განტევების ვაცის“ ძებნა იწყება, თუმცა რაღა ძებნა უნდა, აგერ დგას და საკუთარ ჰალსტუხს უცნაურად ულიმის. ეს, პრინციპში, მარტივი გადაწყვეტილებაა, თუმცა სწორი ის, ალბათ, მაინც არ იქნება; **პრობლემა, სავარაუდოდ, არა მხოლოდ და არა იმდენად სააკაშვილშია, რამდენადაც სისტემაში და, საბოლოოდ, თითოეულ ჩვენგანში.**

მთავარი კითხვები: რამ განაპირობა ამ სისტემის შექმნა? რამ აქცია სააკაშვილი ისეთად, როგორიც არის? — პასუხგაუცემელი, ალბათ, არ უნდა დარჩეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეცვლილი სისტემა და „ახალი სააკაშვილი“ ადრე თუ გვიან დაგვიბრუნდება. ეს, შესაძლოა, უფრო სერიოზული სადისკუსიო თემაა, ვიდრე ბოლო წლების ამა თუ იმ ავკაცობაში მონაწილე დამნაშავეების დადგენა და მათი გასამართლება, რადგან დაფიქრება მასზე საზოგადოებას შესაძლებლობას მისცემს, საკუთარ თავს დიაგნოზი დაუსვას; ჯერჯერობით კი მხოლოდ სიმპტომებს ვხედავთ, ვხვდებით, რომ ცუდად ვართ, თუმცა არ ვიცით, რა გვჭირს.

წერილის დასაწყისში ხელისუფლების წარმომადგენლების თავდაუზოგავი რბოლა ვახსენეთ, რომელიც შეიძლება ძალიან მალე ვიხილოთ. ეს, სავარაუდოდ, საკმაოდ სახალისო სანახაობა იქნება, თუმცა ტრიბუნებზე მყოფთ, სტვენისა და სიცილის ნაცვლად, შეიძლება იმაზე დაფიქრება გვიღირდეს, ხომ არ არის იმ სილუეტებში, რომლებიც სარბენ ბილიკებზე კომიკურად მიმოიქცევიან, რაღაც ისეთი, რაც თითოეულ ჩვენგანში არის.

**დიმიტრი მონიავა**

# ისრაელმა ირანის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი დაიწყო



ბენიამინ ნეთანიაჰუ

**სინამდვილეში ეს ომი მდორედ, უკვე კარგა ხანია, დაწყებულია, მაგრამ ახლა იგი აქტიურ ფაზაში შევიდა. 13 თებერვალს ერთბაშად ორი ინფორმაცია გავრცელდა: საქართველოში ისრაელის ელჩის მძღოლის, რომან ხაჩატურიანის პირად ავტომანქანაში ასაფეთქებელი მოწყობილობა იპოვეს. იმავე დღეს მანქანაში დამონტაჟებული მოწყობილობის აფეთქებისას, ინდოეთის დედაქალაქში ისრაელის დიპლომატიურ უწყებასთან ერთი ადამიანი დაიჭრა.**

მეორე დღესვე მომხდართან დაკავშირებით განცხადება პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა. მან ხაზი გაუსვა, რომ ისრაელის საელჩოს თანამშრომლის მანქანაში ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოჩენასთან დაკავშირებული საქმის გამოძიება საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

მანჯგალაძის განცხადებით, ამ დროისთვის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია სხვა კომენტარს ვერ გააკეთებს.

**„აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ამის შესახებ განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც აქტიურად არის ჩართული გამოძიებაში“,** — აღნიშნა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

განცხადება გააკეთა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმაც. მან თბილისსა და დელიში ისრაელის წინააღმდეგ დაგეგმილ შეტევაში დაჯგუფება „ჰესბოლა“ და ირანი დაადანაშაულა.

მომხდარიდან მეორე დღესვე გავრცელდა განცხადება, რომ თბილისში ისრაელის პოლიციის გამომძიებელ-კრიმინალისტთა ჯგუფი ჩამოვა. ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს თბილისში, ისრაელის საელჩოსთან 13 თებერვალს მომხდარი ინციდენტის გამოძიებაში. ისინი, პირველ რიგში, შეისწავლიან გაუვნებელყოფილი ასაფეთქებელი მოწყობილობის შემადგენლობას.

სასწრაფოდ გამოეხმაურა ამ ორ წარუმატებელ ტერორისტულ აქტს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. მან თბილისსა და დელიში ისრაელის საელჩოების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები დაგმო. „უკიდურესად ძლიერად ვგმობ ინდოეთში ისრაელის დიპლომატის ავტომობილის აფეთქებას და საქართველოში ისრაელის საელჩოს თანამშრომელზე თავდასხმის მცდელობას. ტერორიზმის მათრახი მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის შეურაცხყოფაა. შეერთებული შტატები მაღალ პრიორიტეტად აყენებს მთელ მსოფლიოში დიპლომატიური პერსონალის დაცულობას და უსაფრთხოებას და მზად ვართ, დავეხმაროთ ამ მხდალი ქმედებების ყოველგვარ გამოძიებას. ჩვენი ფიქრები და ლოცვები დელიში დაშავებულ პერსონალთან და მათ საყვარელ ადამიანებთან არის“, — ნათქვამია კლინტონის განცხადებაში.

ისრაელის საელჩოების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები ასევე სასწრაფოდ დაგმო ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, კეტრინ ეშტონმა.

ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი ისრაელის ბრალდებას თბილისსა და დელიში ისრაელის საელჩოებზე თავდასხმების ორგანიზებასთან დაკავშირებით კატეგორიულად უარყოფს. **„ეს თავად ისრაელის სპეცსამსახურების ნახელავია. ახლა კი მოჩვენებებზე ნადირობა დაიწყება, ყველაფერში დამნაშავე ირანი და ისლამისტები იქნებიან“**, — განაცხადა ირანის პრეზიდენტმა.

ეს ორი, ერთსა და იმავე დღეს მომხდარი ინციდენტი არც ისრაელის საელჩოს შეხებია და არც მის დიპლომატებს. ორივე საელჩოს მიღმა მოხდა. ახლა ვნახოთ, მაინც რა მოხდა. რაკი დელიში მომხდარზე მსჯელობა გაგვიჭირდება, თბილისურ ამბავს ჩავუკვირდეთ. მანქანა, რომლის ძირზეც მიმაგრებული აღმოჩნდა შავი პაკეტი, ისრაელის ელჩის მძღოლს — რომან ხაჩატრიანს ეკუთვნოდა. შავ პაკეტში ყუმბარა აღმოჩნდა. უცნობია, სკოტჩით მიმაგრებული ყუმბარა როგორ უნდა აფეთქებულიყო. მძღოლმა ოპერატიულად აღმოაჩინა პაკეტი, დაურეკა პატრულს, ისინი ოპერატიულად გამოცხადდნენ გამნაღმველებთან ერთად და ყუმბარა გააუვნებელყვეს.

**რას ერჩოდნენ „ჰესბოლა“ და ირანი ისრაელის ელჩის სომეხი მძღოლის პირად ავტომობილს? მით უფრო, რომ ამ მანქანაში არც ისრაელის ელჩი, არც საელჩოს რომელიმე თანამშრომელი არ ჩაჯდებოდა** (უსაფრთხოების წესების თანახმად).

„ჰესბოლასი“ რა გითხრათ, მაგრამ დასაჯერებელია, რომ ირანს იმხელა შესაძლებლობები აქვს — ატომურ იარაღს ქმნის (ისრაელისავე ინფორმაციით), და ელჩისა და მისი მძღოლის მანქანები ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია? და თუ მაინცდამაინც ისრაელის მიმართ რაიმე ტერორისტული აქტი ჰქონდა ჩაფიქრებული, მის სისრულეში მოყვანას ვერ მოახერხებდა?

ამ არშემდგარი აფეთქების გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი სწორედ იმ სქემას ჰგავს, რომლითაც ბელგრადის დაბომბვა მზადდებოდა. მთელი მსოფლიოს ტელეარხები მოიარა „სერბების მიერ მოწყობილი საკონცენტრაციო ბანაკების“ კადრებმა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ კადრებზე კოსოვოელი ალბანელები კი არა, სერბი დევნილების ბანაკი იყო აღბეჭდილი.

სულ მალე ყველას დაავიწყდება ხაჩატრიანიც და მისი მანქანაც. სამაგიეროდ ყველას ემახსოვრება, რომ **ირანმა ისრაელის საელჩოს წინააღმდეგ ტერორისტული აქტი მოაწყო.** სულ ახლახან გახსნილი ისრაელის რუსულენოვანი სატელიტური ტელეარხი მუდმივად ამ თემაზე საუბრობს. მისი სასწრაფოდ გახსნაც სწორედ საჭირო მომენტში მოხდა. ადრე ამ სიხშირეზე რუსული მუსიკალური არხი „სარაფანი“ მაუწყებლობდა. ყველა, ვინც ამ არხს იღებდა, ყოველგვარი ტექნიკური სირთულეების გარეშე ახლა ისრაელის ახალ ამბებს ისმენს.

**საინფორმაციო ომი დაწყებულია. იგი კი, როგორც ცნობილია, ნამდვილი ომის შესამზადებლად იწყება. სხვა დანიშნულება არც იმგვარ ინციდენტებს აქვს, როგორიც რომან ხაჩატრიანს შეემთხვა.**

## ამერიკის თვითმკვლელობა

**„ირანს იმის კარგი საშუალება აქვს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მდებარე ამერიკულ სამხედრო ძალას დარყტმა მიაყენოს“, — ეს განცხადება მოსკოვში მოწყობილ პრესკონფერენციაზე რუსეთში ირანის ელჩმა მაჰმურ რეზა საჯაიმ გააკეთა.** „ამჟამად ამერიკა ავღანეთისა და ერაყის ჭაობშია ჩაფლული. იმ დროს, როდესაც მათ ხელები უკვე იდაყვებამდე აქვთ გასვრილი ლიბიელი ხალხის სისხლით, იმ დროს, როდესაც აშშ-ში ეკონომიკური კრიზისია, ირანზე თავდასხმა მათთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება“, — განაცხადა დიპლომატმა. „ამერიკელებმა კარგად იციან, თუ რა ქვეყანაა ირანი და ჩვენი პოტენციალიც“, — დასძინა მან.



## არგენტინის პრეზიდენტი ბრიტანეთს უჩივის

**არგენტინის პრეზიდენტმა კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის ქმედებების გამო აპირებს ოფიციალური საჩივრით გაეროს მიმართოს.** არგენტინის პრეზიდენტმა ბრიტანეთის ქმედებებს სამხრეთ ატლანტიკის მილიტარიზაცია უწოდა. თავის გამოსვლაში მან განაცხადა, რომ XXI საუკუნეში კოლონიის ქონა ანაქრონიზმია. მისი თქმით, ამ რაიონში ბრიტანული სამხედრო გემ „დონტალესის“ განთავსება საფთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას და ამ ფაქტს, შესაძლოა, მილიტარიზაცია ეწოდოს.

ახალი თურქობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კულტურის სამინისტრო ცრუობს, როდესაც აზიზიეს მეჩეთის დანგრევას საბჭოთა ხელისუფლებას მიაწერს და ეს თარიღი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გადააქვს. სინამდვილეში ხის მეჩეთი 40-იან წლებში დაიწვა. იგი ქართველი მუსლიმანებისთვის იმთავითვე არ იყო განკუთვნილი (თურქი სამხედროებისთვის აშენდა) და მით უფრო, „მუსლიმი ქართველებისათვის მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას“ ნამდვილად არ წარმოადგენს. რაც შეეხება იმას, თითქოს „მისი რეკონსტრუქციის ადგილის განსაზღვრა საქართველოს მხარის პრეროგატივას წარმოადგენს“.**

**აზიზიე, რომლის სახელობის მეჩეთის ირგვლივ, უკვე მეორე წელია, არ წყდება კამათი და დაპირისპირება, ოსმალეთის სულთანი იყო. 1863 წელს დედამისმა – ვალიდე ხანუმმა სთხოვა მას ბათუმში მეჩეთის აშენება. 1868 წელს სახელდახელო, ოსმალო სამხედროებისთვის განკუთვნილი ორსართულიანი ხის მეჩეთი მართლაც აშენდა. იგი არც გამორჩეულ არქიტექტურულ ნაგებობას და არც კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა. XX საკუნის 40-იან წლებში ხის მოძველებული შენობა ხანძარმა გაანადგურა. საქართველოს ხელისუფლების დიდი მზრუნველობა საკულტო ნაგებობებსა და რწმენის საკითხებზე, ზოგადად, სასაცილოდაც არ ჰყოფნის მოსახლეობას. ფერიას მთაზე დანგრეული მშენებარე მართლმადიდებლური ტაძრის გარდა, ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეში მეჩეთი დაანგრიეს და მის ადგილას პოლიციის შენობა წამოჭიმეს! მაშ, რაღა აზიზიეს მეჩეთის მიმართ აეშალათ ტოლერანტობის საღერღელი?**

# აზიზიეს მეჩეთი — თურქული ოკუპაციის ცოცხალი ძეგლი

10 თებერვალს კულტურის სამინისტრომ შემდეგი შინაარსის განცხადება გაავრცელა: **„როგორც ცნობილია, ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ძეგლი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მათ შორის, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ნამდვილი გვირგვინი ოშკი, ასევე იშხანის ტაძარი, ინგრევა და უკვე განადგურების პირას არის მისული. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, გამოდის რა მოსაზრებიდან, რომ ამ ძეგლების საბოლოო განადგურება ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა ქართველი ერისათვის, უკვე რამდენიმე წელია, აწარმოებს მოლაპარაკებას თურქულ მხარესთან ქართული კულტურის საგანძურის გადარჩენისა და მომავალი თაობებისათვის პირვანდელი სახით გადაცემის კუთხით.**

**ამ მოლაპარაკებების დროს თურქულმა მხარემ დააყენა საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისლამური კულტურის ძეგლების აღდგენისა და მოვლის თაობაზე. კერძოდ, ოშკსა და იშხანში განხორციელებული სამუშაოების კვალდაკვალ თურქული მხარე აყენებს საკითხს ახალციხეში არსებული მეჩეთის მოვლისა და ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აღდგენის თაობაზე...**

**აზიზიეს მეჩეთი, რომელიც დღეისათვის მთლიანად განადგურებულია და მუსლიმი ქართველებისათვის მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, აღდგენილი იქნება ისტორიული მასალების მიხედვით და მისი რეკონსტრუქციის ადგილის განსაზღვრა საქართველოს მხარის პრეროგატივას წარმოადგენს. მთავრობებს შორის შეთანხმება გულისხმობს აღდგენილი ძეგლების ფუნქციონირებას კულტურულ ცენტრებად.**

**აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საპატრიარქო, ისევე როგორც ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობით დაინტერესებული საზოგადოება, მუდმივად საქმის კურსში იყო მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე. უკანასკნელი შეხვედრა ამ თემაზე კულტურის მინისტრმა საპატრიარქოში ამ ორიოდე დღის წინ გამართა, ვინაიდან საკითხი ეხება ეროვნულ საქმეს, ჩვენი ძეგლების გადარჩენას და შესაბამისად, საპატრიარქოს აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მომავალშიც – სამინისტრო მზად არის ყველა დაინტერესებულ მხარეს სრული ინფორმაცია მიაწოდოს“.**

ეს განცხადება, როგორც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს სჩვევიათ, უამრავ სიცრუეს შეიცავს. ხელისუფლება გულდაგულ მალავდა, რომ მოლაპარაკებებს თურქულ მხარესთან მეჩეთების აღდგენა-აშენების საკითხზე 2006 წლიდან მართავდა. პირველად ეს ამბავი მხოლოდ 2010 წლის მიწურულს გახდა ცნობილი. საზოგადოება სწორედ იმას აპროტესტებდა, რომ მოლაპარაკების პროცესი დახურული და გაუმჭვირვალე იყო. საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ზუსტად ერთი წლის წინ, როცა სკანდალი უკვე დაწყებული იყო, მის თურქ კოლეგასთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ხელშეკრულებას ჯერ ხელს მოაწერენ და საზოგადოებას მხოლოდ ამის შემდეგ გააცნობენ!

მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ისიც ბრძანა, რომ განზრახულობათა ოქმი საერთაშორისო ხელშეკრულებაა და მისი გასაჯაროება მხოლოდ ხელმოწერის შემდეგ არის დასაშვები(?!).

ვაშაძის კოლეგამ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავუდ-ოღლუმ უფრო საყურადღებო განცხადება გააკეთა: **„ჩვენ ერთობლივი ისტორია გვაქვს(?!). ტაძრები თურქეთის ტერიტორიაზე ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა(?!). მათ რესტავრაციას ნებისმიერ შემთხვევაში ჩავუტარებთ. საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ძეგლები ასევე ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობაა და საქართველოს ეკუთვნის. განსაკუთრებით ეს აჭარას ეხება. ამ რეგიონში მუსლიმანები ცხოვრობენ“.**

თუმცა ყველაზე საინტერესო, რაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრძანა, ის იყო, რომ აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება ორი ქვეყნის კულტურის სამინისტროებს კი არა, სააკაშვილსა და ერდოღანს მიუღიათ! ამის შესახებ დავუდ-ოღლუმ ბათუმში განაცხადა. ადგილობრივი ტელევიზიის გარდა, არც ერთ ნაციონალურ მაუწყებელს ეს განცხადება არ გაუშუქებია.




**კულტურის სამინისტრო ცრუობს, როდესაც აზიზიეს მეჩეთის დანგრევას საბჭოთა ხელისუფლებას მიაწერს და ეს თარიღი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გადააქვს.** სინამდვილეში ხის მეჩეთი 40-იან წლებში დაიწვა. იგი ქართველი მუსლიმანებისთვის იმთავითვე არ იყო განკუთვნილი (თურქი სამხედროებისთვის აშენდა) და მით უფრო, „მუსლიმი ქართველებისათვის მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას“ ნამდვილად არ წარმოადგენს. რაც შეეხება იმას, თითქოს „მისი რეკონსტრუქციის ადგილის განსაზღვრა საქართველოს მხარის პრეროგატივას წარმოადგენს“, ჯერ კიდევ შარშან გახდა ცნობილი, რომ თურქულმა მხარემ კატეგორიული უარი თქვა მეჩეთისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე რუსთაველის პროსპექტზე, ყოფილი მე-6 სკოლის ადგილზე და მოითხოვა მისი პირვანდელ ადგილზე აშენება, სადაც დღეს საცხოვრებელი კორპუსები დგას.

„საპატრიარქოს აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია“, – აცხადებს კულტურის სამინისტრო, თუმცა საპატრიარქოს წინა დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში საწინააღმდეგო იკითხება:

**„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გერმანიაში ყოფნის პერიოდში, მასმედიით გახდა ცნობილი, რომ საქართველოს ხელისუფლება აპირებს, თანხმობა მისცეს ბათუმში ე. წ. აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას და ახალციხეში ამბედიეს მეჩეთის რესტავრაციას. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები, ორ წელიწადზე მეტია, მიმდინარეობს თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის და ეს ხდება საქართველოს კანონმდებლობის (კონსტიტუციური შეთანხმების) უხეში დარღვევით, რადგან საქართველოს საპატრიარქო, რომელიც არის ყველა ქართული ეკლესია-მონასტრის მესაკუთრე, არ იყო და არ არის ჩართული ოფიციალურ მოლაპარაკებებში; მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი პრინციპული, მაგრამ, ამავე დროს, კონსტრუქციული პოზიცია ყოველთვის გვქონდა. ეს პოზიცია დაფიქსირდა თურქეთის პრემიერ-მინისტრ ბატონ რეჯებ ტაიპ ერდოღანისადმი 2011 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მიერ მიწერილ წერილშიც, რომლის პასუხიც, სამწუხაროდ, დღემდე არ მიგვიღია.**

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ **მეტად პრობლემატურია ხელისუფლების სურვილი, ბათუმში ახალი მეჩეთ-კომპლექსის მშენებლობის შესახებ, რასაც ძველი მეჩეთის აღდგენად წარმოაჩენენ. არა აქვს გამართლება იმ პოზიციასაც, თითქოს ეს კეთდება ოშკისა და იშხანის გადარჩენის მიზნით, რადგან, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა თურქეთის სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა.**

**ამიტომაც ხელისუფლებას ამ მიზნით წლების წინ უნდა მიემართა იუნესკოსთვის (რაც არაერთხელ შევახსენეთ) და ეს თემა დღეს განხილვის საგნად არ უნდა ექცია. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ წამოვაყენეთ ისეთი წინადადება, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ ქართულ-თურქული მოლაპარაკებების ორმხრივად მისაღები გზით განვითარებას. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში და, პირველ რიგში, აჭარაში გახსნილი ასობით მეჩეთისა და ჯამეს საპირწონედ ტაოსა და ლაზეთში თითო-თითო ეკლესიის აღდგენა-ამოქმედება შევთავაზეთ და ამასთან, — საპატრიარქოს ჩართვა აღნიშნულ მოლაპარაკებებში.**

**ჩვენ ვდგამთ კიდევ ერთ ნაბიჯს და ამ ეტაპზე აღარ ვაყენებთ ხახულის ეკლესიის (ტაოს მხარე) ფუნქციონირების საკითხს. ვითხოვთ, მხოლოდ უძველეს ქართულ საეპისკოპოსო ქალაქ არდაშენში (ლაზეთის მხარე), მცირე ზომის ბაზილიკის ჩვენი თანხებით აღდგენა-ამოქმედებას (შევნიშნეთ, რომ ამ რეგიონში ქართული სხვა არაერთი გაცილებით დიდი ძეგლია) და ამის შემდეგ თურქეთსა და საქართველოში მეჩეთებისა და ტაძრების რესტავრაციაზე საუბარს ჩვენი მონაწილეობით. ხოლო თუ ამის განხორციელება რაიმე მიზეზით თურქული მხარისთვის მიუღებელია, ჩვენთვისაც ყოვლად მიუღებელია ოშკისა და იშხანის გადარჩენის საბაბით ბათუმში ჩვენი ისტორიის მძიმე პერიოდის სიმბოლოს, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა.**

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ **ასეთი ქმედებები ხელოვნურად ხდება მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაძაბულობის პროვოცირება; არადა, საქართველოში მუსლიმები, რომელი ერის წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ ისინი, ისევე, როგორც სხვა რელიგიის აღმსარებელნი, არასოდეს იზღუდებოდნენ, პირიქით, ყოველთვის კარგად გრძნობდნენ თავს და ამიტომაც იყო, რომ არაერთმა მათგანმა შესწირა სიცოცხლე საქართველოს დაცვას; ეს დღესაც ასე და ამას, პირველ რიგში, ქართველი ადამიანის შემწყნარებლური ქრისტიანული ბუნება განაპირობებს. გამოვთქვამთ იმედს, რომ როგორც თურქეთის, ისე საქართველოს ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩვენს შეთავაზებას და არ გადადგამენ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის პრობლემების შექმნას შეუწყობს ხელს“.**

ანალოგიური განცხადება საქართველოს პატრიარქმა გასულ წელს, 18 იანვარსაც გამოაქვეყნა, რომელშიც დაუშვებლად მიიჩნია ხელშეკრულების ამ სახით ხელმოწერა იმ პირობებში, როცა **საქართველოში 240 ჯამე და მეჩეთი (მათ შორის 140 აჭარაში), 8 მედრესე (თუ არ ჩავთვლით საერო საგანმანათლებლო დაწესებულებებს) მოქმედებს, ხოლო თურქეთში არც ერთი მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარი არ არის.**

პატრიარქის მიერ თურქული საერო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხსენება სულაც არ იყო შემთხვევითი, რადგან პრეზიდენტ სააკაშვილის დედა, თურქოლოგი გიული ალასანია მათ გახსნას ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ ლობირებდა. **ერთ-ერთ გამოსვლაში სააკაშვილმა თქვა, რომ დედისგან იცის: „თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია“.** იქვე მან ისიც განმარტა, რომ თურქეთისგან მტრის ხატის ▶

ახალი თურქობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არა აქვს გამართლება იმ პოზიციასაც, თითქოს ეს კეთდება ოშკისა და იშხანის გადარჩენის მიზნით, რადგან, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა თურქეთის სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. ამიტომაც ხელისუფლებას ამ მიზნით წლების წინ უნდა მიემართა იუნესკოსთვის (რაც არაერთხელ შევახსენეთ) და ეს თემა დღეს განხილვის საგნად არ უნდა ექცია.**

◀ შექმნა ყოველთვის იყო რუსეთის ინტერესი.

გასულ წელს, პატრიარქის განცხადებიდან ერთი კვირის შემდეგ, სააკაშვილმა პირველი ოფიციალური კომენტარი გააკეთა ამ საკითხთან დაკავშირებით. 26 იანვარს სატელევიზიო პროგრამაში „პრეზიდენტი პასუხობს ხალხის შეკითხვებს“ თავის ვრცელ პასუხში მან თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ტაძრები, ფაქტობრივად, „თურქულად“ გამოაცხადა და საუბარი იმ კალაპოტში წარმართა, თითქოს საქართველოში თავად მუსლიმანთა არსებობას ეწინააღმდეგებიან, ხოლო მეჩეთების მშენებლობას ანტიქართულ ქმედებად მიიჩნევენ. სინამდვილეში საქართველოში არც ერთი ამგვარი განცხადება არც მართლმადიდებლებს, არც მუსლიმანებს არ გაუკეთებიათ.

**დღეს საქართველოში 197 საკულტო და საგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებს, მათგან 184 — აჭარაში. 44 ობიექტს კულტურულ-ისტორიული დანიშნულება აქვს. მხოლოდ ხულოს რაიონში 77 მუსლიმანური სასწავლო ცენტრია. აჭარაში 3 ათასი მოზარდი მედრესეში სწავლობს.**

მაღალმთიან სოფლებში სასულიერო პანსიონატები მოქმედებს, რომლებშიც ბავშვები ისლამის საფუძვლებს სწავლობენ, იკვებებიან და ღამეს ათევენ. უმწეო ოჯახების შვილებს სასწავლებლად თურქეთში აგზავნიან, უკან დაბრუნების შემდეგ კი თურქულ კომპანიებში მაღალანაზღაურებად სამუშაოს ჰპირდებიან. ადგილობრივების ინფორმაციით, ყველა ამ დაწესებულებას საქველმოქმედო ფონდი „მადლი“ აფინანსებს. მიუთითებენ დაფინანსების არაბულ წარმოშობაზე, თუმცა დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს.

უკანასკნელი ინფორმაციით, **ბათუმის შემოგარენში 10 რელიგიური პანსიონი მოქმედებს, სადაც, სხვა საგნებთან ერთად, ყურანსაც ასწავლიან. ამ პანსიონებიდან 7 ვაჟთაა, ხოლო 3 – ქალთა.** ერთ-ერთი პანსიონი ადლიაშია განთავსებული, სადაც 35 სხვადასხვა ასაკის მოსწავლე სწავლობს და ცხოვრობს. პანსიონის სასწავლო პროგრამაში ჩვეულებრივ საგნებთან ერთად რელიგიური, მუსლიმანური თემატიკაც არის. პანსიონში მოქმედებს ჰაფიზობის კურსიც, სადაც მოსწავლეები ყურანს ზეპირად სწავლობენ.

პანსიონი 2006 წელს საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „მიზანმა“ დააფუძნა. სასწავლებელში, ძირითადად, მაღალმთიანი რეგიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები სწავლობენ. პანსიონი უზრუნველყოფს მათ კვებას და ცხოვრების ხარჯებს. „მიზანს“, ძირითადად, თურქეთის მორწმუნე მუსლიმანები აფინანსებენ.

აწ გარდაცვლილი პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი, რომელსაც ქსენოფობობაში ბრალს ვერავინ დასდებს, ხაზგასმით ამბობდა, რომ არ შეიძლება ქრისტიანული ტაძრების აღდგენის საკითხი რწმენის თავისუფლებაში ავურიოთ. მისი აზრით, სეკულარული თურქეთი არა იმდენად რელიგიურ, რამდენადაც პოლიტიკურ მიზნებს ისახავს. **მეჩეთების მშენებლობა და აჭარის ახალგაზრდობის რელიგიური აღზრდა ერთადერთ მიზანს ემსახურება – აღიდგინოს გავლენა აჭარაში.**

აჭარის მთავარი მუფტის, ჯემალ პაქსაძის განცხადებითაც, აჭარაში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას „უფრო პოლიტიკური დანიშნულება აქვს“: **„მრევლის მიზანია, ქალაქ ბათუმში მეჩეთი იყოს. ამას ქართველი მუსულმანები ორი ქვეყნის კულტურის სამინისტროების მოლაპარაკებების დაწყებამდეც ითხოვდნენ, მაგრამ აზიზიეს მეჩეთი უფრო პოლიტიკური დანიშნულებისაა. გვინდა მეჩეთი ქართული ორნამენტებითა და არქიტექტურით აშენდეს. წინამძღვარიც უნდა იყოს ქართველი. ქადაგება და წირვა-ლოცვა კი ქართულ ენაზე უნდა ჩატარდეს“.**

აჭარის მუფტის ეს განცხადება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მაშინაც კი, როცა აჭარა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, ქადაგება და წირვა-ლოცვა სწორედ ქართულად სრულდებოდა. ქართველი მართლმადიდებლები ქრისტიანობის შემოსვლიდანვე ქართულ ენაზე წირვა-ლოცვით სრულიად სამართლიანად ვამაყობთ. დასავლეთის ქრისტიანობაში რეფორმაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ქადაგება და წირვა-ლოცვა არა მშობლიურ, არამედ ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ასე იყო ქართულ სამუსლიმანოშიც და ეს არანაკლებ საამაყოა. სწორედ ამ თავისთავადობას ემუქრება თურქული ექსპანსია რწმენის საკითხებში, რის საგნობრივ გამოხატულებასაც წარმოადგენს აზიზიეს მეჩეთი. სხვაგვარად აუხსნელია, როგორ შეიძლება ის სახელდახელო ნაგებობა, მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეს ჯამეს გაუთანაბრო, რომელიც სრულიად სამართლიანად არის აღიარებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად.

**ნიაზ ბოლქვაძე, აკადემიკოსი:** „ძალიან ძვირფასია ჩვენთვის ოშკიც და ზარზმაც, მაგრამ სანაცვლოდ თურქული მეჩეთის აშენება არ გვჭირდება. აჭარაში დღითიდღე ძლიერდება თურქეთის გავლენა. საუკეთესო მიწები თურქებმა შეისყიდეს, საუკეთესო სასტუმროების მფლობელებიც თურქები არიან. ცოტა ხნის წინ გოგებაშვილის ქუჩის ნახევარს, რომელიც ბათუმის ცენტრში მდებარეობს, ბაქოს სახელი უწოდეს. ბათუმში გაჩნდა აზიზიეს მოედანი, ერდოღანის ტბა, მრავლდება თურქული კომპანიები, რომლებშიც აჭარლებს მონურად ამუშავებენ და დაბალ ხელფასებს უხდიან. მე შევამოწმე ქობულეთის ერთ-ერთი ქარხანა, რომელიც თურქის საკუთრებაა. ვნახე შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც ქართველი მუშების უფლებები საერთოდ უგულებელყოფილია, ხელფასს კი 120 ლარს უხდიან. აჭარელი მოსახლეობა, მათ შორის მუსლიმანური რელიგიის მიმდევრებიც, ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აღდგენას ეწინააღმდეგებიან იმიტომ, რომ მას თურქეთის მხარე ოშკის და ზარზმის რესტავრაციის სანაცვლოდ აპირებს. თუ აჭარელი მორწმუნეებისთვის სურთ სალოცავის აშენება, საქართველოს ხელისუფლებამ ააშენოს და არა თურქულმა“.

**მურმან დუმბაძე, „ემსახურე საქართველოს“ ლიდერი:** „თურქეთ-საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმება ღალატია. არ აპირებენ არც იმ ასლის აგებას, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იან წლებში აშენდა. ისინი აპირებენ კაპიტალური შენობის აშენებას, მაგრამ ბათუმი ამას არ აიტანს. ესაა თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გეოგრაფიის გაფართოება. თურქეთის მოქალაქეებით ისედაც სავსეა ბათუმი. ასე რომ, 15-20 წელში მოგვიგებენ როგორც რაოდენობრივად, ასევე რელიგიურადაც. ეს უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა გამყიდველმა ხელისუფლებამ და ამ ხელშეკრულებაზე უარი თქვას. თურქეთის კულტურის მინისტრმა განაცხადა, რომ ჩამოვა და თვითონ შეარჩევს ტაძრის ასაშენებელ ადგილს. ეს თავხედობაა. ბათუმელები ამას არ დავუშვებთ. ყველანაირად ვეცდებით, ხელი შევუშალოთ, თუ დაგვჭირდება, ბულდოზერებითაც გადავუვლით მშენებლობას“.

როგორც ცნობილია, მურმან დუმბაძე 2011 წლის მარტშიც პირველი იყო, რომელმაც ბათუმში მეჩეთის მშენებლობა მრევლთან ერთად გააპროტესტა, რის გამოც „რესპუბლიკელებმა“ პარტიიდან გარიცხეს.

**სანდრო ბრეგაძე, „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ ერთ-ერთი ლიდერი:** „აჭარაში მეჩეთის აშენება გაუგონარი სიმუხთლეა ქართველი ერის მიმართ. არ უნდა დავუშვათ მსგავსი რამ. პატივს ვცემ მუსლიმანებს, კათოლიკეებს და სხვა რელიგიის წარმომადგენლებს, მაგრამ, პირველ რიგში, მართლმადიდებელი ვარ და მართლმადიდებლობას ვცემ პატივს. მეჩეთის აშენება უკუშედეგებს გამოიწვევს, რომელიც ათწლეულები გასტანს. იცით, რა მაინტერესებს? რატომ არ აშენებენ მართლმადიდებლურ ეკლესიებს იმავე ბაქოში, სტამბოლში ან სხვაგან? ჩვენთან რატომღა უნდა აშენდეს? ვინც ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას მხარს უჭერს, ქართველი ერის მოღალატეა“.

**მამა დავით შარაშენიძე, საპატრიარქოს პრეს-ცენტრის უფროსი:** „მეჩეთის მშენებლობასთან ჩემი დამოკიდებულება საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშიც დავაფიქსირე. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მეტად პრობლემატურია ხელისუფლების სურვილი, ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის შესახებ, რასაც ძველი მეჩეთის აღდგენად წარმოაჩენენ“.

**ამ გაუაზრებელი გადაწყვეტილების რაციონალურად ახსნა შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პირისპირ შეხვედრისას თურქეთის პრემიერთან, სააკაშვილმა მის მიერ აზიზიეს მეჩეთის „აღდგენაზე“ ისე მისცა თანხმობა, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომელ ძეგლზე იყო საუბარი (ეს ილორისა და სულორის თემის გაგრძელებაა!). ამის შემდეგ კი მთელი ხელისუფლება ცდილობს, სააკაშვილის მიერ ერდოღანისთვის მიცემული სიტყვა არ „გაცუდდეს“ და ფეხს არ უცვლის აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის გადაწყვეტილებას.**

უპრიანია, გავიხსენოთ, რომ გასულ წლებში საერთაშორისო ზეწოლით თურქეთმა არაერთი ტაძარი გადასცა ბერძნებსა და სომხებს, დაუბრუნა ჩამორთმეული ქონება ისე, რომ არავითარი მეჩეთების აშენების საკითხი არც კი დამდგარა. ახლა ვნახოთ, როგორ დააფასა ეს, ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, კილიკიის კათალიკოსმა არამ პირველმა (კილიკიის საკათალიკოსო ადმინისტრაციულად კი დამოუკიდებელია, მაგრამ სომხეთის ეკლესიის ღირსებას აღიარებს). მან გასული წლის სექტემბერში წერილობით მიმართა თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯებ ტაიპ ერდოღანს თურქეთის მთავრობის იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლითაც ეროვნულ უმცირესობებს ჩამორთმეული ქონება უნდა დაუბრუნდეთ:

**„ეს გადაწყვეტილება თქვენ მიერ უდავოდ იმისთვის არის მიღებული, რომ მოვლენებს დაასწროთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, აგრეთვე, აშშ კონგრესის შეკითხვებისა და მიმდინარე სასამართლო პროცესების გამო, რაც თურქეთის მიერ ქრისტიანული უმცირესობების დევნას ეხება. კილიკიის წმინდა საყდარი კანონიერი მფლობელია იმ ტაძრების, საავადმყოფოების, ბავშვთა სახლების, სასაფლაოებისა და სხვა ქონებისა, რომლებიც სომეხ ხალხსა და სომხურ ეკლესიას ეკუთვნოდა და რომლებიც თურქეთის სახელმწიფომ მიიტაცა 1915 წელს, სომეხთა გენოციდის შემდეგ. სომხები ძველებურად იმ სახლების, საწარმოებისა და მამულების მესაკუთრეებად რჩებიან, რომლებიც მათ წინაპრებს ეკუთვნოდა და რომლებიც ოსმალთა სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული გენოციდის მსხვერპლად იქცნენ.**

**თქვენმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ევროკავშირის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, მაგრამ იგი ვერასოდეს ჩაითვლება სამართლიანად. ბატონო პრემიერ მინისტრო, თქვენი განცხადება იმის შესახებ, რომ თურქეთის მთავრობა სამართლიანობასა და ადამიანის უფლებებს უჭერს მხარს, სიმართლედ მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა სომეხთა გენოციდს აღიარებთ“,** — წერს არამ პირველი.

ერთი სიტყვით, **თურქეთიდან 1914 წელს დევნილმა კილიკიის საკათალიკოსომ ერდოღანს მიცემული „არ ჩაუთვალა“, – ეგ ხომ ისედაც ჩვენიაო, ხოლო საქართველოს ხელგაშლილი ხელისუფლება თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ტაძრების რესტავრაციის სანაცვლოდ მეჩეთების აშენებას არა მარტო დაყაბულდა, არამედ ქართველებს ამუნათებს კიდეც, — ოშკის და იშხანის აღდგენა არ გინდათო!**

2011 წლის 23 მარტს, თავსხმა წვიმაში 2 ათასი ადამიანი შეიკრიბა საპროტესტო აქციაზე ბათუმში. მართლმადიდებლები და მუსლიმანები ერთად იდგნენ. ოპოზიციისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლები ერთად აპროტესტებდნენ აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის გადაწყვეტილებას. ხელისუფლების ვარაუდი, რომ აქციაზე ქსენოფობიური გამოხდომები და რელიგიური დაპირისპირება მოხდებოდა, არ გამართლდა. არც აქციის გამართვის ადგილი იყო შერჩეული შემთხვევით: ისინი 90 წლის წინ დაღუპული ქართველი მეომრების საფლავებთან იდგნენ, რომლებმაც ბათუმის გათავისუფლებას შესწირეს თავი.

თბილისში სააკაშვილის მიერ გახსნილი „ოკუპაციის მუზეუმის“ მთელი ექსპოზიცია რუსეთს ეძღვნება, თითქოს სხვა ოკუპანტი საქართველოს არ ენახოს! **აჭარა, რომელიც სწორედ რუსული სამხედრო კამპანიის შედეგად დაუბრუნდა დედასამშობლოს, აზიზიეს მეჩეთის აღდგენის შემთხვევაში თურქული ოკუპაციის ცოცხალ ძეგლს მიიღებს.**

**ნანა დევდარიანი**




**საქართველოს ხელგაშლილი ხელისუფლება თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ტაძრების რესტავრაციის სანაცვლოდ მეჩეთების აშენებას არა მარტო დაყაბულდა, არამედ ქართველებს ამუნათებს კიდეც, — ოშკის და იშხანის აღდგენა არ გინდათო!**

**მხოლოდ ხულოს რაიონში 77 მუსლიმანური სასწავლო ცენტრია. აჭარაში 3 ათასი მოზარდი მედრესეში სწავლობს. ბათუმის შემოგარენში 10 რელიგიური პანსიონი მოქმედებს, სადაც, სხვა საგნებთან ერთად, ყურანსაც ასწავლიან. ამ პანსიონებიდან 7 ვაჟთაა, ხოლო 3 — ქალთა**

ახალი თურქობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაღალმთიანი აჭარიდან, კერძოდ ხულოს, ქედას და შუახევის სოფლებიდან და სასაზღვრო ტერიტორიებიდან ჩამოჰყავთ ბავშვები, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, და „ჰუმანიტარული“ მიზნებით გახსნილ რელიგიურ პანსიონატებში უსასყიდლოდ ასწავლიან. ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში აგზავნიან სასწავლებლად. სკოლიდანვე მიმდინარეობს მათი ფსიქოლოგიური დამუშავება, რითაც ეტაპობრივად იმზადებენ ნიადაგს ჩვენი ტერიტორიის „ასათვისებლად“, ხოლო ამ ბავშვების სახით თანამედროვე „მამლუქებსა“ და „იანიჩარებს“ ზრდიან. ყველაზე სავალალო არის ის, რომ მეზობელი ქვეყნის ამ დანაშაულებრივ პოლიტიკას ხელს უწყობს და სასათბურე პირობებს უქმნის საქართველოს ანტიეროვნული ხელისუფლება.**

# Gürcistan vilayeti*

**საქართველოს ხელისუფლებამ ანტიეროვნული, ლიბერალიზმის ნიღაბს ამოფარებული პოლიტიკით, რომელიც ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგაა მიმართული, ქვეყანა დესუვერენიზაციისა და დენაციონალიზაციის გზაზე დააყენა. მმართველი ძალის მიერ დეკლარირებული „დასავლური ორიენტაცია“ და „ევროპულ ოჯახში გაწევრიანება“ ისეთივე ყალბი გამოდგა, როგორც სააკაშვილის წინასაარჩევნო დაპირება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ.**




სამწუხაროდ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ პიარზე აგებული პოლიტიკა და ანტირუსული რიტორიკა არა სუვერენიტეტის განმტკიცების წყარო, არამედ მისი რღვევის საფუძველი გახდა. ხოლო დასავლური ვექტორის, როგორც იდენტურობის შენარჩუნებისა და სამომავლო არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორის, ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება ვერ მოხერხდა.

დღეის მდგომარეობით, მართალია, რუსეთი აგრესორია, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული, მაგრამ ეს თურქეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ხელშეწყობის მიზეზად არ გამოდგება, ვინაიდან რუსეთის დერჟავნიკულ მიზნებზე უფრო მეტად საშიში და დამღუპველი თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესებია, რომლებიც საქართველოს და საერთოდ კავკასიის პანთურქული იმპერიის შემადგენლობაში შეყვანას ითვალისწინებს.

**მითუმეტეს სახიფათოა თურქეთის გავლენის ზრდა საქართველოზე იმ ვითარებაში, როცა ამერიკისა და ნატოს მიერ თურქეთი რეგიონის ერთპიროვნულ ლიდერად არის აღიარებული და მისი მზარდი ამბიციები გარკვეულწილად წახალისებულია. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ თურქულ-ბერძნული დაპირისპირებისას (ორივე სახელმწიფო ნატოს წევრი იყო) დასავლეთმა მხარი არა ქრისტიანულ საბერძნეთს, არამედ ისლამურ თურქეთს დაუჭირა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი მზადაა, იმსხვერპლოს ნებისმიერი, მათ შორის ნატოს წევრი სახელმწიფოს ინტერესები, ოღონდაც თურქეთის მხარდაჭერა არ დაკარგოს. შესაბამისად, დასავლეთი თურქეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ანექსიას არ (ან ვერ) შეეწინააღმდეგება.**

საქმე ის არის, რომ სააკაშვილის რეჟიმის წაყრუების პოლიტიკის ფონზე, დღეს აჭარის რეგიონის გამალებული ისლამიზაციისა და საქართველოს თანმიმდევრული ანექსიის ფარული პროცესი მიმდინარეობს, რომელსაც ჰუმანიტარულ პროექტებს ამოფარებული თურქეთის ნაციონალისტური წრეები ახორციელებენ თავიანთი უტოპიური იდეის — პანთურქული იმპერიის შექმნის მიზნით, რომელიც, პანთურქული კონცეფციის მიხედვით, საკმაოდ ვრცელ არეალს მოიცავს: ერთის მხრივ, ბალკანეთიდან ყირიმამდე, ხოლო, მეორე მხრივ, — აღმოსავლეთ ციმბირიდან დასავლეთ ჩინეთამდე, ანუ ამ თურქულმა სახელმწიფომ ე. წ. თურანის იმპერიამ უნდა მოიცვას მთელი თურქულენოვანი ხალხები მათი განსახლების სივრცეებითურთ. ბუნებრივია, ამ არეალში ექცევა კავკასიის ორივე განედი. ამ მიზნის მიღწევის იარაღად კი იყენებენ ისლამის რელიგიას, როგორც ახალ გეოპოლიტიკურ იარაღს.

**უკვე ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ მაღალმთიანი აჭარიდან, კერძოდ ხულოს, ქედას და შუახევის სოფლებიდან და სასაზღვრო ტერიტორიებიდან ჩამოჰყავთ ბავშვები, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, და „ჰუმანიტარული“ მიზნებით გახსნილ რელიგიურ პანსიონატებში (ასეთი სახის პანსიონატები ბათუმის სიახლოვეს 10 ფუნქციონირებს: 7 — ვაჟთა, 3 — ქალთა) უსასყიდლოდ ასწავლიან. ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში აგზავნიან სასწავლებლად. სკოლებიდანვე მიმდინარეობს მათი ფსიქოლოგიური დამუშავება, რითაც ეტაპობრივად იმზადებენ ნიადაგს ჩვენი ტერიტორიის „ასათვისებლად“, ხოლო ამ ბავშვების სახით თანამედროვე „მამლუქებსა“ და „იანიჩარებს“ ზრდიან. მაგრამ ყველაზე სავალალო არის ის, რომ მეზობელი ქვეყნის ამ დანაშაულებრივ პოლიტიკას ხელს უწყობს და სასათბურე პირობებს უქმნის საქართველოს ანტიეროვნული ხელისუფლება.**

**როგორც კი ბათუმში თურქეთის სახელმწიფო მეჩეთს ააშენებს, თანაც ოსმალეთის იმპერიის სიმბოლოს, არ არის გამორიცხული, აჭარაში აქტიურად დაიწყოს აგიტაცია-პროპაგანდა აღნიშნული რეგიონის თურქეთთან შეერთების მოთხოვნით**

ამ ფონზე მეტად საჭვოდ გამოიყურება საქართველოსა და თურქეთის კულტურის მინისტრებს შორის 26 იანვარს ანკარაში მიღწეული შეთანხმება, რომელიც ნაჩქარევად, თითქმის გასაიდუმლოებულ ვითარებაში იქნა ხელმოწერილი. **შეთანხმების ძალით, ოშკისა და იშხანის რესტავრაციის სანაცვლოდ, ბათუმში აზიზიეს მეჩეთი აშენდება, ხოლო ახალციხეში, რაბათის კომპლექსში არსებულ აჰმედიეს მეჩეთს რესტავრაცია ჩაუტარდება.**

ამ შეთანხმების წინააღმდეგი გამოვიდა საპატრიარქო, რომელიც მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში უკმაყოფილებას გამოთქვამს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი და სენსიტიური საკითხის გადაწყეტის პროცესში დედაეკლესიის ჩაურთველობის გამო. თუმცა მაინც კომპრომისზე მიდის და აზიზიეს მეჩეთის სანაცვლოდ თურქეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული ბაზილიკის აღდგენას მოითხოვს. საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ: **„ვითხოვთ მხოლოდ უძველეს ქართულ საეპისკოპოსო ქალაქ არდაშენში (ლაზეთის მხარე) მცირე ზომის ბაზილიკის ჩვენი თანხებით აღდგენა-ამოქმედებას (შევნიშნეთ, რომ ამ რეგიონში ქართული სხვა არაერთი გაცილებით დიდი ძეგლია) და ამის შემდეგ თურქეთსა და საქართველოში მეჩეთებისა და ტაძრების რესტავრაციაზე საუბარს ჩვენი მონაწილეობით. ხოლო თუ ამის განხორციელება რაიმე მიზეზით თურქული მხარისთვის მიუღებელია, ჩვენთვისაც ყოვლად მიუღებელია ოშკისა და იშხანის გადარჩენის საბაბით ბათუმში ჩვენი ისტორიის მძიმე პერიოდის სიმბოლოს, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა“.**

საპატრიარქოს შეთავაზება არ არის ულტიმატუმი, არამედ სამართლიანი მოთხოვნაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს განცხადება დაგვიანებულ რეაქციად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან საპატრიარქოს იმთავითვე უფრო პრინციპულად უნდა მოეთხოვა, თავიდანვე ყოფილიყო ჩართული თურქეთისა და საქართველოს ხელისუფლებას შორის გამართულ მოლაპარაკებათა პროცესში, რომელიც, უკვე ორი წელია, მიმდინარეობს, რადგან იმის ილუზია არავის არ ჰქონია, რომ შეთანხმება საქართველოს სასარგებლოდ იქნებოდა მიღწეული. ამიტომ სულაც არ არის მოულოდნელი ის გარემოება, რომ სააკაშვილის ანტიეროვნულმა რეჟიმმა ისარგებლა პატრიარქის საქართველოში არყოფნით და ხელი დაუყოვნებლივ მოაწერა ისეთ შეთანხმებას, რომელიც ქართულ მხარეს აშკარად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს.

**ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, აზიზიეს მეჩეთი იქნება ხის ორსართულიანი კონსტრუქცია, თუმცა მისი აღდგენა იმავე ადგილზე, სადაც თავის დროზე ის არსებობდა, ვერ მოხერხდება. შესაბამისად, ქართული მხარე მეჩეთის ასაშენებლად ადგილს თავად შეარჩევს.**

შეთანხმების ეს ნაწილი აშკარად დისკრიმინაციულია, რადგან, თუ ნაცვალგების პრინციპსა და ისტორიული ძეგლების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზეა საუბარი, მაშინ გაუგებარია, რატომ დათანხმდა ქართული მხარე თურქეთის ხელისუფლებას, ააშენოს ის, რაც უკვე არ არსებობს, მითუმეტეს იმ ქალაქში, რომელზეც ლამის დე ფაქტო სუვერენიტეტსა და სახელმწიფო იურისდიქციას, ეკონომიკურ და რელიგიურ ექსპანსიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თურქეთი ახორციელებს. ასევე, გაუგებარია, „დასავლური ღირებულებების ერთგული“ ხელისუფლება რატომ უწყობს ხელს თურქეთს, მოახდინოს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი რეგიონის ისლამიზაცია და საქართველოს ინტერესების ხარჯზე გაიმყაროს პოზიციები კავკასიაში?! მაგრამ **„ნაციონალური“ ხელისუფლება თურქეთთან მიმართებაში მარტივი პრინციპით ხელმძღვანელობს: ჩადე ინვესტიცია, დიქტატურა ფინანსურად უზრუნველყავი და გრძელვადიან პერსპექტივაში ამ გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგად თუ რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს საქართველოს, სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს საერთოდ არ აინტერესებთ.**

ხელისუფლების ეს არაგონივრული გადაწყვეტილება, არცთუ ისე შორეულ პერსპექტივაში, დიდი პრობლემის გამომწვევი შეიძლება გახდეს, ვინაიდან, როგორც კი ბათუმში თურქეთის სახელმწიფო მეჩეთს ააშენებს, თანაც ოსმალეთის იმპერიის სიმბოლოს, არ არის გამორიცხული, აჭარაში აქტიურად დაიწყოს აგიტაცია-პროპაგანდა აღნიშნული რეგიონის თურქეთთან შეერთების მოთხოვნით, რადგან ქართველი მუსლიმების თითქმის 80% სწორედ ამ რეგიონში ცხოვრობს, რითაც კიდევ ერთი თავსატეხი დაემატება საქართველოს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თურქეთი დღემდე ამ რეგიონს „თავის ტერიტორიად“ მიიჩნევს.

ამიტომ სააკაშვილის რეჟიმი, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებულია, შეაჩეროს თურქეთის მზარდი ექსპანსია და ისლამიზაციის პროცესი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავრჩებით არა საქართველოდ რესპუბლიკად, არამედ შუა საუკუნეების ავადსახსენებელი პერიოდის მსგავსად გურჯისტანის ვილაიეთად ვიქცევით.

**ზურაბ ჯამბურია**

* მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთში.

მოკლედ

## რუსეთის საგარეო უწყება: სირიაში შიდა კონფლიქტია

**„სირიაში მიმდინარეობს შიდა კონფლიქტი, — არავითარი რევოლუციური განწყობა, რომელიც შესაძლოა სამოქალაქო ომში გადაიზარდოს.** რუსეთს ამის დაშვება არ სურს. ამიტომაც ყველა სამშვიდობო მცდელობა, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ ერთი მიზნისკენაა მიმართული — სისხლისღვრის შეწყვეტა და შიდა კონფლიქტის მოგვარება“, — განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრ ლუკაშევიჩმა. ლუკაშევიჩის აზრით, რეფორმები, რომლებსაც სირიის მთავრობა ატარებს, დაგვიანებულია. „უფრო ადრე იყო საჭირო რეფორმების ჩატარება, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“, — განაცხადა დიპლომატმა.

## საერთაშორისო ნორმების დაცვით

**მოსკოვი სირიაში იარაღის მიწოდების ვალდებულებას საერთაშორისო ნორმების დაურღვევლად ახორციელებს.** ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა. „რაც შეეხება პრინციპულად იარაღის მიწოდება-არმიწოდების საკითხს, ჩვენ გარიგებებს სირიასთან და სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო შეთანხმებათა ფარგლებში ვახორციელებთ, ისე, რომ საერთაშორისო ნორმებსა და ვალდებულებებს არ ვარღვევთ. როგორც მოგეხსენებთ, სირია არ იმყოფება საერთაშორისო სანქცირებული რეჟიმის ქვეშ“, — განაცხადა მან მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე.

„ჩვენ რომ გავყვირით, ჩვენი მეზობელი და მეგობარი სახელმწიფოა თურქეთიო, იცით, რომ მე, სასულიერო პირს, ანაფორით შემოსილს, თურქეთში არ მიშვებენ? როცა თურქეთის გავლით საბერძნეთში მივდივარ ხოლმე, საბაჟოს თანამშრომლები არ მაძლევენ უფლებას, მღვდლის სამოსით შემოსილი შევიდე მათ ტერიტორიაზე და ამის გამო ძალიან ხშირად უკან გამოვბრუნებულვარ. ეს არის ჩვენი თურქებთან თანასწორობაზე აგებული მეგობრობა და ძმობა? ან ის რატომ გვავიწყდება, საქართველოს ტერიტორია თურქეთს ოკუპირებული რომ აქვს?“

რელიგია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მამა გიორგი (რაზმაძე):

# მუსლიმანებს წესი ჰქონდათ, დაპყრობილ ქვეყნებში აზიზიეს მეჩეთი აეშენებიათ



## ეს იყო მათი გამარჯვებისა და ბატონობის სიმბოლო დამონებულ ქალაქსა თუ ქვეყანაში

**რატომ აპროტესტებენ სასულიერო პირები საქართველოში მეჩეთების მშენებლობას და ვინ ეწევა უზნეობის პროპაგანდას საქართველოში — ქვეყანაში მიმდინარე ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე) ესაუბრება.**

**— საქართველოს საპატრიარქო ქვეყანაში მეჩეთების მშენებლობას აპროტესტებს და აცხადებს, რომ თურქეთის ხელისუფლებასთან ხელშეკრულება კანონდარღვევით გაფორმდა. რატომ გადაწყდა აღნიშნული საკითხი საქართველოს ეკლესიისგან ფარულად და რა საფრთხეს ხედავთ სასულიერო პირები საქართველოში მეჩეთების აშენებაში?**

— საქართველოში ხომ არის უკვე მეჩეთები?! უზარმაზარი მეჩეთებია ბათუმსა და ხელვაჩაურში და ნუთუ საკმარისი არ არის?! როგორც წესი, სალოცავები შენდება და მრავლდება, როდესაც მრევლის რაოდენობა მატულობს, ხოლო ამ შემთხვევაში პირიქით, აჭარაში მოსახლეობა სიბნელიდან, ეშმაკის მსახურებიდან გამოდის და ჭეშმარიტ სარწმუნოებას — მართლმადიდებლობას უბრუნდება. რა საჭიროა ახალი მეჩეთების მშენებლობა?

**რაც შეეხება აზიზიეს მეჩეთს, მუსლიმანებს წესი ჰქონდათ, დაპყრობილ ქვეყნებში აზიზიეს მეჩეთი აეშენებიათ. ეს იყო მათი გამარჯვებისა და ბატონობის სიმბოლო დამონებულ ქალაქსა თუ ქვეყანაში.** ჩვენ კი ვხედავთ, რომ დღეს მთელი აჭარა, ფაქტობრივად, მუსლიმანების ბატონობის ქვეშ იმყოფება. თურქები აჭარაში ინვესტიციებს ახორციელებენ და საროსკიპოებს ხსნიან. აჭარა ახალ სოდომ-გომორად აქციეს და ახლა, ისღა დარჩა, ამ ყველაფრის გვირგვინად აზიზიეს მეჩეთი იქცეს.

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველოში მეჩეთის მშენებლობა ოშკისა და იშხნის აღდგენის მიზნით ხორციელდება...**

— ეკლესიების აღდგენა ძალიან კარგია, მაგრამ ფასი მაშინ ექნებოდა ამ ტაძრების აღდგენას, თუ იქ მრევლი შეიკრიბებოდა, მღვდელი დაიწყებდა ღვთისმსახურების ჩატარებას, სხვა შემთხვევაში — არ გვიღირს. საქართველოს საპატრიარქომ კარგი განცხადება გააკეთა: მოგვეცით საშუალება, დაკონსერვდეს ეს მშენებლობა, ჩაერთონ ამ საქმეში სპეციალისტები, მოხდეს ამ შენობების გამაგრებაო.

**დღემდე თურქეთში ტაძრების ახლოს მცხოვრებლებს ქართული ეკლესიებისთვის სპეციალურად წყალი აქვთ მიშვებული, რომ რაც შეიძლება მალე საბოლოოდ დაანგრიონ. ზოგ ტაძართან კი სამანქანო გზა გაიყვანეს და ამაზე ხმას არავინ იღებს. ნამდვილად არ გვჭირდება, თურქეთში ჩვენი ტაძრების აღდგენის ფასად, საქართველოში თურქებს მეჩეთები ვუშენოთ. თუმცა როგორ აღდგება ეს ტაძრები, ესეც საკითხავია. ჩვენი ინფორმაციით, თურქული მხარე ითხოვს, რომ მათმა სპეციალისტებმა გააკეთონ ყველაფერი.**

**ჩვენ რომ გავყვირით, ჩვენი მეზობელი და მეგობარი სახელმწიფოა თურქეთიო, იცით, რომ მე, სასულიერო პირს, ანაფორით შემოსილს თურქეთში არ მიშვებენ? როცა თურქეთის გავლით საბერძნეთში მივდივარ ხოლმე, საბაჟოს თანამშრომლები არ მაძლევენ უფლებას, მღვდლის სამოსით შემოსილი შევიდე მათ ტერიტორიაზე და ამის გამო ძალიან ხშირად უკან გამოვბრუნებულვარ. ეს არის ჩვენი თურქებთან თანასწორობაზე აგებული მეგობრობა და ძმობა? ან ის რატომ გვავიწყდება, საქართველოს ტერიტორია თურქეთს ოკუპირებული რომ აქვს?**

**— მამაო გიორგი, საზოგადოების განსჯის საგანი კიდევ ერთი მტკივნეული საკითხია. სომხური მხარე ექვსი ეკლესიის გადაცემას ითხოვს. რა ბედი ელის ამ ტაძრებს?**

— წმიდა მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებს მოვიშველიებ, რომელიც ბრძანებს: გემი ვერ ხედავს წყალქვეშა რიფებს, მაგრამ, როცა დაიმსხვრევა, მერე ხვდება, რა საშინელება დაემართაო. ეს სიტყვებით მინდა შევახსენო იმ ერს, რომელიც დღეს ქართველობას და ქრისტიანობას ებრძვის.

**საინტერესოა, რა იყო სომხების? ადამიანს, სვეტიცხოვლის და ჯვრის ტაძრების დაბრუნებას რომ მოითხოვ, ელემენტარული ნამუსი ხომ უნდა გაგაჩნდეს? თუმცა, ამ ერს ასეთი უზნეო ცხოვრების წესი ახასიათებს, ყველაფერ ქართულს ისინი იჩემებენ და ისაკუთრებენ. მათი საქციელი თავხედობაა, ჩვენ, ქართველები კი გულხელდაკრეფილები ვსხედვართ და ხმას არ ვიღებთ.**

საიდან დაიწყო ეს ყველაფერი? ჯერ ქართული საგალობლები მიითვისეს, მერე ქართული ღვინო სომხურად გაასაღეს, მაგრამ ამას რეაგირება არ მოჰყოლია. ახლა ეკლესიები მოითხოვეს. სომხებს მთელ მსოფლიოში ძალიან დიდი ლობი ჰყავთ და უფლება არ უნდა მივცეთ, თავისი გაიტანონ.

**— ცოტა ხნის წინ, საქართველოს საპატრიარქომ დაგმო ანტიზნეობრივი საქმიანობის ნებისმიერი გამოვლინება და მოუწოდა ყველას, ვინც პასუხს აგებს საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელებაზე, აღკვეთონ უზნეობის პროპაგანდა. რაში გამოიხატება კონკრეტულად ანტიზნეობრივი საქმიანობა და რამდენად აქტუალურია დღეს ეს პრობლემა საქართველოში?**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია, ვინაიდან, როდესაც ადამიანს ზნეობრივად გახრწნი, ის უკვე ადვილი სამართავი ხდება. ძველ რომში ასეთი გამოთქმა არსებობდა — მიეცით ადამიანს პური და სანახაობაო. როცა ერს ზნეობრივად გახრწნი, სიწმინდეს შეულახავ, ის, ფაქტობრივად, უკვე ადამიანადაც აღარ ითვლება, ყველაფერზე თანახმაა და მისთვის არანაირი სიწმინდე აღარ არსებობს, ამიტომ საპატრიარქომ ძალიან კარგი და დროული განცხადება გააკეთა. ეს მინდა პირდაპირ დავაკავშირო ეშმაკის ნაშიერ ერეკლე დეისაძის უსჯულოებასთან, რომელმაც ანტიზნეობრივი წიგნი დაწერა და ამ საქციელით მთელი მისი მოდგმა წყევლის ქვეშ მოაქცია. მე მაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე წლის წინ, ბალტიისპირეთშიც გამოუშვეს მსგავსი წიგნი. დეისაძე იმდენად უწიგნური და სულიერად ავადმყოფი ადამიანია, მას არ შეეძლო დამოუკიდებლად მოეფიქრებინა და დაეწერა წიგნი. დეისაძეს ეს ყველაფერი გარკვეული კატეგორიის ხალხმა გააკეთებინა, რომელიც ტესტირებას ატარებს ხალხზე, თუ რა დონეზე შეიძლება ადამიანმა ზნეობა დაკარგოს. მოგეხსენებათ, ამ ყველაფერს მართლმადიდებლების მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა და ტელეკომპანია „კავკასიაში“ (რომელსაც დღეს დამოუკიდებელ ტელევიზიად მოაქვს თავი) პროვოკაციაც კი მოუწყვეს მართლმადიდებელ ბიჭებს, რომლებიც დღეს სარწმუნოების დაცვისთვის საპყრობილეში იხდიან სასჯელს.

**ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც რელიგიური პატიმრები ჰყავს და ამით უკვე ყველაფერია ნათქვამი.** საპატრიარქომ დროულად გააკეთა განცხადება და ხალხს ზნეობრივი ცხოვრებისკენ მოუწოდა, ვინაიდან, უზნეო ადამიანი არც ოჯახს და არც ქვეყანას არ სჭირდება.

**— თუმცა დეისაძის წიგნის პრეზენტაცია ორი წლის წინ, გაზაფხულზე ჩატარდა, ხოლო საპატრიარქომ აღნიშნული განცხადება ახლახან გაავრცელა.**

— ეს მხოლოდ ერთი ფაქტი აღვნიშნე, თორემ ყოველდღიურად რა სიბინძურეც პრესისა თუ ტელევიზიის მეშვეობით მოედინება, ამასაც კარგად ვხედავთ. ნაპოლეონის ცნობილ გამონათქვამს გავიხსენებ, რომელმაც განაცხადა, რომ ხუთ გაზეთს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ასი ათასამდე კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცსო. დღეს ადვილად მართავ ადამიანს მასმედიის საშუალებით. ტელევიზიაში კი უზნეობის მეტს არაფერს აჩვენებენ. **გაიხსენეთ, 2008 წელს, როცა ომი მიმდინარეობდა, ჩვენი ტელევიზიები მხოლოდ ქართულ, პატრიოტულ ფილმებს აჩვენებდნენ, რათა ხალხში სამშობლოს სიყვარული, პატრიოტული გრძნობები გაეღვიძებინათ და, როცა ყველაფერი დასრულდა, ისევ აღვირახსნილი ცხოვრების წესის პროპაგანდა გააგრძელეს.**

**— როგორ უნდა დავიცვათ მომავალი თაობა უზნეობისგან, დღეს ხომ ტელევიზიისა და ინტერნეტის გარეშე ცხოვრება, ინფორმაციის მიღება წარმოუდგენელია?**

— ბასილი დიდი საოცარ და ბრძნულ სიტყვებს ბრძანებს — ფუტკარი ყველა ყვავილზე ჯდება, მაგრამ მისგან საუკეთესოს იღებსო. იგივე ტელევიზია თუ ინტერნეტი, ადამიანმა ინფორმაციის მისაღებად, განათლების მიზნით უნდა გამოიყენოს და არა წარწყმედის მიზნით.

ბავშვის აღზრდა ოჯახში იწყება. როცა მშობლები უზნეოდ ცხოვრობენ, შვილებიც მათ ბაძავენ. ბავშვი ოჯახის ერთგვარი სარკეა. არიან ოჯახები, რომლებსაც შვილები პოდიუმზე შიშველი გამოჰყავთ და ამით ამაყობენ, თავიანთი შვილების სხეულებით ვაჭრობენ და სუტენიორობენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, და წარბსაც არ იხრიან. რა ზნეობაზე უნდა ესაუბრო ამ ადამიანებს? როგორ შეიძლება ასეთმა ადამიანმა ნორმალური შვილები აღზარდოს, რომლებიც შემდეგ სამშობლოს გამოადგებიან?

რევოლუცია რუსეთში მღვდლის შვილებმა მოაწყვეს. ვინაიდან, როცა მარხვის დროს, მღვდელი ამბიონზე ქადაგებდა და ერს მოუწოდებდა, ლოცვა გააძლიერეთო, სახლში მიდიოდა და ხორცს ჭამდა. მისი შვილები ხედავდნენ რა მამის საქციელს, ფიქრობდნენ, ალბათ, ღმერთი არ არსებობს, თორემ მამა ასე არ მოიქცეოდაო. ამიტომაც ესროლეს პირველი ქვა ეკლესიას მღვდლის შვილებმა. ოჯახში ცხოვრების წესი არის აუცილებელი პირობა იმისა, რომ ბავშვი სწორად აღიზარდოს — ჯერ ოჯახში, შემდეგ კი ბაღსა და სკოლაში. ჩვენ კი რას ვხედავთ? ისეთ კანონებს იღებენ, უნდათ, ბავშვების სექსუალური აღზრდა-განათლება სკოლებშივე დანერგონ. ბავშვების დეგრადაცია მიმდინარეობს. ერთმა ცნობილმა ქართველმა მსახიობმა კარგად თქვა, მე-12 საუკუნეში სექსუალურ განათლებას არავინ იღებდა, მაგრამ 12 მილიონი ვიყავითო.

**ეკლესიას ყველანაირი ხერხით ებრძვიან. დღეს ეკლესიის დისკრედიტაცია მიმდინარეობს და არ შემიძლია არ შევეხო მტკივნეულ თემას, რელიგიის კანონს, რომელზეც რომის პაპმა რამდენიმე ხნის წინ პირდაპირ განაცხადა, რომ ჩემი იდეა საქართველოში გენიალურად განახორციელესო.**

**— რელიგიის კანონთან დაკავშირებით, საზოგადოების ნაწილი განაწყენებული დარჩა, ვინაიდან მათ ჩათვალეს, რომ ხელისუფლებამ გაითვალისწინა სომხეთის პატრიარქის აზრი და არ გაითვალისწინა საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია და მიიღო კანონი, რომლის წინააღმდეგიც ეკლესია გახლდათ. რატომ მოხდა ასე?**

— სამწუხაროა, როცა ხელისუფლება ეკლესიას არ უსმენს. ნერონი, რომელიც უზნეო ცხოვრებით გამოირჩეოდა, ყველანაირად დევნიდა ქრისტიანებს, როცა კვდებოდა, საკუთარი კბილებით იგლეჯდა სხეულს და შეინანებდა. იულიანე განდგომილის უკანასკნელი სიტყვები იყო „შენ გაიმარჯვე, გალილეველო“. მანახეთ ერთი ადამიანი, ვინც ქრისტეს ეკლესიას აუმხედრდა და ნორმალურად დაასრულა ცხოვრება. ამაზე ყველა უნდა დავფიქრდეთ.

**— მამაო, თქვენ წეღან მღვდლების შვილები ახსენეთ. დღესაც აკრიტიკებენ სასულიერო პირებს, მათ ქონებრივ მდგომარეობას.**

— ეს ძალიან მტკივნეული თემაა, თუმცა ქონება და მანქანები არ არის ის საკითხი, რითაც შეიძლება ადამიანი დაბრკოლდეს. მთავარია, როგორ ცხოვრობს სასულიერო პირი, რას ქადაგებს, რას ასწავლის. შეიძლება სულაც მდიდარი მშობლებისგან დარჩა ქონება და ქურდობის გზით არ უშოვია. მოძღვარს რომ მანქანა ჰყავდეს, ამაში გასაკვირი არაფერია, მანქანა გადაადგილების საშუალებაა და არა ფუფუნების.

თორმეტ მოციქულსაც შორის კი ერთ-ერთი იუდა იყო, რომელმაც მაცხოვარი გასცა, და არ არის გამორიცხული, ეკლესიის წიაღში დღესაც იყვნენ მსგავსი სასულიერო პირები. მაგრამ ეს არ არის საბაბი, რომ ადამიანმა ეკლესიას ზურგი აქციოს. ისეთ მოძღვართან არ უნდა მივიდეს ადამიანი, რომელიც არასწორად ასწავლის. მოძღვარს, რომელიც არასწორად ქადაგებს, უნდა მივუთითოთ, რომ არასწორად იქცევა ან მის ეპისკოპოსს შევატყობინოთ მისი საქციელის შესახებ. მრევლი ვალდებულია, ასე მოიქცეს.

**— მაგრამ გავრცელებულია აზრი, რომ სასულიერო პირის კრიტიკა, თუნდაც სამართლიანი, ცოდვაა.**

— სიმართლე ყოველთვის უნდა ითქვას. კრიტიკა აუცილებელია, მაგრამ არა განკითხვა. როცა სხვის დასამცრობად ნიშნისმოგებით საუბრობ, ეს სხვაა და თუ ნამდვილად გტკივა გული ადამიანზე, ჯერ უნდა ილოცო, რათა ის ადამიანი გონს მოეგოს, შემდეგ მას უნდა უთხრა და მხოლოდ შემდეგ ამხილო და მოიკვეთო.

**მთავარია, ამ უზნეობას, რაც დღეს ხდება, წინ აღვუდგეთ. მაგალითად, საპატრიარქოს წინ კაზინოს ხსნიან. ამაზე დიდი დაცინვა და უზნეობა წარმოუდგენელია. ვინც ამას აკეთებს, მეტი შეგნება არ უნდა ჰქონდეს? ევროპულ ქვეყნებში, რომელთაც დემოკრატიის მამებად მიიჩნევენ ჩვენი ხელისუფლებისა თუ საზოგადოების წარმომადგენლები, ასეთი დაწესებულებები ქალაქიდან მოშორებითაა. ისრაელში კი საერთოდ აკრძალულია.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხელისუფლების სამსახურში მყოფმა ადამიანებმა რეალურად უნდა იფიქრონ და მიიღონ გადაწყვეტილება, რა ჯობია მათთვის: დარჩნენ რეჟიმის ხელქვეითებად და ემსახურონ მას, თუ, სანამ დროა, გაემიჯნონ. მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მათ, რომ ნუ შესწირავენ თავს ერთი ადამიანის პირად ინტერესებს, თორემ (ღმერთმა ნუ ქნას, ეს დაგვჭირდეს) ამ ხელისუფლების მოშორება ძალისმიერი მეთოდებით რომ მოხდეს, პირველ რიგში, ამას სწორედ ისინი შეეწირებიან...“

## ლუკა კურტანიძე:

# როცა დიქტატორი უკონტროლო ხდება, მას ანადგურებენ



**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „სახალხო კრების“ სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ლუკა კურტანიძე.**

**— ბატონო ლუკა, სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ ბარაკ ობამას მიერ გაკეთებული განცხადება, რომ 2012-13 წლებში საქართველომ უნდა ჩაატაროს ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები, ბევრს ენიშნა როგორც ვაშინგტონის ღია და მკაფიო მითითება „ნაცმოძრაობისთვის“. შესაბამისად, ამ განცხადების მერე, ალბათ, უფრო მეტია იმის მოლოდინიც, რომ მომავალი არჩევნები არსებულ ვითარებას ძირეულად შეცვლის. თქვენი აზრით, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა რამდენად იძლევა ამის საფუძველს?**

— ხელისუფლების მხრიდან ეს იყო თავის გადარჩენის მცდელობა; საქმე ისაა, რომ ამ რეჟიმს უკვე ქვეყნის შიგნით, საზოგადოებაში დასაყრდენის სახით აღარ დარჩა მინიმალური რესურსიც კი, მის გამალებულ პიარსა და პროპაგანდას, რომელიც სახელისუფლო არხებიდან გვესმის, არანაირი შედეგი არ მოაქვს, ამიტომ ქულების დასაწერად მას მხოლოდ ის გზა აქვს დარჩენილი, რომ დასავლეთში გავლენიან პოლიტიკოსებთან და დიპლომატებთან იპოზიოროს. როგორ მოქმედებს საბოლოოდ ეს ყველაფერი მის რეიტინგზე, სხვა საკითხია და ამას ჩვენ ძალიან მალე ნათლად დავინახავთ არჩევნებზე, ერთი რამ კი ამთავითვე ცხადია, როცა მსოფლიოს ზესახელმწიფოს ლიდერი პირდაპირ მიგითითებს, დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩაატაროო, ეს უკვე ნიშნავს, რომ შენი საქმე მთლად კარგად ვერ არის.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იმ დიპლომატებმა, რომლებიც აქ გარკვეულ ინფორმაციებს აგროვებენ, მერწმუნეთ, ძალიან კარგად იციან, საქართველოში რა ხდება; მეტიც, ისინი ბევრად უფრო დეტალურად იცნობენ აქ მიმდინარე პროცესებს, ვიდრე ჩვენი ოპოზიციური სპექტრის საკმაოდ დიდი ნაწილი და, მით უფრო, საზოგადოება. აქედან გამომდინარე, რაც უნდა ხშირ-ხშირად იმეოროს სააკაშვილმა დასავლეთში, დემოკრატიას ვაშენებ და უკვე არნახულ წარმატებებს მივაღწიეთო, მისი გამოსვლები რჩება ცარიელ სიტყვებად, რომელთაც მხოლოდ მისივე პროპაგანდისტული ტელევიზიები თუ გამოიყენებენ სიუჟეტის ასაწყობად, თორემ სხვა არანაირი სასიკეთო შედეგი და ცვლილება ამას მათთვის არ მოაქვს...

**— საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ამერიკას არ აინტერესებს, საქართველოში რა ხდება, რომ მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ჩვენი საგარეოპოლიტიკრი კურსი და ა.შ. თქვენი აზრით, ბარაკ ობამას განცხადებამ საპირისპირო დაამტკიცა?**

— იმ აზრს, რომ ამერიკა არ ერევა ჩვენს შიდაპროცესებში და სააკაშვილს რაღაც ექსკლუზიური უფლებები აქვს ვაშინგტონიდან მიღებული, გარკვეული საფუძველი ნამდვილად გააჩნია, ვინაიდან ჩვენ გვახსოვს სისხლიანი დარბევები, დაპატიმრებები და გვახსოვს, რა განცხადებებს აკეთებდა მაშინ ამერიკის ელჩი ჯონ ბასი, რომლის პირიდანაც ერთი კრიტიკული განცხადებაც კი ვერ მოვისმინეთ ხელისუფლების მისამართით; როგორც ჩანს, ის დრო ნამდვილად წარსულს ჩაბარდა, რადგან ის, რაც დღეს აქ ხდება, უკვე არანაირ ნორმებსა და ჩარჩოებში არ ჯდება. შეიძლება ითქვას, ამ ხელისუფლებამ პირწმინდად მიაღწია იმას, რომ თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, რომელიც თავის დროზე მისი უპირველესი მოკავშირე იყო, უკვე ველარ მალავს და ალამაზებს აქ არსებულ მდგომარეობას. ასე რომ, რა თქმა უნდა, ბარაკ ობამას განცხადება მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, სააკაშვილისთვის იყო მკაფიო მითითება და მეტიც, დიპლომატიურ ენაზე ეს ნიშნავდა თითის დაქნევას, რაც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ რეჟიმის რღვევისა და საბოლოოდ არჩევნების გზით, მშვიდობიანად გასტუმრების პროცესში.

**— ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლა ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, რაც უნდა მკაფიოდ მიუთითონ სააკაშვილს დასავლეთიდან, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩაატაროს ამ ხელისუფლების პირობებში, მითუმეტეს, მოქმედი საარჩევნო კოდექსით, რამდენად შესაძლებელია ეს ყველაფერი?**

— ჩვენდა სამწუხაროდ, ამ რეჟიმმა უკვე იმხელა მასშტაბებს მიაღწია, იმდენად აუტანელი და პრობლემური გახდა ეს ხელისუფლება, რომ არა მგონია, ევროკავშირიც და ამერიკაც გულხელდაკრეფილი დააკვირდეს იმას, თუ 2012-13 წლებში როგორ დაატრიალებს „ნაცმოძრაობა“ კარუსელებს. საერთოდ, ყველაფერს თავისი ფორმა და ზღვარი უნდა ჰქონდეს, მათ შორის, ავტორიტარულ რეჟიმსაც. ამით იმის თქმა მინდა, რომ ისეთი დიქტატორებიც კი, როგორიც დღეს აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებშია, გარკვეულ დონეზე კონტროლდებიან, ხოლო, როცა დიქტატორი უკონტროლო ხდება, მას, უბრალოდ, ანადგურებენ. ასე დაემართა მუბარაქს, ბენ ალის, კადაფის და ასე დაამთავრებს მომავალშიც ყველა ის რეჟიმი, რომელიც გარკვეულ პრინციპებს არ დაიცავს, მაგრამ ჩვენთვის ეს არ არის გამოსავალი, ჩვენთვის მთავარია, ქვეყნის სათავეში მოვიდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც არამარტო გარე ძალებისთვის იქნება მისაღები, არამედ ისეთი, რომელიც, პირველ რიგში, ხალხის ინტერესებს დაიცავს. ეს უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ამოსავალი წერტილი, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ხალხმა თითი არ გაანძრია და უფრო მეტად არ იაქტიურა, ასეთი ხელმძღვანელობა შემთხვევით ციდან ნამდვილად არ ჩამოგვივარდება. **ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ვიმყოფებით ოცდაოთხსაათიან საბრძოლო რეჟიმში, ამიტომ არჩევნები საზოგადოებამ არჩევნებამდე უნდა მოიგოს, თორემ საარჩევნო ყუთთან რომ მივალთ, ჩათვალე, რომ იმ დროს უკვე ხელისუფლებას მისაღები პირწმინდად ექნება მიღებული.**

**— არჩევნების არჩევნებამდე მოგებაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— საერთოდ, ნებისმიერ ბრძოლას წინ უძღვის ხოლმე ფსიქოლოგიური ომი, რომელიც შემდეგ უკვე ამ ბრძოლის ბედსაც განაპირობებს. ჩვენ სწორედ ეს ბრძოლა უნდა მოვიგოთ, ანუ **სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნებამდე უნდა გადატყდეს წელში და ამისთვის მას საზოგადოებამ ხელიდან უნდა გამოსტაცოს ის ძირითადი ბერკეტები, რაზეც ეს რეჟიმია დამყარებული.** ესენია: სასამართლო, პოლიცია, მედია, დაფინანსების წყაროები და ა.შ. სხვანაირად არჩევნების გზით ამ ხელისუფლებას ძვრასაც ვერ უზამს საზოგადოება, რაშიც დღემდე არაერთხელ დავრწმუნდით.

**— ყველა ის უწყება, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ, ხელისუფლების უშუალო თანამზრახველია, ამიტომ „ნაცმოძრაობის“ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ავტომატურად ნიშნავს მისი ხელქვეითი მოსამართლის, ბიზნესმენისა თუ რიგითი პოლიციელის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასაც. ასეთ პირობებში, როგორ წარმოგიდგენიათ მათი გამიჯვნა ხელისუფლებისგან და საზოგადოების მხარეზე გადმოყვანა?**

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჟურნალისტები იქნებიან ესენი, მოსამართლეები, ძალოვანები თუ ვითომ ოპოზიციის წარმომადგენლები, ზოგადად, მეორე ეშელონის ხალხი, ანუ შემსრულებლები მყავს მხედველობაში, კარგად უნდა ხედავდნენ და აცნობიერებდნენ, რა ხდება მსოფლიოში. **ის მოვლენები, რომლებიც ეგვიპტესა და ლიბიაში განვითარდა, ჭკუის სასწავლებელია, ვინაიდან ეს იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს რეჟიმის თავგასულობას, რომელიც ადრე თუ გვიან საზოგადოების აფეთქებას იწვევს; აქედან გამომდინარე, ხელისუფლების სამსახურში მყოფმა ადამიანებმა რეალურად უნდა იფიქრონ და მიიღონ გადაწყვეტილება, რა ჯობია მათთვის: დარჩნენ რეჟიმის ხელქვეითებად და ემსახურონ მას თუ, სანამ დროა, გაემიჯნონ.** მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მათ, რომ ნუ შესწირავენ თავს ერთი ადამიანის პირად ინტერესებს, თორემ, ღმერთმა ნუ ქნას, ეს დაგვჭირდეს და ამ ხელისუფლების მოშორება ძალისმიერი მეთოდებით მოხდეს, მაშინ, პირველ რიგში, ამას სწორედ ისინი შეეწირებიან...

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ის, რაც ლიბიასა და ეგვიპტეში მოხდა, შეიძლება აქაც განმეორდეს?**

— ღმერთმა ნუ ქნას, მსგავსი რამ საქართველოშიც მოხდეს, მაგრამ სწორედ ეგვიპტე და ლიბიაა იმის ნათელი მაგალითი, თუ რა უბედურება შეიძლება დატრიალდეს ქვეყანაში, როცა ავტორიტარული რეჟიმი ყოველგვარ ზღვარს გადადის. რაღაც ეტაპამდე საზოგადოება ყოველთვის ითმენს და ეგუება უსამართლობას, მაგრამ გარკვეული ზღვარის შემდეგ ამ ყველაფერს აქვს გარდატეხის მომენტი; ჩვენთან ჯერ ეს მომენტი არ დამდგარა, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ეს ხელისუფლება არ შეიცვალა, თუ ქვეყანა არ გათავისუფლდა რეჟიმისგან და ადამიანებმა არ იგრძნეს ის, რომ ძალმომრეობა მმართველი კლანისგან ერთხელ და სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა, მერწმუნეთ, აქ შეიძლება ისეთი საშინელება მოხდეს, რომ ეგვიპტე და ლიბია მონაგონი იქნება...

**— დასასრულს, ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობაზეც გკითხავთ. გასულ კვირას საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თურქულ მხარესთან მოლაპარაკებები საპატრიარქოს გვერდის ავლით მიმდინარეობდა. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე და საერთოდ, როგორ უყურებთ კიდევ ერთი მეჩეთის აშენების იდეას ბათუმში, რომელიც ეკონომიკურად უკვე ისედაც დაპყრობილი აქვთ თურქ ინვესტორებს?**

— მარტო ის ფაქტი, რომ მოლაპარაკებები თურქულ მხარესთან საპატრიარქოს ჩაურევლად, ჩუმად და, ფაქტობრივად, ფარულად მიმდინარეობდა, უკვე ცხადყოფს, რა ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეს ძალიან ფაქიზი თემაა და მე არ მინდა, ზედმეტად უხეში საუბარი გამომივიდეს, მაგრამ დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, ამ მეჩეთის მშენებლობა თუ რა მიზანს ემსახურება... **აჭარა ისედაც პრობლემური რეგიონია იმ თვალსაზრისით, რომ ეკონომიკურად ის უკვე სხვა სახელმწიფოზე — თურქეთზეა მიბმული და მიერთებული, ამიტომ ამ ფონზე იქ კიდევ რაღაც ხელოვნური ბარიერების შექმნა უცხო ცივილიზაციის უფრო მეტად დამკვიდრებით, ნიშნავს, რომ შენ ამ რეგიონს მიზანმიმართულად კარგავ და ასხვისებ. სხვა ახსნა ამ ფაქტს, უბრალოდ, არ აქვს, ვინაიდან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აჭარაში მეჩეთები ისედაც ბევრია და არანაირი აუცილებლობა, რომ იქ კიდევ ერთი მეჩეთი აშენდეს, არ არსებობს...**

**— თქვენი აზრით, რა პრობლემებს გამოიწვევს აზიზიეს მეჩეთის აშენება აჭარაში?**

— აჭარაში უკვე არის საკმაოდ სერიოზული პრობლემები და ხელისუფლება მათზე თვალს ხუჭავს, ხოლო აზიზიეს მეჩეთს რაც შეეხება, ამხელა რელიგიური კომპლექსი რომ იქ აშენდება, ჩათვალეთ, რომ ის რეგიონი უკვე აღარ იქნება საქართველო. ამას არ ვამბობ როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, არამედ ვამბობ, როგორც რიგითი მოქალაქე და ქართველი;

როცა ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ერთი ბაზილიკური, მცირე სალოცავი აშენდეს თურქეთის ტერიტორიაზე და იქ წირვა-ლოცვა აღევლინოს, რატომაა საქართველო ყველას ხელწამოსაკრავი?! რატომაა ჩვენი ეროვნული ინტერესები ყოველთვის მეორე და მესამე პლანზე გადაწეული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ?! აი, სწორედ ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება გვღუპავს, მაგრამ ეს არ არის სხვა სახელმწიფოს ბრალი, ეს არის ჩვენი ხელისუფლების ბრალი, რომელიც ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ ყიდის და ასხვისებს ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტებს; დღეს ანალოგიური რამ ხდება აჭარაში, სადაც თურქეთის მხრიდან მიმდინარეობს გამალებული ეკონომიკური ანექსირება და მერწმუნეთ, თუ ეს მოღალატეობრივი პოლიტიკა არ შეიცვალა, სულ მალე იქ ქართული დროშა აღარ იფრიალებს.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

# «სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნებამდე უნდა გადატყდეს წელში»

**როგორც შერეკილი ხუტა ოდილავაძე იტყოდა, „თვალი დაუდგა ევროპას“ და მის გაკვირვებასაც ლიბერალური ქართული დემოკრატიით, რადგანაც მე უფრო ილიასეული „თავისის ვინაობის“ გადარჩენა მხიბლავს და ამისთვის არც ქართულ სუვერენულ დემოკრატიაზე ვიტყვი უარს... ნებისმიერ შემთხვევაში არჩევანი მარტივი და გასაგებია, რუსეთმა თავისი არჩევანი გააკეთა, რუსეთმა გამარჯვების გზა (ПУТ(ИН)Ь ПОБЕДЫ) აირჩია. ახლა ჩვენი ჯერია, ჩვენ უნდა ავირჩიოთ: სუვერენული დემოკრატია თუ დესუვერენიზირებული, ფსიქოპატი მარიონეტებითა და ალვირახსნილი ლიბერასტებით მართული ქვეყანა...**

გეოპოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სუვერენული დემოკრატია», ანუ Пут(ин)ь победы

**ერთი შეხედვით უცნაური ტერმინი „სუვერენული დემოკრატია“ პირველად ვლადიმერ პუტინმა წარმოთქვა. რომ დავუკვირდი, თუ რა კონტექსტში, რისთვის და რატომ იხმარა ასეთი არაორდინალური სიტყვათა წყობა, მივხვდი, რომ თურმე უცნაური კი არა, ღრმა შინაარსია ჩადებული ამ ტერმინში.**

საქმე ისაა, რომ ლიბერასტული დასავლეთის სამთავრობო წრეებმა თუ იმავე დასავლეთში მოქმედმა ე. წ. არასამთავრობო, ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა, აღშფოთებულებმა, ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ, არა და არ აუნთო მწვანე შუქი მოსკოვსა თუ სანკტპეტერბურგში, ჩვენებურად და მარტივად თუ ვიტყვით, მამათმავლებს და დასავლურად, ანუ „ცივილურად“ ე. წ. სექსუალურ უმცირესობებს აღლუმების ჩატარებაზე.

ან რას აუნთებდა მწვანე შუქს, როდესაც აღშფოთებულმა რიგითმა მოსკოველებმა წითელი მოედნის მისადგომებთან სულ თავ-პირი დაალეწეს გათავხედებულ „პიდორებს“ და რომ არა მილიციის სპეცნაზის დროული ჩარევა, ეშმაკმა უწყის, რა დღეში ჩააგდებდნენ სოდომისტებს.

დასავლეთმაც ჩვეულებას არ უღალატა და, როგორც წესი, „გეგმიური“ წიკვინი მორთო: არიქა, რუსეთი მამათმავლებს არადემოკრატიულად ექცევა და რამე ვიღონოთო. მაგრამ რუსეთის ლიდერმა აწიკვინებულებს მოკლედ მოუჭრა — „у нас суверенная демократия“-ო! რაც მერე და მერე ასე „მოვთარგმნე“ — **ყველა ერსა თუ სახელმწიფოს სრული უფლება აქვს, იმ დოზით მიიღოს ლიბერალობა, რის მონელებასაც შეძლებს, ანუ რაც არ დააზარალებს მის კულტურულ-ეროვნულ ტრადიციულ ღირებულებებს.**

და მართლაც, წარმოვიდგინოთ, რა „ბარდაკს“ მივიღებთ, თუკი უარი ვთქვით ჩვენს ისტორიულ, მართლმადიდებლურ კულტურასა და მემკვიდრეობაზე და ბრმად „დავეწაფებით“ სხვა ქვეყნებისთვის ჩვეული, აღვირახსნილი ლიბერალური დემოკრატიის სტანდარტებს, მაშინ, როდესაც „აჩრდილი დადის მსოფლიოში“, აჩრდილი ლიბერასტული დემოკრატიისა, გნებავთ, აგრესიული გლობალიზაციისა! აჩრდილი „ფერადი რევოლუციებისა“, რაც ჩაყლაპვას უქადის ყოველივე ეროვნულსა და ტრადიციულს.

გაიხსენეთ, ჯერ იყო და გასული საუკუნის 90-იანებში ნატომ, როდესაც ბელგრადის უმოწყალო დაბომბვა დაიწყო, უხერხემლო ელცინის რუსეთმა იმით „დაიცვა“ მისი მრავალსაუკუნოვანი და ერთმორწმუნე მოკავშირე სერბები, რომ მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა პროტესტის ნიშნად უკან, მოსკოვისკენ მოაბრუნა აშშ-ში მიმავალი საკუთარი თვითმფრინავი. სულ ეგ იყო, ჰოდა, შედეგმაც არ დააყოვნა — პირველი „ფერადი რევოლუციაც“ მარტივ მამრავლებად დაშლილი იუგოსლავიის გულში, ჩვენს ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ სერბეთში მოხდა (ცნობისათვის: მართლმადიდებელი საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ბელგრადის დაბომბვას მიესალმა). თუ რა სიკეთე მოუტანა სერბებს ამ ფერადმა რევოლუციამ, ყველამ ვნახეთ: დანაწევრებული ტერიტორიები, რომელთა მარიონეტულ ხელისუფლებასაც ჯერ საკუთარი ხელით დააჭერინეს ე. წ. სამხედრო დამნაშავენი (ე. წ. რადგანაც სერბების უმრავლესობისათვის მილოშევიჩიდან დაწყებული, ყველანი ეროვნული გმირები არიან), ხოლო შარშან ნატოევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ბოლო ტესტი ჩააბარებინეს, როდესაც ბელგრადის ცენტრში ეუთოს დამკვირვებლებმა გეიაღლუმი ჩაიბარეს.

**მიუხედავად ამისა, ეუთოს დამკვირვებლებმა ფრიადით მაინც არ შეაფასეს ეს აღლუმი, რადგანაც მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური დონე დაიწუნეს. რომლებიც ხელში ჯვრებით აპროტესტებდნენ და უძლური მრისხანებით ადევნებდნენ თვალს ადგილობრივი პედერასტების „გაგულავებას“ და რომ არა პოლიციის მძლავრი კორდონი, სერბ პედერასტებსაც ის მოუვიდოდათ, რაც მათ „კოლეგებს“ მოუვიდათ მოსკოვსა თუ სანკტპეტერბურგში.**

შემდეგი რევოლუცია უკვე მართლმადიდებელ საქართველოს დაგვატყდა თავს — აქაც გაგლეჯილი, ტერიტორიებდაკარგული, სულში ჩაფურთხებული ქვეყანა, ღირსებააყრილი ქართველი კაცი. აქაც არა ერთი მცდელობა რუსთაველზე გეიპარადის ჩატარებისა. მაგრამ რა, რუსთაველზე თუ არა, მიშნაცების ტელევიზიებში ყოველდღე არ ვუყურებთ ცნობილი გეების,



**რუსეთში მიმდინარე მოვლენები სხვა არაფერია, თუ არა გადამწყვეტი შეტევა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, როგორც მსოფლიო მართლმადიდებლობის უპირველეს და უძლიერეს ციტადელზე**

ლეზბიანკების ურცხვ მანჭვაგრეხას და აგერ ახლა უკვე ოზონის ჭავლით უკანატანიდან გადაჭიმულებს?

ჩვენ შემდეგ ისევ მართლმადიდებლური (!!!) უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუცია“ მსგავსი ტენდენციებით და იმავეს არაერთი უშედეგო მცდელობა მართლმადიდებელ ბელარუსში!

ვითომ შემთხვევითია ამდენი დამთხვევა?

**ახლა მავანი ნიშნს მომიგებს, ყირგიზეთიც მართლმადიდებელი ქვეყანააო?!**

**ჯერ ერთი ყირგიზეთში, ისევე როგორც საბჭოთა შუააზიის ქვეყნებში, რუსულენოვანი მოსახლეობის რაოდენობა ფრიად მნიშვნელოვანია და არც რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციებია სუსტი. ეგეც არ იყოს, თუ მხოლოდ ისლამის კუთხით განვიხილავთ ბიშკეკის სისხლიან გადატრიალებას, მართლმადიდებლობასთან ერთად ისლამიც ის რელიგიაა, რომელიც უკომპრომისოდ ეწინააღმდეგება ეროვნულ-ტრადიციულობის დამანგრეველ ლიბერასტულ გლობალიზაციას!**

ეს რომ ასეა, ამას თუნდაც ირან-ამერიკის დაპირისპირებაც მოწმობს. თუ ამ კონფლიქტის ატომურ და ნავთობგაზის მნიშვნელოვან დეტალებს დროებით გვერდზე გადავდებთ, ხელში შეგვრჩება ერთადერთი თავი და თავი მიზეზი ამ და არა მხოლოდ ამ კონფლიქტისა.

ანუ ჭიჭიკო გოგოლის პერიფრაზით თუ ვიტყვით, ვიღაც გუშინ თუ გუშინწინ მოთრეული, ათასი ჯურის სექტანტების, კატორღელების, მეკობრეების შთამომავალი იანკები ასწავლიან რამდენიმე ათასწლოვანი კულტურის მემკვიდრე ერაყს, იმავე ბიბლიურ ბაბილონს, ამ შემთხვევაში კი სპარსეთის ირანს, თუ როგორ უნდა იცხოვროს!

მაგრამ, მგონი, კალამი გამექცა და წერილის მთავარ თემას დავუბრუნდეთ...

რა ხდება დღეს თანამედროვე რუსეთში? რა და ვიეტნამელების ტყვეობაში ყოფნისას „ჭიკჭიკით“ სახელმოხვეჭილი ჯონ მაკკეინი და სხვა ოკეანისგაღმელი ხლისტების, მსოფლიო სიონისტების აზრით, დღეს მართლმადიდებელი რუსეთის ჯერი დადგა!

ისიც მოქმედებაზე გადავიდა, რასაც მოწმობს მოსკოვში გამართული უკანასკნელი საპროტესტო აქციები. სადაც, როგორც უკვე ღიად ითქვა, აშშ-დან დაფინანსებული და მართული ე. წ. ლიბერალური ოპოზიცია იმავე ლოზუნგებით გამოდის, როგორითაც თავის დროზე ჩვენთან გამოდიოდნენ „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოჩეკილი გველის წიწილები, რომლებიც დღეს გიგა ბოკერიას თამადობით ხელისუფლებაში წარმართავენ საქართველოს ნგრევა-გადაჯიშების კარდინალურ ხაზს!

მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, „не на того напали“, და „პაკლონნაია გორაზე“ პირველად შედგა პუტინის რუსეთის მხარდამჭერი მიტინგი, რომელზეც 20 გრადუს ყინვაში 130 ათასზე მეტი ადამიანი მივიდა. მართალია, მიშავიზიებმა ამ ხალხს ძალით მიყვანილი უწოდა, მაგრამ მაინც.

მიტინგის მთავარი ლოზუნგი იყო: „არა — ნარინჯისფერ ჭირს და არა — ოფშორულ ელიტებს!“, რაც აშკარა მინიშნებაა უკრაინის რევოლუციაზე, რომელმაც ლამის საბოლოოდ გათიშა ორი მოძმე ერთმორწმუნე ერი.

აღარაფერს ვიტყვი ისტორიულ კიევის რუსეთზე...

ზემოთ არაერთხელ ვახსენე მართლმადიდებლობა და ახლაც, რომ არა რუსული ეკლესიის ფაქტორი, რომლის უშუალო სამწყსოც არის უკრაინა, ამ ქვეყანაში ნარინჯისფერთა ბატონობის პერიოდში იქნებ მოეხერხებინათ ორი მართლმადიდებელი ერის საშვილიშვილოდ გადამტერება ისე, როგორც ეს ჩვენმა ვარდოსნებმა მოახერხეს რუს-ქართველთ შორის.

**რუსეთში მიმდინარე მოვლენები სხვა არაფერია, თუ არა გადამწყვეტი შეტევა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, როგორც მსოფლიო მართლმადიდებლობის უპირველეს და უძლიერეს ციტადელზე, რაც, თავის მხრივ, ერთი ერთში ჯდება ჯერ კიდევ ალენ დალესისა და ახლა მისი მოწაფის, ზბიგნევ ბჟეზინსკის მიერ მოდერნიზებულ დოქტრინაში, რაც მართლმადიდებლობის განადგურებას თუ ვერა, მის უკიდურესად დასუსტებას გულისხმობს.**

თუმცა ის, რომ ამ ბრძოლაში რუსეთის ეკლესია და ახლანდელიც და მომავალი ხელისუფლებაც ერთსისხლ და ერთხორც იქნებიან, დიდ იმედებს იძლევა, რომ მსოფლიო მასონთა მცდელობა კრახით დამთავრდება!

ხოლო ამ ბრძოლაში საქართველომ ვისი მხარე უნდა დაიჭიროს, ამის გარკვევა მკითხველისთვის მიმინდვია. ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია — რუსეთთან ჯერ კეთილმეზობლური და შემდეგ სტრატეგიული (თუ, რა თქმა უნდა, აფხაზეთ-სამაჩაბლოზე კიდევ ვფიქრობთ) პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, პირველ რიგში, სწორედაც რომ ჩვენი ეკლესიების ევქარისტულ ძმობაზე გადის და მხოლოდ შემდეგ — პოლიტიკოსების კეთილ ნებაზე.

**აქედან გამომდინარე, რუს-ქართველთა ერთმორწმუნეობა დღეს იქნებ უფრო აქტუალურიც არის, ვიდრე ეს მეფე ერეკლეს დროს იყო, რადგანაც, თუ მაშინ პირველი რიგის ამოცანა ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენა იყო, დღეს ჩვენი სულიერების გადარჩენაა!**

ეს უკანასკნელი კი მართლმადიდებლობის პრიორიტეტის გარეშე ქართველ ერს ვერასოდეს წარმოედგინა, ანუ, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ქართველები „ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და **თავისის ვინაობის** გადასარჩენად“...

ეს ყველაფერი კარგად ესმის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს (იქნებ უფრო უპრიანი მეორე ილია იყოს?) და ამიტომაც არ ეშვება რუსეთისკენ სავალ გზებს!

**ასე რომ, როგორც შერეკილი ხუტა ოდილავაძე იტყოდა, „თვალი დაუდგა ევროპას“ და მის გაკვირვებასაც ლიბერალური ქართული დემოკრატიით, რადგანაც მე უფრო ილიასეული „თავისის ვინაობის“ გადარჩენა მხიბლავს და ამისთვის არც ქართულ სუვერენულ დემოკრატიაზე ვიტყვი უარს... ნებისმიერ შემთხვევაში არჩევანი მარტივი და გასაგებია, რუსეთმა თავისი არჩევანი გააკეთა, რუსეთმა გამარჯვების გზა (Пут(ин)ь победы) აირჩია. ახლა ჩვენი ჯერია, ჩვენ უნდა ავირჩიოთ: სუვერენული დემოკრატია თუ დესუვერენიზირებული, ფსიქოპატი მარიონეტებითა და ალვირახსნილი ლიბერასტებით მართული ქვეყანა...**

**დავით მხეიძე**

კომენტარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ცნობისათვის: საბერძნეთი ნატოს წევრია 1952 წლიდან, ევროკავშირის წევრი — 1981 წლიდან. კვიპროსი კვლავაც ორად არის გაყოფილი და ნახევარი ნატოს წევრ თურქეთს უკავია, მეორე ნახევარი ბერძნულია, ხოლო ევროკავშირის წევრი საბერძნეთი ამის გამო თურქეთის ევროკავშირში შესვლას უძალიანდება. თუმცა, ევროზონიდან საბერძნეთსაც, როგორც ჩანს, მალე დაითხოვენ...

# დემოკრატიის ბერძნული აღსასრული

**13 თებერვლის ღამეს საბერძნეთის პარლამენტმა სახელმწიფო ხარჯების შემცირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ქვეყანას ეს პირობა წაუყენეს, რომლის შესრულების გარეშეც საბერძნეთი საერთაშორისო ფინანსურ დახმარებას ვერ მიიღებდა. პარლამენტის სხდომა ქუჩის საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა. ათენის ქუჩებში 100 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა. რა გასაკვირია, როცა პარლამენტმა ხელფასებისა და პენსიების მკვეთრი შემცირების გადაწყეტილება მიიღო!**

პოლიცია ეცადა, აქცია დაეშალა, მაგრამ ხალხის წინააღმდეგობის გამო ყველაფერი მასობრივ დარბევაში გადაიზარდა. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, დაკავებულია 140 ადამიანი.

თუმცა ყველაზე საინტერესო 14 თებერვალს განვითარებული მოვლენები აღმოჩნდა. გაუგონარი ზეწოლით საბერძნეთის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, ევროპამ, პირველ რიგში კი გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა საბერძნეთის ფინანსურ დახმარებაზე უარი თქვა. ეს კი დაპირებული 130 მილიარდი ევროა, რომელიც საბერძნეთისთვის ევროკავშირსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს უნდა გადაეცა. თუ არაფერი შეიცვალა, ეს საბერძნეთისთვის გარდაუვალ დეფოლტს ნიშნავს.

**ათენში გადაღებულმა ფოტოებმა, არ შეიძლება, თბილისის 7 ნოემბერი და 26 მაისი არ გაგახსენოს. იგივე გაზი, იგივე ხელკეტები, ცემა და სისასტიკე. მიხეილ სააკაშვილს არაფერი გამოუგონია ახალი. ყველა რეპრესიული ზომა, რომელსაც იგი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართავს, სწორედ იქიდან არის წამოღებული, სადაც შესვლას უკვე მერამდენე წელია, ჰპირდებიან ქართველ ხალხს.**

ეს მეთოდებიც და სპეცტექნიკაც, რომლითაც ნაციონალური რეჟიმი უმასპინძლდება საკუთარ ხალხს, დასავლური გამოგონებაა; ზოგი ამერიკული, ზოგიც — ევროპული. ეს „მიკი მაუსებიც“ ამერიკული თოჯინაა, რომელიც ისე გამეტებით ექცევა თანამოძმეს, თითქოს მასში ადამიანს ვერ ხედავს. თითქოს კი არა, იგი ასე გაწვრთნეს ამერიკელმა ინსტრუქტორებმა: — ისინი შენი პირადი მტრები არიან. მათ უნდათ, სამსახური დაგაკარგინონ და ულუკმა-პუროდ დაგტოვონ. არ დაინდო, თორემ ისინი არ დაგინდობენ!

სახეზე ხელებაფარებული და სახელდახელო ნიღბიანი ქალები კი ტირიან, რადგან ისინი უკვე არ დაინდეს, უკვე დატოვეს ულუკმაპუროდ. გამწარებული მამაკაცი შიშველი ხელებით ელობება პოლიციელებს. რა უნდა გააწყოს?.. გოგონას პოლიციელი მიათრევს. ის ერთია, პოლიციელები კი — ბევრნი... პოლიციის სპეცრაზმს „სტრატეგიული სიმაღლეები“ დაუკავებია: ხალხი ალყაში ჰყავთ, რომ არსად გაექცეთ. თანაც, ზემოდან უკეთ ჩანს „ბრძოლის ველი“.

პოლიციელი ქვებს ესვრის მომიტინგეებს. განა იმიტომ, რომ იარაღი არა აქვს, — ალბათ, საღამოს საბერძნეთის ტელევიზია გამოაცხადებს, რომ ქვები მომიტინგეებმა დაუშინეს პოლიციას.

დარბევასაც ხომ საბაბი უნდა?!

მანათობელი შუშხუნა, რომელსაც მომიტინგე პოლიციისკენ ისვრის, საღამოს ეთერში „მოლოტოვის კოქტეილად“ გასაღდება.

თბილისისგან განსხვავებით, დაღუპულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. თუმცა ვინ იცის? საქართველოდან ჩასული რომელიმე გესტარბაიტერი კიდევაც რომ დაიკარგოს, ვინ მოიკითხავს?

პოლიტკორექტული „ევრონიუსი“ უკვე ალაპარაკდა საბერძნეთში რევოლუციის შესაძლებლობაზეც. ახლა წარმოიდგინეთ რომელიმე ბერძენი ოპოზიციონერი, რომელიც საჯაროდ გამოვა და იტყვის, ქუჩაში არ გამოხვიდეთ, არჩევნებს დაველოდოთო!

**ერთნი ქუჩაში ეძებენ ხსნას, მეორენი — ეკლესიაში. ბოლო დღეებში საბერძნეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში მრევლმა საგრძნობლად იმატა. ვერც პირველნი და ვერც მეორენი შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ხედავენ.**

**„დამთავრდა საბერძნეთი. იმედი აღარ არის. ბანკროტობით სულ გაგვანადგურებენ, მერე კიდევ ათი წელი ტანჯვაში უნდა გავატაროთ და მაინც თვითონ მოგვიწევს თავის შველა“,** — ამბობს ერთი ბერძენი.

მეორე ეპასუხება: „ხალხი შიშისგან დამუნჯდა. მგონი, გიგანტური აფეთქება, რისხვის აფეთქებაა აუცილებელი“!

მესამე სასოწარკვეთილია: „საბერძნეთში დამთრგუნველი ვითარებაა. ბერძნებს საკუთარი ცხოვრების დაგეგმვა არ შეუძლიათ. მომავალზე ფიქრი არ შეუძლიათ. ხოლო თუ მომავალზე ფიქრი არ შეგიძლია, ესე იგი მომავალი არა გაქვს“!

ბერძნებმა არ იციან, როგორ შეიძლება იამაყო იმით, რომ რუსთაველზე ფოთოლიც არ ჩამოვარდნილა, ან იმით, რომ „ამერიკელები არჩევნების გაყალბებაზე თვალს აღარ დახუჭავენ“. სამაგიეროდ, მათ კარგად იციან: რაც მეტს აპატიებ ხელისუფლებას, მით უარესს უნდა ელოდე მისგან.

და კიდევ ერთი იციან ბერძნებმა, — რომ საკუთარ თავს თვითონ უნდა უშველონ! ცნობისათვის: საბერძნეთი ნატოს წევრია 1952 წლიდან, ევროკავშირის წევრი — 1981 წლიდან. კვიპროსი კვლავაც ორად არის გაყოფილი და ნახევარი ნატოს წევრ თურქეთს უკავია, მეორე ნახევარი ბერძნულია, ხოლო ევროკავშირის წევრი საბერძნეთი ამის გამო თურქეთის ევროკავშირში შესვლას უძალიანდება. თუმცა, ევროზონიდან საბერძნეთსაც, როგორც ჩანს, მალე დაითხოვენ...

ჩვენ საით მივდივართ?




ათენში გადაღებულმა ფოტოებმა, არ შეიძლება, თბილისის 7 ნოემბერი და 26 მაისი არ გაგახსენოს. იგივე გაზი, იგივე ხელკეტები, ცემა და სისასტიკე. მიხეილ სააკაშვილს არაფერი გამოუგონია ახალი. ყველა რეპრესიული ზომა, რომელსაც იგი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართავს, სწორედ იქიდან არის წამოღებული, სადაც შესვლას უკვე მერამდენე წელია, ჰპირდებიან ქართველ ხალხს.






ეს მეთოდებიც და სპეცტექნიკაც, რომლითაც ნაციონალური რეჟიმი უმასპინძლდება საკუთარ ხალხს, დასავლური გამოგონებაა; ზოგი ამერიკული, ზოგიც — ევროპული



მოკლედ

## რადამ ტიმოშენკო გაწირა

**უკრაინის პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსის 365-ე მუხლის გაუქმებაზე, რომელიც ითვალისწინებს უფლება-მოვალეობის გადაჭარბების შემთხვევაში სახელმწიფო მოსამსახურეთა დასჯას, უარი განაცხადა.** კანონპროექტს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 365-ე მუხლის გაუქმებას ითვალისწინებდა, უმაღლესი რადის მხოლოდ 150-მა წევრმა დაუჭირა მხარი, როდესაც ხმათა მინიმუმი 226-ს შეადგენს. კანონპროექტის ავტორმა ვიქტორ შვეცმა აღნიშნა, რომ ცვლილებები გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის მიხედვით იქნა მომზადებული. პროექტის მიხედვით, სისხლის სამართლის წინაშე უკრაინის პრეზიდენტი ან მთავრობის წევრი შესაძლოა წარდგეს იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა უკანონო, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოგების მიღება საკუთარი გამორჩენის ან სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირისთვის.

## ულოგიკო დიპლომატია

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ იგი ვერ ხვდება დასავლეთისა და სპარსეთის სრუტის ქვეყნების ლოგიკას, რომლებმაც სირიიდან თავიანთი ელჩები გაიწვიეს.** „არ მინდა, შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეს პროცესები, რაღაც ლოგიკით არის ნაკარნახევი. ჩვენ ვერ ვუგებთ ამ ლოგიკას ისევე, როგორც ვერ ვიგებთ გადაწყვეტილებას არაბული ქვეყნების ლიგის დამკვირვებელთა მისიის ნაადრევად შეწყვეტის შესახებ“, — განაცხადა ლავროვმა.

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ყველასთვის ნათელია, რომ საქართველოში დაძაბულობის მთავარ გამომწვევ მიზეზს არა ოპოზიციის არაადეკვატურობა და სისუსტე, არამედ სააკაშვილის რეჟიმი წარმოადგენს, რომელსაც უზურპირებული აქვს ხელისუფლება, არ ატარებს სამართლიან არჩევნებს, აკონტროლებს ნაციონალურ ტელევიზიებს და საზოგადოებას ტერორის ქვეშ ამყოფებს.**

# სათადარიგო მარიონეტი თუ ხვლიკი ქერის ორმოში?

**„ოვალური კაბინეტის“ მონახულებისა და ამერიკის პოლიტიკურ ელიტასთან შეხვედრის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას არ აპირებს და ისევ ჩრდილოელი დათვის გამოწვევით, მუდმივი ომის საფრთხის არსებობით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას.**

მიხეილ სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ის წარმავალი, განწირული პოლიტიკოსია, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერას დღითიდღე კარგავს და მალე პოლიტიკურ „ხორცმეტად“ იქცევა არა მარტო საზოგადოებისთვის, არამედ საკუთარი გუნდისთვისაც. ამიტომ სააკაშვილი ამერიკისა და ევროპის მაღალ ტრიბუნებს მაქსიმალურად იყენებს ანტირუსული რიტორიკისთვის. მისი მიზანია, დაუმტკიცოს დასავლეთს, რომ ის კვლავ „საჭირო კაცია“, რომელიც მათი ინტერესების სასარგებლოდ საფრთხობელის როლს ყოველთვის შეასრულებს რუსეთის წინააღმდეგ. **„შემთხვევითი არ არის ის, რაც ახლა მოსკოვის ქუჩებში ხდება. აშკარაა, ვერ შეატყუებ შენს ხალხს იმას, რომ დიდი იდეა შენი ღირსება, ადამიანის უფლებების დაცვა, სიტყვის თავისუფლება და შენი შვილების მომავალი კი არა, ის არის, რისი აღდგენაც შეუძლებელია. ვერც იმას შეაჩერებ, რომ ნებისმიერი რეფორმა დასავლეთის ტროას ცხენად მიგაჩნია, რომელმაც საბჭოთა კავშირს ძირი გამოუთხარა. ვფიქრობ, რუსეთის სისტემის რღვევის უმოკლესი გზა რეფორმების უარყოფასა და უგულებელყოფაზე გადის. ეს არის გზავნილი, რომელიც ვაშინგტონიდან მომაქვს“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას. რამხელა ცინიზმია იმ ადამიანის მხრიდან დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე საუბარი, რომელმაც საკუთარ მოქალაქეებს „7 ნოემბერი“ და „26 მაისი“ მოუწყო, რომელმაც უდანაშაულო ადამიანების სისხლით დედაქალაქის ქუჩები შეღება.

დღეს საქართველოში სააკაშვილის მმართველი რეჟიმის მიერ იგნორირებულია ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები და მხოლოდ ამერიკის გლობალური მიზნების რეალიზებით არის დაკავებული. ასეთი ირაციონალური და ანტიქართული პოლიტიკა კი ქართველ ერს განადგურებას უქადის. პოლიტოლოგ **ალექსანდრე ჭაჭიას** თქმით, **„ეროვნული ინტერესები წარმოადგენს იმ სასიცოცხლო მოთხოვნილების ერთობლიობას, რომელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოფს ქვეყნის ყოველი მოქალაქის, ქართული საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოს არსებობასა და პროგრესულ განვითარებას. ეროვნული ინტერესების რეალიზაცია ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ე.ი. იმ პირობების შექმნას, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისათვის, პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებისათვის, სახელმწიფო კანონების, ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის, საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისათვის, სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის უზრუნველყოფისათვის“.**

სააკაშვილის რეჟიმი დღეს ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს, რაც განპირობებულია იმით, რომ საქართველო წარმოადგენს კოლონიურ ქვეყანას, რომელსაც დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარება არ შეუძლია. მაშინაც კი, თუ „მფარველი“ ზესახელმწიფოს მიერ გატარებული საერთაშორისო პოლიტიკით მის სახელმწიფოებრიობას და მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხე ექმნება, იძულებული ხდება, გადადგას დამღუპველი ნაბიჯი, რამაც შეიძლება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საერთაშორისო რუკიდან გაქრობა გამოიწვიოს.

ქართველი ერისთვის მთავარ საშიშროებას ამ ეტაპზე სააკაშვილი წარმოადგენს, ვინაიდან ის კვლავ ადგას რუსეთთან კონფრონტაციის გზას და არ ითვალისწინებს რეალობას, რომ ახალი ძალით, ახალი შემართებით ანტირუსული ისტერიის დაწყება (მითუმეტეს იმ ფონზე, როცა მოსკოვის ქუჩებში ანტისახელისუფლო გამოსვლები მიმდინარეობს, ხოლო რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები კარსაა მომდგარი) დათვის ბუნაგში ყვირილით შესვლის ტოლფასია და მერე არ უნდა გაგიკვირდეს, თუ ეს დათვი დაგტორავს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გატარებული რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკით, უპირველეს ყოვლისა, ზარალდება ქართული სახელმწიფოებრიობა და საქართველოს მოსახლეობა.



## საზოგადოების მიერ «ჰალსტუხიან ხვლიკად» მონათლულ ლიდერს, შესაძლოა, ამჯერადაც არნახულად გაუმართლოს და კვლავ ქერის ორმოში ამოყოს თავი

**დღეს ყველასთვის ნათელია, რომ საქართველოში დაძაბულობის მთავარ გამომწვევ მიზეზს არა ოპოზიციის არაადეკვატურობა და სისუსტე, არამედ სააკაშვილის რეჟიმი წარმოადგენს, რომელსაც უზურპირებული აქვს ხელისუფლება, არ ატარებს სამართლიან არჩევნებს, აკონტროლებს ნაციონალურ ტელევიზიებს და საზოგადოებას ტერორის ქვეშ ამყოფებს.**

ისიც ფაქტია, რომ სააკაშვილის ავტორიტარულმა მმართველობამ, რომელსაც მხარს აშშ უჭერს, ქართული საზოგადოება დასავლური ღირებულებებისადმი უარყოფითად განაწყო, რადგან მის მიერ გატარებული საშინაოპოლიტიკური კურსი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამერიკის, როგორც დემოკრატიის მესიის, იმიჯს, რაც ამერიკის ინტერესებს საქართველოში გარკვეულწილად საფრთხეს უქმნის. ამიტომ მოსალოდნელია, ობამას ხელისუფლებამ იოლი გზა მოძებნოს საქართველოს „დემოკრატიული“ იმიჯის შესაქმნელად. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის არასასურველია სააკაშვილის რეჟიმი, როგორც დემოკრატიის დამსამარებელი, თუმცა საუკეთესო ვარიანტია, როგორც ლიდერი-მარიონეტი, რომლის ხელისუფლებაში ყოფნა აბსოლუტურად ამერიკის ნება-სურვილზეა დამოკიდებული და არა ქართველი ხალხის მხარდაჭერაზე, შესაბამისად, მის გადაწყვეტილებებზე გავლენასაც „თეთრი სახლი“ ფლობს.

**ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით ამერიკას გარკვეული პოზიცია დღემდე არ ჩამოუყალიბებია, მიუხედავად მის გვერდით პროამერიკული ალასანიასა და რესპუბლიკური პარტიის ყოფნისა. ივანიშვილის მოსვლა ხელისუფლებაში გარკვეულწილად ამერიკის სტრატეგიული ინტერესებისთვის საფრთხეს შეიცავს, ვინაიდან გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდება დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე, რომელიც ექვს მილიარდამდე დოლარს ფლობს და ანგარიშვალდებული არ არის არავის წინაშე, რომელიც გარკვეულ მომენტში, შესაძლოა, გაუკონტროლებელი გახდეს და საქართველოს საგარეოპოლიტიკური ვექტორი სხვა მიმართულებით შეცვალოს.** ამიტომ აშშ ხელს შეუწყობს მესამე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებას თარგამაძის გარშემო, რომელიც, ერთის მხრივ, იქნება პროამერიკული ძალა, თუმცა — სააკაშვილის „ოპოზიცია“. მეორე მხრივ, არ მისცემს საშუალებას ივანიშვილის გუნდს, მოვიდეს ხელისუფლებაში აბსოლუტური უმრავლესობით, რაც თავისთავად შესაძლებელს გახდის, „დასრულდეს“ საქართველოში „ნაციონალური“ დიქტატი. **ასე რომ საზოგადოების მიერ „ჰალსტუხიან ხვლიკად“ მონათლულ ლიდერს შესაძლოა ამჯერადაც არნახულად გაუმართლოს და კვლავ ქერის ორმოში ამოყოს თავი, თუკი რათქმა უნდა შეძლო ამერიკელების დარწმუნება რომ თუ მთავარი ვერა, სათადარიგო მარიონეტის სახით ვაშინგტონს ერთგულ სამსახურს გაუწევს.**

თუმცა დღემდე გაურკვეველი რჩება, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამერიკის ხელისუფლებას სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალსა და მის შესაძლო გაპრემიერებასთან. ვაშინგტონში ამ საკითხზე რომ ფიქრობენ, ჩანს აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორის ყოველწლიური ანგარიშიდანაც, სადაც შეფასებულია მსოფლიო მასშტაბით არსებული საფრთხეები. ანგარიშში ვკითხულობთ: **„2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრემიერ-მინისტრის თანამდებობას გააძლიერებს, რაც ზოგიერთებს იმის მოლოდინს უჩენს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი, შესაძლოა, პრემიერ მინისტრის რანგში ხელისუფლებაში დარჩენას ეცადოს, რამაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს დაძაბულობის შემცირების პერსპექტივაზე“.** ამ ანგარიშში აშკარად გამოკვეთილი პოზიცია, თუ რა დამოკიდებულება აქვს ოფიციალურ ვაშინგტონს სააკაშვილის გაპრემიერებასთან დაკავშირებით, არ ჩანს, ამიტომ ჩვენ ვერ დავასკვნით, რამდენად არის მისაღები მათთვის პრემიერი სააკაშვილი თუ მის ჩანაცვლებაზე ფიქრობს. თუმცა დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ამერიკა ამ საკითხთან დაკავშირებით იმოქმედებს პრაგმატული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ანუ „თეთრი სახლის“ გადაწყვეტილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რეალობა იქნება იმ დროისთვის რეგიონში, ახლო აღმოსავლეთში, რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკა რა კონდიციამდე მივა და, რაც მთავარია, სააკაშვილის რეჟიმის ჩანაცვლებაზე პრეტენზიის მქონე ძალა იქნება თუ არა ისეთივე მარიონეტი, როგორიც დღეს სააკაშვილია. ეს არის ის ძირითადი „კრიტერიუმები“, რომლებიც მომავალში პოლიტიკაში სააკაშვილის ყოფნა-არყოფნას განსაზღვრავს.

ისიც ფაქტია, რომ **ბარაკ ობამასთვის მიხეილ სააკაშვილი თვალში ჩავარდნილი ხიწვია, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სამი წლის განმავლობაში პირისპირ არ შეხვდა მას, როგორც სტრატეგიული მოკავშირე ქვეყნის ლიდერს.** მაგრამ, წმინდა პრაგმატული პოლიტიკიდან და რეგიონში ამერიკის სტრატეგიული ინტერესების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, **სააკაშვილი „შეუცვლელი“ მარიონეტია, რომელიც პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ ამერიკის ხელისუფლების ნებისმიერ დავალებას უყოყმანოდ ასრულებს.**

მაგრამ სააკაშვილის კვლავ ხელისუფლებაში, პრემიერ-მინისტრის რანგში დარჩენა საქართველოში (ასევე კავკასიაში) სტაბილურობას აუცილებლად შეუქმნის საფრთხეს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქართული საზოგადოება დაშინებულია და რადიკალური საპროტესტო გამოსვლისგან თავს იკავებს, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია წარსული გამოცდილებითა და ქუჩის აქციების უპერსპექტივობით. თუმცა დიქტატურას ქართველი ხალხი დიდხანს არ შეეგუება და, სანამ ამერიკის ხელისუფლება სააკაშვილის სურვილს, იყოს პრემიერ-მინისტრი, მხარდაჭერას გამოუცხადებს, დაფიქრება და სიტუაციის სწორად შეფასება არ აწყენდა.

სააკაშვილის ავტორიტარულმა მმართველობამ, რომელსაც მხარს აშშ უჭერს, ქართული საზოგადოება დასავლური ღირებულებებისადმი უარყოფითად განაწყო, რადგან მის მიერ გატარებული საშინაოპოლიტიკური კურსი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამერიკის, როგორც დემოკრატიის მესიის, იმიჯს, რაც ამერიკის ინტერესებს საქართველოში გარკვეულწილად საფრთხეს უქმნის.

**გიორგი მექმარიაშვილი**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შექმნის გარიჟრაჟზე, 1921 წლის 26 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ და ირანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც დღესაც ძალაშია. ამ ხელშეკრულების საფუძველზე სსრ კავშირს, მისი დაშლის შემდეგ კი რუსეთს, აქვს უფლება ირანის მთავრობასთან შეუთანხმებლად შეიყვანოს თავისი ჯარები ირანის ტერიტორიაზე. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ვერ შეძლებს თავიდან აირიდოს საგარეო საშიშროება."

ანზორ მაისურაძე:

# როგორ შეიძლება დემოკრატიის იმპორტზე ლაპარაკი ისეთ ქვეყნებში, სადაც შეიხს 50 ცოლი ჰყავს?!



**შარშანდელი „არაბული გაზაფხულის" შემდეგ ისე აირია ვითარება ახლო აღმოსავლეთში, ისეთი მეტასტაზებით განვითარდა, რომ ირან-აშშ-ის შესაძლო საომარ დაპირისპირებაში ქათამივით საქართველოს წაკვლის პერსპექტივა არცთუ უსაფუძვლო შეშფოთების საგნად იქცა. სირიის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის წინააღმდეგ რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენლების დემონსტრაციულმა გალაშქრებამ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. ამ ურთულეს ვითარებაზე თავისი შეხედულების მკითხველებისთვის გასაზიარებლად „საქართველო და მსოფლიომ" მოიწვია უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე.**



**— ბატონო ანზორ, თქვენ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იორდანიაში მსახურობდით და კარგად ხართ ჩახედული აღმოსავლეთის ქვეყნების სპეციფიკაში. რას გვეტყვის დაზვერვის ვეტერანი იმ ყველაფერზე, რაც ჩვენს, არცთუ შორეულ სამეზობლოში ხდება?**

— მოდით, ჯერ ისტორიაში ჩავიხედოთ.

**ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შექმნის გარიჟრაჟზე, 1921 წლის 26 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ და ირანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც დღესაც ძალაშია. ამ ხელშეკრულების საფუძველზე სსრ კავშირს, მისი დაშლის შემდეგ კი რუსეთს, აქვს უფლება ირანის მთავრობასთან შეუთანხმებლად შეიყვანოს თავისი ჯარები ირანის ტერიტორიაზე. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ვერ შეძლებს თავიდან აირიდოს საგარეო საშიშროება.**

ზოგს ავიწყდება ეს, მაგრამ არ ავიწყდება დიპლომატიას და, რა თქმა უნდა, დოკუმენტზე ხელმომწერი სახელმწიფოების ხელმძღვანელობას.

ახლა — რაც შეეხება სირიას, რომელზეც საბჭოთა კავშირის გავლენა თავის დროზე ძალიან დიდი იყო. ნიშანდობლივია, რომ ამ ქვეყანაში 11 ათასი ჩვენი მოქალაქე — მრჩევლები, ინჟინრები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მუშაობდნენ ორ ქვეყანას შორის დადებული კონტრაქტების საფუძველზე. სსრ კავშირის დახმარება მრავალმხრივი და ფართომასშტაბიანი იყო — დაწყებული შეიარაღებით, დამთავრებული კაშხლებისა და ელექტროსადგურების მშენებლობით.

მაგრამ ამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **მთავარი ის არის, რომ სირიის ტერიტორიაზე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ლატაკიასა და ტარტუსში განლაგებულია რუსეთის უზარმაზარი სამხედრო ბაზები, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების დასაყრდენია. ამ საზღვაო ბაზებზე თავმოყრილია არა მარტო ატომური წყალქვეშა ნავები, არამედ ყველა სახეობის თანამედროვე იარაღი და ტექნიკა, რაც საჭიროა ზღვასა და ხმელეთზე ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციების საწარმოებლად.**

ამიტომ შეუძლებელია, და ეს ასეც იქნება, რომ დღეს რუსეთმა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, მხარი არ დაუჭიროს სირიის ხელისუფლებას.

**«ამერიკელებმა, თუ ჭკუა აქვთ, ირანთან ომი არ უნდა დაიწყონ, თუნდაც იმიტომ, რომ შეიძლება დაუპირისპირდნენ ორ უზარმაზარ ქვეყანას — რუსეთსა და ჩინეთს, ინდოეთსაც, სხვათა შორის, რომელიც ირანის ენერგოშემცველების უდიდესი მომხმარებელია»**

**— ლოგიკა თქვენ მხარესაა.**

— არა მარტო ლოგიკა, არამედ ისტორიული გამოცდილებაც: თავის დროზე რუსეთმა მხარი არ დაუჭირა ლიბიას და დაკარგა იგი, ასევე, — მილიარდობით დოლარის კონტრაქტები; არ დაუჭირა მხარი ერაყს, სადაც რუსეთის 12 ათასი მოქალაქე მუშაობდა და დაკარგა ერაყი.

**ირანთან ცოტა სხვაგვარადაა საქმე. სხვა ქვეყნებთან შედარებით, მისი შეიარაღება იმდენად ძლიერია, რომ მისი დაბომბვა და ხელში ჩაგდება ადვილი არ იქნება.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

თავის დროზე, როცა ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა, იოსებ სტალინმა განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო იქნება „ბასრი კბილი ახლო აღმოსავლეთში" („Острый зуб на Ближнем востоке").

იმ პერიოდში ამ რეგიონში ბატონობდა ინგლისი და საფრანგეთი. როცა ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის საკითხი დაისვა, საბჭოთა კავშირმა მიმართა ყველა არაბულ ქვეყანას, მოდით, მოვილაპარაკოთ ამ ქვეყნის აღდგენასთან დაკავშირებულ პრობლემებზეო. არც ერთმა არ მიიღო ეს მოწვევა. მაშინ საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა გაეროს გადაწყვეტილებას ისრაელის სახელმწიფოს შექმნის თაობაზე.

**— ეს ისტორიული ფაქტი და მასში მონაწილე სუბიექტების დამოკიდებულება მის გარშემო განვითარებულ პროცესებში თავისთავად ძალიან საინტერესოა.**

— დიახ, რა თქმა უნდა. მეც აქეთკენ მიმყავს საუბარი, მაგრამ მხოლოდ ერთი დამახასიათებელი შტრიხის გამოსაყოფად, რომელიც ამ მოვლენას სხვა კუთხით დაგვანახებს.

ვინ იყვნენ ისრაელის სახელმწიფოს პირველი ხელმძღვანელები? ვინ და — საბჭოთა კავშირიდან წასული მოღვაწეები — მოშე დაიანი, გოლდა მეიერი თუ სხვები. საბჭოთა კავშირის გავლენა იქ ძალიან დიდი იყო. ახლაც კი ისრაელში ცხოვრობს და საქმიანობს, თუ არ ვცდები, ორ მილიონზე მეტი საბჭოთა კავშირიდან წასული მოქალაქე, რუსულენოვანი ებრაელები და არაებრაელები — რუსები. კნესეტშიც არიან ისინი და სახელმწიფოს მართვის სხვა სტრუქტურებშიც.

**«სირიის ტერიტორიაზე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ლატაკიასა და ტარტუსში განლაგებულია რუსეთის უზარმაზარი სამხედრო ბაზები, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალების დასაყრდენია»**

ისრაელი ერთადერთი არამუსლიმანური ქვეყანაა მთელ ახლო აღმოსავლეთში, რომელიც 18 არაბული ქვეყნის რკალშია მოქცეული. არ გინდა გაუძლო, გნებავთ, დიპლომატიურ, გნებავთ, სამხედრო, ეკონომიკურ და ყველანაირ დაპირისპირებას არაბულ სამყაროსთან?

რას აკეთებს ამ დროს ისრაელი?

იგი თავის ძალისხმევას მიმართავს იმისკენ, რომ არაბული სახელმწიფოები ერთ მუშტად არ შეიკრან: მათ დასუსტებაზე, ქვეყნებს შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა გართულებაზე მუშაობს. მაგალითად, როგორც კი ერაყის ჯარი ისრაელის წინააღმდეგ დაიძრებოდა, იმ წუთას თუ არა, მეორე-მესამე დღეს ქურთისტანში, ერაყის ჩრდილოეთში აირეოდა სიტუაცია. აირეოდა იმდენად, რომ ერაყის ხელმძღვანელობა იძულებული ხდებოდა, ჯარი უკან დაებრუნებინა და თავის ქვეყანაში დაემყარებინა წესრიგი. ასე კეთდებოდა რეგულარულად.

**— როგორ ახერხებდა ისრაელი ამას?**

— იარაღით, ფულით და სხვა საშუალებებით ეხმარებოდა ქურთ სეპარატისტებს იმ მიზნით, რომ, როცა ისრაელს დასჭირდებოდა, აემღვრიათ წყალი ქვეყნის შიგნით.

**— ქურთების მუშათა პარტიას გულისხმობთ?**

— დიახ, მასაც. ქურთები პირდაპირ გამოდიოდნენ ერაყის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ ამოწყვიტა მომწამლავი გაზით სადამ ჰუსეინმა მთელი სოფელი, რაც შემდეგ ბრალად წაუყენეს მას და ჩამოახრჩვეს.

ისრაელს უპირისპირდებოდა ერაყი, ირანი, ეგვიპტე და ლიბია. რა ხდება დღეს? ეგვიპტეში ისეთი არეულობაა, რომ ძაღლი პატრონს ვერა ცნობს, კადაფი სადისტურად მოკლეს და ლიბიაშიც არეულობაა. სირიაში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომია. რა მოხდება ხვალ ირანის წინააღმდეგ, კაცმა არ იცის. ▶

მოკლედ

## რუსეთი «ისკანდერებისა» და «პანცირის» შესყიდვას გააგრძელებს

**რუსეთის არმია ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსების — „ისკანდერებისა" და საზენიტო-სარაკეტო დანადგარების — „პანცირის" შესყიდვას გააგრძელებს.** ეს განცხადება რუსეთის ვიცე-პრემიერმა დიმიტრი როგოზინმა გააკეთა. „რუსეთის ფედერაციის საჰაერო-კოსმიური განვითარების კონცეფცია, მოსკოვის აშშ-სა და ნატოსთან მოლაპარაკებების შედეგების მიუხედავად, მაინც გააგრძელებს ფორმირებას", — განაცხადა როგოზინმა. მისივე თქმით, ამჟამად რუსეთი აწარმოებს მოლაპარაკებებს „ისკანდერებისა" და „პანცირის" შესყიდვასთან დაკავშირებით.



## პენტაგონი ქალებს ფრონტის ხაზზე უშვებს

**პენტაგონმა ჯარში მოსამსახურე ქალების „ფრონტის ხაზზე" დაშვების შესახებ განაცხადა.** ამავე დროს, აღინიშნა, რომ საბრძოლო ქმედებებში ქალები მონაწილეობას არ მიიღებენ. ამ გადაწყვეტილების მიღება ბოლო წლებში კონფლიქტის ზონებში, კერძოდ ავღანეთსა და ერაყში აშშ-ის სამხედრო მოსამსახურე ქალების დიდმა რაოდენობამ განაპირობა.

**„200 მილიარდი დოლარი ჰქონდა კადაფის. სადაა ეს ფული? — ევროპისა და ამერიკის ბანკებში. აძლევენ ამ დოლარებს იმ ძალებს, რომლებმაც რევოლუცია მოახდინა? — არა. იგივე მდგომარეობაა ეგვიპტეში, ერაყში. ერაყშიც ნამუშევარი ვარ... ერაყის უდიდესი ნავთობსარეწები ვისია ახლა? — კაცმა არ იცის, მაგრამ ამჟამად მათ აკონტროლებს ის, ვისაც უნდა გაეკონტროლებინა — „ბრიტიშ პეტროლეუმი“ და სხვა ტრანსნაციონალური კომპანიები და არა ერაყის სახელმწიფო სტრუქტურები“**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეს ყველაფერი კი მიმართულია იქით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ისრაელის უსაფრთხოება.

**— და მის უკან მდგომი ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა.**

— დიახ.

**— ესე იგი, მოქმედებს ის „ბასრი კბილი“?**

— ასეა. გაიხსენეთ, რომ ისრაელის გავლენა უდიდესია ევროპაშიც, ამერიკაშიც და, მე ხაზს გავუსვამდი, რუსეთშიც.

**— ასე მოვედით დღემდე... ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ამჟამად საუბრობენ ირანის იზოლაციაზე, მათ შორის, არაბული ქვეყნების მხრიდანაც. თქვენ, ბატონო ანზორ, დიდხანს მუშაობდით იორდანიაში. როგორ ურთიერთობაზე შეიძლება ლაპარაკი ირანსა და იორდანიას შორის?**

— ძალიან თბილ ურთიერთობაზე. ირანის შაჰი თავის დროზე მეუღლითურთ ხშირად სტუმრობდა იორდანიას, იორდანიის მეფე მეუღლითურთ — ირანს. არავითარი პრობლემა მათ ურთიერთობაში არ ყოფილა.

**— ასე იყო ირანში ისლამურ რევოლუციამდე, პროამერიკული შაჰის დამხობამდე. შემდეგ?**

— ხელისუფლებაში ისლამური ფუნდამენტალისტების მოსვლის შემდეგ უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ირანსა და ისრაელს შორის. აიათოლა ჰომეინიმ ისლამის მტრებად გამოაცხადა ყველა, ვინც ისრაელთან კონფრონტაციას მხარი არ დაუჭირა. თავშეკავებული ქვეყნებიც კი, მაგალითად, ისეთი, როგორიც საუდის არაბეთია. სწორედ ამ ქვეყნის წინააღმდეგ დაიწყო ირანმა ფარული ომი. თავის დროზე მოამზადეს ტერორისტები საუდის არაბეთის მეფის მოსაკლავად. მაგრამ ეს ტერაქტი გაიშიფრა, ტერორისტები სიკვდილით დასაჯეს.

იორდანიასთან ურთიერთობა კი ისეთივე თბილი დარჩა, როგორიც იყო. იორდანია ყოველთვის ზომიერი პოლიტიკით გამოირჩეოდა ახლო აღმოსავლეთში.

არ დაგვავიწყდეს, რომ იორდანიის მეფე მუჰამედის პირდაპირი შთამომავალია. იგი ძალიან დიდ დახმარებას იღებს საუდის არაბეთიდან, სხვა ისლამური ქვეყნებიდან, მაგრამ ირანიდან — არა.

**— არაბული რევოლუციების შემდეგ რა შეიცვალა ახლო აღმოსავლეთში?**

**— ასეთ რევოლუციებს ხელისუფლებაში მუსლიმანური ფუნდამენტალისტები მოჰყავს, რომლებიც პრაქტიკულად უარყოფენ მშვიდობიან ურთიერთობას ისრაელთან. სწორედ „ძმები მუსლიმების“ მოძალება გახდა აშკარა ეგვიპტეშიც, ლიბიაშიც. არაბული რევოლუციები ხელს აძლევდა აშშ-ს, კოალიციის ქვეყნებს ევროპაში, რათა ეგვიპტე, ლიბია და ა. შ. უფრო მეტად დაემორჩილებინათ.**

**— მიიღეს ასეთი შედეგი?**

— მეეჭვება, რადგან „ძმები მუსულმანების“ გაძლიერება ყველაფერს თავდაყირა აყენებს. ეს თავიდანვე მოსალოდნელი იყო, ხოსნი მუბარაქისა და მუამარ კადაფის ასპარეზიდან წასვლამ (ისინი „ძმების“ დაუძინებელი მტრები იყვნენ), ფუნდამენტალისტები წინა პლანზე გამოიყვანა. მათი ხელისუფლებაში მოსვლა ახლა აღარც ამერიკელებს უნდათ, არც ისრაელს, არც ევროპას, არც რუსეთს — არავის.

მაგრამ არის მეორე მხარეც. ნახეთ როგორი სიუტაციაა: 200 მილიარდი დოლარი ჰქონდა კადაფის. სადაა ეს ფული? — ევროპის და ამერიკის ბანკებში. აძლევენ ამ დოლარებს იმ ძალებს, რომლებმაც რევოლუცია მოახდინა? — არა. იგივე მდგომარეობაა ეგვიპტეში, ერაყში.

ერაყშიც ნამუშევარი ვარ... ერაყის უდიდესი ნავთობსარეწები ვისია ახლა? — კაცმა არ იცის, მაგრამ ამჟამად მათ აკონტროლებს ის, ვისაც უნდა გაეკონტროლებინა — „ბრიტიშ პეტროლეუმი“ და სხვა ტრანსნაციონალური კომპანიები, მაგრამ არა ერაყის სახელმწიფო სტრუქტურები.

ამდენად, პარალელის გავლება ირანთან, რომელიც უმდიდრესი ენერგორესურსების მქონე ქვეყანაა, იოლია.

**ცნობილი დებულებაა: ვის ხელშიცაა ენერგორესურსები, ის ბატონობს მსოფლიოში. ის სახელმწიფოები, რომლებიც მსოფლიო ბატონობისკენ ისწრაფიან, ამ რესურსების ხელში ჩაგდებას ცდილობენ. ეს ხომ უმარტივესია.**

**— ეს გასაგებია. მაგრამ, ვთქვათ, იგივე ხოსნი მუბარაქის მოცილებამ, რომელიც პროამერიკელი იყო, ხომ უკიდურესად გაურთულა სიცოცხლე რეგიონში ამერიკასაც და ისრაელსაც?**

— ნურას უკაცრავად! ხოსნი მუბარაქს დამთავრებული აქვს მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია. როგორ გგონიათ, ვისი კაცი იყო?

**— რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის.**

— მაგრამ არა ისეთი, როგორიც ამ გამოთქმაში იგულისხმება, არამედ უფრო პირდაპირი და კონკრეტული.




„არაბული გაზაფხული“

**«რევოლუციებს ხელისუფლებაში მუსლიმანური ფუნდამენტალისტები მოჰყავს, რომლებიც პრაქტიკულად უარყოფენ მშვიდობიან ურთიერთობას ისრაელთან. სწორედ «ძმები მუსლიმების» მოძალება გახდა აშკარა ეგვიპტეშიც, ლიბიაშიც»**

**— გადაბირებას და აგენტობას გულისხმობთ?**

— დიახ. მუბარაქმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში განახორციელა ის პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა. ეს ზოგადად. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს კავშირი დაიშალა, გაჟონა ინფორმაციამ, რომ ეგვიპტის ლიდერის ლოიალობა ამერიკისადმი, ისრაელთან ნორმალური დამოკიდებულება „მეორე პლანის მოქმედება“ იყო, რითაც ნიღბავდა ურთიერთობას საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებთან. ინტერესთა-ინტერესიც აქ იდო.

გაჟონა ამ ინფორმაციამ და კიდეც მოხდა სახელმწიფო გადატრიალება ეგვიპტეში. ვისი ხელით, ამას თქვენი მკითხველი თავად მიხვდება.

**— გაეროს რეზოლუციას რუსეთმა მხარი არ დაუჭირა...**

— ვერც დაუჭერდა მიზეზების მთელი იმ კომპლექსის გამო, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვს რუსეთის ინტერესებთან ახლო აღმოსავლეთში. სხვა თუ არაფერი, როგორ ფიქრობთ, იმ უზარმაზარ სამხედრო ბაზებს, რომლებიც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ლატაკიასა და ტარტუსში აქვს, მიატოვებს და აიყრება იქიდან?

**— არა, მაგრამ საქართველოდან ხომ გავიდა?**

— და ისევ დაბრუნდა ცხინვალსა და აფხაზეთში. **ვინც გინდა იყოს რუსეთის ხელისუფლების სათავეში, არ დათმობს ხმელთაშუა ზღვაზე კონტროლის შესაძლებლობას.**

**— ირანის თემას დავუბრუნდეთ. ვთქვათ, ამერიკამ დაიწყო სამხედრო ინტერვენცია ირანის წინააღმდეგ...**

— რას მოიმოქმედებს რუსეთი?

**— დიახ.**

**— გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ ლენინის დროს დაიდო საბჭოთა რუსეთსა და ირანს შორის და რომელიც არ გაუქმებულა, გამორიცხული არ არის, რომ რუსეთმა იმ ხელშეკრულების ვალდებულებათა მიხედვით იმოქმედოს. გაიხსენეთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირმა აქტიურად გამოიყენა ირანის ტერიტორია. ბევრის მთქმელია ისიც, რომ დიდი სამეულის შეხვედრა 1943 წელს სწორედ თეირანში გაიმართა და არსად სხვაგან.**

**— ხვალ რომ დაიწყოს ომი, საქართველო შეეწირება?**

— ღმერთმა არ ქნას, რომ ომი დაიწყოს! არა მგონია, რომ ამერიკა გადავიდეს კრიტიკულ ზღვარს და დაიწყოს ირანის დაბომბვა.

**— მაგრამ ეს ხომ „დემოკრატიის დამყარების“ მიღებულ საშუალებად ითვლება დღეს?**

**— როგორ შეიძლება დემოკრატიის დამყარებაზე ლაპარაკი ისეთ ქვეყნებში, სადაც შეიხს 50 ცოლი ჰყავს?! დარწმუნებული ვარ, რომ, მაგალითად, ავღანეთი არასოდეს გახდება ევროპის ქვეყნების მსგავსი დემოკრატიული სახელმწიფო.**

**— ირანს თუ შეუტევს ამერიკა, თუნდაც დემოკრატიული დროშით, ანალიტიკოსების აზრით, ხალხი მუჰამედ ახმადი ნეჟადის ხელისუფლების მხარეს დადგება...**

— ასე იქნება. ნებისმიერ დემოკრატიას აქ ეროვნული გრძნობები, სამშობლოს დაცვის მოტივი გადაფარავს.

**— ესე იგი, სამხედრო ოპერაცია კრახით დამთავრდება?**

— არ ვიცი. **თუ აშშ მთელ თავის სამხედრო პოტენციალს, მათ შორის, ბირთვულ იარაღსაც გამოიყენებს, შეიძლება წარმატებასაც მიაღწიოს, მაგრამ მაშინ მთელი მსოფლიო დაზარალდება. ასეთ ვითარებაში საქართველოს „დაცულ ტერიტორიად“ ვერ წარმოვიდგენთ.**

აშშ და ისრაელი ირანში №1 მტრებად არიან გამოცხადებულნი. დიდი აგრესია მოდის ირანის მხრიდან. ამიტომაა, რომ აშშ და ისრაელიც მოწადინებულები არიან, დაასცხრონ ეს აგრესია, მათ შორის, სამხედრო ძალითაც. დღეს ვერავინ იტყვის, რით დამთავრდება ეს დაპირისპირება.

პატური სიტუაციაა, საიდანაც გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს.

**«თუ აშშ მთელ თავის სამხედრო პოტენციალს, მათ შორის, ბირთვულ იარაღსაც გამოიყენებს, შეიძლება წარმატებასაც მიაღწიოს, მაგრამ მაშინ მთელი მსოფლიო დაზარალდება. ასეთ ვითარებაში საქართველოს «დაცულ ტერიტორიად» ვერ წარმოვიდგენთ»**

მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

თუ გახსოვთ, ერთხელ ჩვენ ვილაპარაკეთ, თუ როგორ ჩაითრია ამერიკამ რუსეთი ავღანეთთან ომში.

იცით, რა როლი ითამაშა რუსეთმა ერაყის წინააღმდეგ ამერიკის ინტერვენციაში?

**— არა.**

— ყველას ახსოვს, რომ ერაყის წინააღმდეგ ომის მიზეზთა-მიზეზი იყო ვარაუდი, რომ იქ მასობრივი განადგურების იარაღს ამზადებდნენ. მაშინ აშშ-მა რუსეთს ჰკითხა, აქვს თუ არა ინფორმაცია, რომელიც ამას დაადასტურებდა? რუსეთმა დადებითი პასუხი გასცა. მე ცოტა ვაუბრალოებ ამ მომენტს, მაგრამ პრინციპულად ასე იყო.

**— და ასე, ერაყთან ომში ჩათრევით, გადაუხადა რუსეთმა სამაგიერო ამერიკას.**

— თუმცა, ამ პასუხის მიუხედავადაც, აშშ მაინც განახორციელებდა აგრესიას, რომელიც არა მარტო ჩაფიქრებული, არამედ დაგეგმილი და დამუშავებული ჰქონდა. ხელი წაჰკრა, მიდი, ძმაოო...

ირანთან ომის საბაბად კვლავ ბირთვული იარაღის დამზადების საშიშროება არის წამოყენებული. მართლა ამზადებს თუ არა ირანი ატომურ ბომბს, არავინ იცის.

რუსეთი რატომ არ აცხადებს იმავეს, რაც ერაყთან დაკავშირებით დაადასტურა?

იმიტომ, რომ მეზობელი ქვეყანაა, ხელშეკრულება აქვს დადებული და არეულობა, რომელშიც თვითონაც შეიძლება აღმოჩნდეს ჩათრეული, ხელს არ აძლევს.

**ამერიკელებმა, თუ ჭკუა აქვთ, ირანთან ომი არ უნდა დაიწყონ, თუნდაც იმიტომ, რომ შეიძლება დაუპირისპირდნენ ორ უზარმაზარ ქვეყანას — რუსეთსა და ჩინეთს, ინდოეთსაც, სხვათა შორის, რომელიც ირანის ენერგოშემცველების უდიდესი მომხმარებელია.**

**— ესე იგი, რუსეთი და ჩინეთი ირანთან საომარი დაპირისპირების წინააღმდეგია.**

— კი, ასეა. ოფიციალურად ასეცაა განცხადებული, მაგრამ ეგებ სამხედრო დაპირისპირება ხელს აძლევს რუსეთს?

**— რა შემთხვევაში?**

— ვთქვათ, ირანმა ჩაკეტა ორმუზის სრუტე (ამას მეორედ იმუქრება), ვის ნავთობზე გაიზრდება მოთხოვნილება?

**— რუსეთის ნავთობს გულისხმობთ?**

— დიახ. ეს ყველაფერი ქვეტექსტია.

**— ჩვენ რა ვქნათ, ამ პატარა საქართველომ, ვიტრიალოთ ქვეტექსტების ლაბირინთში?**

— მე რატომ მეკითხებით? დაუსვით ეს შეკითხვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ვაშაძეს. ის გიპასუხებთ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## აშშ არაბირთვული ბომბის შექმნაზე მუშაობს

**აშშ სასწრაფო წესით მუშაობს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი არაბირთვული ბომბის შექმნაზე, რომელიც გარანტირებულად გაანადგურებს მიწისქვეშ ან გამოქვაბულებში მდებარე ირანის ყველა ბირთვულ ცენტრსა და საცავს.** ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი მედია ავრცელებს. აშშ-ის კონგრესმა 81,6 მილიონი აშშ დოლარი გამოყო ყველაზე მსხვილი ავიაბომბის მახასიათებლების შეცვლისთვის. პენტაგონის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ეს „კონგრესისთვის წარდგენილი უსწრაფესი მოთხოვნა-გზავნილი იყო და იგი არ გამოქვეყნებულა“.



## ბარაკ ობამა: სირიაში «უსაშინელესი სისხლისღვრაა»

**სირიის არმიის ქმედებებსა და ქალაქ ხომსის დაბომბვას აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „უსაშინელესი სისხლისღვრა“ უწოდა.** ამერიკის ლიდერმა კვლავ მოუწოდა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს თანამდებობიდან გადადგომისკენ. სირიული ოპოზიციის განცხადებით, ხომსში საარტილერიო დაბომბვის შედეგად 50 ადამიანი დაიღუპა. გაეროს მონაცემებით, სირიაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე დაპირისპირებისას დაღუპულთა რაოდენობამ 5 ათასს გადააჭარბა.

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბათუ სალინაძე ოჯახთან ერთად სპეცნაზმა სრულიად უკანონოდ გამოაძევა და მის ქონებას შს სამინისტრო თვითნებურად დაეპატრონა. წელიწად-ნახევრის შემდეგ კი გამომძიებელმა უკანონოდ მითვისებულ შენობაში ჩხრეკა ჩაატარა და იქ არარეგისტრირებული იარაღი „აღმოაჩინა“. ამაზე დიდი ცინიზმი და კანონის აბუჩად აგდება ბევრისმნახველ ადვოკატსაც კი გააოცებს. თქვენ წარმოიდგინეთ, უპატრონო რუსმა, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ 9-წლიანი პატიმრობა წამოჰკიდეს, სასამართლო პროცესზე ორჯერ შეცვალა ჩვენება...**

# ვანო მერაბიშვილის ყოფილი თანაშემწე ხელს ადებს...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4

## სპეცოპერაცია თუ გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მოწმის ლიკვიდაცია?

**— წინა ინტერვიუ სააკაშვილისთვის გაზეთის გამოსაცემად გრანტის თხოვნაზე გაწყვიტეთ... მოგცათ მიხეილმა გრანტი?**

— მე, პროფესორები: ოთარ გამყრელიძე და ზაურ ამილახვარი სააკაშვილს თავის ოფისში ვეახლეთ. ბატონ მიხეილს მაშინ პარლამენტთან ახლოს დიდებული ოფისი „დაეთრია“ (რატომ არ ექნებოდა ამხელა ფულის პატრონს!). ბატონმა ოთარმა შეიცხადა კიდეც — „ბიჭოს! ნახე, რა ოფისი გაუმართიაო!“ ირგვლივ ყველაფერს ეტყობოდა, რომ გამალებული პარტიული მშენებლობა მიმდინარეობდა. ახალი თაობის კომკავშირლები საქმიანად ფუსფუსებდნენ. მისაღებში ბატონმა მიხეილმა ცოტა გვალოდინა და მერე ნანატრი შეხვედრაც შედგა. ხმაურიან პარტიის ლიდერს მშვიდად მოვახსენეთ გულის ნადები, იმანაც მოგვისმინა და გვითხრა: „ზუსტად ახლა ვაპირებ პატიული გაზეთის გამოცემას და შეგიძლიათ ჩვენს გაზეთში ითანამშრომლოთო“. ჩვენც თავი დავღუნეთ და იმედგაცრუებულები წამოვედით. ქუჩაში ბატონმა ოთარმა შემაჩერა და მითხრა: „ზურაბ, ეგ კაცი ნათესავად მეკუთვნის, მაგრამ ჯობია, მაგისგან თავი შორს დავიჭიროთ, ქვეყანას კარგს არაფერს დამართებსო“.

**— და თქვენ რა უპასუხეთ?**

— ცნობილ მეცნიერსა და უაღრესად სპეტაკ მამულიშვილს ტყუილიც კი დაეჯერება, მითუმეტეს უკვე არც მე ვიყავი დიდი წარმოდგენის სააკაშვილზე.

**— ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი პროცესი რომელი გქონიათ?**

— დაუფიქრებლად შემიძლია გითხრათ, რომ ეს გერმანიაში მოგებული სასამართლო პროცესია. ამ პროცესის სირთულე და მნიშვნელობა რამდენიმე გარემოებით იყო განპირობებული: ჯერ ერთი, ეს პროცესი უშუალოდ მე მეხებოდა. რაკი ჩემი ვექილები ჩემს საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, ფაქტობრივად მე ვიყავი საკუთარი თავის ადვოკატი. მეორეც — ჩემი მოწინააღმდეგე თავად გერმანიის სახელმწიფო იყო და მიგრაციის ფედერალური უწყების წარმომადგენელი თავგამოდებით იცავდა ჩვენს „პროდასავლელ“ პრეზიდენტს და რევოლუციურ ხელისუფლებას.

**— როგორ?**

— მაგალითსაც მოგიყვანთ. სასამართლოს წარვუდგინე რამდენიმე გაზეთი, რომლებიც ბატონი მიხეილი ამაყად აცხადებს: **„მე მინდა დავადასტურო, მე გავეცი ბრძანება მესტიას დაპატრონებული ბანდიტების განადგურებისა და ერთი წუთით ამას არ ვნანობ. ეს იყო ბანდა აფრასიძეების, რომელიც აკონტროლებდა მთელ სვანეთს... ჩემი ბრძანებით, ჩემი ვერტმფრენებიდან გახსნილი იქნა ცეცხლი, მათ შორის რაკეტებით... ეს იყო სწორი გადაწყვეტილება“.** საქმეში „ჩახედულმა“ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა ამ არგუმენტთან დაკავშირებით განაცხადა (შემიძლია დოკუმენტურად დავადასტურო მისი მოსაზრება): ჯერ ერთი, ეგ გაზეთი საქვეყნოდ ცნობილი ოპოზიციური და ბულვარული პრესააო, სადაც უამრავ წარმოუდგენელ რამეს წერენო. მეორეც, აფრასიძეებს არავითარი კავშირი არ ჰქონიათ კალაძის საქმესთანო. მესამეც, აფრასიძეების კრიმინალური ოჯახის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლებას სხვა აღარაფერი დარჩენოდა, თუ არა ამგვარი სახის ოპერაციის ჩატარებაო, ამიტომაც საქართველოს პრეზიდენტის ასეთ განცხადებაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავო.

მოსამართლეს პროცესზე პირდაპირ განვუცხადე: „ჩემი რევოლუციონერი პრეზიდენტისგან უკვე აღარაფერი მაოცებს, მე უფრო იმ სახელმწიფოს წარმომადგენლის პოზიცია გამკვირვებია, რომელ სახელმწიფოსაც უდიდესი პრეტენზია აქვს სამართლებრივ სახელმწიფოდ იწოდებოდესთქო“.

**— სხვა არგუმენტები რა ჰქონდათ თქვენ წინააღმდეგ?**

— ერთი ასეთი არგუმენტიც წარმომიდგინეს: კალაძეების ოჯახი ისე მადლიერია საქართველოს ხელისუფლების, რომ კახი კალაძემ ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელთან ერთად ბიზნესი წამოიწყოო და შენ ვისლა ინტერესებს იცავო.

**— და რა პასუხი გაეცით?**

— ვუთხარი: ბატონებო, **უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სიცოცხლესა და თავისუფლებას, ჩემი ოჯახის ინტერესებს ვიცავ;**

**72 წლის პოლკოვნიკ ბათუ სალინაძის ინტერესებს ვიცავ, რომელიც 4 წელია, სრულიად უდანაშაულოდ იხდის სასჯელს;**

**კალაძის საქმესთან დაკავშირებით დახოცილი 11 კაცის სიცოცხლის უფლებას ვიცავ;**

**ჩემი დაქუცმაცებული ქვეყნის ინტერესებს ვიცავ, სადაც უგნურ მმართველთა (სამწუხაროდ, არა მხოლოდ მათი) გამოისობით ძალადობა სახელისუფლო პოლიტიკად ქცეულა;**

**საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებულ ევროპულ ღირებულებებს ვიცავ,** რომელთაც პრეზიდენტი სააკაშვილი გამუდმებით არღვევს და თანაც საჯაროდ გაჰყვირის: „მე მინდა დავადასტურო, მე გავეცი ბრძანება მესტიას დაპატრონებული ბანდიტების განადგურებისა და ერთი წუთით არ ვნანობ ამასო“.



**«ზეწოლა და ძალადობა თავდაპირველად პოლკოვნიკ ბათუ სალინაძის მიმართ განხორციელდა»**

მართალი გითხრათ, საგონებელში ჩავვარდი, ისიც კი გავიფიქრე სააკაშვილისგან ამათ ბერლინის კედლის ერთ-ერთი დამანგრეველი შევარდნაძე არ დაიცვეს და მე ვინლა ვარ-მეთქი. უფალს დიდება, **გერმანიაში კანონი საეჭვო პოლიტიკურ ინტერესზე მაღლა დგას. მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილებით მართლაც დამარწმუნა, რომ გერმანია სამართლებრივი სახელმწიფოა.**

**— მიგრაციის ფედერალურმა უწყებამ არ გაასაჩივრა?**

— საბედნიეროდ, არა. სხვათაშორის, ჩემი გერმანელი მეგობრები მეუბნებოდნენ, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას გაგისაჩივრებენ, მაშინ ტრანსპარანტებით მოვალთ და მიგრაციის შენობის წინ საპროტესტო აქციას გავმართავთო. ძალიან საინტერესო ხალხია გერმანელები: თუ მიგიღეს, გვერდითაც დაგიდგებიან და სიტყვასაც არ გატეხენ. ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მათგან, თუნდაც წესრიგი, კანონისადმი პატივისცემა და შრომისმოყვარეობა. გერმანიაში ვერ ნახავთ დანგრეულ, შელახულ ძველ ეკლესიას ან ისტორიული მნიშვნელობის შენობას. ის ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობ, ომის დროს ინგლისის ავიაციამ მიწასთან გაასწორა. ომის შემდეგ გერმანელებმა ნანგრევებიდან აკრეფილი ქვებით ისევ ძველი ქალაქი აღადგინეს. აქ ყველაფერს ისტორიის ხიბლი დაჰკრავს. ჩვენთან კი რევოლუციონერებმა არა მარტო წარსულს გადაუსვეს ხაზი, არამედ ის თაობები დამარხეს ცოცხლად, ვის მხრებზეც უნდა იდგეს სახელმწიფო.

**— ბატონო ზურაბ, თქვენ იყავით კალაძის ადვოკატი, ახლა კი ხართ პოლიტდევნილი და გერმანიაში ცხოვრობთ. რატომ დატოვეთ საქართველო და რა სახის ზეწოლა ხორციელდებოდა თქვენზე?**

— ზეწოლები და ძალადობები თავდაპირველად პოლკოვნიკ ბათუ სალინაძის მიმართ განხორციელდა. გარკვეული პერიოდი მასთან კონტაქტს ვერიდებოდი და სრულიად დამოუკიდებლად ვაწარმოებდი კალაძის საქმეზე მუშაობას, მისმა თანამებრძოლებმა თითქმის ყველამ მიატოვა. სწორედ მაშინ განაცხადა სასოწარკვეთილმა პოლკოვნიკმა ერთ-ერთ ინტერვიუში: „ჩემი ბოლოდროინდელი დაკვირვებით, ერთ აღმაშფოთებელ დასკვნამდე მივედი. რაგინდ გასაოცარი იყოს, ქურდები ზნეობრივად უფრო მაღლა დგანან შს სამინისტროს ზოგიერთ კორუმპირებულ მაღალჩინოსანზე“. 2006 წლის მარტში როცა ერთ-ერთმა გაზეთმა ჩემთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, მან აღფრთოვანებულმა მითხრა: „ბატონო ზურაბ, გმირი ის კი არა არის, ვინც უეცრად შექმნილ გარემოებაში ჩაიდენს უჩვეულო საქციელს, არამედ ის, ვისაც ნათლად აქვს გაცნობიერებული, თუ რა საშიშროება მოჰყვება მის ქმედებას, მაგრამ ღირსება აიძულებს, საბედისწერო ნაბიჯი გადადგას. შენ ასეთ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნები, ვინაიდან თავიდანვე იცოდი, თუ რა საფრთხე ელოდა იმ ლოდის დამძრავს... მაშინ არ დაგიჯერე, თურმე მართალი ყოფილხარო“.

დაპატიმრებამდე ერთი თვით ადრე ბატონი ბათუ გავაფრთხილე, რომ მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას აპირებდნენ, ვურჩიე, იქაურობას გარიდებოდა და პოლიტიკური თავშესაფარი მოეთხოვა. სამწუხაროდ, არც ამ შემთხვევაში დამიჯერა. მალე იგი დააპატიმრეს და სწორედ ის ბრალდება წამოჰკიდეს, რასაც სხვას იქეთ ედავებოდა.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— აფრასიძეების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია. საფუძვლად კი აი რა დაუდეს: აფრასიძეების მოსამსახურე მურავიოვი „გაპრესეს“ და აიძულეს, ეთქვა, თითქოს ბათუ სალინაძე დაემუქრა და ათქმევინა ლევან კალაძე და მარიამ გოგინაშვილი აფრასიძეებთან იმყოფებოდნენო. შემდეგ ბათუ სალინაძის მოადგილე ვახტანგ ბიბილაია დაიჭირეს და აიძულეს, თავისუფლების სანაცვლოდ თავისი უფროსის საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა. ამას დაუმატეს ახალი შეთითხნილი ბრალდება. ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ **ბათუ სალინაძე ოჯახთან ერთად სპეცნაზმა სრულიად უკანონოდ გამოაძევა და მის ქონებას შს სამინისტრო თვითნებურად დაეპატრონა. წელიწად-ნახევრის შემდეგ კი გამომძიებელმა უკანონოდ მითვისებულ შენობაში ჩხრეკა ჩაატარა და იქ არარეგისტრირებული იარაღი „აღმოაჩინა“. ამაზე დიდი ცინიზმი და კანონის აბუჩად აგდება ბევრისმნახველ ადვოკატსაც კი გააოცებს.** თქვენ წარმოდგინეთ, უპატრონო რუსმა, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ 9-წლიანი პატიმრობა წამოჰკიდეს, სასამართლო პროცესზე ორჯერ შეცვალა ჩვენება და ბათუ სალინაძის წინააღმდეგ ჩვენების გამოძალვაში ირაკლი კოდუას უწყება და კონკრეტულად მისი მოადგილე დავით გოგიბერიძე ამხილა. ასე რომ, პოლკოვნიკის ზემოთ გამოთქმულ შეხედულებას საფუძველი გააჩნია. **ეს უთვისტომო რუსი გაცილებით ზნეობრივი აღმოჩნდა, ვიდრე მაღალჩინოსანი პოლიციელი, რომელმაც ზეწოლას ვერ გაუძლო და ყოფილი უფროსის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მისცა.** სხვათა შორის, ერთი წლის შემდეგ იგივე გოგიბერიძე აიძულებდა ერთ-ერთ ბრალდებულს, ჩემ წინააღმდეგ მიეცა ჩვენება.

**— და ვინ იყო ეს ბრალდებული?**

— ეს პიროვნება ამჟერად პატიმრობაშია, ამიტომ არ მინდა მისი ვინაობა გავამჟღავნო; თავს შევიკავებ იმ პიროვნების დასახელებაზეც, ვინც ამ ფაქტის დამადასტურებელი აუდიოფირი გადმომცა.

**— ბატონო ზურაბ, რა როლს თამაშობდა ამ ყველაფერში შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი?**

— თავად განსაჯეთ. ჩემ მიმართ წამოწყებული ზეწოლების თაობაზე „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუშიც აღვნიშნე. პირველი აშკარა მუქარა და წინააღმდეგობა სწორედ მინისტრის ნდობით აღჭურვილ გოგიბერიძისაგან წამოვიდა. ჩემთვის გასაგები გახდა, რომ კონსპირაციის პირობა დაირღვა, ამიტომაც, ბუნებრივია, ეს ამბავი მეორე დღესვე მოვახსენე მერაბიშვილს. ვუთხარი, რომ ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისი სახელი დაერქმეოდა ლევან კალაძის გატაცების საქმის გახსნას, რომ ჩემს ინტერესში მხოლოდ გამოძიების წარმატებით დასრულება შედიოდა. **შევთავაზე ჟურნალისტის ინფორმაციის გადამოწმება ყველა დაინტერესებული სამსახურის ხელმძღვანელების მონაწილეობით და, თუ ტყეში მართლაც იქნებოდა აფრასიძეე-** ▶

**კალაძეების შემთხვევაში ფულის გადაცემას პოლიცია აკონტროლებდა და ამიტომ ფულის გადაცემა არ მოხდა. გოგინაშვილის შემთხვევაში ფულის გადაცემას ოფიციალურად პოლიცია არ აკონტროლებდა და დამნაშავეებმაც უპრობლემოდ აიღეს ფული და მიიმალნენ. ე.ი ორივე შემთხვევაში დამნაშავეებმა იცოდნენ (ინფორმირებულები იყვნენ), როდის უნდა აეღოთ ფული და როდის არა. მოგვიანებით ზუსტად ასე მოხდა კალაძეების შემთხვევაშიც. როცა კალაძეები მიხვდნენ, უფრო სწორედ მიახვედრეს, რომ პოლიციასთან თანამშრომლობა შედეგს არ მოგიტანთ და ფული მათ გარეშე უნდა გადმოგვცეთო, შედეგმაც არ დააყოვნა და დამნაშავეებმა ფული უპრობლემოდ აიღეს.**

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



კარლო და ლევან კალაძეები

# «კარლო კალაძე ძალიან ემოციური კაცია, თავსდატეხილმა ტრაგედიამ გონება აურია და ხშირად დახვეწილი არამზადები თავის ჭკუაზეც ატარებდნენ»

◀ **ბის იარაღითა და ფულით სავსე ბუნკერი, იქვე კი კალაძის საფლავიც, მაშინ გვეცოდინებოდა, როგორ გადაგვედგა შემდეგი ნაბიჯი, და თუ იქ ვერაფერს აღმოვაჩენდით, მაშინ ნათელი იქნებოდა, რომ კალაძეებიდან 200 000 დოლარის წაღებას სხვა განზრახვა ედო საფუძვლად. მინისტრს ისიც ვუთხარი, რომ ყველა შემთხვევაში ჩვენ იმის გარკვევა აუცილებლად მოგვიწევდა, თუ ვისი გადაწყვეტილებით ჩატარდა სვანეთის სპეცოპერაცია, რომელსაც ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანი მოწმის ლიკვიდაცია მოჰყვა.**

**— რომელი სამსახურები გყავდათ მხედველობაში?**

— ირაკლი კოდუასა და ლევან გვაზავას სამსახურები, ანუ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

**— და რა გითხრათ მინისტრმა მერაბიშვილმა?**

— როგორც საჭიროდ ჩათვალი, ისე იმოქმედეო. მინისტრიდან როგორც კი გამოვედი, ნახევარ საათში გოგიბერიძეს დავურეკე და ვუთხარი, ბატონ ვანოსთან ყველაფერი შეთანხმებულია, სვანეთში ბუნკერის სანახავად უნდა წავიდეთქო. გოგიბერიძემ პირდაპირ მომახალა: „შენთან შეხვედრის არავითარი სურვილი არ მაქვს და ისიც ძალიან კარგად ვიცი, როგორ დაინიშნე მაგ თანამდებობაზე, მალე ყველაფერი გაირკვევაო“ და ტელეფონიც გამითიშა. გაოგნებულმა ისევ მინისტრს მივაკითხე, ის დაფიქრდა და მითხრა დაგიკავშირდებითო.

**— დაგიკავშირდათ ვინმე?**

— კი, რამდენიმე დღეში მართლაც დამირეკა კარლო კალაძემ და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მომახალა — ჩემს საქმეს უნდა ჩამოშორდეო. მივხვდი, რომ კარლოზე ძალიან მაგრად იმუშავეს და ჩემ საწინააღმდეგოდ განაწყვეს. იყო ასეთი შემთხვევაც. ერთხელ იმ ჟურნალისტს შევხვდი, ვინც ბუნკერისა და ლევან კალაძის საფლავის ჩვენებას მპირდებოდა, შეხვედრიდან ნახევარ საათში კარლო კალაძემ დამირეკა და გაბრაზებულმა მითხრა — იმ საფლავში დაგმარხავ, მაგ ქალში როგორ გამცვალეო.

**— რა მოხდა, რამ გააცოფა ასე?**

— მართალი გითხრა, მისგან ეს არ გამკვირვებია.

**— რატომ!?**

— იმიტომ, რომ ვიცოდი, რა მისი ემოციური ბუნების შესახებ, საქმის ირგვლივ მას ყველაფერს არ ვეუბნებოდი. **კარლო კალაძემ, მაგალითად, არ იცოდა ჟურნალისტის ინფორმაცია აფრასიძეების ბუნკერისა და სავარაუდო საფლავის შესახებ, ასევე სხვა მნიშვნელოვანი დეტალები. სამაგიეროდ, კახი კალაძეს ყველაფრის საქმის კურსში ვაყენებდი.** ამ ამბის მერე სასწრაფოდ დავურეკე კახას იტალიაში, მოკლედ ავუხსენი ყველაფერი და ისიც ვუთხარი, თქვენი გულისთვის, იცი, რამხელა რისკზე მივდივარ და თუ შენც მამაშენივით ფიქრობ, მაშინ ახლავე ვწერ განცხადებას, მერაბიშვილის თანაშემწეობა ჩემს პირად ინტერესში არ შედის-თქო. კახამ მითხრა, ძალიან გთხოვ, ამას ნუ იზამ, ჩემს ჩამოსვლას დაელოდე და ყველაფერს გავარკვევო.

**— მოდი ისევ კარლო კალაძეს დავუბრუნდეთ. რაში გამოიხატებოდა კარლო კალაძის ემოციური ბუნება?**

— გითხარით, კარლო კალაძე ძალიან ემოციური კაცია, თავსდატეხილმა ტრაგედიამ გონება აურია და ხშირად დახვეწილი არამზადები თავის ჭკუაზეც ატარებდნენ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. **ლევან კალაძის გატაცებიდან რამდენიმე კვირაში გამტაცებლები, რომლებიც სისტემატურად უკავშირდებოდნენ კარლო კალაძეს და გატაცებულის მათთან ყოფნის უტყუარ მტკიცებულებებსაც უგზავნიდნენ, 65 ათასი დოლარის აღებას დათანხმდნენ და, შესაბამისად, ხობის ოპერაციაც დაიგეგმა. დამნაშავეები დარწმუნებული იყვნენ, ფულს რომ აიღებდნენ და არც არაფერს ერიდებოდნენ. მაგალითად, როცა კარლო კალაძემ ხობის ტყეში შესვლაზე უარი განაცხადა, მაშინ მათ სრულიად უსაფრთხო ობიექტზე — პირველი მაისის ბაქანზე შესთავაზეს ფულის მიტანა. აი ამ დროს მიიღო ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება, ოპერაცია შეეწყვიტათ. რა უნდა გამხდარიყო ამ შემთხვევაში ოპერაციის შეწყვეტის მიზეზი?** კარლოს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა თუნდაც იმიტომ, რომ გამტაცებლებს ფული აინტერესებდათ და არა კარლო კალაძე. ფული დანომრილი იყო, კარლოს მანქანაში ორი პოლიციელი ეჯდა და ოპერატივნიკების არმიაც ახლდა თან. დატოვებდა ფულს ბატონი კარლო ღია ობიექტზე და, რა თქმა უნდა, საქმეც წარმატებით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ, როგორც გითხარით, გაისმა ზემოდან ბრძანება და ოპერაციაც შეწყდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ბატონმა კარლომ დამნაშავეების პირობები არ დაიცვა. დამნაშავეები აფრთხილებდნენ, ფული ისე მოიტანე, კუდი არ მოაყოლო, თორემ თავს დაიღუპავო. ანდა პოლიციამ უკვე მოახდინა დამნაშავეთა გაშიფვრა, მათ სამხილებლად საჭირო მასალის მოპოვება და ოპერაცია შეწყვიტა. სხვა არგუმენტით მათი საქციელის ახსნა ძნელია. ამ ოპერაციის შემდეგ დამნაშავეები მიჩუმდნენ, მაგრამ კარლოს ახლობელი ლეჟავა დაუკავშირდა და უთხრა, ეგ შენი პოლიცია არაფრის მაქნისია, ამ საქმეს ისევ „შავები“ თუ მოუვლიანო. ლეჟავამ კალაძეებს ვინმე კაზინოში მომუშავე ხუნდაძე შეახვედრა და იმანაც აქტიური „მოღვაწეობა“ გააჩაღა ქურდულ სამყაროსთან.

**— და ამ მოღვაწეობას ისინი უსასყიდლოდ ახორციელებდნენ?**

— ლეჟავამ კალაძეებს სახარჯოდ 2000 დოლარი გამოართვა და არც ისინი მჯდარან გულხელდაკრეფილები, ვიღაცებს ხვდებოდნენ. ლეჟავა იმასაც კი ეუბნებოდა კარლო კალაძეს, რომ ამ საქმეში ტარიელ ონიანიც ჩავრთეთ და, თუ გინდა, ამის თაობაზე ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტს თავად შეეხმიანეო. **შუამავლები კალაძეების ნაბიჯსაც ზედმიწევნით აკონტროლებდნენ და რამდენიმეჯერ მიანიშნეს, შეთანხმების პირობები ირღვევაო. ერთხელაც პოლიციასთან თანამშრომლობაში მხილებულმა კარლო კალაძემ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლეჟავამ აცნობა, ტელეფონები ისმინება და პირადად მე საქმეს ჩამომაშორესო, ნერვებმა უმტყუნა, ლეჟავა სცემა და მოკვლითაც დაემუქრა.** დაზარალებულმა ლეჟავამ ამ ძალადობრივი ფაქტის გამო განცხადებით მიმართა სამართალდამცველებს. არც კარლო კალაძე დარჩა ვალში და მისი საჩივრის საფუძველზე მავანი იძულებული გახდა, გაშიფრული თანმშრომლები ხუნდაძე და ლეჟავა თაღლითობის ბრალდებით დაეპატიმრებინა. აი ასე ჩაშაილა მეორე მცდელობა, კალაძეებისაგან როგორმე ფული დაეცანცლათ და, რაც მთავარია, დაიბლოკა მათი ინფორმაციების გადამოწმების შესაძლებლობაც.

**— იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, კიდევ რაში გამოიხატებოდა ხუნდაძისა და ლეჟავას მხრიდან კალაძეების მხილება?**

— ამ კუთხით განსაკუთრებით ხუნდაძე იყო დეტალურად ინფორმირებული. მაგალითად, იგი პირდაპირ ეუბნებოდა კალაძეებს, აი თქვენ გუშინ მინისტრის მოადგილე კახა ბაკურაძეს შეხვდითო. კალაძეები უაროობდნენ, რას ამბობთ, ჩვენ პირობებს როგორ დავარღვევთო. არადა, ეს სრული ჭეშმარიტება იყო. მეტი დამაჯერებლობისთვის ხუნდაძე მათი თანდასწრებით რამდენიმეჯერ ტელეფონით ესაუბრა სამინისტროს მნიშვნელოვან პერსონებს და შს სამინისტროს იმდროინდელ ხელმძღვანელ კახა თარგამაძესთან დაახლოებულ პირებს. უფრო მეტიც, მან პირდაპირ უთხრა კალაძეებს, ჩვენ შავებთანაც კარგად ვართ და წითლებთანაცო.

**— კალაძეებს რომ სამართალდამცავების გარეშე დამნაშავეებისათვის ფული გადაეცათ, ბიჭს დააბრუნებდნენ?**

— მთლად ასეც არ არის, ამ შემთხვევაში ბევრ ფაქტორს აქვს არსებითი მნიშვნელობა. რა მიზანს ისახავდა გამტაცებელი: მხოლოდ ანგარებას თუ სხვა განზრახვა ჰქონდა? მძევლის დაბრუნების შემთხვევაში, ხომ არ ემუქრებოდა მათ საშიშროება და ა.შ. მე თქვენ გატაცების სხვა მაგალითსაც მოგიყვანთ, სადაც ფულის გადაცემას უფრო სავალალო შედეგი მოყვა. პარალელურად ამ საქმესაც ვაწარმოებდი.

**— რომელი გატაცება გაქვთ მხედველობაში?**

— ლევან კალაძის გატაცებიდან ერთი წლის შემდეგ, 2002 წლის მაისში, წყნეთიდან 14 წლის მარიამ გოგინაშვილი გაიტაცეს. მარიამის მამა თამაზ გოგინაშვილი პოლიციის პოლკოვნიკი იყო, დამნაშავეთა სამყაროსთან გადახლართულ სამართალდამცავებსაც კარგად იცნობდა და წინ კალაძის გატაცების მაგალითიც ედო. ამიტომ გამწარებული მამა სასწრაფოდ დაყაბულდა დამნაშავეებს და დაპირებისამებრ 70 ათასი დოლარი თითქმის ქალაქის ცენტრში დათქმულ ადგილზე გადასცა (დაუგდო). დამნაშავეებმა ფული აიღეს, მაგრამ ბავშვი არავის დაუბრუნებია. მიუხედავად სხვადასხვა შედეგისა, ამ ორი საქმიდან საინტერესო დასკვნის გაკეთება შეგვიძლია. **კალაძეების შემთხვევაში ფულის გადაცემას პოლიცია აკონტროლებდა და ამიტომ ფულის გადაცემა არ მოხდა. გოგინაშვილის შემთხვევაში ფულის გადაცემას ოფიციალურად პოლიცია არ აკონტროლებდა და დამნაშავეებმაც უპრობლემოდ აიღეს ფული და მიიმალნენ. ე.ი. ორივე შემთხვევაში დამნაშავეებმა იცოდნენ (ინფორმირებულები იყვნენ), როდის უნდა აეღოთ ფული და როდის არა. მოგვიანებით ზუსტად ასე მოხდა კალაძეების შემთხვევაშიც. როცა კალაძეები მიხვდნენ, უფრო სწორედ მიახვედრეს, რომ პოლიციასთან თანამშრომლობა შედეგს არ მოგიტანთ და ფული მათ გარეშე უნდა გადმოგვცეთო, შედეგმაც არ დააყოვნა და დამნაშავეებმა ფული უპრობლემოდ აიღეს.** არის კიდევ სხვა მომენტებიც. მაგალითად, ორივე შემთხვევაში დამნაშავეების მოძრაობის მარშუტი თითქმის იდენტური იყო და ფაქტებსაც თითქმის ერთსა და იმავე ადგილებზე დებდნენ.

**— ბოლო ბოლო, ვინ არის ამ ფულების ამღები?**

— აი მაგის გარკვევას რომ შევეცადეთ მე და ბათუ სალინაძე, ამიტომაც მოვყევით იმ მძიმე ლოდის ქვეშ.

**— შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გიორგი ბარამიძე რა როლს თამაშობდა ამ საქმეში?**

**— ბატონი გიორგი ბარამიძე უშუალოდ მონაწილეობდა აფრასიძეების სპეცოპერაციაში. მან ზუსტად იცის, სად, რომელ კაბინეტში გადაწყდა და დაიგეგმა ეს სისხლიანი ოპერაცია, თუმცა ყველაფერი ნათელია, ამ დანაშაულებრივ „სამხედრო ოპერაციაზე“ პასუხისმგებლობა უკვე აიღო ბატონმა სააკაშვილმა. უფრო მეტიც, „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე, მოსახლეობას „ბუკლეტები“ დაურიგეს. მასში რევოლუციის 7 დიდი მონაპოვარი იყო ჩამოთვლილი, მათ შორის ერთ-ერთი აფრასიძეების სპეცოპერაცია გახლდათ. ხედავთ როგორმა თავბრუდამხვევმა „წარმატებებმა“ გადაადგმევინეს ნაბიჯი ჩვენს „ყოვლისშემძლე“ პრეზიდენტს, რუსეთის არმიას შერკინებოდა? ეს ყველაფერი სასაცილოა სატირალი, რომ არ იყოს.**

**— მალე 6 წელი გახდება, რაც ბათუ სალინაძე სასჯელს იხდის, თქვენ კი მის საქმეს აწარმოებთ სტრასბურგში. რა პერსპექტივა აქვს საქმეს?**

— აფხაზეთიდან დევნილმა პოლკოვნიკმა ბათუ სალინაძემ თავისი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. ამ ფონზე განსაკუთრებით აღმაშფოთებელია მისი უკანონოდ და ცინიკურად დასჯა. ეს არის თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც უცხადესად ააშკარავებს დამნაშავე ხელისუფალთა სახეს, მათი მმართველობის სტილს. უბრალო ადამიანებს ზოგჯერ ვერ მოსთხოვ, ობიქტურად შეფასოს ესა თუ ის მოვლენა, ვინაიდან ისინი ხშირად თავსმოხვეული საინფორმაციო ველის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. აღშფოთებას უფრო კომპეტენტური ექსპერტებისა და ორგანიზაციების სირაქლემას პოზა იწვევს. მხედველობაში მაქვს გარემოება, როცა მავანი არაჯანსაღი პოლიტიკური ინტერესების გამო თვალს ხუჭავს საქართველოში გამეფებულ უკანონობაზე და ცდილობს, მიჩქმალოს იგი. ასეთ დროს გეუფლება განცდა, რომ დასავლეთს, რომელიც დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობის ფორპოსტია, ყველაფერი წესრიგში არა აქვს. ზოგჯერაც ეჭვი მაწვალებს, რომ აქაც ორმაგი სტანდარტები ბოგინობენ და საყოველთაოდ აღიარებული ევროპული ქარტია მხოლოდ ფარატინა ქაღალდია.

**— რას ეფუძნება თქვენი ეჭვი?**

— ამის საფუძველს მაძლევს პირადი გამოცდილება და განსაკუთრებით ბათუ სალინაძის საქმე. 2010 წლის 27 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მართალია, ბათუ სალინაძის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მაგრამ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გვერდი აუარა უმთავრესი საკითხის განხილვას. კერძოდ, არის თუ არა ბათუ სალინაძე პოლიტიკური დევნის მსხვერპლი და უდანაშაულოდ მსჯავრდებული? უფრო მეტიც, **მხოლოდ სტრასბურგში ჩასვლის შემდეგ გავარკვიე, რომ ბათუ სალინაძის მესამე უმთავრესი საჩივარი, რომელიც მის უკანონო მსჯავრდებას ეხება, განუხილველად არის დატოვებული, ანუ საქმე დახურულია. ამის შესახებ კი არც პატიმრობაში მყოფმა პოლკოვნიკმა და არც მისმა ადვოკატებმა არაფერი იცოდნენ.**

**— ჩვენს ხელისუფლებას სტრასბურგშიც ჰყავს თავისი ლობისტები?.**

— ამ ამბავმა მეც დიდი ეჭვი გამიჩინა. ამგვარი ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით წახალისებული საქართველოს ხელისუფლება არად დაგიდევს თვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას და თავს არიდებს მის აღსრულებას. მხედველობაში მაქვს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ბათუ სალინაძის ოჯახის ბინით უზრუნველყოფის თაობაზე, მდგომარეობა კი საგანგაშოა. უდანაშაულო პოლკოვნიკს ჩვენმა „სამართლის ქურუმებმა“ 7 წელი მიუსაჯეს, თითქმის 6 წელია, იგი ციხეშია გამომწყვდეული. ბათუ სალინაძე მალე 74 წლის გახდება, მისი ჯამრთელობის მდგომარეობა უმძიმესია, ხელისუფლება კი გაუტეხელი პოლკოვნიკის უმოწყალო დასჯას კვლავაც განაგრძობს. ორიოდე კვირის წინ საჩივრით მივმართე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს. მოუთმენლად ველი პასუხს.

**— მას ხომ თუნდაც ასაკის გამო ეკუთვნის ვადაზე ადრე განთავისუფლება?**

— მრავალი გარემოებაა იმისათვის, რომ იგი გაათავისუფლონ, მაგრამ დაჟინებით მოითხოვენ, არარსებული დანაშაული აღიაროს. სამაგიეროდ, გირგვლიანის მკვლელები ჩვენმა „დემოკრატმა“ პრეზიდენტმა, კარგა ხანია, შეიწყალა. აი ეს არის დღევანდელი ხელისუფლების სახე.

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამ წარმატებულმა მაგალითმა დაგვანახა, რომ შესაძლებელია სახელმწიფო და კერძო სექტორების ეფექტიანი თანამშრომლობით მივაღწიოთ იმ მიზანს, როცა მედიცინის სიახლეები, ის ყველაფერი, რისი ნახვაც უწინ მხოლოდ საზღვარგარეთის კლინიკებში შეიძლებოდა და რაც დღეს საქართველოში გვაქვს, ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი მოსახლეობისათვის.





# პოლიტიკის გარეშე და პოლიტიკაზე მაღლა

**ბატონი ფრიდონ თოდუა, ყველას მოეხსენება, საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერია, ანუ პოლიტიკური მოღვაწეა. მაგრამ ფრიდონ თოდუა არის მეცნიერი (მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდენტია), ექიმი, მაშასადამე, — მკურნალი, რაც მოითხოვს, ერთგულებდეს ჰიპოკრატეს ფიცს და უფლებას აძლევს, სამკურნალო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც მისი დაარსებულია და რომელსაც 1991 წლიდან ხელმძღვანელობს, ცვალებადი საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში უმაღლესი ჰუმანური, საერთო-საკაცობრიო პრინციპების საფუძველზე ამუშაოს. ასეთია მისი ცხოვრების წესი. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 10 თებერვალს, როცა მის კლინიკაში უთანამედროვესი, 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფის პრეზენტაცია გაიმართა.**



— ეს ტომოგრაფიული კომპიუტერი, — **თქვა პრეზენტაციაზე მისულმა საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა ოთარ თოიძემ,** — განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა არა მარტო პრაქტიკული მედიცინის თვალსაზრისით, არამედ მეცნიერული აზრისა და კვლევის განვითარების კუთხითაც, რითაც ყოველთვის გამორჩეული იყო და არის ბატონ ფრიდონ თოდუას ინსტიტუტი. ვგულისხმობ სამეცნიერო კადრების აღზრდას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, დახელოვნებას, მეცნიერული კვლევების ჩატარების მაღალ დონეს.

**ბატონმა ოთარმა ეს ფაქტი თავისი მნიშვნელობით ქართული მედიცინისთვის გაგარინის კოსმოსში გაფრენას შეადარა.**

— „ტოშიბას" ფირმასთან გასულ შემოდგომაზე ამ კომპიუტერის შესყიდვაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხიოდ თვეში იაპონელებმა დაგვიმზადეს ეს უნიკალური აპარატი. ჩამოიტანეს, დაამონტაჟეს და დღეს უკვე მუშაობს, — **თქვა „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარში ბატონმა ფრიდონ თოდუამ.**

— დღევანდელი პრეზენტაცია არც პიარაქციაა, არც „უქმი სვლა": თქვენი თანდასწრებით პაციენტს ამ აპარატზე ჩავუტარებთ კორონოგრაფიას.

კომპიუტერული ტომოგრაფები საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში საკმაო რაოდენობითაა, მაგრამ მათი 95 პროცენტი ერთშრიანი, ორშრიანი და ოთხშრიანია, ორი კი — 64-შრიანი.

ჩვენს კლინიკას 16—შრიანი აპარატი ჰქონდა, შემდეგ ჩამოვიტანეთ 128-შრიანი, დღეს კი 640-შრიანის „ხალხში გამოსვლა" ეწყობა. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის სიამაყის საგანი არა მარტო ჩვენი ინსტიტუტისთვის, არამედ მთელი ქართული მედიცინისთვის. შეადარეთ: მოსკოვში ორი 320-შრიანი აპარატია, დანარჩენ პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ დონესთან მიახლოებული — არც ერთი.

**— რითაა გამორჩეული და განსაკუთრებული, ბატონო ფრიდონ, ეს უახლესი კომპიუტერული ტომოგრაფი წინამორბედებისგან?**

— პირველი ისაა, რომ, **რაც უფრო მეტშრიანია კომპიუტერული ტომოგრაფი, მით უფრო ნაკლებ სხივურ დატვირთვას იღებს ადამიანის ორგანიზმი.** ეს კი პირდაპირ უპასუხებს დიაგნოსტიკის მთავარ პრინციპს — არ ავნო ავადმყოფს.

ამ პრინციპს ერთგულებს მსოფლიო სამედიცინო მრეწველობა, უწინარეს ყოვლისა, სამედიცინო ტექნიკის მწარმოებელი ისეთი გიგანტები, როგორებიცაა „ტოშიბა", „სიმენსი", „ჯენერალ ელექტრიკი"...

წარმოიდგინეთ: **რენტგენის მილის ერთი დატრიალებით ეს აპარატი გვაძლევს კორონალური სისხლძარღვების, გულის გამოსახულების ოთხგანზომილებიან სურათს.** ეს ფანტასტიკაა და 640-შრიანი აპარატის კიდევ ერთი განსაკუთრებულობა. ამაზე უკეთესი მსოფლიოში დღეს არაფერი შეუქმნიათ.

1980 წელს მოსკოვში კორონოგრაფიის დანერგვა რომ დავიწყეთ, ჩვენს განკარგულებაში იყო ერთშრიანი აპარატი, და **ერთი ავადმყოფის გამოსაკვლევად 40 წუთი იყო საჭირო. ამ უახლეს აპარატზე გულის სისხლძარღვების გამოკვლევას სჭირდება 0,33 მილისეკუნდი.** პრაქტიკულად ამაზე იხარჯება დრო, რომელიც ადამიანს დასაწოლად და ასადგომად სჭირდება, იმდენად სწრაფი დანადგარია. აქედან გამომდინარე, სხივური დატვირთვაც ნაკლებია.

დღეს ჩვენს კლინიკაში გარდა 64, 128 და 640-შრიანი ტომოგრაფებისა, გვაქვს სამი მაგნიტურ-რეზონანსული ერთნახევრიანი, სამტესლიანი აპარატურა. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც თავმოყრილია ამ პატარა ინსტიტუტში, ევროპული ქვეყნები კი არა, ამერიკის ზოგიერთი კლინიკაც ინატრებდა.

კიდევ ერთი სიახლე დავნერგეთ. საქმე გასტროსკოპიას ეხება. უწინ სტელირიზაციის პროცესი მექანიკური იყო, ხელით რეცხავდნენ. ჩვენთან უკვე დგას „ჯონსონ-ჯონსონის" ფირმის დანადგარი, რომელიც ადამიანის ჩაურევლად აკეთებს ამ საქმეს.

**— ამ აპარატურას თქვენ ყიდულობთ, თუ თქვენთვის ყიდულობენ, ანუ საიდან მოდის თანხები?**

— ვყიდულობთ ჩვენ. ეს არის თანხები, რომლებიც რეინვესტირებულია ჩვენივე შემოსავლებიდან.

ახალი ტომოგრაფის შესაძენად ავიღეთ კრედიტი თი-ბი-სი ბანკიდან. სხვადასხვა ბანკთან გვქონდა ურთიერთობა, მაგრამ მხოლოდ ამ ბანკის ხელმძღვანელობამ გადმოდგა შემხვედრი ნაბიჯი — მოგვცა ხუთწლიანი კრედიტი დაბალი პროცენტით.

**ჩვენს საუბარს შემოესწრება თი-ბი-სი ბანკის მფლობელი მამუკა ხაზარაძე, რომელიც ასე „იმართლებს" თავს:**

— არაფერი განსაკუთრებული ხელშეწყობა! მარტივად რომ ვთქვა, ბატონმა ფრიდონმა იცის, რას აკეთებს. ჩვენ გვჯერა მისი, არა მარტო როგორც გამოცდილი ექიმის, არამედ როგორც გამოცდილი მენეჯერისა და ხელმძღვანელის. ეს კი ურთიერთპარტნიორობის უკვე დიდი ხნის გამოცდილების შედეგია.

**— დაბალი პროცენტი?**

— სამედიცინო სფერო არ არის ის დარგი, სადაც დიდ მოგებას ვეძებთ. მედიცინასთან თანამშრომლობის ეს კონკრეტული ფაქტი გაცილებით უფრო მეტ მოგებას მოგვიტანს — ემოციურს, მორალურ კმაყოფილებას ჩვენც და ყველას, ვისაც ამასთან ექნება შეხება.

**— მორალურ და მატერიალურ კმაყოფილებასაც? — „მერკანტილური აქცენტით" ვაგრძელებ საუბარს ფრიდონ თოდუასთან, — 640-შრიანზე პაციენტის გამოკვლევა ხომ არ აძვირებს მომსახურების ფასს?**

— არა. ფასი პრაქტიკულად იგივე დავტოვეთ, რაც იყო. არავითარი მომატება. პირიქით. კარგად მოგეხსენებათ ჩვენი ხალხის სიდუხჭირე. მეტსაც გეტყვით, კლინიკაში შექმნილი გვაქვს ფონდი, რომლითაც ვაფინანსებთ სოციალურად გაჭირვებული ადამიანების სამედიცინო გამოკვლევებს. შარშან 2 ათასამდე ასეთ ავადმყოფს უფასოდ მოვემსახურეთ.

**სანამ ბატონ ფრიდონის ამ ინტერვიუს ვიწერდი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი კარდიოლოგი ირაკლი მეგრელაძე დეტალურად გაეცნო კომპიუტერული ტომოგრაფის ძირითად პარამეტრებს (პროფესიონალებს დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდებათ ნებისმიერი სიახლის ჭეშმარიტი ღირებულების დასადგენად).**

— შთაბეჭდილება საოცარია. კომპიუტერული ტომოგრაფიის დანერგვით დაიწყო რევოლუციური ეტაპი სამედიცინო კვლევაში. ხოლო ის აპარატურა, რომელიც ბატონ ფრიდონის ინსტიტუტმა ამჯერად შეიძინა, არის კომპიუტერული ტექნიკის სრულყოფის კლასიკური მაგალითი. ამ აპარატის მეშვეობით შეგვიძლია გულის სისხლძარღვები, კორონარები შევაფასოთ არაინვაზიური მეთოდით, ე.ი. სისხლძარღვში შესვლის გარეშე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ჩვენ, კარდიოლოგებს კორონალურ დაავადებაზე გვაქვს ეჭვი, ამ დროს შეგვიძლია თავი ავარიდოთ ინვაზიურ ჩარევას და ამ ტომოგრაფის მეშვეობით უშეცდომოდ და ზუსტად დავადგინოთ, როგორ და რომელი მეთოდით ვუმკურნალოთ ავადმყოფს — სტენტი ჩავუყენოთ თუ ოპერაცია გავუკეთოთ, ე.ი. ვიღებთ სრულფასოვან ინფორმაციას ორიენტაციისთვის.

კომპიუტერული ტომოგრაფია, დიდი ხანია, არსებობს, მაგრამ გულის მკვებავი სისხლძარღვების დანახვის პრობლემა ყოველთვის იდგა დღის წესრიგში. ის, რაც დღეს მივიღეთ, საბოლოოდ გადაწყვეტს ამ საკითხს. საშუალება გვეძლევა, ავადმყოფის ნაკლები ტრამვირებით მივიღოთ წინასწარი მონაცემები დიაგნოზის დასასმელად.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ აპარატურას პოსტოპერატიულ პერიოდში ავადმყოფის მდგომარეობის კონტროლისათვის, დროული და სწორი დახმარების გასაწევად.

ბატონი ფრიდონი, როგორც ყოველთვის, მაგალითს გვაძლევს, თუ როგორ უნდა ვიდგეთ ადამიანებზე ზრუნვის ავანგარდში.

**პრეზენტაციას საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძეც ესწრებოდა.**

**— ბატონო ანდრია, საქართველოში ბევრი გყავთ სამედიცინო დაწესებულების ისეთი ხელმძღვანელი, როგორიც ბატონი ფრიდონ თოდუაა, რომელიც ტვირთად არ აწევს ქვეყნის ბიუჯეტს და თქვენი ხელებში შემყურე არ არის?**

— მინდა გითხრათ, რომ ბატონი ფრიდონი ყოველთვის გამორჩეული იყო. იმ დროსაც კი, როცა ძალიან მძიმე პერიოდი იყო ქართული მედიცინისათვის, ფრიდონ თოდუას კლინიკა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ძალიან მაღალი ორგანიზაციული დონით. უმთავრესად, მისი პირადი დამსახურებაა, რომ მაშინაც კი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყო უთანამედროვესი გამოკვლევები. აქ იყო და არის ქართული რადიოლოგიის სკოლა, რომელმაც ასეულობით სპეციალისტი აღზარდა. ევროპულ რადიოლოგიაში საქართველო ღირსეულად რომ არის წარმოდგენილი, სწორედ ბატონი ფრიდონისა და მისი გუნდის დამსახურებაა. ვფიქრობ, რომ კერძო სამედიცინო დაწესებულების მაგალითმა, როგორიც ბატონ ფრიდონის კლინიკაა, მოგვცა იმ რეფორმების საფუძველი, რომლებიც დღეს საქართველოში ხორციელდება: ამ წარმატებულმა მაგალითმა დაგვანახა, რომ შესაძლებელია სახელმწიფო და კერძო სექტორების ეფექტიანი თანამშრომლობით მივაღწიოთ იმ მიზანს, როცა მედიცინის სიახლეები, ის ყველაფერი, რისი ნახვაც უწინ მხოლოდ საზღვარგარეთის კლინიკებში შეიძლებოდა და რაც დღეს საქართველოში გვაქვს, ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი მოსახლეობისათვის. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა.

**პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ რომან შაქარიშვილის შეფასება კი ასეთია:**

— ბოლო ხანებში ტრივიალური გახდა ფრაზები — „ულტრათანამედროვე" აღჭურვილობა, „სუპერტექნიკა", რაც ხშირ შემთხვევაში სრულიად მოკლებულია რეალურ საფუძველს და მხოლოდ ამპარტავნებითა და ფუჭი ამბიციებითაა ნაკარნახევი. როგორც წესი, ასეთი იარლიყით შემოტანილი ეგრეთ წოდებული უახლესი ტექნიკა ევროპაში 10-15 წლის ხანდაზმულობის აპარატურაა.

ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა უფრო თოდუას ინსტიტუტად იცნობს და რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია, ქართული სამედიცინო საზოგადოების სინამდვილეში, უფრო მეტიც — მთელი ქვეყნის ცხოვრებაში.

თუკი რაიმე ნოვატორული იქმნება მედიცინაში მსოფლიოს წამყვანი კლინიკების დარად, პირველ რიგში ამ ინსტიტუტში ინერგება და იგი მართლაც უნიკალური სამედიცინო დაწესებულებაა, რომელიც ევროპის საუკეთესო ანალოგიური პროფილის კლინიკებს უმშვენებს გვერდს.

მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, ცხადია, არის სამედიცინო ბიზნესის წინსვლის გარანტიაც, მაგრამ კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ აქ კლინიკურ ეფექტიანობაზე ორიენტირება და სამეცნიერო-კვლევითი მოტივაცია უფრო მნიშვნელოვანია: კლინიკური ეფექტიანობისკენ სწრაფვა განსაზღვრავს ყოველ ახალ ნაბიჯს თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლებაში.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და გამოყენების (კარგი გაგებით) აგრესიული სტილი ხელს უწყობს კლინიკური პოტენციალის გაძლიერებას, სპეციალისტების ინტელექტუალურ ზრდას ქვეყნის მასშტაბით. ამიტომაა, რომ სამეცნიერო პუბლიკაციების აკადემიური დონით ინსტიტუტი უპირობო ლიდერია ჩვენი ქვეყნის სამედიცინო მეცნიერებაში, მან აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი სამეცნიერო-კლინიკური ცენტრის სახელი ღირსეულად დაიმკვიდრა.

**ამ საუბარში რომ ვართ, პაციენტი უკვე გამოიკვლიეს და დაუდგინეს, რომ არაფერი განსაკუთრებული არ სჭირს, სტენტირებაზე, შუნტირებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ექიმები შესაფერის მკურნალობას დაუნიშნავენ.**

— გულახდილად რომ გითხრათ, თავიდან ძალიან მეშინოდა, — **ამბობს ქალბატონი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა,** — მაგრამ, როცა ამიხსნეს ამ ახალი ტომოგრაფის მოქმედების პრინციპი, პროცედურის სიმარტივე და საიმედოობა, გადავწყვიტე მოსვლა და მოვედი.

**— რა იგრძენით?**

— არავითარი დისკომფორტი! მითხრეს, რომ შეიძლება ხელში სიმძიმე იგრძნოთო, მაგრამ ესეც არ იყო. მხოლოდ ერთგვარი სიცხე მუცლის ღრუში. ესაა და ეს.

**— შედეგი?**

— როგორც ამბობენ სისხლძარღვების გარკვეული შევიწროვება მაქვს, მაგრამ სტენტის ჩადგმა აუცილებელი არ არის.

**— გილოცავთ!**

**კარგ ფეხზე მოსულა ეს ქალბატონი ფრიდონ თოდუას კლინიკაში.**

**დაბედებოდეს კეთილი ამბები ახალ კომპიუტერულ ტომოგრაფს, რომლის სახელიც ორიგინალში ასე იწერება: Aguillion 640-slice (4d) GT Scanner.**

**არმაზ სანებლიძე**

თეირანსა და თბილისს შორისაც თბილი, მეგობრული ურთიერთობა იყო, ვიდრე ისრაელი საბოლოოდ დაიმორჩილებდა საქართველოს. სააკაშვილის რეჟიმსა და თეირანს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაცივდა მას შემდეგ, რაც ქართულმა სპეცნაზმა, ისრაელის თხოვნით, ირანის ოფიციალური პირი გაიტაცა და, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოში ისრაელის ორი სამხედრო აეროდრომი აშენდა, საიდანაც ისრაელის თვითმფრინავებს ირანზე ბომბების დაშენა შეუძლია.

კონსპიროლოგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ეროვნებით ებრაელი მწერლისა და მკვლევარის, ლევ გუნინის სკანდალური ნაშრომი:

# კავკასია, როგორც ისრაელის ტერიტორიის ნაწილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2-5 (140-143)

**„საქართველოსა და რუსეთს შორის საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ 24 წლის ებრაელი, რომელიც ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში იმყოფება, ცდილობს, ტელეფონით დაუკავშირდეს ქართველ ჯარისკაცებს, რომელთაც ერთი თვის წინ წვრთნიდა. იგი, როგორც სხვა ჩვენი ახალგაზრდა ოფიცერ-რეზერვისტები, განიცდის საკუთარო მოწაფეების გამო, თუმცა იმის გარკვევაც უნდა, შეძლეს თუ არა სპეცდანიშნულების რაზმებმა მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულება“.**

**„ჩვენ ყველანი წარმატებებს ვუსურვებთ მათ, — წერს ეს ინსტრუქტორი, — ბაზები, რომელზეც ჩვენ ჯარისკაცებს ვწვრთნიდით, დანგრეულია. მათ რუსები ბომბავენ. ეს ბაზები არ არის კონფლიქტის ზონაში, მაგრამ რუსებმა ავიადარტყმები ქვეყნის ცენტრალურ ნაწილსა და თბილისის რაიონს მიაყენეს“.**

ეს ინსტრუქტორი საქართველოში ორმა ფირმამ – თადარიგის ბრიგადის გენერლის, ისრაელ ზივის „გლობალ სი-ეს-თი-მ“ და თადარიგის პოლკოვნიკის გალ გირშის „დიფენსის შილდსმა“ გაგზავნეს. ეს დაახლოებით ერთი წლის წინ მოხდა, როდესაც იგი არმიიდან დემობილიზებული იქნა. მისი განცხადებით, მას რეკომენდაცია სამხედრო მეთაურებმა გაუწიეს. „ისრაელის ხელფასების კვალობაზე ეს საკმაოდ კარგი ფული იყო“, — აცხადებს ინსტრუქტორი.

მასთან ერთად საქართველოში ისრაელის არმიის ათეულობით თადარიგის ოფიცერი ჩავიდა, რათა ოთხ თვეში საქართველოს არმიის ქვეითები და სპეცრაზმის მებრძოლები მოემზადებინათ.

**„ვითარება იქ წინასაომარი იყო, — იხსენებს ინსტრუქტორი, — ჩვენ მოგვაწოდეს ძირითადი მონაცემები რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაძაბულობის შესახებ, თუმცა მთავარი ჯარისკაცებთან საუბრის შემდეგ გავიგე. მათგან შევიტყვე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შესახებ. ჩემი აზრით, ომი მოსალოდნელი იყო“.**

ისრაელის ინსტრუქტორები რამდენიმე ბაზაში იყვნენ გადანაწილებულნი. ამ ინსტრუქტორს სპეცრაზმის მებრძოლების მომზადება მოუწია. „ზივი და გირში პერიოდულად ჩამოდიოდნენ იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მიდიოდა მომზადება. ყოველდღიურ სამუშაოს კი ჩვენ ვეწეოდით. ქართველი ჯარისკაცები ძალიან სერიოზულად ეკიდებოდნენ სწავლებას. ცაგალის მებრძოლებს არ შევადარებდი, მაგრამ საკმაოდ კარგად იყვნენ მომზადებულნი. ასაკობრივად უფრო განსხვავებული იყვნენ, ვიდრე ეს ჩვენთანაა: 18-დან 35 წლამდე. კარგად მოქმედებენ. ახალ ამბებს ვუსმენ და ვრწმუნდები, რომ ქართველები სტრატეგიაში გაერკვნენ, როგორც ჩვენ ვასწავლიდით“.

**ისევე, როგორც მიყიდული იარაღის ნაყალბევი სია, ამ შემთხვევაშიც ისრაელის ოფიცრების აღიარებანი ეშმაკური პროვოკაციაა: ისინი ცდილობენ, ისე წარმოაჩინონ ყველაფერი, თითქოს თავად უშუალო მონაწილეობა ბრძოლებში არ მიუღიათ, მაგრამ აგრესიის მზადებაში მონაწილეობა ასევე იმ დანაშაულობათა მტკიცებულებას წარმოადგენს, რომლებიც ოსი და რუსი ხალხის მიმართ იყო ჩადენილი.**

საქართველო ებრაელებისთვის ისრაელის ეიდოლონად, მის ორეულად იქცა, რომელზეც ებრაული სახელმწიფოს რეალობები გადაიტანეს, მისი პრობლემებით ღაზის სექტორში, დასავლეთ ნაპირზე და იერუსალიმის ნახევარში (იგულისხმეთ აფხაზეთი, აჭარა და ოსეთი) და ისინი ბოლომდე იბრძოლებენ მათი ხელდასხმული სააკაშვილისა და მისი ტერიტორიისთვის, თითქოს საქმე თელ-ავივსა და იერუსალიმს ეხებოდეს.

თავდაპირველად ისე მოჩანდა, რომ საქართველოს დამარცხების შემდეგ ისრაელთან ურთიერთობები „გაიყინა“. სააკაშვილის რეჟიმმა ანგარიშები გაუყინა ისრაელის იმ ფირმებს, რომლებმაც კიდევ უფრო დააქციეს საქართველო და ებრაელი ბიზნესმენებიც დააპატიმრა (მათგან ყველაზე მეტად რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის საქმეები გახმაურდა), თუმცა სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელიც ქვეყნის შიგნით ამერიკულ ხიშტებსა და ისრაელის „სპეცნაზზე“ დგას, „ებრაული სახელმწიფოს“ გარეშე გაძლება არ შეეძლო. ამიტომ იმთავითვე ნათელი იყო, რომ ქართული მხარის „შურისძიება“ მხოლოდ ფარსი იყო, რომელიც მიზნად არა ისრაელთან ურთიერთობის გაწყვეტას, არამედ იმას ისახავდა, რომ რაც შეიძლება მეტი დაეცინცლათ ებრაელებისთვის მათთვის მონური მსახურების სანაცვლოდ. ომამდე ხომ ებრაელი პოლიტიკოსები, სამხედროები და ბიზნესმენები საქართველოს მხოლოდ ძარცვავდნენ, სამაგიეროდ კი არაფერს აძლევდნენ. შემთხვევითი არ იყო, რომ ფუქსი და ფრენკელი სააკაშვილმა „მძევლებად“ ამყოფა 2011 წლის 5 დეკემბრამდე, როცა ამ ბანდიტების შეწყალების სანაცვლოდ ისრაელის პრეზიდენტმა პირადად არ გადაუხადა მადლობა! ამგვარად, საქართველო რჩება ისრაელის ყველაზე კარგად კონტროლირებად კოლონიად, მიუხედავად ისრაელის მიმართ მთელი ქართული ელიტის გაცივებისა.

ცნობილი ანალიტიკოსები და პოლიტიკური ჟურნალისტები: რაფაელ ჯონსონი, დან მიხაელი და იულიუს ევოლა ხაზს უსვამენ ერთ ტრაგიკულ გარემოებას, რომელიც ისრაელს ბრალდება. მათი აზრით, **2008 წლის ოსეთის ომმა კიდევ უფრო დააცილა ერთმანეთს ორი მონათესავე ქრისტიანული სახელმწიფო – საქართველო და სომხეთი, რომლებიც თანამშრომლობისა და მეგობრობის ნაცვლად გაუცხოებისა და მტრობის გზას დაადგნენ.**

თუმცა სწორედ ეს იყო ისრაელის მთავარი ამოცანა.

ჯონსონი, მიხაელი და ევოლა ხაზს უსვამენ, აგრეთვე, ყარაბაღში სიტუაციის გამწვავების ღრმა ტრაგიზმს, რაც ასევე ისრაელის ბრალია, რომელიც მუსლიმანურ აზერბაიჯანს სამხედრო მხარდაჭერას უწევს და სომხეთის წინააღმდეგ ამხედრებს. რუსეთმა, თავის მხრივ, სომხეთში საკუთარი ჯარები განალაგა, გიუმრიში სამხედრო ბაზა აქვს და სომხეთის საჰაერო სივრცეს იცავს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით **რუსეთის მიერ ისრაელის „დახმარების“ მიღება აბსურდულად გამოიყურება; ეს ხომ ის სახელმწიფოა, რომელიც ყველა მიმართულებით რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების გზას ირჩევს. კიდევ უფრო ავისმომასწავებლად გამოიყურება ისრაელის საფინანსო-ეკონომიკური და სადაზვერვო ექსპანსია რუსეთის ფედერაციაში, ადამიანის ორგანიზმში ვირუსის შეჭრას რომ წააგავს.**

ხსენებული ავტორების ნაშრომებში 2 საინტერესო პასაჟი გვხვდება: 1. ისრაელის ელჩი რივკა კოენი ადგილობრივი ებრაული თემის მოსადის დივერსიულ-ტერორისტულ და საჯაშუშო ქსელში ჩართვის მთავარი კოორდინატორი იყო და მისი წყალობით თბილისი კავკასიაში მოსადის მთავარ საჯაშუშო ბაზად იქცა; 2. იმ დროს, როცა ისრაელი სამხედრო მეთოდებით უჭერდა მხარს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაპყრობაში, ინგლისელ ებრაელთა ჯგუფი (მოსადის მხარდაჭერით) ჩეჩნეთში ომს აღვივებდა.

პირველი ვიზიტით სააკაშვილი ისრაელში 2004 წელს ჩავიდა, ხაიფას უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიიღო და პატივი მიაგეს როგორც „21-ე საუკუნის განდის“. საგანგებო სახელმწიფო დადგენილებით, ქართულ-ებრაული მეგობრობის კვირეული გამოცხადდა. სააკაშვილმა საქართველო მთლიანად მიჰყიდა უცხო სახელმწიფოებს. ეს არა მარტო 2008 წელს ეხება, არამედ შემდგომ პერიოდსაც: იგი კვლავინდებურად ნიშნავს უმაღლეს თანამდებობებზე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს. მისი პრემიერი გახდა ლადო გურგენიძე, დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, ებრაელი. თავდაცვის მინისტრი – დავით კეზერაშვილი ისრაელის მოქალაქეა, ეკონომიკის მინისტრი – ვერა ქობალია კანადის მოქალაქე, 28 წლისა, ყოველგვარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური გამოცდილების არმქონე. სააკაშვილის მთავრობის ყოფილი მინისტრი თემურ იაკობაშვილი პირწავარდნილი სიონისტი და ისრაელის მოქალაქე ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩად დაინიშნა და ა. შ.

დღემდე (2012 წ.) 2008 წელს სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მხარეებს შორის მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება არის ხელმოწერილი და არა სამშვიდობო ხელშეკრულება, ხოლო ავანტიურისტი სააკაშვილის მმართველობა ახალ სისხლისღვრას მოასწავებს.

2011 წლის ბოლოს ისრაელმა, აფხაზეთის შეიარაღებისა და საქართველოზე წაქეზების პარალელურად, საქართველოს შეიარაღებაც დაიწყო. დახმარება საკონსულტაციო და სადაზვერვო მონაცემების მიწოდებითაც ხდება.

ბევრმა არ მიაქცია ყურადღება ჩემს გაფრთხილებას, რომ ისრაელი რუსეთის საწინააღმდეგოდ კავკასიიდან გიგანტური ნავთობის, წყლისა და გაზის სადენების მიყვანას აპირებს აშკელონამდე და აშდოდამდე, რათა შემდეგ ევროპულ სახელმწიფოებს მიჰყიდოს. სამხრეთ ოსეთის ომი არ ყოფილა ერთჯერადი სამხედრო აფერა, არამედ კავკასიის დაპყრობის საწყისი ეტაპის პირველი მცდელობა იყო.

## 2. „კავკასია? კავკასია უკვე ჩვენია!“

**კნესეტის ერთმა წევრმა კოლეგა პოლიტიკოსს დასმულ შეკითხვაზე ასე უპასუხა: „კავკასია? კავკასია უკვე ჩვენია!“**

ირანულმა ჟურნალმა „ალ ჰაიატ“ ცენტრალურ სტატიაში ვრცელი მასალა გამოაქვეყნა (2011 წ.) „კავკასიაში ისრაელის შემოსვლის შესახებ“. ჟურნალი ციტირებს ირანის პარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებას იმის თაობაზე, რომ საქართველო სავსეა ისრაელის საიდუმლო სამსახურების ხელმძღვანელებითა და აგენტებით, რომლებმაც ამ ქვეყნის ყველა მხარე საკუთარ „საჯაშუშო ბაზებად“ აქციეს. ირანის დაზვერვის მონაცემებით, ისრაელი მასზე დამოკიდებულ რაიონებში ირანის (და, რა თქმა უნდა, რუსეთის) მიმართ სიძულვილის კულტივირებას ახდენს.

ისრაელის საერთაშორისო გაზეთ JSS News-ს ეს მასალა მოტანილი აქვს საკუთარ ფრანგულ სტატიაში (2012 წ. 3-4 იანვარი) და ხაზს უსვამს, რომ ებრაული წარმოშობის პოლიტიკური მოღვაწე და პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის (იგულისხმეთ – საერთაშორისო სიონიზმისთვის) კავკასიის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა. ჟურნალ Le vrai choix-ის ფურცლებზე ბჟეზინსკი 2004 წელს წუხდა, რომ ბაქო-ჯეიჰანი-აშკელონის გაზსადენის გაყვანის სტრატეგიულ სტადიაზე ხელისშემშლელი რუსეთი და ირანია.

სხვა პირწავარდნილი სიონისტი – ჰენრი კისინჯერი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის (იგულისხმეთ – ებრაელებისთვის) კავკასიის უდიდეს მნიშვნელობას აღიარებდა და მოუწოდებდა იქ „ჩვენი“ (იგულისხმეთ – ებრაული) ჰეგემონიის დამყარებისკენ.

კისინჯერმა ჩამოაყალიბა, აგრეთვე, „სამი რევოლუციის“ კონცეფცია (გაზეთი The Washington Post-ის იმავე სახელწოდების სტატია), რომელშიც იწინასწარმეტყველა: 1. ევროპული სახელმწიფოების მცდელობა, თავი დააღწიონ ბრიტანულ-ამერიკულ ჰეგემონიას საერთო-ევროპული კავშირის სასარგებლოდ ტრადიციული სუვერენიტეტის დათმობის ხარჯზე; 2. რადიკალური ისლამის გავრცელება და მის მიერ ტრადიციული ნაციონალური სახელმწიფოს (სუვერენიტეტის) გამორიცხვა და 3. ამერიკის ინტერესების გადანაცვლება ატლანტიკიდან ინდოეთისა და წყნარი ოკეანის მიმართულებით.

კისინჯერის შემოთავაზება იყო, ამ 3 ანტისიონისტური რევოლუციის წინსწრებით პროსიონისტური რევოლუციების ორგანიზება: ისრაელისა და მისი სატელიტების – ბრიტანეთისა და ამერიკის მიერ „ნარინჯისფერი რევოლუციების“ ორგანიზება ისლამის ქვეყნებში, ირანზე სამხედრო დარტყმა და რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ სამხედრო-ეკონომიკური ოპერაციები.

ქვემოთ შევეხებით, თუ რატომ არ უკავშირდება ისრაელის სიძულვილი ირანის მიმართ „ატომურ პროგრამას“, „საფრთხეს ისრაელისთვის“, ირანის პრეზიდენტის ანტიისრაელურ რიტორიკას და გეოპოლიტიკას. ირანს ეს ჩინებულად ესმის და სრულიად მართებულ ინტერპრეტაციას აკეთებს ისრაელის მიერ კავკასიის რეგიონის თანმიმდევრულად ხელში ჩაგდებაზე ყოფილი სპარსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

კავკასიაში ისრაელის ექსპანსიის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა ირანის მიმართ მისი სიძულვილი, რის გამოც მეზობლებთან მისი წაკიდება სწადია.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალმა გენერალურმა დირექტორმა იოსი გალამ გერცლიის (გერცლია და ნეთანია ისრაელის უმაღლესი ელიტის ექსკლუზიური კლუბის ორი ცენტრია) დისციპლინათაშორისი ცენტრის მე-9 კონფერენციაზე განაცხადა, რომ **ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტული ამოცანა კავკასიაში არის: ყველა დიპლომატიური და არადიპლომატიური მეთოდებით ადევნოს თვალი ირანის დიპლომატიურ მცდელობებს მეზობელ ქვეყნებთან და დაბლოკოს ეს მცდელობები დიპლომატიური და არადიპლომატიური (ანუ სამხედრო-ტერორისტული) მეთოდებით.**

„ავუხსნით სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პატარა მეფეებს, რომ ისრაელს მათთვის გაცილებით მეტის მიცემა შეუძლია, ვიდრე ირანს“, — განაცხადა იმავე კონფერენციაზე იოსი გალას მოადგილემ.

**(გაგრძელება იქნება)**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იანვარში მოსკოვმა და დამასკომ ხელი მოაწერეს ახალ კონტრაქტს 36 სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავის „იაკ-130“-ის შესახებ, რამაც ვაშინგტონში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ეს თვითმფრინავები ტერიტორიის თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული იმ პარტიზანების წინააღმდეგ, რომლებიც მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე ემზადებიან სირიაში გადასაგზავნად. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინტერვენტების სადესანტო რაზმების წინააღმდეგ, თუ ისინი ზღვიდან შეეცდებიან გადასვლას.**

# სირია ომის ზღვარზე



**როგორც ყველაფრიდან ჩანს, სირიის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა ახალ ფაზაში გადადის — ქვეყანა ომის ზღვარზეა. ისინი, ვინც ირანზე თავდასხმას გეგმავენ, ცდილობენ, ბაშარ ასადი ჩამოაგდონ. გაეროს უშიშროების საბჭოს იმ რეზოლუციის პროქტზე, რომელიც სირიაში სამხედრო ინტერვენციას გაუხსნიდა გზას, რუსეთისა და ჩინეთის მიერ ვეტოს დადებამ მოსკოვის მისამართით აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მხრიდან მუქარათა კასკადი განაპირობა. ამაზე სწრაფი და ხისტი რეაგირებაა საჭირო, რადგან ინტერვენციის საშიშროება კვლავაც შენარჩუნებულია, აშშ-სა და გერმანიის კვალდაკვალ კი რუსეთისათვის მუქარა მსოფლიო პოლიტიკის ისეთმა ეგზოტიკურმა ქვეყნებმაც არ დაიშურეს, როგორიც ყატარია.**



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გარკვევით ახსნა მიზეზები, რომელთა გამოც მოსკოვმა სირიასთან დაკავშირებული უკანასკნელი დასავლური რეზოლუცია დაბლოკა გაეროს უშიშროების საბჭოში: „ამ რეზოლუციის პროექტში დარჩენილია საკითხები, რომლებიც უნდა დაზუსტდეს და შესწორდეს, რადგან ამჟამინდელი სახით ისინი ნაკლებად რეალიზებადია. მოვიყვან ერთ მაგალითს: სირიის ხელისუფლებისადმი მოთხოვნების საკმაოდ გრძელ ჩამონათვალში ნათქვამია, რომ მან უნდა გაიყვანოს თავისი უშიშროების ძალები, არმიის ქვედანაყოფები ყველა ქალაქიდან და დასახლებული პუნქტიდან და გადაიყვანოს ყაზარმებში. ჩვენ შევთავაზეთ, ჩემი აზრით, სავსებით ბუნებრივი დამატება: ეს უნდა მოხდეს შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან ძალადობის შეწყვეტისა და მათ მიერ მთელი კვარტლების მიტაცების შეწყვეტასთან თანხვედრით. თუ ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის, ეს მოწოდებაა ხელისუფლებისადმი, ცალმხრივად მოახდინოს ქალაქებიდან და სოფლებიდან ევაკუირება. ეს კი ნიშნავს, რომ ან გაეროს უშიშროების საბჭო იღებს არარეალურ რეზოლუციას (რომელი ჭკუათმყოფელი ხელისუფლება გადასცემს უბრალოდ ქალაქებს არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებებს?!), ან, თუ ეს თანაავტორების შეცდომა არაა, უშიშროების საბჭოს სთავაზობენ, ჩაერთოს სამოქალაქო ომში ერთ მხარეს“.

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის დამთავრებისთანავე გაეროში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა სიუზან რაისმა განაცხადა, რომ ამიერიდან სირიის მშვიდობიანი მოქალაქეების სისხლი, რომელიც ასადის რეჟიმის მხეცობების გამო იღვრება, ხელებზე აცხიათ მათ, ვინც რეზოლუციას ეწინააღმდეგება. 7 თებერვალს კი რეისმა უფრო გულახდილად გამოხატა საკუთარი აზრი: **„მე ვფიქრობ, რომ რუსეთიცა და ჩინეთიც ინანებენ, რომ ვეტოს უფლება გამოიყენეს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალ დემოკრატიულ სირიასთან მოუხდებათ საქმის დაჭერა“.**

იმის შესახებ, რომ სწორედ აშშ აფინანსებს ბოევიკებს, რომელთა წყალობითაც იღვრება მშვიდობიანი მოქალაქეების სისხლი სირიაში, ქალბატონი რაისი ჯიუტად დუმს. არადა, სახელლგანთქმული და საბედისწერო „ასადის რეჟიმის მხეცობები“ ამ დრომდე ერთი ფაქტითაც კი არ დადასტურებულა — დაჭრილებისა და დახოცილების თაობაზე ყველა ინფორმაცია ვრცელდება მხოლოდ სირიული „ოპოზიციის“ მონაცემებზე დაყრდნობით!

აშშ-ის წარმომადგენლის მსგავსად და მის კვალდაკვალ, გაეროში გერმანიის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილემ გეორგ შტრაიტერმა ასევე განაცხადა, რომ **რუსეთი და ჩინეთი თავად არიან პასუხისმგებელნი სირიაში სისხლისღვრის გაგრძელების გამო.**

ამავე დროს სირიის ოპოზიციის იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც სირიის საქმეებში სხვა ქვეყნების ჩარევის წინააღმდეგ გამოდიან, ჯიჰადი გამოუცხადეს. ლიბიისა და სირიის ხალხთა მიმართ სოლიდარობის რუსეთს კომიტეტის წარმომადგენლებისათვის გაგზავნილ წერილებში, ისევე, როგორც რუსეთის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის განკუთვნილ გზავნილებში, აღნიშნულია, რომ „ანგარიშსწორების დღე“ ახლოვდება. იქვეა მითითებული ჯიჰადის გამოცხადების შესახებ. წერილებში ხელმოწერის ადგილას მითითებულია „ამბოხი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის წინააღმდეგ მუქარა ყატარმაც კი არ დაიშურა. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციისათვის კენჭისყრის წინა პერიოდში ყატარის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმართა გაეროში რუსეთის მუდმივ წარმომადგენელს, ვიტალი ჩურკინს სიტყვებით: **„მე ვაფრთხილებ რუსეთს, რომ, თუ თავს არ შეიკავებს ვეტოს დადებისაგან და არ მიიღებს გაეროს გადაწყვეტილებას, ის დაკარგავს ყველა არაბულ ქვეყანას“.** ამის საპასუხოდ ჩურკინმა ხმადაბლა წარმოსთქვა: „თუ თქვენ ამგვარად განაგრძობთ ჩემთან საუბარს, დღესვე აღარ იარსებებს ისეთი ცნება, როგორიც ყატარია“.

## ნუთუ მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღის ევროპისა და აშშ-ის დიდ ქალაქებში გამოყენების მუქარა შეაჩერებს მოსალოდნელ ომს?

სამი დღე-ღამის განმავლობაში სირიიდან თავიანთი ელჩები გაიწვიეს ესპანეთმა, იტალიამ, საფრანგეთმა, ბრიტანეთმა, გერმანიამ. აშშ-მა სირიაში საერთოდ დახურა საელჩო და მთელი პერსონალის ევაკუირებაც მოასწრო. 7 თებერვალს სირიიდან ელჩები გაიწვიეს ბაჰრეინმა, კუვეიტმა, ომანმა, ყატარმა, საუდის არაბეთმა და არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა (სპარსეთის ყურის ექვსივე ქვეყანამ, რომლებიც ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოში შედიან).

ამ ყველაფრის პარალელურად **ევროკავშირმა გამოაცხადა, რომ ამზადებს სანქციების მომდევნო პაკეტს სირიასთან მიმართებაში. ზეწოლის განსახორციელებელი ზომების ახალ კომპლექსზე მუშაობა, შესაძლოა, 27 თებერვლამდე უკვე დასრულებული იყოს. როგორც ბრიუსელში მოღვაწე ევროპელ დიპლომატებზე დაყრდნობით მედია იუწყება, შავი სია, შესაძლოა, შეივსოს სირიის ცენტრალური ბანკით, რომლის აქტივებიც, შესაძლოა, გაიყინოს, ყველა ტრანზაქცია კი შეჩერდეს. გარდა ამისა, აკრძალვა ელის ფოსფატების, ძვირფასი ქვების, ოქროსა და ყველა სხვა ძვირფასი მეტალის ექსპორტსა თუ იმპორტს.**

შეგახსენებთ, რომ აშშ-მა და ევროკავშირმა მოიპარეს ლიბიისა და ეგვიპტის მთელი ოქროს სავალუტო რეზერვები, რომლებიც მათ ტერიტორიებზე არსებულ ბანკებში იყო განთავსებული. **აშშ-მა ასევე დაბლოკა, ანუ ასევე მოიპარა, ირანის მთელი სახელმწიფო აქტივები, რომლებიც კი აშშ-ის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. განკარგულება გაცემულ იქნა პირადად აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ.**

სირიის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული იმ რეფერენდუმის შესახებ ცნობა, რომელსაც პრეზიდენტი ბაშარ ასადი, მისივე თქმით, უახლოეს მომავალში ჩაატარებს (ასადმა ამის შესახებ 7 თებერვალს დამასკოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან შეხვედრისას განაცხადა), დასავლეთის მასმედიამ სრული იგნორირებით მიიღო.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, მის ევროპელ მოკავშირეებსა და არაბულ სატელიტებს არანაირი მშვიდობიანი დარეგულირება არ სჭირდებათ. დასავლეთი ომის საშუალებით ეკონომიკური კრიზისის დაძლევას აპირებს. სირია და ირანი თავდასხმის ობიექტები არიან. და სწორედ ამიტომ „გლობალურ საზოგადოებას“ აბსოლუტურად არ აინტერესებს, რას აკეთებენ თეირანი და დამასკო შექმნილი მდგომარეობის მშვიდობიანად დარეგულირებისათვის. **ნუთუ მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღის ევროპისა და აშშ-ის დიდ ქალაქებში გამოყენების მუქარა შეაჩერებს მოსალოდნელ ომს?** მაგრამ ამგვარი საშუალებები ახლა არც სირიას გააჩნია და არც ირანს. დასავლეთის ლიდერების სულსწრაფობა კი გასაგებია — ამისთვის სულ მცირე ორი მიზეზი არსებობს: არჩევნები რუსეთსა და ირანში. სირიაში ომის დაწყება, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის მარტის თვემდე იგეგმება. 2012 წლის 2 მარტს ირანში საპარლამენტო არჩევნები ტარდება, 4 მარტს კი რუსეთი ირჩევს პრესიდენტს. ორივე არჩევნების შედეგების დელეგიტიმაციის მიმართულებით მუშაობა სრული სვლით მიმდინარეობს. დიპლომატიური ბრძოლის სირიულ ფრონტზე ირანსა და რუსეთზე ზემოქმედება მკაცრად სინქრონულად მიმდინარეობს.

ამ სიტუაციაში სირიის საკითხში მოსკოვის მტკიცე პოზიცია იმედის ნიშანია. იანვარში მოსკოვმა და დამასკომ ხელი მოაწერეს ახალ კონტრაქტს 36 სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავის „იაკ-130“-ის შესახებ, რამაც ვაშინგტონში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ეს თვითმფრინავები ტერიტორიის თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული იმ პარტიზანების წინააღმდეგ, რომლებიც მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე ემზადებიან სირიაში გადასაგზავნად. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინტერვენტების სადესანტო რაზმების წინააღმდეგ, თუ ისინი ზღვიდან შეეცდებიან გადასვლას. აგრესორს ძალიან დაამშვიდებდა სირიისა და ირანის შეიარაღებაში „ЗРК С-300“-ის ან უფრო გვიანი მოდელებისა და მათი რაკეტების, გემსაწინააღმდეგო რაკეტებისა და ელექტრონული დაცვის სისტემების არსებობა.

1941 წლის 22 ივნისს ნაცისტური გერმანია ომის გამოცხადების გარეშე დაესხა თავს საბჭოთა კავშირს და ამით საერაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში რაღაც ახალი შემოიტანა. 2012 წლის თებერვალი, როგორც ჩანს, მსოფლიო დიპლომატიას მორიგი ნოვაციებით გაამდიდრებს — დიპლომატიური ურთიერთობების დე ფაქტო გაწყვეტით, ამის დე იურე გაფორმების გარეშე; იმ შეიარაღებული ბანდიტებისა და მოროდიორების „ხელისუფლებად“ აღიარებით, რომელიც ქვეყანას აიღებს და მის ტერიტორიაზე შეიყვანს მესამე ქვეყნების სამხედრო კონტინგენტს მარიონეტების ბანდისათვის დახმარების გასაწევად.

ასეა თუ ისე, სირიაში სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის დაწყებას არავინ დაელოდება. **სირიის სახელმწიფოებრიობის დაშლის იარაღად რაღაც „კოალიციური ძალების“ ინტერვენციაა ჩაფიქრებული. მესამე მსოფლიო ომი, ფაქტობრივად, დაწყებულია და მიმდინარეობს, ჯერჯერობით მასობრივი განადგურების იარაღის გამოუყენებლად.**

fondsk.ru





www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კომპიუტერებმა იმ ადამიანთა ხელში, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჯილდო ადამიანის უმაღლესი მისწრაფებაა და რომ, რაც სწრაფად მიიღებს ამ ჯილდოს, მით უკეთესი, გამოაცარიელეს ჩვენი მენტალური პეიზაჟი. ჩვენი შვილები არ კითხულობენ, ისინი არ წერენ, უბრალოდ, კრეფენ შეტყობინებებს. ისინი არ გეგმავენ და არ ამუშავებენ თამაშებში სტრატეგიებს, უბრალოდ, რეაგირებენ ხმოვან და ვიზუალურ სტიმულებზე. და როდესაც ვეღარ ახერხებენ კონცენტრირებას, ჩვენ მათ ადეროლსა და რიტალინს ვასვემთ.**

# როგორ აგიჟებს და აბრიყვებს ამერიკა თავის შვილებს

**ახლა უკვე ვიცით, რომ კომპიუტერი ბავშვებს სწავლაში არ ეხმარება და აბები — კონცენტრირებაში. კომპიუტერებისა და აბების გამყიდველი კომპანიების ბობოლებმა უკვე აღიარეს საკუთარი მარცხი. 29 იანვარს „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ცნობილმა პროფესორმა, ბავშვების განვითარების სპეციალისტმა განაცხადა, რომ ყურადღებიანობის დეფიციტის საწინააღმდეგო აბები მხოლოდ ზიანის მომტანი იყო სამი მილიონი ამერიკელი ბავშვისათვის, რომელთაც ამ აბებს ასმევდნენ. ყოველ მეათე ამერიკელ მოსწავლეს დასმული აქვს ეგრეთ წოდებული ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის დეფიციტის დიაგნოზი და თითქმის ყველა მათგანს ამის გამო მედიკამენტებით მკურნალობენ.**



რამდენიმე თვის წინ „თაიმსი“ იტყობინებოდა, რომ იმ სკოლებში, რომლებიც კომპიუტერული განათლების სისტემაში ჩაერთნენ, ტესტების შედეგები საგანგაშო აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ბობოლებს არც კი მოფიქრებიათ, რომ სწორედ კომპიუტერები განაპირობებს ყურადღების დეფიციტსა და აშლილობებს. გავრცელებული მოდელის თანახმად, ჩვენი ტვინი არის მანქანა, ამ მანქანის შესახებ ეგრეთ წოდებული მეცნიერება კი გვასწავლის, რომ ტვინის მოქმედება შეიძლება მოვმართოთ მედიკამენტების საშუალებით ან მისი განვითარების სტიმულირება მოვახდინოთ ლოგიკური შესაძლებლობების ციფრული აპროქსიმაციით. **ტვინის შესახებ მეცნიერების პრაქტიკაში გამოყენების დიდებული მაგალითი: შეუსაბამოდ განუვითარებელი და უცოდინარი, არითმეტიკის არმცოდნე, გაღიზიანებული და უბედური ადამიანების მთელი თაობა.**

პროფესორ ალან სროუფის მიერ ADD-აბებით მკურნალობის ზიანის გამოაშკარავება „ნიუ იორკ თაიმსში“ მოიცავს შემდეგ აღიარებას:

„ჯერ კიდევ 1960-იან წლებში მეც, როგორც ფსიქოლოგების უმეტესობა, მივიჩნევდი, რომ ყურადღების კონცენტრირების სირთულეების მქონე ბავშვები ინტელექტის პრობლემებს განიცდიან, რაც გენეტიკური ან სხვა თანდაყოლილი მიზეზებით არის განპირობებული. დახლოებით ისევე, როგორც პირველი ტიპის დიაბეტიკებს ესაჭიროებათ ინსულინი თანდაყოლილი ბიოქიმიური ხასიათის პრობლემების კორექტირებისათვის, ასევე ითვლებოდა, რომ ამ ბავშვებს ესაჭიროებათ აბები, რომელთა საშუალებითაც მათი ყურადღების კონცენტრირების დეფიციტის კორექტირება განხორციელდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ამ თეორიის დამადასტურებელი მტკიცებულებები არც ისე ბევრია, საერთოდ თუ არის“.

ბატონობდა აკადემიური ფსიქოლოგების აზრი, რომ ტვინი სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთი ჯირკვალი, რომელიც ინსულინის ნაცვლად აზრებს გამოყოფს. ეს აღიარება კი იმის ტოლფასია, ვინმეს რომ ეთქვა, ფსიქოლოგებს ტვინის ადგილას კუჭქვეშა ჯირკვალი აქვთო.

ვიღაცას ნამდვილად სურს, რომ ხელში ფანარი აიღოს და ფრანკეშტეინის სასახლეში — ფსიქოლოგის პროფესიული მოღვაწეობის ცნობილ ადგილას წავიდეს. 2005 წელს „სახეებისა და შრომისუუნარობის“ შესახებ კანონის მიღებამდე სკოლებს შეეძლოთ ბავშვები აეძულებინათ, ესვათ აბები, კონკრეტულად — ამფეტამინები და, თუ ამგვარი მკურნალობის წინააღმდეგ მშობლები ხმას ამოიღებდნენ, მათ შვილებს კლასში არ შეუშვებდნენ. უცნობია, რამდენ ბავშვს მიადგა ზიანი სკოლის ფსიქოლოგის კაბინეტში მჯდარი „ჯადოქრების მოსწავლეების“ წყალობით, მაგრამ ახალ კვლევებს შეუძლიათ სასამართლო პროცესების წარმოების საფუძველი უზრუნველყონ. აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგიაში გაბატონებული აზრი ჩამოყალიბდა გიჟებისა და კულტების წარმომადგენლების მიერ. დღის რელიგიური სკოლები, საშინაო სწავლება, მოძრაობა ვალდორფის მსგავსი ალტერნატიული სკოლები ბოდვის ზღვაში ჯანსაღი აზრის კუნძულები აღმოჩნდა.

1960-იანი წლების ფსიქოლოგები იცავდნენ პრინციპს, რომლის თანახმადაც ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში საჭიროა დაუყოვნებელი ჯილდო და ამ დროს ემყარებოდნენ სულელურ დაშვებას, რომ ყველა პირად და სასკოლო პრობლემაში დამნაშავეა ადამიანის მისწრაფების შეკავება, მიიღოს ჯილდო. თუ ბავშვების სწრაფვა ჯილდოს მიღებისაკენ წახალისდებოდა კომპიუტერული მოდელირებით, პროფესორ-ფსიქოლოგების დაკვირვებით, ყურადღების კონცენტრირების დროის ინტერვალი მკვეთრად მცირდებოდა. მათ გაბედეს, ევარაუდათ, რომ ამის საბაბი გენეტიკური ნაკლოვანებებია. ეს ყოველივე ცუდ ფანტასტიკურ ნაწარმოებს ჰგავს, მაგრამ ასეთია ამერიკის ყველა სახელმწიფო სკოლის სტანდარტული სამუშაო მიდგომა.

განათლების ამოცანა სწავლის სწავლებაა. ჩვენ გვავიწყდება უცხო ენის გრამატიკა, ელემენტების სახელწოდებები, პითაგორას თეორემა და ასე შემდეგ, მაგრამ ერთადერთი, რაც არ გვავიწყდება, თუკი ოდესმე ვისწავლეთ, ეს დამახსოვრება, გაანალიზება და ახსნაა. თუ დღეს რომელიმე ჩვენგანმა გეომეტრია იცის, არა იმიტომ, რომ შეინარჩუნა სკოლის ცოდნა, არამედ იმიტომ, რომ განაგრძობს ამ საგნის შესწავლას. მოკლედ რომ ითქვას, **სკოლა კონცენტრირებას გვასწავლიდა.**

**ფსიქოლოგია კი პირიქით, თვლის, რომ ტვინი მანქანაა და მისი ამუშავების საუკეთესო მეთოდი სხვა მანქანის — კომპიუტერის ჩართვაა. კომპიუტერები, ალბათ, არ კლავს ტვინს, მას კლავს ადამიანები კომპიუტერების დახმარებით.** კომპიუტერებმა იმ ადამიანთა ხელში, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჯილდო ადამიანის უმაღლესი მისწრაფებაა და რომ, რაც სწრაფად მიიღებს ამ ჯილდოს, მით უკეთესი, გამოაცარიელეს ჩვენი მენტალური პეიზაჟი. ჩვენი შვილები არ კითხულობენ, ისინი არ წერენ, უბრალოდ, კრეფენ შეტყობინებებს. ისინი არ გეგმავენ და არ ამუშავებენ თამაშებში სტრატეგიებს, უბრალოდ, რეაგირებენ ხმოვან და ვიზუალურ სტიმულებზე. და როდესაც ვეღარ ახერხებენ კონცენტრირებას, ჩვენ მათ ადეროლსა და რიტალინს ვასვემთ.

კლასების კომპიუტერიზაციამ ვერ იმუშავა, ამიტომ განათლების მმართველებმა იმავე მკურნალობის მაღალი დოზების რეკომენდაცია გასცეს. სექტემბერში „ნიუ იორკ თაიმსი“ წერდა, რომ კომპიუტერულმა განათლებამ ვერ მოიტანა მნიშვნელოვანი შედეგები და საერთოდაც თუ რამე შედეგი მოიტანა, მხოლოდ ნეგატიური — **სკოლების კომპიუტერიზაციაში სახსრების ჩაყრის შემდეგ მოსწავლეთა ტესტირების შედეგები მნიშვნელოვნად გაუარესდა.**

**სასკოლო კლასების კომპიუტერებით უზრუნველყოფის იდეით შეპყრობილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი იყო. 1997 წელს მან სკოლებს კომპიუტერების რაოდენობის გაზრდისაკენ მოუწოდა. 15-წლიანი წარუმატებლობის შემდეგ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ თავის ახალ ნაციონალურ გეგმაში მთელი საგანმანათლებლო სისტემის მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვა ბრძანა, ხოლო სტუდენტების სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში — სკოლაში, სახლში, სამსახურში — პერსონალური კომპიუტერები უნდა ჰქონდეთ.**

**ამერიკის ელიტა თავის ნაშიერებს ამგვარი კომპიუტერული ზემოქმედებისთვის არ იმეტებს. ისინიც საკუთარ შვილებს გზავნიან სკოლებში, სადაც კომპიუტერები აკრძალულია მე-9 კლასამდე.** Google-ს, Apple-ს, Yahoo-ს და სხვათა წარმომადგენლები საკუთარ შვილებს ასწავლიან იქ, სადაც სასწავლო ნივთები მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტები კი არა, ქაღალდი და საწერკალამია. არავითარი კომპიუტერი.

დანარჩენი ბავშვები კი კომპიუტერიზებულ სკოლებში სხედან და შექსპირის პერსონაჟებს ემოციების გადმოსაცემად თანამედროვე რეპერების მელოდიებს უსადაგებენ. საეჭვოა, ეს ეგულისხმა შექსპირს თავის დროზე, სამაგიეროდ კარგად გამოდის შექსპირის დამდაბლება მოსწავლეების დონეზე და მისთვის ყველა საშუალების მოსპობა, რომ ეს მოსწავლეები აიყვანოს თავის დონემდე.

არსებობს ასწლოვანი სკოლებიც, რომლებმაც აბსოლუტურად უცვლელად შეინარჩუნეს სახე და ის ფაქტი, რომ კომპიუტერული ერის უნივერსიტეტების მასწავლებელთა დიდი ნაწილი თავიანთ შვილებს სწორედ ამ ალტერნატიული კულტურის ატავიზმებში ასწავლის, ცალსახად მიანიშნებს გაბატონებული წესის დეგრადირებაზე.

რაც შეეხება ადერალსა და რიტალინს, ამ პრეპარატების პოვნა ჩინურ აფთიაქებში შეუძლებელია. თურმე ჩინელი ბავშვები, რომლებსაც დაწყებით სკოლაში რამდენიმე ათასი იეროგლიფი აქვთ დასამახსოვრებელი, ყურადღების დეფიციტისაგან არ იტანჯებიან. ჩინელი ბავშვების ორი მესამედი წარმატებით ამთავრებს საშუალო სკოლას, 50 მილიონი ჩინელი ბავშვი კი დასავლეთის კლასიკურ მუსიკასაც სწავლობს. ჩინეთის განათლების სისტემის ძირითადი ნაწილი მექანიკურ დამახსოვრებას ეფუძნება, ჩინელების უმეტესობას არ აქვს საშუალება, მიიღოს მაღალხარისხიანი განათლება, მიუხედავად ამისა, იმ ჩინელი ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მაღალი დონის უახლეს მიღწევებს ფლობენ, მრავალჯერ აღემატება ამერიკელი ბავშვებისას.

ამერიკა მსოფლიოს უდიდესი, უნიკალური და დალოცვილი ქვეყანაა, ჩინეთს კი კვლავაც მართავს ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც დღემდე მერყეობს სიკეთესა და სისასტიკეს შორის. მაგრამ **ჩვენ, ამერიკელებმა, ჩვენი შვილები გავწირეთ იმ იდეოლოგიისათვის, რომლის თანახმადაც ტვინი მანქანაა.** ამ აბსურდული დოქტრინის შედეგები კი იმდენად დამანგრეველია, რომ ლიბერალურ მმართველ წრეებს არ შეუძლიათ დაიცვან გასული ნახევარი საუკუნის თავიანთი ძირითადი პოლიტიკა. და, რაც ყველაზე უარესია, **ამერიკა სულიერების დეფიციტს თავის მილიონობით შვილს ამფეტამინებით უნაზღაურებს.**

თუ ჩინეთი მსოფლიო ზესახელმწიფოს ადგილს დაიკავებს ამერიკის ნაცვლად, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ მათი შვილები გაცილებით უფრო ჭკვიანები, დაჟინებულები, ამბიციურები და თანმიმდევრულები არიან. ამერიკა კი ვერავის დაადანაშაულებს, საკუთარი თავის გარდა.

**AsiaTimesOnline**






**P.S. „Associated Press“-ის ინფორმაციით, 2012 წლის 2 თებერვალს თეთრმა სახლმა ამერიკულ სკოლებს მოუწოდა, დააჩქარონ ტრადიციული სახელმძღვანელოებიდან გაცილებით თანამედროვე ელექტრონულ წიგნებსა და პლანშეტურ კომპიუტერებზე გადასვლა. განათლების მინისტრმა ანრი დუნკანმა და კავშირგაბმულობის ფედერალური სააგენტოს თავმჯდომარემ ჯულიუს გენაჩოვსკიმ სკოლებისა და ელექტრონული მოწყობილობების მწარმოებელ კომპანიებს მოუწოდეს, ხუთ წელიწადში მოახერხონ მოსწავლეების ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და მათი წასაკითხი საშუალებებით აღჭურვა.**

საქართველო და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ირანის წინააღმდეგ რაიმე სამხედრო მოძრაობის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგენი რუსეთი, ჩინეთი და თურქეთი არიან. ანკარა მიიჩნევს, რომ ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის წამოწყება კატასტროფა იქნება. რაც შეეხებათ მოსკოვსა და პეკინს, მათ უკვე მრავალჯერ გააფრთხილეს ამერიკის შეერთებული შტატები, რომ ირანის წინააღმდეგ ნებისმიერი საბრძოლო მოქმედებების დაწყება სერიოზული შეცდომა იქნება, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება.**

# ირანი: ომი — სანქციების ნაცვლად

**ბოლო კვირების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში მოსალოდნელ ომზე სულ უფრო ხმამაღლა საუბრობენ, მისი ალბათობა კი სულ უფრო რეალური ხდება. ერაყისა და ლიბიის შემდეგ ღრუბლები ირანის თავზე მოგროვდა. მისი ბირთვული პროგრამა, უკვე არაერთი წელია, მოსვენებას არ აძლევს ლამის მთელ დასავლურ სამყაროს და როგორც ჩანს, მდგომარეობა უკვე მივიდა იმ ნიშნულამდე, როდესაც მისი შედეგები შესაძლოა მრისხანე ძალად იქცეს. თეირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის პერსპექტივა ყველაზე მეტად ისრაელს აღელვებს. სწორედ ის ახდენს უკანასკნელ დღეებში მოვლენათა ფორსირებას და ცდილობს, თავისი დასავლელი მოკავშირეები დაარწმუნოს, რომ აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება, მათ შორის საომარი ზომებისაც.**



**«ხანმოკლე ომის» შესაძლო სცენარი ითვალისწინებს ისრაელის წერტილოვან დარტყმებს ხუთი დღის განმავლობაში და შემდგომ დაზავებას გაეროს შუამავლობის შედეგად**

მთელი რიგი გავლენიანი პოლიტიკოსები და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ირანის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყება მხოლოდ დროის საკითხია. ამასთან, ეს დროც არაა განუსაზღვრელი და ომის დაწყება ახლო მომავალში პროგნოზირდება. ცნობილი იტალიელი პოლიტოლოგი ჯულიეტო კიეზა აცხადებს, რომ დღეისათვის ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების ალბათობა 100%-ს უტოლდება.

კიეზის თქმით, თუ ორი-სამი წლის წინ ირანის წინააღმდეგ ომი მხოლოდ ბუნდოვანი პერსპექტივა იყო, ახლა ის პრაქტიკულად გარდაუვალია. **„ეს დიდი და სარისკო ომი იქნება მათთვის, ვინც ამ ომს წამოიწყებს. ირანელი ლიდერების დაუყოვნებლივ განადგურება არ მოხერხდება. ირანი არ გაიმარჯვებს, მაგრამ არც დაუცველი დარჩება“,** — ამბობს ექსპერტი და დასძენს, რომ აშშ-სა და ნატოს სამხედროები არ მიიღებენ მონაწილეობას სახმელეთო ოპერაციებში, მაგრამ გამოყენებულ იქნება პაკისტანისა და ერაყის ძალები. **„სწორედ ამ მიზნით იქმნებოდა დაძაბულობის კერები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში“,** — ამბობს კიეზი.

მიუხედავად ირანის მტკიცებისა, რომ ბირთვული ტექნოლოგიები მას მხოლოდ ელექტროენერგიის წარმოებისათვის ესაჭიროება, დასავლეთის ქვეყნები და ისრაელი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი: ირანი აპირებს ბირთვული პროგრამის გამოყენებას მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად. გასული წლის ნოემბერში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ განაცხადა, რომ ფლობს ინფორმაციას ირანი, მიერ ჩატარებული იმ გამოცდების თაობაზე, რომელთაც „შესაძლოა კავშირი ჰქონდეთ ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის შექმნასთან“. სააგენტომ ასევე განაცხადა, რომ ირანი ბირთვული იარაღის კომპონენტებს ცდის და არ გამორიცხა, რომ ატომური პროგრამის ნაწილი ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქნეს გამოყენებული სამხედრო მიზნებისათვის.

**ექსპერტების შეფასებით, 2011 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით, ირანის განკარგულებაშია 4922 კილოგრამი მცირედგამდიდრებული ურანის ჰექსაფტორიდი, მათ შორის 370 კილოგრამი ნაწარმოებია 2011 წლის 14 აგვისტოს შემდეგ. ეს რაოდენობა იარაღისათვის საჭირო დონემდე გამდიდრების შემთხვევაში საკმარისი იქნება ოთხი ერთეული ბირთვული ჭურვის შესაქმნელად.**

ირანის „არამშვიდობიანი ატომის“ მდგომარეობის შეფასება მოინდომა ისრაელმაც. ქვეყნის სამხედრო დაზვერვის მეთაურმა ავივ კოჩავიმ გამოაცხადა, რომ თეირანს აქვს საკმაო რაოდენობით დაყოფადი მასალები იმისათვის, რომ ოთხი ბირთვული ჭურვი შექმნას, თეირანის მიერ ბრძანების გაცემის შემთხვევაში სამუშაოებს ერთი წელი დასჭირდება. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეხუდ ბარაკმა კი დაამატა, რომ კონკრეტული მოქმედებებისათვის ძალზე მცირე დრო რჩება, რადგან ირანი მიწისქვეშა ბუნკერებში ურანის გამდიდრებას იწყებს. **„ყველა, ვინც აცხადებს „მოგვიანებით“, აღმოაჩენს: მოგვიანებით ძალზე გვიანი იქნება“,** — დაასკვნა ბარაკმა.

2012 წლის დასაწყისში ისრაელის ლიდერები ერთ-ერთი ყველაზე გულახდილი გაფრთხილებით გამოვიდნენ ირანის ბირთვულ ობიექტებზე ავიათავდასხმების შესახებ. ისრაელის თავდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ მსოფლიო სულ უფრო მეტად იხრება აუცილებლობისაკენ, სერიოზულად განიხილოს სამხედრო დარტყმის შესახებ საკითხი. გარდა ამისა, ისრაელელები სულ უფრო ხშირად მიანიშნებენ, რომ შეუძლიათ მარტოდ-მარტოდაც მიიღონ ზომები, თუ უახლოეს თვეებში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდება. იგულისხმება ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შედეგად მომხდარი არსებითი ცვლილებები.

**იმის შესახებ, რომ ისრაელი სერიოზულად განიხილავს საბრძოლო მოქმედებების დამოუკიდებლად წარმოების შესაძლებლობას, ის გარემოებაც მეტყველებს, რომ აშშ საკმაოდ თავშეკავებულად იქცევა ირანში შეჭრის პროპაგანდასთან დაკავშირებით. თეთრი სახლი აღიარებს რეალურ საფრთხეებს, მაგრამ შიშობს, რომ სამხედრო დარტყმა მხოლოდ შეანელებს ირანის ბირთვულ პროგრამას და მძიმე შედეგებს გამოიწვევს. კერძოდ, ომმა შესაძლოა მკვეთრად გაამწვავოს დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში და ნავთობის ფასების ზრდა განაპირობოს. ეს კი თავის მხრივ მთელ მსოფლიო ეკონომიკას ემუქრება სერიოზული პრობლემებით და დიდ საფრთხეს უქმნის ბარაკ ობამას პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევასთან დაკავშირებით.**

ამასთან აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ განაცხადა, რომ ისრაელმა, შესაძლოა, მიმდინარე წლის აპრილიდან ივნისამდე განახორციელოს ირანზე თავდასხმა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაში ვაშინგტონი არ ჩაერევა ისრაელ-ირანის კონფლიქტში, თუ ირანი მაინცდამაინც აშშ-ის ობიექტებზე არ განახორციელებს დარტყმებს. ვაშინგტონი არც გაფრთხილებებს იშურებს, რომ ისრაელის მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებზე დარტყმების შემთხვევაში აშშ თავს მოვალედ ჩათვლის, მოკავშირე დაიცვას.

თავად ისრაელი, საეჭვოა, გრძელვადიან სამხედრო-საბრძოლო მოქმედებებს გეგმავდეს. ირანზე სამხედრო შეტევის მთავარი მოტივი თეირანის ბირთვული პროგრამის შეჩერება იქნება და ძირითადი მიზანიც მისი ყველაზე მგრძნობიარე ობიექტების დაზიანება გახდება. **„ხანმოკლე ომის“ შესაძლო სცენარი ითვალისწინებს ისრაელის წერტილოვან დარტყმებს ხუთი დღის განმავლობაში და შემდგომ დაზავებას გაეროს შუამავლობის შედეგად.**

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შანდელი ანგარიშის შემდეგ, რომელშიც საუბარი იყო ირანის ბირთვულ „მიღწევებზე“, ქვეყნის წინააღმდეგ მთელი რიგი ზომების გატარებას შეუდგნენ. აშშ-მა და ევროკავშირმა მთელი რიგი სანქციები დააწესეს, მათ შორის ირანის ნავთობინდუსტრიის წინააღმდეგაც, 2012 წლის დასაწყისში ევროკავშირმა აშშ-ის კვალდაკვალ მოაწერა ხელი ირანული ნავთობის იმპორტის ემბარგოსა და ქვეყნის ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ შემოღებულ შეზღუდვებს.

**ვაშინგტონი აზიის ქვეყნებსაც მოუწოდებს, შეამცირონ ირანიდან ნავთობის იმპორტი და ამით ზეწოლის გაძლიერებას შეუწყონ ხელი. მაგრამ ამ მოწოდებიდან სულ ცოტა ხანში ინდოეთმა, რომელიც მთელი მოხმარებადი ნავთობის 12 პროცენტს სწორედ ირანიდან იღებს, განაცხადა, რომ იმპორტზე უარის თქმას არ აპირებს. სამხრეთ კორეის ფინანსთა მინისტრმა ბაკ ჩე ვანმა ბრძანა, რომ მის ქვეყანას სანქციებთან მიერთების გადაწყვეტილების მისაღებად დრო სჭირდება. სამხრეთ კორეა ირანიდან მთელი საჭირო ნავთობის 10 პროცენტს ყიდულობს და ამ რაოდენობას მინისტრმა „საკმაოდ დიდი“ უწოდა.**

თავის მხრივ, იაპონია იმედოვნებს, რომ თავისი ბანკებისათვის ირანელ კონტრაგენტებთან მუშაობის უფლებას მიიღებს ნავთობის მიღების შემცირების სანაცვლოდ. აშშ იმ ფინანსურ ორგანიზაციებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან ირანის ცენტრალურ ბანკთან თანამშრომლობაში, საკუთარ ტერიტორიაზე მუშაობას უკრძალავს. მაგრამ სანქციების შესახებ ამერიკულ კანონში გათვალისწინებულია გამონაკლისი იმ ქვეყნების საკრედიტო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებენ ირანიდან ნავთობის შესყიდვას. იაპონიას სწორედ ამით სურს ისარგებლოს: **უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქვეყანამ ირანიდან ნავთობის შესყიდვა 40%-ით შეამცირა. ახლა იაპონელები და ამერიკელები მსჯელობენ, კიდევ რამდენად უნდა შემცირდეს იმპორტი, რომ იაპონიის ბანკებს მიეცეთ უფლება, იმუშაონ როგორც თეირანთან, ასევე ვაშინგტონთან.**

**ირანული არმიის წარმომადგენლებმა უკვე ურჩიეს მეზობლებს, არ გამოაყენებინონ საკუთარი ტერიტორია ისლამური რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილ ძალებს. თეირანი პირობას დებს, რომ თავს დაესხმება ნებისმიერ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაც გამოყენებული იქნება ირანის წინააღმდეგ აგრესიისათვის.** განსაკუთრებით მწვავე რეაქცია ისრაელს ელის. ირანის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში პირობას დებენ: ისრაელი განადგურდება, თუ ირანის ბირთვულ ობიექტებზე დარტყმების მიყენებას გადაწყვეტს.

ამასთან, ისრაელის დაზვერვა ეჭვობს, რომ ბირთვულ ობიექტებზე დარტყმა მოვლენათა კატასტროფული განვითარების საფუძველი გახდება და რომ ირანის მუქარა საპასუხო დარტყმების შესახებ დიდწილად მხოლოდ მუქარაა. ამ შეფასებებს უამრავი ანალიტიკოსი არ ეთანხმება, რადგან ირანის წინაშე, უკვე მრავალი წელია, სამხედრო თავდასხმის საშიშროება დგას და ქვეყნის ხელისუფლებას საკმარისი დრო ჰქონდა, ამ შემთხვევისათვის საკუთარი არმია სათანადოდ მოემზადებინა. მუდმივი მუქარა მხოლოდ სტიმულს აძლევს ირანს, შეიმუშაოს იარაღის ახალი სახეობები და სერიოზულად დაკავდეს თუნდაც ბირთვული იარაღის შექმნით.





**ირანის წინააღმდეგ რაიმე სამხედრო მოძრაობის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგენი რუსეთი, ჩინეთი და თურქეთი არიან. ანკარა მიიჩნევს, რომ ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის წამოწყება კატასტროფა იქნება. რაც შეეხებათ მოსკოვსა და პეკინს, მათ უკვე მრავალჯერ გააფრთხილეს ამერიკის შეერთებული შტატები, რომ ირანის წინააღმდეგ ნებისმიერი საბრძოლო მოქმედებების დაწყება სერიოზული შეცდომა იქნება, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება.**

**ექსპერტები აცხადებენ, რომ საქმე აუცილებლად მივა სამხედრო ინტერვენციამდე, თუმცა არ აკონკრეტებენ იმას — არაბულ სახელმწიფოთა ლიგის თუ რომელიმე სხვა დროშის ქვეშ მოხდება შეჭრა. მათივე აზრით, გარდაუვალია ბაშარ ასადის რეჟიმის დაცემაც, თუმცა ექსპერტებს ამ დრომდე უჭირთ პროგნოზის გაკეთება, თუ რა შედეგებამდე მიიყვანს ეს ქვეყანას. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ თუ გაეროს უშიშროების საბჭოში რაიმე შეთანხმებულ გადაწყვეტილებამდე ვერ მივლენ სირიის საკითხთან დაკავშირებით, მდგომარეობა კატასტროფამდე მივა.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელები საკუთარ ტერიტორიაზე ქუჩის ბრძოლებისთვის ემზადებიან




**22-26 იანვარს ლოს-აჯელესის რაიონში აშშ-ის შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და სხვა სპეცსამსახურების ერთობლივი მუშაობის სწავლებები ჩატარდა. სწავლების მიზანი იყო ამერიკის ძალოვანი სტრუქტურების მომზადება ქუჩის ბრძოლებისათვის.**



როგორც წესი, ნებისმიერი სამხედრო სწავლების ჩატარების აუცილებლობა განპირობებულია ან შესაძლო მოწინააღმდეგისათვის სამხედრო პოტენციალის დემონსტრირების აუცილებლობით, ან საგანგებო ხასიათის მოვლენებისათვის მზადებით. ამ ლოგიკის თანახმად, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ამ ქალაქში ჩატარებული სწავლებები ითვალისწინებს რეალურ საბრძოლო მოქმედებებში ათვისებული სიახლეების გამოყენების შესაძლებლობას.

მეორე მიმანიშნებელი მოვლენა აშშ-ის სამხედრო ბაზა „29 პალმის" ტერიტორიაზე ქალაქის კვარტლების იმიტაციის მშენებლობაა. მასმედიასა და ინტერნეტში გაჟონა ინფორმაციამ, ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა ობიექტის მშენებლობა იმ მოსაზრებით ახსნეს, რომ ეს საშუალებას მისცემს ჯარებს, დახვეწონ აშშ-ის საზღვაო ქვეითების წყაროების ცნობით, ეს ობიექტი 1560 ბუტაფორიულ შენობას მოიცავს. მას შემდეგ, რაც ობიექტის მშენებლობის შესახებ ინფორმაციამ ბრძოლის მეთოდები, რაც შეიძლება ნებისმიერ მომენტში მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გამოადგეთ.

ამასთან, ზოგიერთი ამერიკელი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ობიექტი აშკარად ჩაფიქრებულია როგორც უზარმაზარი ტრენაჟორი ჯარების მოსამზადებლად აშშ-ის ტერიტორიაზე, ამერიკული ქალაქების ქუჩებში ბრძოლების საწარმოებლად.

მათი ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ ქალაქის პირობებში საბრძოლო მოქმედებების წარმოება, ანუ ქუჩის ბრძოლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულად იმ ქვეყნის ქალაქების დაგეგმარების სპეციფიკას, რომლებშიც ეს ბრძოლები იმართება. აღნიშნული აზრის მომხრეები თავიანთ თვალსაზრისს იმით ამტკიცებენ, რომ აშშ-ში, დიდი ხანია, არსებობს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქალაქების იმიტაციები. ახალ მშენებლობას კი ამერიკული ქალაქის ყველა ტიპიური მახასიათებელი აქვს, თანაც მსხვილი საქმიანი და სამრეწველო ქალაქებისა.

**ქალაქი-პოლიგონი 7 განცალკევებულ რაიონს მოიცავს.** მათში არის ოტელები, სავაჭრო ცენტრები და სხვა ობიექტები, რომლებშიც, არსებული ინფორმაციით, ადამიანები მშვიდობიანი მოსახლეობის როლს ასრულებენ. სცენარი ვარირებს ძალოვნების მიერ ჰუმანიტარული და სამშვიდობო ოპერაციების სიახლეების დამუშავებიდან ქუჩის ბრძოლების პირობებში ურთიერთქმედების გავარჯიშებამდე.

**ახალი ობიექტი საშუალებას იძლევა, სწავლებაში ერთდროულად 15 000 სამხედრომ მიიღოს მონაწილეობა.**

კიდევ ერთი მსგავსი ობიექტი, რომელიც ინდიანას შტატში მდებარეობს, ნაკლებადაა ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტს საკუთარი საიტიც კი აქვს.

საქალაქო სასწავლო ცენტრი გაშლილია 4 კვადრატულ კილომეტრზე და აქვს საბრძოლო მოქმედებებში ჩაფლული ქალაქის სრული საწვრთნელი აღჭურვილობა. ახალი საწვრთნელი ბაზა მას ძალიან ჰგავს — იქაც არის საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები, სკოლები და საავადმყოფოები...

უნდა აღინიშნოს, რომ ინდიანას საწვრთნელ ბუტაფორიულ ქალაქთან შეხება აქვს არა მხოლოდ შეიარაღებულ ძალებს, არამედ ეს არის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ერთობლივი მიზნის განხორციელება, მისცენ პირად შემადგენლობას რაც შეიძლება რაელური გამოცდილება ქალაქის პირობებში მისიების შესასრულებლად.

თუ რა ამოცანები დგას ამერიკის სამხედროების წინაშე საკუთარი ქალაქების დაცვისა და მათ ტერიტორიებზე მასშტაბური ჰუმანიტარული ოპერაციების განხორციელების მხრივ, გამოცანად რჩება. **უკვე არსებული იმიტირებული ქალაქების გაფართოება და ახლების მშენებლობა კი იმაზე მიანიშნებს, რომ აშშ-ის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის რიგებში სერიოზულად შიშობენ, რომ იმიტირებულ ქალაქებში სამხედროების მიერ ათვისებული სიახლეები, შესაძლოა, რეალურადაც გახდეს გამოსაყენებელი.**

**ფემას ბანაკების გაფართოებისა და ასიათასობით პლასტიკური კუბოს შესახებ გავრცელებულ ხმებს ემატება ინფორმაცია ამერიკელი სამხედროების მზადების შესახებ, აწარმოონ მსხვილი საბრძოლო და ჰუმანიტარული ოპერაციები საკუთარი ქალაქების ტერიტორიაზე. ეს კი, როგორც ამერიკელი კონსპიროლოგების უმეტესობა მიიჩნევს, უცნაური და შემაშფოთებელია.**

topwar.ru

# აშშ და ევროკავშირი ისლამისტების მხარეს იბრძოლებენ




**ამერიკელები და ევროპელები, შესაძლოა, „ალ ქაიდას" ისლამისტების მხარეს აღმოჩნდნენ. როგორც Corriere della Sera წერს, ამერიკული დაზვერვის ინფორმაციის თანახმად, სირიელი გენერლის, ალ-ჰოულის მკვლელობის უკან „ალ ქაიდა" დგას.**



**აზ-ზავაჰირიმ სირიელებს მოუწოდა, არ ელოდონ დასავლეთის დახმარებას, რადგან, თუ ასეთ დახმარებას საერთოდ მიიღებენ, დასავლეთი ქვეყანაში მარიონეტულ რეჟიმს დაამყარებს**

როგორც კორესპონდენტი იტყობინება, თავიდან ორი თვითმკვლელი ტერორისტი იყო დამასკოსა და ალეპოში, შემდეგ სირიის დედაქალაქში გენერალი ისე ალ-ჰოუნი მოკლეს — სამი შეიარაღებული ადამიანი მოულოდნელად დაესხა თავს. ეს ფაქტი მნიშვნელოვან ხარისხობრივ წინსვლაზე მიანიშნებს და მსგავსი სცენარები შემაშფოთებელია. როგორც გაზეთი წერს, ამ შემთხვევაში საქმეში „ალ ქაიდას" ფაქტორი ჩაერთო.

**„ის ყოველთვის აქაა, იმალება „ომის ნისლში" და მისი დასწრება მიზანმიმართულად იგნორირდება, რათა ხელი არ შეეშალოს სირიელი მეამბოხეებისათვის მხარდაჭერას. ამერიკული დაზვერვის მონაცემებით, დამასკოსა და ალეპოში მომხდარი ტერაქტები „ალ ქაიდას" ირანული განშტოების ნახელავია. ახლა ისტორიული ჯგუფი რეალურ მონაწილეობას იღებს „არაბულ გაზაფხულში", ფენომენში, რომლიდანაც გამორიცხეს",** — წერს სტატიის ავტორი.

ამასთან, ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ აშშ-მა და ევროკავშირმა უნდა იცოდნენ, ვის ეხმარებიან. **„შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ამერიკელები ევროპელებთან ერთად ისლამისტების მხარეს აღმოჩნდნენ. ასე იყო ავღანეთში, შემდეგ ბოსნიაში, ბოლოს კი — ლიბიაში. ახლა იგივე სქემა ეწყობა სირიაშიც. არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც მთლიანად სირიულ ოპოზიციას ეხება. ვაშინგტონში შფოთავენ ამბოხებულებს შორის განხეთქილებისა და განდევნილი ხელმძღვანელობის მხრიდან მათზე კონტროლის არარსებობის გამო".**

შეგახსენებთ, არმიის ბრიგადის გენერალი 11 თებერვალს მოკლეს. მას სამმა ბოევიკმა მაშინ ესროლა, როდესაც გენერალი დამასკოში მდებარე საკუთარი სახლიდან გამოდიოდა. ალ-ჰოუნი ექიმი იყო და სირიის დედაქალაქის სამხედრო ჰოსპიტალის ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა.

სირიაში ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხება 2011 წლის მარტში დაიწყო. ამასთან, „ალ ქაიდას" ხელმძღვანელმა აიმან აზ-ზავაჰირიმ მხარი დაუჭირა სირიის ანტისახელისუფლო გამოსვლებს. ერთ-ერთ ისლამისტურ საიტზე განთავსებულ ვიდეომიმართვაში მან სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის რეჟიმი ანტიისლამურ მიმართულებასა და საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილ დანაშაულებებში ამხილა. მაგრამ, **როგორც ექსტრემისტული ინტერნეტ-ფორუმების მონიტორინგით დაკავებული ამერიკული ორგანიზაცია SITE აცხადებს, აზ-ზავაჰირიმ სირიელებს მოუწოდა, არ ელოდონ დასავლეთის დახმარებას, რადგან, თუ ასეთ დახმარებას საერთოდ მიიღებენ, დასავლეთი ქვეყანაში მარიონეტულ რეჟიმს დაამყარებს.**

სამაგიეროდ, აზ-ზავაჰირიმ სირიელი ამბოხელების დახმარებისაკენ სირიის მეზობელი ქვეყნების მუსლიმანებს მოუწოდა. მოწოდების ადრესატები ერაყის, იორდანიის, ლიბანისა და თურქეთის მუსლიმანები იყვნენ. „ალ ქაიდას" ლიდერმა სირიის ახლანდელ ხელისუფლებას „სიმსივნისმაგვარი რეჟიმი" უწოდა.

ამრიგად, აშშ-სა და მის მოკავშირეებს სირიის კონფლიქტში „ალ ქაიდასთან" მხარდამხარ მოუწევს ბრძოლა. მით უფრო, რომ უკვე დადასტურდა პრეზიდენტ ბაშარ ასადის განცხადებები იმის თაობაზე, რომ ქვეყნის შეიარაღებული ოპოზიციონერები ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირში არიან და მათთან ერთად იბრძვიან დამასკოში ხელისუფლების წინააღმდეგ.

**გაეროს გენერალური ასამბლეა სირიის პრობლემის განსახილველად კიდევ ერთხელ შეიკრიბა. ექსპერტები აცხადებენ, რომ საქმე აუცილებლად მივა სამხედრო ინტერვენციამდე, თუმცა არ აკონკრეტებენ იმას — არაბულ სახელმწიფოთა ლიგის თუ რომელიმე სხვა დროშის ქვეშ მოხდება შეჭრა. მათივე აზრით, გარდაუვალია ბაშარ ასადის რეჟიმის დაცემაც, თუმცა ექსპერტებს ამ დრომდე უჭირთ პროგნოზის გაკეთება, თუ რა შედეგებამდე მიიყვანს ეს ქვეყანას. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ თუ გაეროს უშიშროების საბჭოში რაიმე შეთანხმებულ გადაწყვეტილებამდე ვერ მივლენ სირიის საკითხთან დაკავშირებით, მდგომარეობა კატასტროფამდე მივა.**

ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთისთვის არასასურველი იქნება, თუ ასადის რეჟიმი მთლიანად განადგურდება, რადგანაც სირიასთან მნიშვნელოვანი კონტრაქტებია გაფორმებული.

**ჩინელი ექსპერტები შიშობენ, რომ სირიაში შექმნილი მდგომარეობა მხოლოდ ამ ქვეყანას აღარ ეხება და დასავლეთს აფრთხილებენ, რომ ეს რეგიონული კონფლიქტი უფრო მეტად გაიწელება, ვიდრე ეს ლიბიის შემთხვევაში მოხდა.** მათი განცხადებით, სირიასთან დაკავშირებული სიტუაცია, შესაძლოა, მსხვილმასშტაბიან რეგიონულ კონფლიქტად იქცეს და ეს ყველას შეეხება, მათ შორის, დასავლეთსაც. მით უფრო, რომ ეს კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდება.

არაპოლიტკორექტული სიმართლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინს არ გამოჭქონდა სასიკვდილო განაჩენები, არამედ ეცნობოდა ამ სიებს მათში შესაძლო კორექტივების შეტანის მიზნით. ხრუშჩოვმა ეს შესანიშნავად იცოდა, რადგან შენახულია სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის ს. ნ. კრუგლოვის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილი, რომელიც 1954 წლის 3 თებერვლითაა დათარიღებული. „წინასწარ მომზადებულ განაჩენებზე“ იქ არაფერია ნათქვამი, სამაგიეროდ პირდაპირ მითითებულია: „შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში აღმოჩენილია 383 საქმე „პირების, რომლებიც განეკუთვნება სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ განხილვას“.**




გროვერ ფერი

# 37 წლის გამოცანა

# ანტისტალინური უნამუსობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-5 (139-143)

### „დასახვრეტთა სიები“

ხრუშჩოვი: „დამყარდა მავნე პრაქტიკა, როცა შინსახკომში ადგენდნენ იმ ადამიანთა სიებს, რომელთა საქმეები უნდა განეხილა სამხედრო კოლეგიას და მათ წინასწარ შეუფარდებდნენ განაჩენის ზომას. ამ სიებს ეჟოვი პირადად სტალინს უგზავნიდა სასჯელის შეთავაზებულ ზომებზე სანქციის მისაღებად. 1937-1938 წლებში ათასობით პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, სამხედრო და სამეურნეო მუშაკის 383 ასეთი სია გადაუგზავნეს და მათზე მისი სანქცია მიიღეს“.

ასეთი სიების დედნები ნამდვილად არსებობს, ისინი გამოსაქვეყნებლად მოამზადეს ჯერ კომპაქტდისკებზე, შემდეგ კი განათავსეს ინტერნეტში როგორც „სტალინური დასახვრეტი სიები“. ეს მოხდა 2004 წელს. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს სახელწოდება უზუსტოა და ტენდენციური და, მეორე, კაცმა რომ თქვას, სიები „დასახვრეტების“ სულაც არ იყო.

ხრუშჩოვის გავლენით ანტისტალინისტი რედაქტორები ამ სიებს მიიჩნევენ წინასწარ გამოტანილ „განაჩენებად“. მაგრამ მათივე გამოკვლევები და კომენტარები ადასტურებს, რომ ასეთი დასკვნები უსაფუძვლოა. სინამდვილეში ამ სიებში მოცემული იყო ყველაზე მკაცრი ვერდიქტი, რომლის გამოტანა შეეძლო სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ სამართალში მიცემულს დამნაშავედ მიიჩნევდნენ, ანუ იქ მითითებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მაქსიმალური სასჯელი, რომელიც შეიძლება მიესაჯათ.

არის იმის მაგალითები, როცა სიებში ჩაწერილი ადამიანებისთვის არავითარი სასჯელი არ გამოუტანიათ, ან განაჩენი ნაკლებად მკაცრი მიუღიათ, რასაც მათთვის სასჯელის უმაღლესი ზომა აუცილებლია. მაგალითად, ა. ვ. სნეგოვი, რომელიც ხრუშჩოვის მოხსენებაში ფიგურირებდა და რომელმაც XX ყრილობამდე საღსალამათმა მიაღწია, ორჯერ იყო შეტანილი ასეთ სიებში — 1937 წლის 7 დეკემბრის სიაში, რომელიც ლენინგრადის ოლქს შეეხებოდა, და 1940 წლის 6 სექტემბრის სიაში.

ორივე შემთხვევაში სნეგოვის გვარი ჩაწერილი იყო განსასჯელთა „პირველ კატეგორიაში“, ანუ იმ პირთა სიაში, რომელთა მიმართ შეიძლებოდა გამოეყენებინათ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. მეორე სიას თან ერთვოდა მოკლე ცნობა ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ და იგრძნობოდა, რომ სინამდვილეში ისინი გაცილებით მეტი შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ სნეგოვს არ გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, იგი ხანგრძლივი დროით შრომით ბანაკში განამწესეს.

**სტალინს არ გამოჭქონდა სასიკვდილო განაჩენები, არამედ ეცნობოდა ამ სიებს მათში შესაძლო კორექტივების შეტანის მიზნით.** ხრუშჩოვმა ეს შესანიშნავად იცოდა, რადგან შენახულია სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის ს. ნ. კრუგლოვის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილი, რომელიც 1954 წლის 3 თებერვლითაა დათარიღებული. „წინასწარ მომზადებულ განაჩენებზე“ იქ არაფერია ნათქვამი, სამაგიეროდ პირდაპირ მითითებულია: „შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში აღმოჩენილია 383 საქმე **„პირების, რომლებიც განეკუთვნება სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ განხილვას“.** ეს სიები შედგენილი იყო 1937-1938 წლებში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ და გაგზავნილი იყო საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში **განსახილველად.**

გროვერ ფერი



არაფერი უცნაური არ იყო იმაში, რომ ბრალმდებელი სასამართლოს სხდომაზე მიდიოდა არა მარტო ბრალდების მასალებით ხელში, არამედ განაჩენების რეკომენდაციებითაც, რაც მოსამართლეებს **შეეძლოთ გამოეყენებინათ დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში. ამასთან, ცეკაში განსახილველად იგზავნებოდა მხოლოდ პარტიის წევრთა სიები.**

ხრუშჩოვმა დამალა ფაქტი, რომ თვითონ ურევია იმ სიების შედგენაში, რომლებშიც მითითებული იყო განაჩენების გამოტანის რეკომენდაციები. ხრუშჩოვი მიუთითებს, რომ სიებს შინსახკომში ადგენდნენ, მაგრამ ხმას არ იღებს იმის თაობაზე, რომ **ადგილებზე შინსახკომი პარტიული ორგანიზაციების მხარდამხარ მოქმედებდა და ამ სიებში მოხვედრილი პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა, შეიძლება, უფრო მეტიც, ვიდრე საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა ადგილიდან, სწორედ იქიდან იყო მოწოდებული, სადაც პირველ კაცად ხრუშჩოვი იჯდა.**

1938 წლამდე ხრუშჩოვი მოსკოვის საოლქო და საქალაქო პარტიული კომიტეტების პირველი მდივანი, შემდეგ კი — პარტიის უკრაინის ცკ პირველი მდივანი იყო. მისი წერილი სტალინისადმი, რომელშიც 6500 კაცის დახვრეტას ითხოვს, 1937 წლის 10 ივლისითაა დათარიღებული, იმავე რიცხვითაა დათარიღებული მოსკოვისა და მოსკოვის ოლქიდან წარდგენილი „დასახვრეტთა სია“.

წერილში სტალინისადმი ხრუშჩოვი ადასტურებს თავის მონაწილეობას „ტროიკაში“, რომელიც აღჭურვილი იყო იმ პირების შერჩევის სრული უფლებით, რომლებსაც უნდა შეხებოდა რეპრესიები. იმავე „ტროიკაში“ შედიოდნენ შინსახკომის მოსკოვის ოლქის უფროსი **ს. თ. რედენსი** და მოსკოვის ოლქის პროკურორის მოადგილე კ.ი. მასლოვი. ხრუშჩოვს აუცილებელ შემთხვევაში ჩაენაცვლებოდა მეორე მდივანი **ა. ა. ვოლკოვი**. ეს კაცი ამ თანამდებობაზე 1937 წლის აგვისტომდე მუშაობდა და, შესაძლოა, რომ ამან გადაარჩინა ხრუშჩოვის მსახვრალ ხელს. 1937 წლის 11 აგვისტოს იგი აირჩიეს პარტიის ბელორუსიის ცკ პირველ მდივნად, 1937 წლის ოქტომბრიდან 1940 წლის თებერვლამდე ჩუვაშეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად გადაიყვანეს. 1941 თუ 1942 წელს, როგორც ჩანს, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

**მასლოვი** მოსკოვის ოლქის პროკურორად რჩებოდა 1937 წლის ნოემბრამდე, 1938 წელს დააპატიმრეს, 1939 წლის მარტში დახვრიტეს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. იგივე ბედი ეწია **კ. ი. მამონოვს**, რომელმაც ჯერ მასლოვის ადგილი დაიკავა, შემდეგ კი მასთან ერთად დახვრიტეს. ვერც **რედენსი** გადაურჩა სასჯელს: 1938 წლის ნოემბერში იგი დააპატიმრეს, როგორც „პოლონეთის დივერსიულ-ჯაშუშური ჯგუფის“ მონაწილე, გაასამართლეს და სასამართლოს განაჩენით 1940 წლის 21 იანვარს დახვრიტეს. იანსენი და პეტროვი თავიანთ წიგნში რედენსს მოიხსენიებენ „ეჟოვის კაცად“. ხრუშჩოვის დაჟინებული მოთხოვნით, „დათბობის“ წლებში რედენსი რეაბილიტირებული იყო, მაგრამ კანონიერების ისეთი უხეში დარღვევებით, რომ 1988 წელს მისი რეაბილიტაცია გაუქმდა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვოლკოვის გამოკლებით, **ხრუშჩოვის ყველა უახლოესი თანამებრძოლი, რომლებიც მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში განხორციელებულ რეპრესიებში მონაწილეობდნენ, მკაცრად დასაჯეს. მაგრამ როგორ გადარჩა ხრუშჩოვი? ამის ახსნა საიდუმლოების ბურუსითაა მოცული...**

### საკ. კპ(ბ) ცკ-ის იანვრის (1938) პლენუმის დადგენილება

ხრუშჩოვი: **„პარტიული ორგანიზაციების გარკვეული გაჯანსაღება გამოიწვია საკ. კპ(ბ) ცკ-ის 1938 წლის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, მაგრამ ფართო რეპრესიები 1938 წელსაც გრძელდებოდა“.**

აქ ხრუშჩოვი მიანიშნებს, რომ რეპრესიებს სწორედ სტალინი განაგებდა. მაგრამ ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ დოკუმენტები საწინააღმდეგოს ამტკიცებს: რეპრესიების მასშტაბების უზომოდ გაძლიერება-გაფართოებაში ეჟოვია დამნაშავე, ამ „საქმეში“ ხრუშჩოვის ხელიც ერია, როგორც ერთ-ერთი წამყვანი „რეპრესანტის“. სტალინისა და ცენტრალური კომიტეტის იმ წევრების როლი, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შეთქმულებაში, პარტიისა და ხალხის წინააღმდეგ დამმუხრუჭებელი იყო: ისინი ძალას არ იშურებდნენ, შეეკვეცათ რეპრესიების მასშტაბი და კონტროლი დაეწესებინათ მათზე. ბოლოს და ბოლოს მათმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო — მკაცრად დაისაჯნენ ყველანი, ვის მიმართაც დამტკიცდა, რომ ბრალი მიუძღოდათ უდანაშაულო ადამიანების განადგურებაში, მათ წინააღმდეგ საქმეების ფაბრიკაციაში.

**გეტისა და ნაუმოვის ამომწურავი ანალიზით მტკიცდება, რომ სტალინი და პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობა უკიდურესად შეშფოთებულები იყვნენ რეპრესიების უკონტროლობის პრობლემით.** სწორედ ამის გამო 1938 წლის იანვრის პლენუმზე მოხსნეს პოსტიშევი. ეს საკითხი განხილულია რ. ტერნსტონის წიგნში

სტალინი შეეცადა, მოეთოკა პირველი მდივნები, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ზღვარი დაედო რეპრესიებისთვის.

იანვრის პლენუმზე გამოვიდა მალენკოვი და, როგორც ჩანს, სტალინის მხარდასაჭერად, ილაპარაკა კუიბიშევის ოლქში კომუნისტების პარტიიდან მასობრივად და უსაფუძვლოდ გარიცხვის შესახებ. ამ უკანონობის მთავარი „შემოქმედი“ იყო პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პოსტიშევი. 1938 წლის 9 იანვრის დადგენილებით, მისი ბრალეულობა ხაზგასმით აღინიშნა, დაშვებულ „შეცდომათა“ გამო გამოეცხადა საყვედური და გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

ივან ბენედიქტოვი, რომელიც 1938-1958 წლებში მიწათმოქმედების სახალხო კომისრად, შემდეგ სსრკ სოფლის მეურნეობის მინისტრად მუშაობდა და ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს სხდომებს ხშირად ესწრებოდა, თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ იანვრის პლენუმზე სტალინმა დაიწყო იმ უკანონობის გამოსწორება, რომლებიც რეპრესიების დროს იყო დაშვებული.

1938 წლის იანვარში უკრაინის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელად დაინიშნა ალექსანდრე უსპენსკი, მაგრამ იმავე წლის ბოლოს გამჟღავნა მის მიერ განხორციელებული უკანონობის ფაქტები. ეჟოვმა უსპენსკი გააფრთხილა მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ და მანაც გაითამაშა თვითმკვლელობა და არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. გამოცხადდა მისი საკავშირო ძებნა. დააპატიმრეს 1939 წლის 14 აპრილს.

მიუხედავად იმისა, რა პირადი წვლილი მიუძღვის უსპენსკის უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ საქმეების ფაბრიკაციაში, პასუხისმგებლობა მას და ხრუშჩოვს თანაბრად ეკისრებათ, რადგან ორივე ერთი და იმავე „ტროიკის“ წევრები იყვნენ. **დაპატიმრებულთა დაკითხვების მასალებში ლაპარაკია იმაზე, რომ ეჟოვის მითითებების განსახორციელებლად უსპენსკის დიდი მასშტაბებით აყალიბებდა საქმეებს.**

### „ბერიას ბანდა“

ხრუშჩოვი: **„როცა სტალინი ამბობდა, რომ მავანი დასაპატიმრებელია, უნდა გერწმუნა, რომ იგი „ხალხის მტერია“. ბერიას ბანდა კი, რომელიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში პარპაშობდა, კანიდან ძვრებოდა, მათ მიერ გაყალბებული მასალების საფუძველზე დაპატიმრებული ადამიანების ბრალეულობის დასამტკიცებლად“.**

ეს სიცრუეა. რ. ტერსტონი წვრილად წერს იმის თაობაზე, თუ როგორ დაა-

ბერია, ხრუშჩოვი, სტალინი



არაპოლიტკორექტული სიმართლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბერიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი 1938 წლის ნოემბერში ჩაიბარა, მაშასადამე, „არნახული ლიბერალიზმის“ პერიოდი, რომელსაც უცხოელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, სწორედ მისი ხელმძღვანელობის წლებს ემთხვევა. ხრუშჩოვს, რომელიც პოსპელოვის მოხსენებით ხელმძღვანელობდა თავისი „დახურული მოხსენების“ შედგენის დროს, შეუძლებელია არ სცოდნოდა ეს ფაქტები, მაგრამ გადაწყვიტა, მათთვის გვერდი აევლო, რათა არ მიეცა აუდიტორიისთვის არავითარი საბაბი, დაეჭვებულიყო ისტორიული მოვლენების მისეულ ხედვაში.**



**ხრუშჩოვის ყველა უახლოესი თანამებრძოლი, რომლებიც მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში განხორციელებულ რეპრესიებში მონაწილეობდნენ, მკაცრად დასაჯეს. მაგრამ როგორ გადარჩა ხრუშჩოვი? ამის ახსნა საიდუმლოების ბურუსითაა მოცული...**

მახინჯა ხრუშჩოვმა ყველაფერი, რაც შინსახკომის სათავეში ბერიას მოსვლის შემდეგ მოხდა. მის მოსვლასო, — წერს ტერსტონი, — დაუყოვნებლივ მოჰყვა „გასაოცარი ლიბერალიზმის“ პერიოდი: შეწყდა წამება, დაპატიმრებულებს დაუბრუნდათ მათი კუთვნილი უფლებები. ეჟოვის თანამზრახველებმა დაკარგეს თანამდებობები, ბევრი მათგანი სასამართლოს წინაშე წარსდგა და დამნაშავედ იქნა ცნობილი უკანონო რეპრესიების განხორციელებაში.

**პოსპელოვის მოხსენების თანახმად, ამ პერიოდში დაპატიმრებები მკვეთრად შემცირდა: 1939-1940 წლებში მათი რაოდენობა 1937-1938 წლებთან შედარებით 90 პროცენტზე მეტრად შემცირდა. დახვრეტების რაოდენობა 1937-1938 წლებთან შედარებით 1 პროცენტზე დაბლა დაეცა.**

ბერიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი 1938 წლის ნოემბერში ჩაიბარა, მაშასადამე, „არნახული ლიბერალიზმის“ პერიოდი, რომელსაც უცხოელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, სწორედ მისი ხელმძღვანელობის წლებს ემთხვევა. ხრუშჩოვს, რომელიც პოსპელოვის მოხსენებით ხელმძღვანელობდა თავისი „დახურული მოხსენების“ შედგენის დროს, შეუძლებელია არ სცოდნოდა ეს ფაქტები, მაგრამ გადაწყვიტა, მათთვის გვერდი აევლო, რათა არ მიეცა აუდიტორიისთვის არავითარი საბაბი, დაეჭვებულიყო ისტორიული მოვლენების მისეულ ხედვაში.

**ბერიას მიერ შინსახკომის ხელმძღვანელობის პერიოდს დაემთხვა იმ პირების სასამართლო პროცესები, რომლებსაც ბრალი ედებოდათ უკანონო რეპრესიებში, მასობრივ წამებასა და სისხლის სამართლის საქმეთა ფალსიფიცირებაში. ხრუშჩოვმა ეს იცოდა, მაგრამ ამის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავს.**

## „შიფროტელეგრამა წამებათა შესახებ“

თავის დახურულ მოხსენებაში ხრუშჩოვი აღნიშნავდა, რომ, როცა 1939 წელს რეპრესიების ტალღა დაცხრა და ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა შინსახკომის თანამშრომლებს პრეტენზიები წაუყენეს დაპატიმრებულთა მიმართ ფიზიკური ზემოქმედების გამო, 1939 წლის 10 იანვარს სტალინმა დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა საოლქო, სამხარეო, ეროვნული კომპარტიების ცკ მდივნებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრებს, შინსახკომის სამმართველოების უფროსებს. მასში აღნიშნული იყო: **„საკ. კპ (ბ) ცკ განმარტავს, რომ ფიზიკური ზემოქმედების პრაქტიკა შინსახკომის პრაქტიკაში დაშვებული იყო 1937 წლიდან საკ. კპ(ბ) ცკ ნებართვით... ცნობილია, რომ ყველა ბურჟუაზიული დაზვერვა იყენებს ფიზიკურ ზემოქმედებას სოციალისტური პროლეტარიატის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, თანაც უსაზიზღრესი ფორმებით. საკითხავია, რატომ უნდა იყოს სოციალისტური დაზვერვა უფრო ჰუმანური ბურჟუაზიის პირწავარდნილი აგენტების მიმართ, მუშათა კლასისა და კოლმეურნეთა დაუნდობელი მტრების მიმართ. საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ფიზიკური ზემოქმედების მომენტი კვლავაც უნდა იყოს გამოყენებული, როგორც გამონაკლისი, ხალხის აშკარა და განუიარაღებელი მტრების წინააღმდეგ, როგორც სავსებით გამართლებული და მიზანშეწონილი მეთოდი“.**

ამრიგად, სოციალისტური კანონიერების ყველაზე უხეში დარღვევები სანქცირებული იყო სტალინის მიერ ცეკას სახელით.

ხრუშჩოვი საგანგებოდ შეეცადა, შეცდომაში შეეყვანა მსმენელები მინიმუმ ოთხ შემთხვევაში:

— **დეპეშის ტექსტიდან ამოგდებული იყო უკიდურესად მნიშვნელოვანი ნაწილები, რადგან ისინი არ ესადაგებოდა „დახურული წერილის“ მიზნებს.**

— **ხრუშჩოვმა დამალა, რომ ტელეგრამის ტექსტი, რომელიც მას ხელთ ჰქონდა, არასოდეს და არსად არ გაუგზავნიათ. თავისთავად დოკუმენტი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი გამზადებულია არა 1939 (როგორც დეპეშის ტექსტშია მითითებული), არამედ 1956 წელს.**

— **ხრუშჩოვმა არაფერი თქვა ე.წ. დეპეშის ტექსტის სხვა, დამაეჭვებელ თავისებურებებზე, რომლებიც ჩვენთვის სკკპ ცკ 1957 წლის პლენუმის სტენოგრამებითაა ცნობილი, და ეხება მალენკოვის, მოლოტოვისა და კაგანოვიჩის „ანტიპარტიული ჯგუფის“ საქმის განხილვას.**

— **გამორიცხული არ არის, რომ ე.წ. შიფროტელეგრამა პირადად ხრუშჩოვის მონაწილეობით იყო ფალსიფიცირებული.**

როგორც ამ „დოკუმენტის“ შინაარსი, ასევე ფორმაც, რომლის სრული ტექსტი მხოლოდ 1990 წელს გამოქვეყნდა, ფრიად პრობლემურია. სერიოზული გამოკვლევაა ჩასატარებელი, რათა პასუხი გაეცეს მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ზოგიერთს აქვე მოგახსენებთ.

**„დეპეშის“ არსი პირველივე სტრიქონებიდან ხდება საეჭვო, რადგან პირველი მდივნები აქ ლამის ანგელოზებად წარმოგვიდგებიან.** როგორც ჩანს, ხრუშჩოვს არ სურდა, ხელიდან გაეშვა შემთხვევა, თავის მოხსენებაში რომ არ გაეცხადებინა, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ წამების ფაქტების გამო, რაც სტალინსა და მის დამქაშ ბერიას უნდა ვუსაყვედუროთო! ორივენი „ცუდი ბიჭები“ არიან, პირველი მდივნები კი აკეთებდნენ ყველაფერს, რაც მათზე იყო დამოკიდებული, რათა წინ აღსდგომოდნენ სისხლიან ჩანაფიქრებს.

ხრუშჩოვი პირველი მდივანი იყო, ე.ი. ნიკიტა „კარგი ბიჭია“.

**მაგრამ იური ჟუკოვის დოკუმენტური გამოკვლევა („სხვანაირი სტალინი“) ადასტურებს, რომ სინამდვილეში სწორედ პირველი მდივნები მოითხოვდნენ მასობრივი რეპრესიების გაშლა-გაფართოებას. ამას ეწინააღმდეგებოდა სტალინი და მასთან ერთად პოლიტბიუროს „მცირე ხელმძღვანელობა“** (როგორც ჟუკოვი უწოდებს). მკვლევარი ამტკიცებს, რომ ნანახი აქვს დოკუმენტი, რომლითაც უკრაინის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მოითხოვს „პირველი კატეგორიის“ პირთა რაოდენობის 20 ათას კაცამდე გაზრდას გვარების დაუსახელებლად. გეტი კი იმოწმებს ხრუშჩოვის მოთხოვნას, ორივე კატეგორიაზე რაოდენობის 41 000-მდე გაზრდასთან დაკავშირებით.

აი, კიდევ რისი აღნიშვნაა აუცილებელი: „ხრუშჩოვმა შიფროდეპეშის“ ერთი დიდი ფრაგმენტი გამოტოვა, რომელშიც, ჯერ ერთი, შეფასებულია და განსხვავებულია „ფიზიკური ზემოქმედების მეთოდები“; მეორე, დასახელებულია ეჟოვის დამქაშების, ცნობილი შინსახკომელი მალალჩინოსნების გვარები, რომლებიც „საკადრისად დაისაჯნენ“ ჩადენილი უკანონობების გამო.

მათ შორის დასახელებულია ზაკოვსკი, რომელსაც ხრუშჩოვი მიიჩნევდა ერთ-ერთ უმთავრეს ფალსიფიკატორად. ხრუშჩოვს დეპეშის ამ ნაწილის წაკითხვა რომ გაებედა, მას (ტექსტს) შეიძლება გამოეწვია უნდობლობა მოხსენების მთავარი დებულების მიმართ — სტალინი მასობრივი რეპრესიების გაჩაღებელი იყო და არა მომთოკველი. ამასწინათ გამოცემულ „ეჟოვის საქმის“ მასალებში მითითებულია, რომ ზაკოვსკის იგი მიიჩნევდა თავის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ თანამზრახველად. როცა იგი მაინც დააპატიმრეს, ეჟოვმა მოითხოვა, დაედგინათ, დახვრეტილია თუ არა ზაკოვსკი, რადგან მას შეეძლო მოეთხრო ბერიასთვის გამოძიების ფალსიფიცირებათა და იმ წამებათა შესახებ, რომლებშიც ეჟოვის ხალხი მონაწილეობდა.

წამების შესახებ „შიფროტელეგრამა“ ხრუშჩოვის გაქნილობის ნათელი მაგალითია, რის სრულად გასარკვევად სერიოზული ანალიტიკური მუშაობაა ჩასატარებელი, თუმცა ნაწილობრივ ამის გაკეთება აქაც შესაძლებელია.

1. **დოკუმენტი 1939 წლის 10 იანვრითაა დათარიღებული და საუკეთესო შემთხვევაში დეპეშის შავ ეგზემპლარად შეიძლება ჩაითვალოს**. იგი დაბეჭდილია საბეჭდ მანქანაზე ჩვეულებრივ საწერ ქაღალდზე, არ ადევს ვიზა — არც სტალინის, არც არავისი. მომდევნო „ნახევრადოფიციალურ“ პუბლიკაციაში უკვე აღარაა ნათქვამი, რომ დოკუმენტი სტალინის მიერაა ხელმოწერილი, სამაგიეროდ „ამტკიცებენ“, რომ ერთ ადგილას სტალინის ხელითაა ჩამატებული წინადადება. ეს წმინდა წყლის ბლეფია. რედაქტორები ვერაფრით ადასტურებენ, რომ საქმე სწორედ ისეა, როგორც თვითონ წარმოუდგენიათ.

2. თუ ჩვენ წინ ნაყალბევი არ დევს, მაინც ვერ მტკიცდება, რომ იგი დედნის პირია, რომელიც არავისთვის გაუგზავნიათ. **აშკარავდება, რომ იგი დაწერილია 1956 წელს, რადგან სწორედ მაშინ გამოჩნდა ეს „დოკუმენტი“.** ამას ამტკიცებს საბეჭდი მანქანის შრიფტებიც.

სრულიად გაუგებარია, 1956 წლის საქმის მწარმოებელმა როგორ გაბედა, ჩანიშვნები გაეკეთებინა საიდუმლო არქივის 1939 წლის დოკუმენტზე.

ეს სერიოზული დეტალებია, რომლებიც მეცნიერულ დონეზე უნდა შემოწმდეს. თავისთავად იბადება კითხვა: **თუ ეს ამონაბეჭდი მხოლოდ ასლია, სადაა დედანი?**

3. 1957 წლის პლენუმზე მოლოტოვმა და კაგანოვიჩმა განაცხადეს, რომ გარკვეული კატეგორიის პირებზე ფიზიკური ზემოქმედების გადაწყვეტილება მართლაც არსებობდა და რომ მას ხელი პოლიტბიუროს ყველა წევრმა მოაწერა. ხრუშჩოვმა ამ განცხადებაზე ასეთი პასუხი გასცა, რომ არსებობდა ორი გადაწყვეტილება და რომ იგი გულისხმობდა არა „შიფროტელეგრამას“, არამედ სულ სხვა დოცუმენტს, მაგრამ მეორე დოკუმენტის თემას ხრუშჩოვი არსად და არასდროს დაბრუნებია. რომელ დოკუმენტს გულისხმობდა იგი, ვერასოდეს დავადგენთ.

საკითხის განხილვაში მონაწილე პოლიტბიუროს სხვა წევრების მტკიცებით, ორიგინალი განადგურებული იქნა და მისი ერთადერთი პირი სასწაულებრივად გადარჩა დაღესტნის საოლქო კომიტეტში. მაგრამ ეს „სასწაულებრივად გადარჩენილი“ დოკუმენტი არსად არავისთვის გასაცნობად არ წარუდგენიათ.

**ხრუშჩოვი ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს სტალინის წინააღმდეგ არ გაანადგურებდა, თუ იქ არ იყო განცხადებული ისეთი რამ, რაც ხრუშჩოვს ცუდად შემოუტრიალდებოდა.**

ა. გეტიმ არქივში აღმოაჩინა იგივე „შიფროტელეგრამა“, მაგრამ სხვა რიცხვით — 1939 წლის 27 ივლისით დათარიღებული. ტექსტი არ გამოქვეყნებულა მაგრამ თუ მოლოტოვმა მართალი თქვა, რომ დეპეშას პოლიტბიუროს ყველა წევრმა მოაწერა ხელი, მაშინ იმ შიფროგრამაზე ხრუშჩოვის ხელმოწერაც უნდა იყოს, რადგან 1938 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ იგი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გახდა, ხოლო 1939 წლის 22 მარტიდან — წევრი.

მაშასადამე, ხრუშჩოვმაც ისევე უნდა აგოს პასუხი, როგორც პოლიტბიუროს სხვა წევრებმა.

**გამორიცხული არ არის, რომ ხრუშჩოვი ცდილობდა, ეპოვა 1939 წლის 27 ივლისის დეპეშა და შემდეგ არქივიდან გაექრო ყველაფერი, რისი პოვნაც შეძლო: დოკუმენტს გადაუღეს პირი (და წაშალეს ეჟოვის გვარი, რომელიც დოკუმენტის გვიანდელ ვერსიაში იყო ნახსენები) და ჩაწერეს უფრო ადრინდელი თარიღი, როცა ხრუშჩოვი ჯერ კიდევ არ შედიოდა პოლიტბიუროს შემადგენლობაში**.

ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ განადგურდა დოკუმენტების ძალიან დიდი ნაწილი. იური ჟუკოვის ინტერვიუში („კომსომოლსკაია პრავდას“ 2002 წლის 12 ნოემბრის ნომერი), ნიკიტა პეტროვის წიგნში (Первый председатель КГБ Иван Серов, გვ.157-162), მარკ იუნგისა და რალფ ბინერის გამოკვლევაში (Как террор стал „Большим“, გვ.16) ლაპარაკია იმაზე, რომ ხრუშჩოვმა გაანადგურა უფრო მეტი დოკუმენტი, რაც ოდესმე გაუნადგურებიათ.

ასეა თუ ისე, უეჭველად დადასტურებულია, რომ ხრუშჩოვმა, სულ ცოტა, ამორჩევით მოახდინა დოკუმენტის ციტირება, რათა მსმენელები შეცდომაში შეეყვანა.

**გაგრძელება იქნება**

**გამორიცხული არ არის, რომ ხრუშჩოვი ცდილობდა, ეპოვა 1939 წლის 27 ივლისის დეპეშა და შემდეგ არქივიდან გაექრო ყველაფერი, რისი პოვნაც შეძლო: დოკუმენტის ასლი გადაიღეს (და წაშალეს ეჟოვის გვარი, რომელიც დოკუმენტის გვიანდელ ვერსიაში იყო ნახსენები) და ჩაწერეს უფრო ადრინდელი თარიღი, როცა ხრუშჩოვი ჯერ კიდევ არ შედიოდა პოლიტბიუროს შემადგენლობაში**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სტალინს უბრალოდ კითხვა კი არ უყვარდა, არამედ სისტემატურად მუშაობდა წიგნზე, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი ჩანიშვნები და მინაწერები, სხვადასხვა ხასიათის გამოცემების არშიებზე გაკეთებული. მისი პირადი ბიბლიოთეკა 20 ათასზე ნაკლებ ტომს არ ითვლიდა.



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-5 (139-143)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### თავი 2. ადოლფ ჰიტლერი. ორი ბელადი

**სტალინი და ჰიტლერი — ორი ბელადი, რომლებიც ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდებოდნენ პირადი თვისებებითა და რწმენით. მაგრამ მათ ერთი რამ აღმოაჩნდათ საერთო: დიდება სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ მათი ხსოვნის წაბილწვა.** ჰიტლერის მიმართ — გასაგებია. მისი ხელმძღვანელობით ნაცისტურმა გერმანიამ დაიწყო დამპყრობლური ომები, განახორციელა მასობრივი ტერორი, განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა ებრაელებს, ბოშებს, კომუნისტებს, საბჭოთა სამხედრო ტყვეებს, პარტიზანებს. კრახისა და თვითმკვლელობის შემდეგ მის მიმართ წყევლა-კრულვის ნაკადი არ შემწყდარა. მაგრამ ბოლო ათწლეულში კრიტიკული დამოკიდებულების სიმძაფრე განელდა, რითაც წარმოჩნდა ამგვარი კრიტიკის არააქტუალობა.

ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. მაგრამ სტალინი, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა ფაშიზმის განადგურების საქმეში, მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული თავისი უწინარესად განმადიდებლების მიერ. ყველასი არა, მაგრამ ბევრის მიერ. მას შემდეგ მას მუდმივად ბრალს დებენ მასობრივ ტერორში საკუთარი ხალხის მიმართ, უსაზღვრო სიმკაცრეში, ვერაგობასა და ბოროტებაში. ასეთ „კრიტიკოსებს“ თითქოს არ ესმით, რომ შეურაცხყოფენ მთელ ხალხს, რომელმაც სტალინის დროს შექმნა ზესახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და გაიმარჯვა დიდ სამამულო ომში.

ფრიად დამახასიათებელი ფაქტია; ხრუშჩოვის მმართველობის დროიდან მოყოლებული, XX საუკუნის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში თანდათან მატულობდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, მაშინ, როცა მსოფლიოს მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კლებულობდა. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სიკვდილიანობამ განსაკუთრებით იმატა „გორბაჩოვიზმის“ პერიოდში, როცა სტალინის კრიტიკა ეროვნული პოლიტიკის ელემენტი გახდა. კიდევ უფრო გაიზარდა რუსების სიკვდილიანობა ელცინის დროს, როცა ოფიციალურად განაცხადეს სტალინური სისტემის ნგრევის შესახებ. დაიწყო რუსი ხალხის ფიზიკური ამოწყვეტის პროცესი, რომელიც ამჟამადაც გრძელდება (შემცირება დაახლოებით ერთი მილიონია წელიწადში), 30 ათასი თვითმკვლელობის თანმდევობით).

შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით იმატა ანტისტალინურმა შრომებმა. დღევანდელი მმართველები ამას წარმოგვიდგენენ როგორც ჭეშმარიტი დემოკრატიის მიღწევას.

**„საქართველო და მსოფლიოს“ დღეს წარმოგიდგენთ ერთ-ერთ ასეთ ნაშრომს, რომლის ავტორია ბრიტანელი ისტორიკოსი ალან ბულოკი: „ჰიტლერი და სტალინი“ — ასეა დასათაურებული ეს ორტომეული, რომლის ავტორი არ მალავს თავის სიმპათიას ფიურერის ოდიოზური ფიგურისადმი.**

### სტალინი და ჰიტლერი

„სიცოცხლის პირველი ნაწილის გამოცდილებამ, — წერს ინგლისელი ისტორიკოსი ალან ბულოკი თავის წიგნში „ჰიტლერი და სტალინი“, — რომელიც მან (სტალინმა. — ა.ს.) ანტისოციალურ ელემენტებს, ქურდებსა და სხვა ნაძირალებს შორის გაატარა, თავისი კვალი დატოვა — ფსიქოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მან ვერა და ვერ მოიცილა“.

***(წაიკითხავს ამ აბზაცს მეტ-ნაკლებად განათლებული მკითხველი, პატიოსანი მოქალაქე, ბოლოს და ბოლოს, და მიხვდება, რომ საქმე აქვს უკიდურესად ტენდენციურ ნაშრომთან, რომლის ავტორი, მიუხედავად თავისი მეცნიერული რეგალიებისა, აშკარად დაკვეთილ ტონალობაში წერს. სად, როდის, ცხოვრების რომელ ეტაპზე, გორში — სასულიერო სასწავლებელში, თბილისში — სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს თუ რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდში იყო ქურდებთან და ავაზაკებთან დაკავშირებული სოსო ჯუღაშვილი, თანაც ისე მჭიდროდ, რომ მათი გავლენა ბოლომდე გაჰყვა. ეს ხომ აშკარა სიყალბეა, წინასწარგამიზნული სიცრუე, რომელმაც უარყოფითი გავლენა უნდა მოახდინოს მკითხველზე და შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ ეს „აზიატი“ ტირანი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო მსოფლიო მასშტაბის ლიდერი.***

***კაცმა რომ თქვას, ალან ბულოკის ასეთი პოზიცია ელემენტარული პლაგიატია: ზუსტად ამ მეთოდით, ტირანი სტალინის „აზიატობის“ შესახებ ჭორისა და სიყალბის გავრცელებით შეეცადნენ მისსავე სიცოცხლეში დასავლეთის იდეოლოგები, დაეკნინებინათ სტალინის როლი ფაშიზმზე გამარჯვებაში, წარმოედგინათ იგი როგორც ველური, გაუნათლებელი ხალხის შვილი, რაღაც ჩინგის ყაენის მსგავსი მოვლენის გამეორება. ჩვენმა მკითხველმა, რომელიც ანტისტალინური პროპაგანდით ბოლომდე არ არის ტვინგამორეცხილი, იცის, რომ სტალინი ღირსეული შვილი იყო საუკუნოვანი, უდიდესი კულტურის მქონე ქვეყნისა, რომლის მსოფლიოსთვის გაცნობა სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული. სხვა თუ არაფერი, იცის, რა როლი ითამაშა სტალინმა შოთა რუსთაველის, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი ბურჯის, წარმოჩენაში მსოფლიო მასშტაბით; ჩვენი მწერლობისა და სულიერებისთვის ილია ჭავჭავაძის დაბრუნებაში; საქართველოს ბრწყინვალე კულტურის პროპაგანდის საქმეში საერთოდ (ვიხმაროთ ეს კაზიონური ტრაფარეტი).***

***საბჭოთა რესპუბლიკების კულტურისა და ხელოვნების დეკადები, რომლებიც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან იმართებოდა, შეფარულად ქართული მუხტის მატარებელი რომ იყო, ხომ ფაქტია.***

***რომელ ქურდულ კომპლექსებზე შეიძლება ამ დროს ლაპარაკი?***

***თურმე შეიძლება. ალან ბულოკი ამას ამტკიცებს.***

***მაგრამ მივყვეთ ბრიტანელი ისტორიკოსის წიგნის გვერდებს, რათა ვნახოთ, თუ რამდენად შორს შეიძლება შეტოპოს ნასყიდი მეცნიერის უსინდისობამ. — ა.ს.).***

„სტალინი იყო უხეში, უზრდელი, გაუნათლებელი... იგი იყო ადამიანი, რომელიც არავის ენდობოდა და რომლის ნდობა არ შეიძლებოდა... ეს უხეშობა აღზრდისა და კულტურის უქონლობის შედეგია... სტალინი უწინდებურად კარგავდა საკუთარი თავის კონტროლს, მრისხანების დროს თავს ესხმოდა იმას, ვინც შეეკამათებოდა ან სიტყვას შეუბრუნებდა... ეს პირველყოფილი თვისებები (რომლებსაც ტროცკი და პოლიტბიუროს სხვა წევრები „აზიატურს“ უწოდებდნენ) განსაკუთრებით თვალში მოსახვედრია დანარჩენი რევოლუციონერების ფონზე... იგი იძულებული იყო, დაეფარა მტრული დამოკიდებულება მათდამი, ვინც უკეთ იყო განათლებული, ცხოვრობდა საზღვარგარეთ, ფლობდა ენებს.

იგი უბადლო ფარისეველი იყო... გამოიმუშავა თავშეკავება... ეშმაკობა და ვერაგობა მისი მეორე ბუნება იყო“...

მაგრამ აქვს კი აზრი ამ დახასიათების კითხვას, რომელიც ბულოკის ორტომეულში სხვადასხვა ვარიაციებით მეორდება?

ალბათ, — არა. რადგან, როგორც გროვერ ფერი წერს, **„მიუკერძოებული მკითხველი უთუოდ ყურადღებას მიაქცევს, რომ ეს უსერიოზულესი ბრალდებები არავითარი მტკიცებულებებით არ არის გამაგრებული, თუ არ ჩავთვლით მისი მტრების — ხრუშჩოვისა და ტროცკის ნალაყბევს.**

ბულოკი ცინიკურად შენიშნავს, რომ ასეთი საზიზღარი დიქტატორის ერთგვარ გამართლებად შეიძლება ჩაგვეთვალა მისი პარანოიკობა. ისღა დაგვრჩენია, გავოცდეთ იმით, რომ ასეთი პათოლოგიური პიროვნება ფსიქიატრიულ კლინიკაში კი არ იყო მოთავსებული, არამედ უმძიმეს პერიოდში, ოცდაათ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში, ქვეყნის სათავეში იდგა. ეჭვი გაგიჩნდება: ეგებ ბულოკს არ შეუძლია ლოგიკურად აზროვნება, ან ჭორისა და სიცრუის გავრცელება ეხერხება, ან ვერ იგებს, რომ სტალინის ლანძღვით იგი ხალხს აყენებს შეურაცხყოფას?

სამწუხაროდ, ეს ავტორი გამონაკლისი არ არის. მას მხარს უმშვენებს ბ. ს. ილიზაროვი წიგნით „სტალინის საიდუმლო ცხოვრება“ (2002 წ.). ეს ავტორი დაუფარავი და იშვიათი ზიზღით იხსენებს საბჭოთა კავშირის შემქმნელებს, იმათ, ვინც დაამარცხეს ფაშიზმი, „იგი (სტალინი. — ავტ.) მოკვდა იმ მომენტში, როცა მოამზადა მორიგი სახრჩობელა მისდამი მონურად მორჩილი, მის ფეხქვეშ გაგებული საბჭოთა ხალხისთვის“. აი, როგორ ახასიათებს იგი საბჭოთა კავშირს: **„სისხლი, სიმყრალე, მწყობრად სიარული, მილიონობით ბარი და ნიჩაბი, ხიშტი, სიტყვათა ნაკადი, გვამების ოკეანე“.** აქ აშკარად გამოჩნდა ზიზღი ხალხისადმი იმ ადამიანისა, რომელსაც, სხვა უცხოელი თუ რუსი ანტისაბჭოელებისგან განსხვავებით, არ ესმის, რომ დაუშვებელია ხალხზე ასე ლაპარაკი ძირითადი ზნეობრივი კრიტერიუმების შელახვის გარეშე.

იგივე ილიზაროვი (პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის წამყვანი მეცნიერი-თანამშრომელი, დოკუმენტაციის „სახალხო არქივი“ დირექტორი) თავის წიგნში ხშირად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს ბულოკის სულისკვეთებით. კერძოდ, უმაღლეს სასწავლებელში იოსებ ბესარიონის ძის ცოლის, ნადეჟდას ჩარიცხვის შესახებ ნათქვამია: **„პერსპექტივაში მას — ზერელედ ნასწავლ გენერალურ მდივანს ეყოლებოდა დიპლომირებული ცო-** ▶

უკომენტაროდ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მისი მაგინებლები არიან ინტელექტუალური და ფსიქიკური ანომალიებით დაავადებულნი. მათ შეიძლება გავუგოთ. შური სხვისი არაჩვეულებრივი დიდების მიმართ, შებღალული საკუთარი თავმოყვარეობა, აგრეთვე, უუნარობა — სწორად შეაფასონ სახელმწიფოს ხელმძღვანელის უზარმაზარი შრომისა და პასუხისმგებლობის მასშტაბი.**

◀ლი“. და კიდევ: **„პირველი რიგის ყველა პოლიტიკური მოღვაწე ევროპული განათლებით იყო. მათ შორის სტალინი დარჩა ისეთივე ზერელედ ნასწავლ სემინარისტად, როგორც იყო“.**

თითქოს მართალია: არ ჰქონდა სტალინს არავითარი დიპლომი, ხოლო სემინარიიდან გარიცხეს (პოლიტიკური მოტივით). მაგრამ ამ ფორმალური სიმართლის მიღმა იმალება დიდი ტყუილი, რომლის მხილება იმავე ავტორის წიგნის ამონარიდებითაა შესაძლებელი. „ურთიერთობაში სასიამოვნო და მომხიბლავ პარტნიორად მიიჩნევდნენ მას მსოფლიოს სახელმწიფო მოღვაწენი: ჩერჩილი, რუზველტი, დე გოლი, ცნობილი მწერლები და ჟურნალისტები: ბარბიუსი, როლანი, ფეიხტვანგერი, უელსი და სხვები“.

კეთილი და პატიოსანი, გაუნათლებელი პარანოიკი შეიძლება იყოს ეშმაკი, პირმოთნე და ფარისეველი, თვალთმაქცი (თუმცა ეს-ესაა ნახსენებ ადამიანებს მიამიტებად ვერ ჩათვლი, თანაც ისინი ხანგრძლივად ესაუბრებოდნენ სტალინს), დავუშვათ, მას შეეძლო თავი მოეჩვენებინა რბილ, ყურადღებიან, კარგად აღზრდილ და ჭკვიან ადამიანადაც კი, მაგრამ მაშინ როგორ გავიგოთ ბრალდებები კულტურისა და განათლებულობის არქონის, ინტელექტუალებისადმი შურიანი დამოკიდებულების შესახებ, თუ იგივე ილაზაროვი წერს: **„სტალინი თავგამოდებული ბიბლიოფილი იყო. რევოლუციამდელ წლებში, იატაკქვეშეთის, გადასახლებისა და პროფესიონალი რევოლუციონერის მოხეტიალე ცხოვრების პერიოდში მას ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა, სისტემატურად ეკითხა და, რაც მთავარია, შეენახა წიგნები. მაგრამ ყველა, ვინც მას ცხოვრების ამ პერიოდში შეხვედრია, აღნიშნავდა მის მუდმივად მზარდ ნაკითხობას. თავის ადრეულ ნაშრომებში, საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში... იგი ციტირებს არა მარტო მარქსისტ კლასიკოსებს, არამედ უცხოელი ფილოსოფოსებისა და ისტორიკოსების საკმაოდ ფართო სპექტრს...“**

ეგებ დროთა განმავლობაში სტალინი ზღუდავდა თავის გონებრივ თვალთახედვას?! ილიზაროვი სულ სხვას შენიშნავს: „ცხოველი გონება ყოველწლიურად, არა თუ კლებადი, არამედ პირიქით, მიუხედავად მრავალგზის ავადმყოფობისა (დავუმატოთ — და უზარმაზარი პრაქტიკული საქმიანობისა.), მუდმივად მზარდი ცნობისწადილი... სტალინის ცოდნა სულ უფრო ფართო და უნივერსალური ხდებოდა“...

შემდეგ — უფრო მეტი. ირკვევა, რომ თურმე სტალინის პირადი თანხმობის გარეშე არ ამტკიცებდნენ მოსკოვის მეტროპოლიტენის არც ერთი სადგურის პროექტს. ეს სადგურები დღემდე მსოფლიოში საუკეთესოთა რიგში მოიხსენიება. სტალინი იღებდა გადაწყვეტილებებს მასშტაბური არხების, რკინიგზებისა და ჰიდროკაშხალების შესახებ, „იგი პირადად წყვეტდა, შეიარაღების რომელი სახეობები უნდა გამოეშვა ქვეყნის საწარმოებს, რომელი უახლესი ქარხანა თუ ფაბრიკა უნდა აშენებულიყო, რომელი წიგნი თუ სახელმძღვანელო უნდა გამოეცათ და ა. შ. და ეს გადაწყვეტილებები ფორმალური არ იყო, რასაც ჩვეულებრივ ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი მეთაური იღებს. როგორც უნიჭიერესი კონსტრუქტორები თავიანთ მემუარებში ერთსულოვნად აღნიშნავენ, იგი მათ ამა თუ იმ მანქანის კონსტრუქციის თავისებურებათა სრულყოფილი ცოდნით აოცებდა...

კარგადაა ცნობილი, რომ ომის დროს სწორედ იგი იღებდა ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას“.

აი, ასეთი ყოფილა ეს უსწავლელი სემინარისტი და პარანოიკი კომპლექსების თაიგულით.

გამოდის, რომ **მისი მაგინებლები არიან ინტელექტუალური და ფსიქიკური ანომალიებით დაავადებულნი. მათ შეიძლება გავუგოთ. შური სხვისი არაჩვეულებრივი დიდების მიმართ, შებღალული საკუთარი თავმოყვარეობა, აგრეთვე, უუნარობა — სწორად შეაფასონ სახელმწიფოს ხელმძღვანელის უზარმაზარი შრომისა და პასუხისმგებლობის მასშტაბი.**

არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა რამეც: ანტისაბჭოთა და ანტისტალინური მასშტაბური პროპაგანდის ზემოქმედების შედეგი. მხოლოდ ასეთ პირობებში წერენ პროფესიონალი ისტორიკოსები ნაშრომებს, რომლებიც არ შეესაბამება რეალობას, შორსაა ჭეშმარიტებისგან. ასეთი ფენომენი ცნობილია ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიაში. იგი აიხსნება ცნობიერებაში და ქვეცნობიერშიც კი გარკვეული განწყობის ჩანერგვით. იგი იწყებს ინდივიდის ქმედების მართვას და გაბატონდება მის ინტელექტზე (დიდი ხანია, რაც შემჩნეულია, რომ თითქმის ყველა ადამიანის გააზრებულ მოქმედებას განსაზღვრავს ემოციები, რომ ისინი მიეკუთვნება პიროვნების სტრუქტურის უფრო ძველ ელემენტებს). ასეთი რამ უცაბად კი არ ხდება, არამედ მიიღწევა კომპლექსური საშუალებებით, რომლებიც, დიდი ხანია, შექმნილია ფსიქოტექნოლოგების მიერ ან დადგენილია იდეოლოგიური ბრძოლის პრაქტიკით.

**ასეთი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადამიანს უჩნდება მყარი სიძულვილი, ზიზღი ამა თუ იმ ცნებათა, შეხედულებათა, პიროვნებათა მიმართ, რომლებშიც იგი ხედავს არა მხოლოდ რეალურ, არამედ მოჩვენებით ნაკლსაც. შედეგად გამომუშავდება მკვეთრი პირობითი რეფლექსი, როდესაც სიტყვები „საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხი, კომუნიზმი, სტალინი“ იწვევს გაღიზიანებას.**

ამ მხრივ საინტერესო ჩანს ბულოკის წიგნის ერთი პასაჟი: „სტალინს, ჰიტლერისგან განსხვავებით, უყვარდა კითხვა. მის ბიბლიოთეკაში, ძირითადად, იყო წიგნები პოლიტიკის, მარქსიზმის, ისტორიის შესახებ“. მაგრამ სტალინს უბრალოდ კითხვა კი არ უყვარდა, არამედ სისტემატურად მუშაობდა წიგნზე, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი ჩანიშვნები და მინაწერები, სხვადასხვა ხასიათის გამოცემების არშიებზე გაკეთებული. მისი პირადი ბიბლიოთეკა 20 ათასზე ნაკლებ ტომს არ ითვლიდა. როგორც მისი ჩანაწერიდან ირკვევა, ისინი



**«ცხოველი გონება ყოველწლიურად, არა თუ კლებადი, არამედ პირიქით, მიუხედავად მრავალგზის ავადმყოფობისა (დავუმატოთ — და უზარმაზარი პრაქტიკული საქმიანობისა.), მუდმივად მზარდი ცნობისწადილი... სტალინის ცოდნა სულ უფრო ფართო და უნივერსალური ხდებოდა»...**

ასეა კლასიფიცირებული: „ა) ფილოსოფია, ბ) ფსიქოლოგია, გ) სოციოლოგია, დ) პოლიტეკონომია, ე) ფინანსები, ვ) მრეწველობა, ზ) სოფლის მეურნეობა, თ) კოოპერაცია, ი) რუსეთის ისტორია, კ) საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორია, ლ) დიპლომატია, მ) საგარეო და საშინაო ვაჭრობა, ნ) სამხედრო საქმე, ო) ეროვნული საკითხი, პ) ყრილობები და კონკურენციები, ჟ) მუშათა მდგომარეობა, რ) გლეხების მდგომარეობა...“ ამას გარდა: პროფკავშირები, ბელეტრისტიკა, მხატვრული კრიტიკა, პოლიტიკური ჟურნალები, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ჟურნალები, სხვადასხვა ლექსიკონი, მემუარები... გრძელი ჩამონათვალის ბოლოს მიწერილი აქვს **„ანტირელიგიური მაკულატურა“.** ამ მონაცემებს რომ ჩამოთვლის, ელიზაროვი სწორ დასკვნას აკეთებს: **„...ეს სია წარმოგვიდგენს ბელადის ინტელექტუალური ინტერესების ფართო სპექტრს და მისი სისტემურად აზროვნების უნარს“.**

**ჩვენს დროში სტალინისადმი დამოკიდებულების ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებაა დამკვიდრებული. ერთის მხრივ, — ანტისტალინელები, რომელთაც უზარმაზარი კაპიტალი, ფინანსები და გავლენა აქვთ, მათ ხელთარსებული მედიასაშუალებების მოქმედების შედეგად მოპოვებული. მეორე მხრივ, ისინი, ვინც მათ პოზიციას არ იზიარებენ და არ გააჩნიათ შესაძლებლობა მასებზე აქტიური ზემოქმედების. ამ ვითარებაში, ძნელია, ობიექტური შეფასების იმედი იქონიო როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, — ასკვნის გროვერ ფერი.**

**პირწავარდნილი ანტისტალინურობით გამოირჩევა ი. დ. დიაკოვისა და ტ. ს. ბუშუევას წიგნი „ფაშისტური მახვილი სსრკ-ში იჭედებოდა. წითელი არმია და რეიხსვერი. საიდუმლო თანამშრომლობა 1922-1933. უცნობი დოკუმენტები (1992)“.** ავტორები შესავალშივე შეეცადნენ, დაედანაშაულებინათ საბჭოთა ხელმძღვანელები სისაძაგლეში, სიცრუესა და დანაშაულობათა ჩადენაში. მათ საკუთარი თავი „პროგრესულად მოაზროვნე“ მეცნიერებად წარმოუდგენიათ, ლანძღავენ და თათხავენ ტოტალიტარულ სისტემასაც და სტალინურ გენოციდსაც... „გერმანული ვერმახტი (რაიხსვერი), — წერენ ისინი, — ვერსალის აკრძალვათა გვერდის ავლით ძალას იკრებდა ჩვენს მიწაზე“.

ყველაზე საოცარი მაინც ის არის, რომ ამ „მამხილებლებმა“ თავიანთი წიგნის სათაურშივე მოგვასაღეს ტყუილი, კერძოდ ის, რომ **1933 წლამდე გერმანია ფაშისტური სახელმწიფო არ ყოფილა!** თანაც ორი ქვეყნის თანამშრომლობის მასშტაბები, როგორც დოკუმენტები მეტყველებს, უმნიშვნელო იყო: გერმანიის მილიტარიზაციას კი ხელს უწყობდნენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აქეზებდნენ სწორედ დასავლეთის სახელმწიფოები. ამის თაობაზე საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ გალექსილ ავტორებს სიტყვაც არ დაუძრავთ.



## პოლიტიკური თამაშების ველი

სტალინიცა და ჰიტლერიც გამორჩეული პიროვნებები იყვნენ, — მიიჩნევს გროვერ ფერი. ორივენი გარკვეულწილად დიქტატორები იყვნენ, საშუალება ჰქონდათ ქვეშევრდომთათვის თავს მოეხვიათ საკუთარი ნება, მაგრამ, ამასთან, ეგოთ კიდეც პასუხი თავიანთ გადაწყვეტილებებზე. სახელმწიფოები, რომლებსაც ისინი მეთაურობდნენ, განდეგილთა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: გერმანია — პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, საბჭოთა კავშირი კი — როგორც მშრომელთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც უპირისპირდებოდა კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. ეს უკანასკნელნი მათ ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ, რაც გასაგები იყო ორივე ბელადისთვის.

არანაკლებ ნათელი იყო გერმანული ფაშიზმის ანტიკომუნისტური მისწრაფება. საქმე, რა თქმა უნდა, მარტო ინტერნაციონალიზმისა და ნაციზმის, კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის, მშრომელისა და ზეადამიანის იდეების დაპირისპირებით არ ამოიწურება. საკითხი იდგა აღმოსავლეთით დიდი ტერიტორიების დაპყრობის, მათი მოსახლეობის ექსპლუატაციისა და სამუშაო ძალად გამოყენების ჭრილში.

ჰიტლერის სიტყვაში, რომელიც მან 1933 წლის მარტში წარმოთქვა, გარკვევით იყო ნათქვამი: **„ჩემს თავს 6-8 წლის ვადას ვაძლევ, რათა სრულად გავანადგურო მარქსიზმი. მაშინ არმიას შესაძლებლობა მიეცემა განახორციელოს აქტიური საგარეო პოლიტიკა და გერმანელი ხალხის ექსპანსიის მიზანი შეიარაღებული ხელით იქნება მიღწეული. ეს მიზანი, ალბათ, აღმოსავლეთი იქნება“...**

მისი ამგვარი მიმართულება ხელს არ აძლევდა ინგლისს, საფრანგეთს, აშშ-ს. ეს არც ა. ბულოკს დაუმალავს: **„ნაციზმის იდეოლოგიის ევოლუცია, რომელიც ანტიამერიკული ლოზუნგებიდან, რაც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მთავარი წინასაარჩევნო თემა იყო, უეჭველად მომგებიანი გახდა და ჰიტლერის მხარეს გადაიყვანა ევროპისა და გერმანიის კონსერვატიული წრეები. ამ ლაშქრობაში პოლონეთის მონაწილეობის საკითხი 1939 წლამდე ღიად რჩებოდა“.**

ხელისუფლების სათავეში რომ მოვიდა და თავისი პირადი დიქტატურა განიმტკიცა, ჰიტლერი მუდმივად ლავირებდა ორ, ერთმანეთს დაპირისპირებულ პოზიციათა შორის — სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის, და უწინარეს ყოვლისა მხედველობაში ჰქონდა გერმანიისა და ნაცისტური იდეოლოგიის ინტერესები. ვერმახტის სამხედრო ძლიერებას რომ განავითარებდა, არ ივიწყებდა, რომ სერიოზული ინდუსტრიული და ნედლეულის ბაზის გარეშე ვერ სძლევდა საბჭოთა კავშირს. მიიჩნევდა, რომ გერმანიას უნდა ჰქონოდა არა მხოლოდ საერთო და საკმაოდ გრძელი საზღვარი მომავალ მტერთან, არამედ — მხარდაჭერაც ევროპის უმეტეს სახელმწიფოთა მხრიდან (უკეთესი იქნებოდა, თუ მათზე მკაცრ კონტროლს დააწესებდა).

მოჩვენებითი ექსპანსიურობის, ემოციურობის, ზოგჯერ კი ისტერიულობის მიუხედავად, იგი თადარიგიან პოლიტიკოსად რჩებოდა. იგი ხედავდა, რა სწრაფად მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია და მილიტარიზაცია. დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა ლიდერებისგან განსხვავებით, რომლებიც იძულებულები იყვნენ, მხედველობაში ჰქონოდათ საზოგადოებრივი აზრი და მუშათა კლასის სიმპათიები კომუნისტებისადმი, ჰიტლერმა შედარებით სწრაფად დაამყარა ნაცისტური პარტიის სრული დიქტატურა და ჩაახშო ოპოზიციური მიმდინარეობანი.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ალიანსში მიღება გამოიწვევს ამ ორგანიზაციის მიმართ კიდევ უფრო მეტი უნდობლობის გაღვივებას რუსეთის მხრიდან, რაც ამ ბლოკისთვის არახელსაყრელია. მათთვის რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დალაგება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს ნატოში გაწევრიანება... თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ენერგორესურსების უწყვეტი მიწოდება ევროპისთვის მშვიდობიანობის და ომის დროსაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მაშინ ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ ნეიტრალური საქართველო უფრო მისაღებია ევროპისთვის, ჩვენი უშუალო მეზობლების, სპარსეთისა და შუა აზიის ქვეყნებისთვის, ვიდრე სამხედრო ბლოკში მყოფი ქვეყანა.**

# ნატო თუ ნეიტრალიტეტი?

## რა ურჩია ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილმა საქართველოს რუსეთთან და სტალინთან დაკავშირებით

**ჩრდილოეთ ატლანტიკური თავდაცვითი ალიანსი 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა, რომლის ჩამოყალიბების იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ დასავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანას, ომის შემთხვევაში, არ შეეძლო დამოუკიდებლად დაეცვა თავი საბჭოთა კავშირისგან და ამისთვის საჭირო გახდა, გაერთიანებულიყვნენ კავშირში, რომელსაც შემოკლებით ნატო ეწოდა.**



### ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი:

**„რუსეთი მეტად ანგარიშგასაწევი ძალაა. ჩემი რჩევა იქნება, რომ მარტო ცუდს ნუ გაიხსენებთ! გახსოვდეთ, რომ ბევრი კარგიც იყო თქვენ შორის... ვიცი, თქვენი გულისტკივილი... ვიცი, რომ ხშირად გტკენიათ გული, მაგრამ მოდით ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ. თქვენ აუცილებლად უნდა მონახოთ გასაღები რუსეთთან, დამერწმუნეთ, სხვა ისე ვერავინ დაგეხმარებათ, როგორც ისინი. თქვენ ძალიან გაგიჭირდებათ დამოუკიდებლად ფეხზე წამოდგომა...“**

შეთანხმება კავშირის შესახებ მოითხოვს, რომ „ბლოკის ყველა წევრმა თანამედროვე ომის მომზადებისა და წარმოებისთვის თავისი ინტერესები უნდა დაუმორჩილოს საერთო ინტერესებს და მაქსიმალური წვლილი უნდა შეიტანოს ერთობლივ სამხედრო მომზადებაში და ამავე დროს უნდა იქონიონ იმედი მოკავშირეების მხრიდან მხარდაჭერაში“.

ნატოს მოქმედების არეალი თავდაპირველად ვრცელდებოდა ალიანსის ევროპულ ქვეყნებზე, თურქეთზე, ხმელთაშუაზღვის აკვატორიაზე, ჩრდილოეთ ამერიკასა და ჩრდილოეთ ატლანტიკაზე.

**1955 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნატოში გაწევრიანების შემდეგ ამ ორგანიზაციის საპირისპიროდ ამავე წელს შეიქმნა მეორე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ვარშავის ხელშეკრულების სახით.**

**ორივე ბლოკი ერთმანეთს არ ენდობოდა და გამალებით იარაღდებოდა. ისინი ყველა საშუალებას იყენებდნენ ურთიერთდასასუსტებლად და თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად დედამიწის ნებისმიერ წერტილში და ეს დაპირისპირება გასული საუკუნის 60-იან წლებში კინაღამ არ გადაიზარდა ახალ მსოფლიო ომში.**

მხარეებს შორის ომის შემთხვევაში, საბჭოთა სამხედრო დაზვერვის გათვლებით, ამიერკავკასიაზე მოსალოდნელი იყო 180-210 ერთეული 50 კტ-ის საჰაერო ბირთვული დარტყმის განხორციელება: თბილისზე — 8-9, სხვა ქალაქებზე — 2-5 და, რა თქმა უნდა, სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზეც — 1-2.

ეს ვარიანტი ყოველთვის თამაშდებოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნებისმიერ საარმიო და საფრონტო საკომანდო-საშტაბო სწავლებებსა და ვარჯიშებზე მათ საწყის ეტაპზე.

მსოფლიოს უკვე აქვს კარგი წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს ბირთვული იარაღის გამოყენება და ატომური რეაქტორების აფეთქება ან დაზიანება, რომლის შედეგადაც დაიღუპა ან დასნეულდა ასი ათასობით ადამიანი.

**ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა მოხდებოდა ქვეყანაში, ერთ ან ორ ბირთვულ ქობინს რომ მოეღწია საქართველომდე.**

**ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ომის შემთხვევაში, თუ ჩვენ გავხდით ალიანსის წევრი ქვეყანა, აგვცდება ბირთვული დარტყმა.**

რას ვიგებთ ნატოში შესვლით? შეიძლება თუ არა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებით გადაწყდეს ჩვენი ყველაზე მტკივნეული პრობლემა — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

ვინ გვპირდება ამას?

ჯერ გავარკვიოთ, სურს თუ არა საქართველოს მოსახლეობას ნატოში გაწევრიანება?

**2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს კითხვას: „გსურთ თუ არა, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა?“, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 77%-მა მხარი არ დაუჭირა (არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 53%-მა, და მათგან 30% წინააღმდეგი იყო. 47%+30%=77%.**

ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ გამოკითხვაში არ მონაწილეობდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, ეს ციფრი, ალბათ, უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. ე.ი. გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობამ ნატოში გაწევრიანებას მხარი არ დაუჭირა.

მაშ, ვის სჭირდება ეს?

ის პოლიტიკოსები, რომლებიც ძალიან ცდილობენ, ქვეყანა ამ ორგანიზაციაში გააწევრიანონ, არანაირ იმედს არ იძლევიან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, პირიქით, მათი ინტერვიუები, საგაზეთო თუ საჟურნალო სტატიები და სატელევიზიო გამოსვლები შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ისინი შეგუებულნი არიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ არსებობას და მზად არიან, ალიანსში გააწევრიანონ საქართველოს დარჩენილი ნაწილი.

სხვა გზას ბლოკში შესასვლელად ისინი ვერ ხედავენ.

**ისმის კითხვა: მიგვიღებენ კი ამ ორგანიზაციაში მეზობელ ქვეყნებთან მოუგვარებელი საზღვრებისა და რეგიონში შექმნილი მძიმე ვითარების გამო?**

**არავითარ შემთხვევაში, რადგანაც ამ პირობებში საქართველოს ნატოში გაწევრიანება პრობლემებს შეუქმნის თვით ამ ორგანიზაციას.**

ან ჩვენ რა, არ გვაინტერესებს, თუ როგორ შეხედავენ მეზობელი ქვეყნები საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებას მათი ინტერესების გაუთვალისწინებლად? როგორ მოიქცევა ჩვენთან მცხოვრები ასიათასობით აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების მოქალაქე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომის შემთხვევაში?

ასეთი სიტუაციების მოდელირება ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანების სასარგებლოდ არ მეტყველებს.

**საქართველოს ალიანსში მიღება გამოიწვევს ამ ორგანიზაციის მიმართ კიდევ უფრო მეტი უნდობლობის გაღვივებას რუსეთის მხრიდან, რაც ამ ბლოკისთვის არახელსაყრელია. მათთვის რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დალაგება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს ნატოში გაწევრიანება.**

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ენერგორესურსების უწყვეტი მიწოდება ევროპისთვის მშვიდობიანობის და ომის დროსაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მაშინ ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ **ნეიტრალური საქართველო უფრო მისაღებია ევროპისთვის, ჩვენი უშუალო მეზობლების, სპარსეთისა და შუა აზიის ქვეყნებისთვის, ვიდრე სამხედრო ბლოკში მყოფი ქვეყანა.** და რაც მთავარია: **ნეიტრალიტეტის სტატუსი ყველაზე მისაღებია საქართველოსათვის. სწორედ მაშინ ხდება ის მიმზიდველი და სწორედ მაშინ ხდება რეალური ქვეყნის გაერთიანების შესაძლებლობა.**

სავსებით შესაძლებელია, რომ ქართველი, აფხაზი და სამხრეთ ოსეთის დარბაისელი ინტელიგენციისა და გონიერი პოლიტიკოსების მეშვეობით მოხერხდეს ახალი რეფერენდუმების ჩატარება გაერთიანების საკითხზე, რომლის შედეგებსაც აუცილებლად სცნობს რუსეთიც.

ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მუდმივი არაფერი არაა და ცხოვრება ცვალებადია.

თავის დროზე (1975 წ.) ევროპის ქვეყნებმა (ალბანეთის გარდა), აშშ-მა და კანადამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ქ. ჰელსინკში, რომლის თანახმადაც დასტურდებოდა ევროპაში ჩამოყალიბებული საზღვრების ხელშეუხებლობა. მაშინ მსოფლიო სცნობდა ორ გერმანიას და დამოუკიდებელ დასავლეთ ბერლინს. დღეს გერმანია ერთიანია და მისი დედაქალაქია ბერლინი.

**და თუ გავიხსენებთ ისტორიასაც, რუსეთის შემოსვლამ ამიერკავკასიაში გააერთიანა დაქსაქსული სამეფო-სამთავროები და დაუბრუნა დედასამშობლოს სამცხე-ჯავახეთი და აჭარა. ერმა შეინარჩუნა ენა, მამული, სარწმუნოება, ტრადიციები და ადათ-წესები, მოსახლეობა დამშვიდდა, გამრავლდა; გაძლიერდა სოფელი, განვითარდა ქალაქი.**

სტატიის დასასრულს მკითხველს მინდა შევახსენო აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის (უმაღლესი სამხედრო პირი შეიარაღებულ ძალებში), გენერალ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის რჩევა რუსეთთან ურთიერთობებში.

ცნობილი ჟურნალისტის — მერაბ ბერაძის კითხვაზე: **„საქართველოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობები რუსეთთან?“**, გენერალმა ასე უპასუხა:

**„რა თქმა უნდა. ეს რამდენიმეჯერ აღვნიშნე და არა მარტო აქ, საქართველოში... რუსეთი მეტად ანგარიშგასაწევი ძალაა. ჩემი რჩევა იქნება, რომ მარტო ცუდს ნუ გაიხსენებთ! გახსოვდეთ, რომ ბევრი კარგიც იყო თქვენ შორის... ვიცი, თქვენი გულისტკივილი... ვიცი, რომ ხშირად გტკენიათ გული, მაგრამ მოდით ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ. თქვენ აუცილებლად უნდა მონახოთ გასაღები რუსეთთან, დამერწმუნეთ, სხვა ისე ვერავინ დაგეხმარებათ, როგორც ისინი. თქვენ ძალიან გაგიჭირდებათ დამოუკიდებლად ფეხზე წამოდგომა...“**

და კიდევ მეორე რჩევა:

**„კორექტულად არ მიმაჩნია ჩემგან სტალინის როლის შეფასება და მისი ღვაწლის აღნიშვნა. ერთი რამ კი უდავოა: გვინდა თუ არა, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, სტალინი მთელ მსოფლიოში რაღაც განსაკუთრებულ, ამაღლებულ პიროვნებას წარმოადგენდა. ისე კი ჩემი რჩევა იქნება, რომ როგორმე თვით ქართველებმა იზრუნონ იმაზე, თუ როგორ მოიგონონ იგი და არ მისცენ დავიწყებას“.**

**მერაბ ბერაძე, „ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი“. ქ. თბილისი, 1998 წ.**

დასანანია, რომ დღეს მისი ეს რჩევები არ არის „მოდაში“.

**ალექსანდრე ტოლსტოი**

**ნეიტრალიტეტის სტატუსი ყველაზე მისაღებია საქართველოსათვის. სწორედ მაშინ ხდება ის მიმზიდველი და სწორედ მაშინ ხდება რეალური ქვეყნის გაერთიანების შესაძლებლობა**

**P.S.** მინდა მადლობა გადავუხადო სტატიის მომზადებაში: მერაბ ბექარაძეს, ვალერიან გომელაურს, ლევან დოლიძეს, გივი ლეფონავას.

სამივე შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეებს ფიცი დაადებინეს არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად — ერთი კითხულობდა, ხოლო დანარჩენები იმეორებდნენ, როგორც წერა-კითხვის უცოდინარები გასული საუკუნის 20-30-იან წლებში.

ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რაზე დააფიცეს ახალგაზრდა ჯარისკაცები, მატროსები და კურსანტები?

## ვინ და რატომ მოარგო სამხედრო ფიცი «ახლადარჩეულ პრეზიდენტს»?

**2011 წლის 26 მაისს აღლუმის ჩატარების დროს სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებმა დადეს ფიცი, რომელიც პარლამენტის მიერ არ იყო დამტკიცებული.**



სამხედრო ფიცის დადების წესი განსაზღვრულია საქართველოს შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდებით, რომელიც ადგენს, რომ:

**„ახალგაზრდა ჯარისკაცები და მატროსები, აგრეთვე, სამხედრო სასწავლო დაწესებულებათა კურსანტები და აკადემიის მსმენელები, რომელთაც წინათ ფიცი არ მიუღიათ, დებენ ფიცს სამხედრო ნაწილში (სამხედრო დაწესებულებაში) მოსვლის დღიდან არა უგვიანეს თვე-ნახევრისა“**, და კიდევ:

**„ყოველი სამხედრო მოსამსახურე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ინდივიდუალურად იღებს სამხედრო ფიცს და ადასტურებს ამას საკუთარი ხელმოწერით“**, აგრეთვე:

**„სამხედრო ფიცის მიღება შეიძლება მოხდეს საბრძოლო დიდების ადგილებში, აგრეთვე, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაცემულ მეომართა საფლავებთან“.**

**ამ მოთხოვნებიდან რომელი მათგანი შესრულდა? არც ერთი. გაუფასურდა სამხედრო ფიცი.**

სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებს ადრე ხომ უკვე ჰქონდათ ფიცი დადებული და სიტყვა „ვფიცავ“ ხუთჯერ წარმოთმული და რატომ გახდა საჭირო ფიცის მეორედ დადება?

რატომ იქნა ამოღებული მეორე ფიციდან სამხედრო მოსამსახურეებისადმი წაყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნები:

**„ვფიცავ“, მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისთვის;**

**თუ გავტეხ ამ ფიცს, პასუხისმგებელი ვიქნები ღვთისა და ქვეყნის წინაშე“.**

სავსებით სამართლიანია დაისვას კითხვები:

1. რომელი ფიცია შესასრულებლად სავალდებულო: ადრე მიღებული თუ 26 მაისს დადებული?

2. ხომ არ გაათავისუფლა მაისში ფიცის დამდები აკადემიის კურსდამთავრებულები ადრე მიღებული ფიცისგან?

**სამხედრო ფიცის დადების ასეთი დამახინჯება პირველი შემთხვევა არ არის თავდაცვის უწყებაში.**

**საუკუნის დასაწყისიდან ფიცის მიღების წესმა მიიღო მლიქვნელური ხასიათი.**

წინა პრეზიდენტის დროს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებული სამხედროები ფიცს დებდნენ არა „საქართველოს წინაშე“, არამედ „უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე“, ხოლო 2008 წლის 8 აპრილს ქ. საჩხერეში ოფიცერთა კურსების კურსდამთავრებულებმა ფიცი დადეს „ახლადარჩეული პრეზიდენტის წინაშე“.

**სამივე შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეებს ფიცი დაადებინეს არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად — ერთი კითხულობდა, ხოლო დანარჩენები იმეორებდნენ, როგორც წერა-კითხვის უცოდინარები გასული საუკუნის 20-30-იან წლებში.**



თუ ზოგიერთი სამხედრო ფიცს დებს ორჯერ და წარმოთქვამს სიტყვა „ვფიცავ“ ცხრაჯერ და ათჯერ, მაშინ რატომ უჭირთ ჩვენს უმაღლეს მთავარსარდლებს (პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდა) ერთხელ მაინც წარმოთქვან სიტყვა „ვფიცავ“ და ამით მაინც აიღონ პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვაზე, მითუმეტეს მაშინ, როდესაც სხვა საკანონმდებლო აქტები პრეზიდენტს არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს, უფლებებს კი მრავლად ანიჭებს; ამტკიცებს, აცხადებს, ნიშნავს, გადააყენებს, იღებს გადაწყვეტილებებს, გასცემს ბრძანებებს და ა. შ.

რატომ დაავიწყდათ პარლამენტარებს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების დამტკიცებისას პრემიერ-მინისტრისათვის მაინც (როგორც ეს გერმანიაში და იტალიაშია) დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა ფიცის დადების სახით. მის ხელში ხომ 2013 წლის ოქტომბრიდან აღმოჩნდება უზარმაზარი ძალაუფლება და უპასუხისმგებლო პრეზიდენტის თანამდებობას დაემატება უპასუხისმგებლო პრემიერ-მინისტრის თანამდებობაც.

**ფიცის დადება ერთგულების აღთქმას, წესისა და კანონის მიხედვით ქცევის პირობას, პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს და საქართველოში, ხალხური ტრადიციების მიხედვით, უმაღლეს კატეგორიათა რიგს განეკუთვნებოდა და მისი გატეხვა უდიდეს ცოდვად იყო მიჩნეული.**

სამხედრო ფიცი ქვეყნის წინაშე მხოლოდ ერთხელ მიიღება და არა მგონია, რომ ამის შესახებ არ იცოდეს პრეზიდენტმა — სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, მანაც ხომ იმსახურა ჯარში, შემორჩა კარგი სამწყობრო დგომა და ლამაზი მისალმება. ადრე მიღებული ფიცისგან ის განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, და ამიტომ მას უკვე შეუძლია საქართველოს წინაშე დაიფიცოს და წარმოთქვას სიტყვა „ვფიცავ“.

მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ კონსტიტუციის 71-ე მუხლის 1-ელ პუნქტში შევიდეს შესწორება: სიტყვა „ვაცხადებ“-ის მაგივრად ჩაიწეროს სიტყვა „ვფიცავ“.

**სამხედრო ფიცის გაუფასურება და მლიქვნელობა უარყოფითად მოქმედებს ჯარის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებაზე.**

**ალექსანდრე ტოლსტოი,**

**სამხედრო ძალების ვეტერანი**

**P.S.** სამხედრო ფიცის ტექსტი შეადგინა აწ განსვენებულმა გენერალ-მაიორმა დულა აბაშიძემ.

# რა შემთხვევაში დაუჭერენ მხარს ქართველი კომუნისტები ბიძინა ივანიშვილს?

**მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის თემა უკავშირდება ქართულ პოლიტიკაში წარმატებული ქართველი ბიზნესმენის, მეცენატისა და ქველმოქმედის, ბიძინა ივანიშვილის მოსვლას, რაც უკვე დიდ აჟიოტაჟს იწვევს. ზოგი ფიქრობს, რომ ის ამერიკული ან რუსული პროექტია, ზოგს სააკაშვილთან გარიგებული ჰგონია, ზოგს — ოპოზიციის ნაწილთან. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას — მშრომელ ქართველ ხალხს კი საკუთარი გულისთქმის კარნახს მინდობილი, დამოუკიდებელი, ყოველგვარი ზეგავლენისგან თავისუფალი, ქვეყნის ხელისუფლებასთან ჭეშმარიტად, გულწრფელად, გაბედულად დაპირისპირებული ბიძინა ივანიშვილი სურს და ესაჭიროება და მხოლოდ ასეთს დაუდგება გვერდით.**

**თუ დავრწმუნდებით, რომ ბატონი ბიძინა დღევანდელი ბურჟუაზიული რუსეთის კანონის დაცვით მოპოვებულ, თავის დროზე საბჭოთა ადამიანების მიერ შექმნილ ქონებას ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას, მოქმედი არაადამიანური, ანტიეროვნული სახელმწიფოებრივი რეჟიმისგან საქართველოს განთავისუფლების კეთილშობილურ საქმეს მოახმარს, მაშინ ჩვენ — ქართველი კომუნისტები მას მხარს დავუჭერთ. ამის თაობაზე საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დროზე გააკეთა განცხადება.**

პატივცემულ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული აურზაური გრძელდება, რაც ბევრ საინტერესოს გვპირდება ქართულ პოლიტიკაში. ყველაზე ადრე ეს გამოიკვეთება სწორედ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. უკვე არის პირველი პროგნოზები, სპეციალისტთა პირველი მოსაზრებები. მაგალითად, კვალიფიციურ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი ვარაუდობს, რომ წინასაარჩევნოდ შეიქმნება სამი კოალიცია:

1. სახელისუფლო პარტიების კოალიცია მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით;

2. ბიძინა ივანიშვილის პარტიისა და იმ პარტიების კოალიცია, რომლებთანაც სურს თანამშრომლობა თვით ბიძინა ივანიშვილს თავისივე წინამძღოლობით;

3. იმ პარტიების კოალიცია, რომლებთანაც არ სურს თანამშრომლობა ბიძინა ივანიშვილს.

სად იქნება ჩვენი ადგილი? რა თქმა უნდა, პირველში — არა. შესაძლოა, — მეორეში ან მესამეში, თუმცა ორივე შემთხვევაში ეს უსიამოვნო და მძიმე იქნება.

ყველაზე უფრო ხელსაყრელია მეოთხე კოალიციის შექმნა მემარცხენე პატრიოტული ძალებისგან, რომელშიც იქნება ჩვენი ადგილი, მაგრამ ჯერჯერობით ბუნდოვანია ასეთი კოალიციის შექმნის პერსპექტივა და რეალობა.

ბოლოს რჩება მეხუთე ვარიანტი: არჩევნებში საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის მარტოდმარტო, დამოუკიდებლად მონაწილეობა. ეს ყველაზე მძიმე, მაგრამ ყველაზე საპატიო, ღირსეული გზაა.

**ყველა ვარიანტში უნდა დამთავრდეს ჩვენი მოკრძალება და უმაგალითო გაბედულება უნდა გამოვიჩინოთ. დიახ, უნდა დამთავრდეს ის დამოუკიდებულება, როდესაც თავს არჩევნების გამო ვიმართლებდით და ვინუგეშებდით მხოლოდ. უნდა დამთავრდეს ის დრო, როდესაც უაზროდ დავთმეთ ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობა 1998 წელს, როდესაც არ მიგვიღია მონაწილეობა 2003 წლის შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში, როდესაც არ გვყოლია ჩვენი საპარლამენტო კანდიდატი 1995 წლის შემდეგ. ჩვენ ქვეყნიერებას უნდა გავაგებინოთ, რომ პატარა ბავშვები კი არა, სერიოზული, პატივსაცემი, ანგარიშგასაწევი ხალხი ვართ!**

**მანამდე კი საჭიროა თავდაუზოგავი, თავდადებული, შეუპოვარი შრომა და ბრძოლა!**

**ნუგზარ ავალიანი,**

**საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 18 თვის ჩოგბურთელი

**მსოფლიო ახალმა სენსაციამ მოიცვა — 18 თვის ჯეიმი მუსკოვა-ბადელი შეუცდომლად თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს.** ამ საოცარი ფაქტის ამსახველი ვიდეო ინტერნეტით უკვე უამრავმა ადამიანმა ნახა. ჯეიმის მშობლები — კევინი და მარკეტა აცხადებენ, რომ ბავშვში მაგიდის ჩოგბურთის თამაშის ნიჭი შემთხვევით აღმოაჩინეს. პატარას საოცრად განვითარებული აქვს ხელისა და თვალის კოორდინაცია. გავრცელებულ ვიდეოში ჩანს, თუ როგორი სისწრაფით იგერიებს მამის ნასროლ ბურთებს ჯეიმი.



# რობინზონები

**რობინზონ კრუზოს თავგადასავალი ყველამ იცის. ეს არის ისტორია მეზღვაურის შესახებ, რომელიც უკაცრიელ კუნძულზე მოხვდა და იქ რამდენიმე წელი გაატარა, მაგრამ არსებობს რამდენიმე რეალური ადამიანი, რომელთა შესახებაც ყველასათვის არაა ცნობილი და რომელთა ისტორიაც ძალიან ჰგავს რობინზონისას.**

## ალექსანდრე სელკირკი

**1704 წლის სექტემბერში სელკირკი გემზე „წმინდა გიორგი“ შტურმანად მუშაობდა. ერთხელ გემი გაჩერდა არქიპელაგ ხუან ფერნანდესთან ახლოს. შტურმანმა მოუწოდა ეკიპაჟს, დარჩენილიყო კუნძულზე მასთან ერთად, იმ მოტივით, რომ გემი გაუმართავი იყო, კაპიტანი კი — გამოუცდელი. საბოლოოდ კუნძულზე მასთან ერთად ერთადერთი ადამიანი დარჩა. შტურმანი დიდად არ დარდობდა ამაზე, რადგან სჯეროდა, რომ კუნძულს მალე მოადგებოდა რომელიმე სხვა გემი, რომელსაც გაჰყვებოდნენ, მაგრამ სელკირკი მწარედ ცდებოდა.**



საბოლოოდ ალექსანდრემ კუნძულზე ოთხ-ნახევარი წელი გაატარა, სანამ ის ერთ-ერთი გემის ეკიპაჟმა არ იპოვა. ამ ხნის განმავლობაში სელკირკი იკვებებოდა გარეული თხის ხორცით, ჭამდა ველურად გაზრდილ ჭარხალს, ააშენა რამდენიმე ქოხი სიცივისა და უამინდობისაგან თავის დასაცავად. საბოლოოდ კუნძულს, სადაც სელკირტი ცხოვრობდა, უწოდეს რობინზონ კრუზო, ხოლო მეზობელ კუნძულს, სადაც მოხვედრა მან ვერ მოახერხა, — ალექსანდრე სელკირკი.

## ფილიპ ეშტონი



**1722 წელს ფილიპი ხელში ჩაუვარდა მეკობრეების ბანდას, მაგრამ მან მოახერხა გაქცევა და თავი შეაფარა კუნძულ როატანის ჯუნგლებს, ჰონდურასთან ახლოს. მეკობრეებმა სცადს, დადევნებოდნენ მას, მაგრამ კვალს ვერ დაადგნენ და გადაწყვიტეს, მიეტოვებინათ. ასე აღმოჩნდა იგი უკაცრიელ კუნძულზე, ძალიან საშიშ გარემოცვაში.**

მას არ ჰქონდა არანაირი იარაღი, რომ ენადირა, ამიტომაც იკვებებოდა მხოლოდ ხილით. უცნაურია, მაგრამ კუნძულზე ხეტიალისას აღმოაჩინა მეორე დევნილი ადამიანი, რომელიც შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო. რამდენიმე დღის შემდეგ უცნობი სანადიროდ წავიდა, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. ეშტონს მისგან დარჩა დენთი, დანა და თამბაქო. ისლა დარჩენოდა, ღმერთისათვის მადლობა ეთქვა ასეთი საჩუქრისთვის და დაიწყო ნადირობა კუებზე. ამან რამდენიმე თვეს გააძლებინა, შემდეგ კი მას კიდევ ერთხელ გადმოხედა ღმერთმა — იგი ბრიტანულმა გემმა იპოვა.



## ჩარლზ ბარნარდი

**1812 წელს ამერიკული თევზსაჭერი გემ „ნანინას“ კაპიტანმა იპოვა დაღუპულ გემ „იზაბელას“ ბრიტანული ეკიპაჟი პატარა კუნძულზე ფოლქლენდის კუნძულებთან ახლოს.** დაზარალებულები აიყვანეს გემზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკვებისა და წყლის მარაგი საკმარისი არ იყო. კაპიტანი ეკიპაჟის რამდენიმე წევრთან ერთად გაემგზავრა საკვების საძებნელად და ამ დროს უმადურმა გადარჩენილმა ბრიტანელებმა გადაწყვიტეს გემის გატაცება. მათ მთელი ეკიპაჟი გაყარეს გემიდან და გაიქცნენ.

მთელ გუნდს წელიწად-ნახევარი მოუწია ბრძოლა სიცოცლისთვის, ვიდრე ისინი არ იპოვეს. მოგვიანებით ჩარლზ ბარნარდმა წიგნიც დაწერა ამის შესახებ – A Narrative of the Sufferings and Adventures of Capt.



## პუნ ლიმი

**პუნ ლიმი სტიუარდად მუშაობდა ბრიტანულ გემზე, რომელიც სამხრეთ ატლანტიკის წყლებს ჭრიდა მეორე მსოფლიო ომის დროს. 1200 კილომეტრზე გემმა დაიწყო ჩაძირვა. პუნ ლიმმა მოასწრო სამაშველო ჟილეტის ჩაცმა და გადაეშვა წყალში, რამაც გადაარჩინა. მთელი ეკიპაჟისაგან, რომელიც 54 კაცისაგან შედგებოდა, ის ერთადერთი გადარჩენილი ადამიანი აღმოჩნდა. რამდენიმე საათი ის წყალში იმყოფებოდა, სანამ არ გადააწყდა გადარჩენილ ნავს.**

ნავში აღმოჩნდა 40 ლიტრი წყალი, ცოტა საკვები და სიგნალის მისაცემი პისტოლეტი. მართლაც დიდი გამართლებაა, მაგრამ ყველაფერი მთლად მარტივადაც არ იყო, ის რამდენიმეჯერ მოხვდა შტორმში. მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ შეძლო ლიმმა, მიეღწია ბრაზილიის ჩრდილოეთ ნაპირზე ქალაქ ბელემამდე. პუნ ლიმი მოათავსეს ჰოსპიტალში, სადაც 2 კვირა იმყოფებოდა. აღმოჩნდა, რომ ამ ხნის განმავლობაში მას 9 კილოგრამი დაეკლო და სხვა არაფერი დაშავებია. მალე ის დაბრუნდა ბრიტანეთში, მისი ისტორია კი შევიდა ბრიტანულ სახელმძღვანელოებში წყალში თავის გადარჩენის შესახებ.



## ტომ ნილი

**ტომ ნილს მთელი თავისი ცხოვრება შეგნებულად უნდოდა ეცხოვრა უკაცრიელ კუნძულზე. 1952 წელს მის ოცნებას ფრთა შეესხა — თავის 2 კატასთან და საკვების დიდ მარაგთან ერთად იგი გადმოსვეს წყნარ ოკეანეში მდებარე უკაცრიელ კუნძულზე, რომელიც შედის კუკის კუნძულების ჯგუფში.** მეორე მსოფლიო ომამდე ამ კუნძულზე ხალხი ცხოვრობდა, ამიტომაც მან იპოვა ველური ღორები და ქათმები, აიშენა საცხოვრებელი და ცხოვრობდა 2 წელი ისე, როგორც სურდა. 1954 წელს მან მოახერხა, მიეღწია კუნძულ რაროტონგაზე და მივიდა ექიმთან — ართრითს უჩიოდა. მკურნალობის შემდეგ, 1960 წელს დაბრუნდა თავის მშობლიურ კუნძულზე და კიდევ 4 წელი იცხოვრა იქ, რის შემდეგაც მან კიდევ გაირა მკურნლობის კურსი.

ნილის საბოლოო, მესამე გადასახლება 1976-1977 წლებში მოხდა. ამის შემდეგ კუნძულს მოადგა გემი, რომლის ეკიპაჟმაც დაუძლურებული იპოვა იგი. გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნილი კიბოთი იყო დაავადებული. 7 თვის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

## ანა ბლექჯეკი

**შესაძლებელია, მოხვდე უკაცრიელ კუნძულზე, ტროპიკებში, მაგრამ რას იტყვით ციმბირში დაკარგვაზე? ასეთი რამ დაემართა 23 წლის ესკიმოს გოგონას, ანა ბლექჯეკს 1921 წელს.** ის მეცნიერთა ექსპედიციას გაჰყვა, რათა ემსახურა მათთვის მზარეულის როლში, რაშიც მას 50 დოლარს გადაუხდიდნენ, თუმცა მდგომარეობა დასაწყისშივე გართულდა. ძალიან მალე დამთავრდა წაღებული საკვების მარაგი, ხოლო ნადირობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ამასთან, ექპედიციის ერთ-ერთი წევრი ავად გახდა, ექსპედიციის სამმა წევრმა გოგონა ავადმყოფთან მარტო დატოვეს და დახმარების სათხოვნელად წავიდნენ.



გოგონა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ იპოვეს. ავადმყოფი უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო გოგონამ სასწაულებრივად შეძლო თავის გადარჩენა კატასთან ერთად, რომელიც თან ჰყავდა.

## მარგარიტა დე ლა როკო

**მარგარიტა 1542 წელს იმყოფებოდა გემზე, რომელიც ამერიკისკენ მიემგზავრებოდა. ის მგზავრობდა ან ძმასთან, ან ბიძასთან ერთად. სამაგიეროდ ცნობილია ის, რომ მან რომანი გააბა ერთ-ერთ მგზავრთან, რამაც ძმა თუ ბიძა ძალიან გააბრაზა და გადაწყვიტა, ორივე დეტოვებინა უკაცრიელ დემონების კუნძულზე.**

რეალურად მიზეზი იყო ქონება, რომელიც მრისხანე ბიძასა თუ ძმას ახალგაზრდა ქალთან უნდა გაეყო. კუნძულზე მასთან ერთად დატოვეს მისი მოსამსახურეც. ცნობილია, რომ კუნძულზე მარგარიტას ეყოლა ბავშვი, რომელიც შიმშილისგან მოუკვდა, საბოლოოდ მოკვდნენ მისი საყვარელიც და მოსამსახურეც.

ქალი სრულიად მარტო იბრძოდა სიცოცხლისათვის. ბოლოს იგი ესპანელმა მეზღვაურებმა იპოვეს, ამის შესახებ შეიტყო ესპანეთის დედოფალმაც და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ამ ისტორიამ ჩვენამდე მოაღწია.

ვარაუდობენ, რომ დემონების კუნძული არის დღევანდელი ჰარინგტონის კუნძული. ამ კუნძულზე არის გამოქვაბული, რომელსაც მარგარიტას გამოქვაბულს ეძახიან და რომელიც დღეს ტურისტების საყვარელი ადგილია.




## ლეენდერ ჰასენბოკი

**ამ დანიელ მოგზაურს ნაკლებად გაუმართლა. იგი 1725 წელს დასჯის მიზნით ამაღლების კუნძულზე გადაასახლეს, არასრულწლოვანთა შეცდენისთვის.** კუძულზე დამნაშავეს დაუტოვეს კარავი, გარკვეული რაოდენობის ხორბალი, ერთი თვის წყლის მარაგი, წიგნები და გამოსაცვლელი ტანსაცმელიც კი. მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ წყლის მარაგის გამოლევის შემდეგ მან კუნძულზე სასმელი წყალი ვერ იპოვა. ჰასენბოკი კუს სისხლს სვამდა და წელიწად-ნახევრი ამის წყალობით გაძლო. მისი ცარიელი საცხოვრებელი და წერილებით სავსე რვეული ერთი წლის შემდეგ იპოვეს.

სამწუხარო ისაა, რომ კუნძულზე იყო წყარო, რომელსაც მან, უბრალოდ, ვერ მიაგნო.





## ყინულის ჭადრაკი

**ჩვეულებრივ, ჭადრაკის თამაშისას, თითოეული პარტია, შესაძლოა, საათობით გაგრძელდეს, თუმცა Ice Speed Chess Set-ით ეს შეუძლებელია, რადგან, თუ სწრაფად არ იაზროვნე, ფიგურა ხელში ჩაგადნება.** Ice Speed Chess Set-ის ფიგურები ძალიან მარტივი გასაკეთებელია. ყინულის ჭადრაკს სილიკონის ორი ფირფიტა მოჰყვება, მათში ჭადრაკის ფიგურების ფორმებია ამოკვეთილი. მოთამაშემ ფორმებში სითხე უნდა ჩაასხას და საყინულეში მოათავსოს. მას შემდეგ, რაც წყალი ყინულად იქცევა, თამაშის დაწყება შესაძლებელია. იმისათვის, რომ მოწინააღმდეგეთა ფიგურები განსხვავებული ფერის იყოს, მოთამაშეებმა ისინი სხვადასხვა ფერის სითხისგან უნდა შექმნან. ამისთვის შეუძლიათ გამოიყენონ ღვინო, ჩაი და სხვადასხვა ფერის წვენები. ფიგურების დასამზადებელი სილიკონის ფირფიტები ონლაინ მაღაზიებში იყიდება და მისი ფასი 7 დოლარამდე ღირს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლეგენდარული ბიზნეს-მარცხები

**უდიდესი კომპანიები, რომლებიც რამდენიმემილიონიან ბიზნესს აწარმოებენ, ხანდახან ისეთ შეცდომებს უშვებენ, რომელთა შედეგებიც ასევე მილიონობით დოლარის დანაკარგებში აისახება.**



## რეისი «ტორონტო-კვიპროსი» — 39 დოლარად

**იტალიურმა Alitalia-მ საიტზე შეცდომა დაუშვა და არასწორად მიუთითა ტორონტო-კვიპროსის რეისის ფასი.**

ეს ფასი ბიზნეს კლასისთვის 39 დოლარს შეადგენდა, რეალურად კი 3900 დოლარი უნდა ყოფილიყო. სანამ შეცდომას აღმოაჩენდნენ, 2000 ბილეთი გაიყიდა.

**შეცდომის გამოსწორება არ იყო ადვილი, ამიტომ ყველაფერი ისე დატოვეს, როგორც იყო. კომპანიის ზარალმა 7,71 მილიონი დოლარი შეადგინა.**

## ფორდი და ქარისთვის გატნეული 350 მილიონი დოლარი

**1950-იანების შუა პერიოდში, Thunderbird-ის პოპულარობის ზენიტში, ფორდმა გადაწყვიტა, შეექმნა ახალი მოდელი General Motors Oldsmobile-ისთვის კონკურენციის გასაწევად.** მიუხედავად არასაიმედო პროგნოზებისა, მანქანა გამოუშვეს და ფორდის შვილის პატივსაცემად დაარქვეს Edsel-ი. ეს მანქანა არ აღმოჩნდა წარმატებული. ყველაზე დიდ შეცდომად თვლიდნენ, რომ მანქანის სტილი ჰგავდა წინა მოდელებისას, ზომით იყო ძალიან დიდი, მიუხედავად იმისა, რომ მოდაში შემოდიოდა პატარა მანქანები. გარდა ამისა, ფასიც არ იყო რაციონალური მანქანის ხარისხთან შედარებით. ფორდმა 350 მილიონი დოლარი ჩადო ამ მანქანის წარმოებაში, წარმოება კი შეჩერდა 1959 წელს. ფორდი ფორმაში ჩადგა, თუმცა გაკვეთილი დარჩა. შემდგომში ეს ფაქტი ჩართეს უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამაში იმის სასწავლად, თუ როგორია არასწორი გათვლა და თუ რისთვისაა საჭირო მომხმარებლის მოთხოვნების კარგად შესწავლა.

## ხმის ჩამწერი კომპანიის დიდი შეცდომა




**მაიკ სმიტი და დიკ როი ხმის ჩამწერი სტუდიის ლონდონის ფილიალისთვის ახალი ტალანტების აღმოჩენით იყვნენ დაკავებულნი. 1961 წელს მაიკ სმიტი ლივერპულში გაემგზავრა, რათა იქ ერთი ადგილობრივი ჯგუფისათვის მოესმინა.** გამოსვლა მოეწონა და ჯგუფი ლონდონში საახალწლო კონცერტზე დაპატიჟეს. მუსიკოსები ჩამოვიდნენ და 2 საათის განმავლობაში 15 სხვადასხვა სიმღერა შეასრულეს, შემდეგ წავიდნენ სახლში და პასუხს ელოდნენ. პასუხმა დააგვიანა. ბოლოს როიმ დაურეკა ჯგუფის მენეჯერს და უთხრა, რომ ისინი ჰგავდნენ უკვე არსებულ ჯგუფ The Shadows-ს და რომ 4 გიტარისტის მოდა უკვე გასული იყო.

ამის შემდეგ საკმარისი იქნება ერთადერთი რამის დამატება: დაწუნებულ ჯგუფს „ბითლზი" ერქვა.




## კოკა-კოლა და მისი «New Coke»-ის ფიასკო

**1895 წელს კომპანია „კოკა-კოლამ" გამოუშვა სასმელი სახელწოდებით „New Coke". ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. კომპანიის მთავარ ოფისში, ატლანტაში, მიდიოდა უკმაყოფილებით აღსავსე წერილები, სულ 400 000-ზე მეტი ზარი და წერილი შევიდა.** გაიხსნა ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც ფსიქიატრი ესაუბრებოდა უკმაყოფილო კლიენტებს. აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანების რეაქცია ჰგავდა მათსას, ვინაც ახლობელი ადამიანი დაკარგეს. ახალი „კოკა-კოლა" წარუმატებელი აღმოჩნდა არა იმიტომ, რომ ის წინაზე ცუდი იყო, არამედ იმიტომ, რომ ხალხი მიეჩვია ძველ ბრენდს, რომელიც სამი თვის შემდეგ დააბრუნეს კიდეც. გაყიდვებისგან შემოსული თანხა ძალიან გაიზარდა და რამდენიმეჯერ გადააჭარბა ძველი დროისას, ამიტომ გაჩნდა აზრი, რომ ეს ყველაფერი თავიდანვე იყო დაგეგმილი.




## Error AT&T

1990 წელს აშშ-ში 75 მილიონი ზარი აღმოჩნდა უპასუხო, როცა პატარა მექანიკური შეცდომა გაიპარა AT&T-ის 114 ცენტრიდან ერთ-ერთ ფილიალში. ამ შემთხვევამდე ეს კომპანია იყო საიმედოობის გარანტი და ემსახურებოდა მოსახლეობის 70%-ს, იღებდა 115 მილიონ ზარს დღეში. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, შეფერხება გამოიწვია პროგრამულმა უზრუნველყოფამ. ამერიკულმა ავიახაზების კომპანიამ კი განაცხადა, რომ ეს შეფერხება 200 000 გაუყიდავ ბილეთად დაუჯდათ.

## შეყვარებული — ქირით



**ჩინეთში გაზაფხულის ფესტივალი 7 დღის განმავლობაში გრძელდება და სასურველია, ახალგაზრდებს ამ დროს გვერდით თანამგზავრი ჰყავდეთ.** ჩინელ მარტოხელებს სასურველი მეორე ნახევრის დაქირავება ინტერნეტის საშუალებით შეუძლიათ. შეყვარებულის შესარჩევად ისინი ფოტოსურათებს და პირად მონაცემებს იყენებენ. კლიენტები მიუთითებენ, როგორი მონაცემების გოგონა სჭირდებათ და მათთვის სასურველი კანდიდატიც შერჩეულია. გაზაფხულის ფესტივალისთვის შეყვარებულის დაქირავება 31 დოლარიდან 160 დოლარამდე ჯდება. თუკი მამაკაცი კლიენტი მოისურვებს, გოგონას შეუძლია რეცხვა, სადილის მომზადება ან თუნდაც შოპინგზე წასვლა. ზოგიერთი მათგანი ოჯახის ახლო ნათესავებთან სტუმრადაც კი მიდის. კლიენტებს დაქირავებული საყვარლების შეყვარება და კოცნა ეკრძალებათ.

## ყველაზე წვრილწელიანი მოდელი





**იოანა სპანგერბერგს „ადამიანი — ქვიშის საათი" შეარქვეს. იგი მსოფლიოში ყველაზე წვრილწელიანი მოდელია. მისი წელის გარშემოწერილობა სულ რაღაც 50,8 სმ-ია.**

იოანა აცხადებს, რომ დღეში სამჯერ ჭამს და ამასთან, სულაც არ არის ჯანმრთელი საკვების მოყვარული. ის მიირთმევს ხორცს, ნახევარფაბრიკატებს, იკვებება სწრაფი კვების ობიექტებში და არასდროს ამბობს უარს შოკოლადზე, თუმცა მის სხეულს ეს საერთოდ არ ეტყობა. „ძალიან ბევრს ვჭამ, მაგრამ მუცელი მაინც პატარა მაქვს. არ ვსუქდები, უბრალოდ, როდესაც ძალიან ბევრს მივირთმევ, თავს ცუდად ვგრძნობ", — დასძინა მოდელმა.

აღსანიშნავია, რომ იოანა, რომელიც ახლა 30 წლისაა, საკმაოდ დიდი, 6,6 კგ დაიბადა. ახლა იგი მეუღლესთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს.

**„მახსოვს, ბავშვობაში, ჩემი მეგობრები ეზოში რომ გარბოდნენ, მე მშობლები სახლში მტოვებდნენ და მაჭმევდნენ იმ იმედით, რომ როგორმე გავესუქებინე. ეს ძალიან მაკომპლექსებდა. პირველად ჩემი ფოტოები და ვიდეო ინტერნეტში ჩემმა მეუღლემ გამოაქვეყნა. მან შთამაგონა, რომ ჩემი განსხვავებულობა მსოფლიოსთვის გამეცნო",** — იხსენებს იოანა.

გინესის რეკორდების წიგნში, ყველაზე ვიწრო წელის მფლობელად ეტელ გრაგნელია რეგისტრირებული. მისი წელის გარშემოწერილობა სულ რაღაც 34 სმ-ია.



## ყველაზე ღრმა აუზი

**მსოფლიოში ყველაზე ღრმა საცურაო აუზი ბელგიაში, ბრიუსელთან ახლოს მდებარეობს.** ეს არის Nemo 33 – წყალქვეშა ცურვის ცენტრი. იგი შედგება ორი აუზისაგან. ერთი მათგანის სიღრმე 5 მეტრია, მეორისა კი — 10. მაგრამ უცნაური ისაა, რომ აუზებს თან ახლავს ჭა, რომლის სიღრმეც 33 მეტრს აღწევს. ეს უცნაური დანამატი კი მას უკვე ანიჭებს მსოფლიოში ყველაზე ღრმა საცურაო აუზის სტატუსს.



# ზანგები ვართ, აბა, რა!

**სააკაშვილის ცნობილი რასისტული გამონათქვამი, „ჩვენ რა, ზანგები ვართ?“ ოპოზიციამ ერთხანს აიტაცა, მაგრამ რაკი რობერტ სტურუასგან განსხვავებით, მიშიკოს სამსახურიდან გამშვები არც ერთი არ აღმოჩნდა, — მალევე მიივიწყა. არადა, მის ამ, ერთი შეხედვით, არაპოლიტკორექტულ ფრაზაში იმაზე მეტი სიმართლეა, ვიდრე ჩვენი შავკანიანი ძმების კანში — პიგმენტების რაოდენობა.**



სააკაშვილის მიერ საკუთარი იმიჯის გაუმჯობესებისთვის ამერიკულ და ევროპულ პიარკომპანიებისთვის გადახდილი მილიონების შესახებ ჩვენმა „კონსტრუქციულმა“ ოპოზიციამ ასევე მალე დაივიწყა. მით უფრო, რომ, როგორც ირკვევა, ისინიც იმავეს გაკეთებას აპირებდნენ, უბრალოდ, ფული არ ჰქონდათ. პოლიტიკურ სცენაზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ეს დანაკლისი მათ შეუვსო (ყველას თუ არა, – ნაწილს მაინც) და „პიარზე დახარჯული ხალხის ფულიც“ ისევე მიივიწყეს, როგორც სააკაშვილის რასიზმი და ქსენოფობია.

როგორც ირკვევა, **ფულის საშუალებით ნამუსის მოწმენდა არც სააკაშვილის გამოგონებაა და არც მისი ოპოზიციის** (სწორედ მისი და არა — ჩვენი ოპოზიციის!). **ამ ხერხს ოდითგანვე მიმართავდნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისა“, თუმცა ახლა უკვე აფრიკის კონტინენტის ისეთი ქვეყნებიც ადგანან ამ გზას, რომელთაც არც ნატოში ელის ვინმე და არც დემოკრატიაზე უთითებენ. აზრი არა აქვს და იმიტომ.**

ასე მაგალითად, **კანადური GLOBE AND MAIL-ის ინფორმაციით, ყოველთვიური 50 ათასი დოლარის საფასურად სააგენტო RACEPOINT-ი რუანდის მთავრობას საკუთარი მოდღეურული იმიჯის გარეცხვას დაჰპირდა. დაჰპირდა და აუსრულა კიდეც.** რუანდის ხელისუფლება, რომელსაც ოპოზიციის „გაჩმახება“ სააკაშვილზე მეტად უშლიდა ნერვებს, ამ წინადადებას ციმციმ გამოეხმაურა და სარგებელიც ნახა: **წელიწად-ნახევრის განმავლობაში ინტერნეტში რუანდის მაქებარი ორი საიტი გაჩნდა, თვეში 100-ზე მეტი პოზიტიური ინფორმაცია გადიოდა ტელევიზიებში, გაზეთებში და ინტერნეტში, რის წყალობითაც 11%–ით შემცირდა გენოციდის შესახებ გასული მასალების რაოდენობა. არადა, 1994 წელს რუანდაში მოწყობილი გენოციდი არაადამიანური სისასტიკით იყო გამორჩეული.**

**ამავე RACEPOINT-მა 167 ათასი დოლარის სანაცვლოდ ორიოდე წლის წინ ხელი მოჰკიდა მუამარ კადაფის სასარგებლო პიარ-კამპანიას. კადაფის ისინი პატივისცემით „ლიდერად“ მოიხსენიებდნენ.** მას რეკლამას უწევდნენ, როგორც ძლიერ პიროვ**ნებას, ლიბიელ დემოკრატს, დიდ რეფორმატორს, „ინტელექტუალსა და ფილოსოფოსს“.**

რუანდის შემთხვევაში მთავარი ამოცანა იყო, ისეთი ორგანიზაციების კრიტიკის განეიტრალება, როგორიც არის Human Rights Watch-ი. ადამიანის უფლებების უმძიმესი დარღვევების ნაცვლად აქცენტი ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესზე იყო გადატანილი (ხომ არაფერს გაგონებთ აქცენტების ამგვარი გადანაცვლება?).

**„როგორც კი ჩვენ მიერ მომზადებული ინფორმაცია პოლიტიკურ ან საქმიან პრესაში ხვდება, ჩვენ მის ინტერნეტში ტირაჟირებას ვიწყებთ. ეს საშუალებას გვაძლევს, ჩავახშოთ კრიტიკა და შევამციროთ გენოციდის შესახებ საძიებო კითხვები“,** – წერს Racepoint-ის წარმომადგენელი.

ერთი წლის წინ რუანდის ხელისუფლებამ სხვა კომპანიასთან გააფორმა ურთიერთობა. ბრიტანული სააგენტო BTP Advisers-ი ტრაბახობდა, რომ ინტერნეტი „ბრძოლის ველად“ იქცა, რომელზეც რუანდის მთავრობა თავის ოპონენტებს ანადგურებს.

**იმიჯის გასაუმჯობესებელი მომსახურების ტარიფები განსხვავებულია. მაგალითად, ეკვატორიალური გვინეა თვეში 60 ათას დოლარს უხდის პიარ-კომპანია QORVIS COMMUNICATIONS-ს. ეს ქვეყანა კორუფციითა და ადამიანის უფლებათა დარღვევებით ერთ-ერთი ყველაზე უარესია.** მისი პრეზიდენტი თეოდორო ობიანგი სამხედრო გადატრიალების გზით დაეუფლა ძალაუფლებას და დღეს 600 მილიონი დოლარის ქონება აქვს ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა დღეში ერთ დოლარზე ნაკლებზე ცხოვრობს. **ობიანგი ქვეყანას 32 წელი მართავდა.**

**ანგოლა – რეპრესიული რეჟიმის მქონე ნავთობით მდიდარი ქვეყანა ამერიკულ კომპანია SAMUELS INTERNATIONAL ASSOCIATES INC.-ს ყოველწლიურად 675 ათას დოლარს უხდის. მას ჰაერივით სჭირდება საკუთარი რეპუტაციის „შემსუბუქება“ და ოფიციალური შეხვედრების ორგანიზება (როგორც ჩვენს მიშიკოს). ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუში, ასევე 32 წელია, მართავს ქვეყანას.**

**ტუნისის ექს-პრეზიდენტმა ზინ ალ-აბიდინ ბენ ალიმ ამერიკულ კომპანია WASHINGTON MEDIA GROUP-ს კონტრაქტით 429 ათასი დოლარი გადაუხადა მისი ხელისუფლებისთვის დადებითი იმიჯის შესაქმნელად. ბენ ალი 23 წელი მართავდა ქვეყანას.**

ოპოზიციონერების დაპატიმრებებითა და მედიის კონტროლით განთქმულმა **ეთიოპიის ლიდერმა მელეს ზენაუიმ 2007-2008 წლებში 2,5 მილიონი გადაურიცხა სამ ამერიკულ ლობისტურ კომპანიას.** მართალია, მისი არჩევნები, ვისაც არ ეზარებოდა, ყველამ გააკრიტიკა, მაგრამ იგი დასავლური დახმარების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მიმღებია. **ზენაუი 21 წელი მართავდა ეთიოპიას.**

**სენეგალის პრეზიდენტმა აბდულაი ვადმა, კონსტიტუციის დარღვევით მესამედ გადაწყვიტა, პრეზიდენტი გამხდარიყო. მას არავინ ასწავლა, რომ კონსტიტუცია უნდა შეეცვალა და მესამედ უკვე უვადო პრემიერიც შეიძლებოდა გამხდარიყო.**

ამის ნაცვლად მან ამერიკულ კომპანია McKenna Long & Aldridge-თან გააფორმა კონტრაქტი, რათა 150 ათასი დოლარისა და ყოველთვიური 50 ათასის სანაცვლოდ მას მესამე ვადით აბდულაის არჩევა დაესაბუთებინა. **ვადი სენეგალს, 12 წელია, მართავს.**

რამდენი დახარჯა საკუთარი იმიჯის შესალამაზებლად 2003 წლიდან სააკაშვილმა, დანამდვილებით უცნობია. ყოველ შემთხვევაში, ამ აფრიკელი ლიდერებისგან განსხვავებით, „თეთრ კაცს“ მეტიც მოეთხოვება და მეტსაც იხდის. აბა, ზანგი ხომ არ არის? ახლა კი იმავე გზას ბიძინა ივანიშვილიც დაადგა. მისი კოალიციის წევრები ამაყად აცხადებენ: **„ის დრო დამთავრდა, როცა ლობისტური კომპანიების მომსახურეობით მხოლოდ სააკაშვილი სარგებლობდა და მათ ფულს ბიუჯეტიდან უხდიდა. ივანიშვილის კოალიციაში სერიოზული ლობისტური მუშაობა მიდის. ივანიშვილს გავლენიანი ევროპული და ამერიკული ლობისტური კომპანიები ეყოლება და მათ ფულს საკუთარი ჯიბიდან გადაუხდის.**

რამდენიმე თვე საერთაშორისო ურთიერთობებს და ლობირებას მიეძღვნა. ჩვენ ძალიან ბევრი სოლიდური კომპანიის წარმომადგენლებს შევხვდით, ბევრ მათგანთან შეთანხმება უკვე მიღწეულია და ეს ყველაფერი საჯარო გახდება. ამ მიმართულებით უკვე გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში სააკაშვილის მონოპოლია დასრულდა და ივანიშვილი მას არა მარტო სერიოზულ კონკურენციას უწევს, არამედ უგებს კიდეც“.

ერთი სიტყვით, ერთიცა და მეორეც დასავლეთის წინაშე იმიჯს ილამაზებენ, ამომრჩეველზე კი, ანუ ჩვენზე შთაბეჭდილების მოხდენის ნაცვლად ისევ საკუთარი გუნდების წევრებს აფინანსებენ.

**ჩვენ რა, ზანგები ვართ?**
**ზანგები ვართ, აბა, რა!**

**თამარ დავითულიანი**


## თებერვალში «ელიტ ელექტრონიქსში» ფასები დნება

ელიტ ელექტრონიქსი
ELIT ELECTRONICS




**კომპანია „ელიტ ელექტრონიქსი“ 2012 წელს ახალ, ზამთრის კამპანიას იწყებს.**

**ზამთრის კამპანიის ფარგლებში კომპანია დღეიდან მომხმარებელს ახალწელს დარჩენილ პროდუქციაზე ფასდაკლებას სთავაზობს.**

მომხმარებელს საშუალება ეძლევა, შეიძინოს **„ბოშის“, „სიმენსის“, „გორენიეს“, „ჰაიერის“, „კენვუდის“, „სამსუნგის“, „ჰუნდაის“, „გრეცისა“** და **„ბებილისის“** წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა 50 ლარიდან, ხოლო მსხვილი ტექნიკა — 300 ლარიდან. ასევე კომპანია მომხმარებელს ფასდაკლებას სთავაზობს **„დელის“, „ეისერის“, „ასუსისა“** და **„ეჩ-პის“** კომპიუტერულ ტექნიკაზე, რომელთა ფასი 500 ლარიდან იწყება.

**„შარფისა“** და **„ჰიტაჩის“** ტელევიზორები — 400 ლარიდან, ხოლო **„ეისერის“, „ალკატელის“, „სონი ერიქსონის“, „ნოკიას“** და **„სამსუნგის“** მობილური ტელეფონები — 50 ლარიდან. აღნიშნული აქცია ძალაშია „ელიტ ელექტრონიქსის“ მთელს ქსელში 29 თებერვლის ჩათვლით.

**თვის ბოლომდე კომპანია „ელიტ ელექტრონიქსი“ მომხმარებელს კიდევ ორ გრანდიოზულ აქციას შესთავაზებს!**

## ყოველთვის საუკეთესო შემოთავაზება — შენთვის «ელიტ ელექტრონიქსში»!


# მარადისობაში გადასვლა

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარის — **ელვერ სერგოს ძე კუპატაძის** გარდაცვალებიდან 40 დღე გვაშორებს. ის ნამდვილად მიეკუთვნება იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელთა გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებაში რჩება ისეთი ვაკუუმი, რომლის შევსებას ვერავინ ახერხებს. იგი იყო გამორჩენილი მამულიშვილი და ნამდვილი ქართული ტრადიციების მქონე ოჯახის თავკაცი, გულისხმიერი და თავმდაბალი, ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომი, მისი უშუალო მონაწილეობით მრავალი საქმიანი ღონისძიებები ჩატარდა ვეტერანთა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად. სწორედ ანალოგიურ საკითხზე თათბირზე მიმავალს გზაში უცაბედად წამოეწია ულმობელი სიკვდილი.

დასანანია, ასე უდროოდ, 62 წლის ასაკში, მისი ზეციურ სამყაროში გადასვლა. მას ხომ ჯერ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ახლობლების, მეგობრებისა და მრავალრიცხოვანი ვეტერანების გულში.

**რეზო ნაცარიშვილი,**
საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ღირსების ორდენოსანი, თადარიგის პოლკოვნიკი

**მოსე მდინარაძე,**
თბილისის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საქალაქო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ღირსების ორდენოსანი, თბილისის საპატიო მოქალაქე

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

**მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა**
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net